

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
სლავისტიკის დეპარტამენტი

მაია ბოლქვაძე

ავტო- და ჰეტეროსტერეოტიპები პოლიტიკურ დისკურსში და მათი
ტრანსლაცია ქართულ მედიაში

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი
დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სპეციალობა: ლინგვისტიკა/თარგმანმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
ასოცირებული პროფესორი ქეთევან სვანიძე

ბათუმი

2016

შინაარსი

შესავალი.....	3
თავი I. ავტო- და ჰეტეროსტერეოტიპები როგორც ლინგვისტური კვლევების სოციო-კულტურული ფენომენი და მათი გამოვლინება პოლიტიკურ დისკურსში.	11
1.1. ავტო- და ჰეტეროსტერეოტიპები, როგორც სოციო-კულტურული ფენომენი და ლინგვისტური კვლევის ობიექტი	11
1.2. პოლიტიკური დისკურსის ადგილი დისკურსის თეორიაში და მისი კვლევის თეორიული საფუძვლები.....	37
თავი II. პოლიტიკური დისკურსის ენა - სტერეოტიპული ხედვის ფორმირების იარაღი.....	68
2.1. ქართული სტერეოტიპული ხატების ფორმირების ძირითადი ფაქტორები ..	68
2.2. სტერეოტიპული ნიშნების ფორმირება ზვიად გამსახურდიას 1991 წლის წინასაარჩევნო კამპანიის მასალებზე დაყრდნობით.....	73
2.3. სტერეოტიპული ნიშნების ფორმირება ედუარდ შევარდნაძის 1995 წლის წინასაარჩევნო კამპანიის მასალებზე დაყრდნობით.....	84
2.4. სტერეოტიპული ნიშნების ფორმირება მიხეილ სააკაშვილის 2004 წლის წინასაარჩევნო კამპანიის მასალებზე დაყრდნობით	99
თავი III. პოლიტიკური დისკურსის თარგმანი - სტერეოტიპების ცვლის ინსტრუმენტი	114
3.1. მთარგმნელობითი სტრატეგიები პოლიტიკურ თარგმანში	114
3.2. ინგლისურენოვანი პოლიტიკური ტექსტებისა და მათი ქართულ და რუსულ ენებზე თარგმანების შეპირისპირებითი ანალიზი.....	122
დასკვნები	161
გამოყენებული ლიტერატურა.....	169

შესავალი

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს ქართულ პოლიტიკურ დისკურსში, კერძოდ წინასაარჩევნო პერიოდში ქვეყნის პრეზიდენტების გამოსვლებში, სტერეოტიპების ფორმირების მექანიზმებისა და მეთოდების გამოვლენა და თარგმანის როგორც პოლიტიკური მედიატორის როლის განსაზღვრა.

პოლიტიკური პროცესისათვის მნიშვნელოვანია არა მარტო მიმდინარე მოვლენების სათანადო ინფორმაციული დამუშავება და გადაცემა, არამედ პოლიტიკოსების მიერ საკუთარი ხედვის გამართული, ადეკვატური და მიზანმიმართული დეკლარირება. ამ თვალსაზრისით, პოლიტიკოსისათვის მნიშვნელოვანია, რომ მისი პოზიცია გასაგები და მისაღები იყოს როგორც მისი პარტნიორებისათვის, ასევე მისი ოპონენტების და საზოგადოებისათვის როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ასევე საერთაშორისო პოლიტიკის თვალსაზრისით.

საზოგადოებისათვის პოლიტიკოსის შეხედულებების მისაღებობას უზრუნველყოფს მათი სიახლოვე საზოგადოებრივ აზრთან, მის წარმოდგენებსა და სტერეოტიპებთან. სტერეოტიპები, როგორც აზროვნების, აღქმისა და ქცევის ტრადიციული, შაბლონური მანერა, წარმოადგენენ პოლიტიკური დისკურსის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს. ამა თუ იმ სახელმწიფოს მიერ არჩეული პოლიტიკური კურსის საერთაშორისო დონეზე დაფიქსირების პროცესში კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პოლიტიკოსთა გამოსვლების თარგმანები.

ინფორმაციის ძირითადი გადამცემები პოლიტიკურ პროცესებში, როგორც წესი, არიან პოლიტიკური ფიგურები, ჩვენს შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტები, რომლებიც არაერთგზის აჟღერებენ საკუთარ თუ ქვეყნის პოზიციას, აფიქსირებენ პრიორიტეტებს და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ საკუთარ ხედვას (ეთნიკური, კონფესიური, კულტურული, სოციალური პოლიტიკის შესახებ) როგორც ქვეყნის შიგნით (მაგალითად წინასაარჩევნო პერიოდში), ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ სხვადასხვა ფორუმებსა თუ დიპლომატიურ, ოფიციალურ ვიზიტებზე,

რითაც საკუთარი ქვეყნის, პარტიის, მხარდამჭერების, თუ იდეოლოგიის შესახებ გარკვეული მყარი წარმოდგენების ე.წ. “სტერეოტიპების” კიდევ ერთი, ახალი კუთხით წარმოჩენას უწყობენ ხელს.

ტექსტების „შიდა ტრანსლირებასთან“ ერთად ფრიად მნიშვნელოვანია მათი „გარე“ მსმენელისათვის“ მიწოდება. გლობალურ სამყაროში დეკლარირებული ხედვები, პოზიციები თუ ინტერესები გასაგებად უნდა იქნას მიწოდებული საერთაშორისო პარტნიორებისთვისაც. ამის ორი არხი არსებობს. პირველი, როცა პოლიტიკოსი თავადვე მიმართავს უცხოენოვან აუდიტორიას მისავე (მსმენელის) ენაზე, ანუ ქმნის ტექსტის ორიგინალურ ვარიანტს; და მეორე, როცა პოლიტიკოსის გამოსვლისა თუ მიმართვის ტექსტი პროფესიონალი მთარგმნელის მიერ ითარგმნება. ასე იქმნება ორი ტექსტი, რომლებიც ზოგჯერ იდენტურ ინფორმაციას შეიცავენ, თუმცა ხშირ შემთხვევაში განსხვავებული არიან იდეოლოგიური მოსაზრებით ან მიზანმიმართებით, რაც მოცემული ტექსტების შინაარსობრივ სხვაობას იწვევს.

კვლევის ობიექტი. ჩვენი სადისერტაციო კვლევის ობიექტს წარმოადგენს ერთი მხრივ, წინასაარჩევნო პოლიტიკური დისკურსი, კერძოდ კი საქართველოს პრეზიდენტების წინასაარჩევნო გამოსვლები, მიმართვები, სიტყვები და ა.შ., რომლებიც გამოქვეყნებული იყო ქართულ პერიოდულ გამოცემებში და გაზეთებში (მაგ. გაზეთები „საქართველოს რესპუბლიკა“, „24 საათი“). მეორე მხრივ, კი, საქართველოში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებით (2008-2013 წწ.) ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტების ოფიციალური განცხადებების ტექსტები და მათი თარგმანები ქართულ და რუსულ ენებზე.

თემის აქტუალობა. თემის აქტუალობას პოლიტიკური დისკურსისადმი ლინგვისტიკისა და თარგმანმცოდნეების განსაკუთრებული ყურადღება განაპირობებს. თანამედროვე მსოფლიოში სხვადასხვა სახელმწიფოთა მზარდი ურთიერთდაკავშირების პროცესის შედეგად მსოფლიოს ამა თუ იმ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები გარკვეულ ზემოქმედებას ახდენენ სხვა ქვეყნებზე. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ორგანოზომილებიანი პოლიტიკური

ტექსტები: ორიგინალი და მისი თარგმანი ან თარგმანები, რამეთუ მათ ერთი „ავტორი“, მაგრამ სხვადასხვა აუდიტორია ჰყავს.

თანამედროვე კვლევებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პოლიტიკური სტერეოტიპების ფორმირების იდეოლოგიურ მოტივებსა და მთარგმნელობითი ანგაჟირება-აგენციის როლს შექმნილი პოლიტიკური სტერეოტიპების ხელახალ ფორმულირებაში, რაც მთარგმნელობითი სტრატეგიებით მანიპულირების გზით ხორციელდება.

კვლევის **სიახლეს წარმოადგენს** ქართველ პოლიტიკურ ფიგურათა დისკურსში სტერეოტიპების ფორმირების, განვითარებისა და ტრანსფორმაციის ანალიზი. საკვალიფიკაციო ნაშრომის ფარგლებში ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა ქართული პოლიტიკური სტერეოტიპების ჩამოყალიბებისა და სხვადასხვაენოვანი ტრანსფორმაციების კვლევისა და ანალიზის შედეგები, ასევე შევეცადეთ მოგვებდინა პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით შექმნილი პოლიტიკური დისკურსის ქართულ, ინგლისურ და რუსულენოვანი თარგმანების თავისებურებების გამოვლენა და შესწავლა მთარგმნელობითი აგენციის დადგენის მიზნით.

შესაბამისად, თემის სიახლეს განაპირობებს საკვალიფიკაციო ნაშრომში დასმული საკითხები: საქართველოში პოლიტიკური სტერეოტიპების ფორმირების თავისებურებანი; სტერეოტიპების ტრანსფორმირების იდეოლოგიური მოტივები; მთარგმნელობითი მანიპულაციები, რომლებსაც მიმართავენ მთარგმნელობით პროცესში სტერეოტიპების იდეოლოგიური მოტივაციით ტრანსფორმირების მიზნით; ჩვენი მიზანი იყო გამოგვევლინა თარგმანების შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე ენათა სხვადასხვა წყვილში ფიქსირებული შიდა და გარე აუდიტორიებზე გათვლილი მთარგმნელობითი მანიპულაციების სიხშირე. ჩვენ ასევე ვცადეთ დაგვედგინა, რა სიხშირით ჰქონდა ადგილი მანიპულირების მიზნით იმ მთარგმნელობითი სტრატეგიების გამოყენებას, რომლებიც დღემდე არსებული თარგმანის თეორიაში არის აღწერილი.

საკითხის ამგვარი დასმა ახალ პერსპექტივას სძენს პოლიტიკური სტერეოტიპების ფორმირების ლინგვისტური მექანიზმების შესწავლასა და მათ აღწერას, აგრეთვე, თარგმანში მათი ასახვის სპეციფიკის კვლევას, რაც, ვფიქრობთ, თარგმანის თეორიასაც გაამდიდრებს.

ნაშრომი **მიზნად** ისახავს: (1) პოლიტიკურ სხვადასხვაენოვან დისკურსში სტერეოტიპების ფორმირებისა და ავტო- და ჰეტეროსტერეოტიპების ასახვის მექანიზმების განსაზღვრას; (2) პოლიტიკურ დისკურსში სტერეოტიპების გამოვლენას; (3) პოლიტიკური ტექსტებისა და მათი თარგმანების (ქართული პოლიტიკური სინამდვილისათვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური განცხადებებისა და მათი თარგმანების) თავისებურებების კვლევას ნაშრომის ზემოაღნიშნული მიზნების შესაბამისად.

საკვალიფიკაციო ნაშრომი უპირველეს ყოვლისა ეყრდნობა თეორიულ ნაშრომებს, რომლებშიც ასახულია თეორიული მიდგომები დისკურსის არსთან, ასევე სტერეოტიპების ფორმირებისა და ტრანსლირების თავისებურებებთან დაკავშირებით. ამ მხრივ ჩვენ გაანალიზებული გვაქვს პ. ჩილტონის, ტ. ვ. დეიკის, ე. შეიგალის, ვ. კარასიკის, ტ. პოპოვას, უ. ლიპმანის, ი. პროხოროვის და სხვათა ნაშრომები. თარგმანის თეორიის კუთხით ჩვენ ძირითადად ვეყრდნობოდით ვ. კომისაროვის, ქ. შაფნერის, ს. ბასნეტის, ბარხუდაროვის, პ. ნიუმარკისა და სხვათა მოსაზრებებს.

კვლევის მეთოდები. ჩვენი კვლევის ობიექტის თავისებურებიდან გამომდინარე გამოვიყენეთ სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის: დისკურსის ანალიზი, კონტენტ ანალიზი, კოგნიტური ანალიზი, ტექსტის ლინგვისტური ანალიზი, შედარებითი ანალიზი, ასევე თარგმანისა და ორიგინალის შეპირისპირებითი ანალიზი. თუმცა ჩვენი ნაშრომის საბაზისო მეთოდს წარმოადგენს შედარებითი კოგნიტურ - დისკურსული ანალიზი, რომელმაც საშუალება მოგვცა გამოგვევლინა გარკვეული მსგავსებება-განსხვავებანი ქართულ წინასაარჩევნო დისკურსში სხვადასხვა პერიოდში (კერძოდ 1991 წ. 1995 წ. და 2003 წ.) და ორიგინალისა და თარგმანის შეპირისპირებითი ანალიზი, რამაც საშუალება მოგვცა გამოგვევლინა ის მთარგმნელობითი სტრატეგიები, რომელთა

მეშვეობითაც მიიღება გარკვეულწილად განსხვავებული პრაგმატული მნიშვნელობის ტექსტი. ეს უკანასკნელი კი ხელს უწყობს არსებული, ორიგინალისაგან განსხვავებული შეუსაბამო სტერეოტიპის შექმნას უცხოენოვან საზოგადოებაში.

კვლევის მასალის რაოდენობრივი და თვისობრივი არქიტექტონიკა შემდეგი სახისაა: ქართული წინასაარჩევნო დისკურსის ჩამოყალიბებისა და გამოყენების შესწავლის მიზნით, უპირველეს ყოვლისა, გამოვიყენეთ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტების (ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის) წინასაარჩევნო გამოსვლები, მიმართვები და საარჩევნო პროგრამების ტექსტები, რომლებიც გამოქვეყნებული იყო გაზეთებსა თუ სხვა ოფიციალურ გამოცემებში. მათ შორის: ზვიად გამსახურდიას გამოსვლები 1991 წლის აპრილ-მაისის წინასაარჩევნო პერიოდში საქართველოში ძირეული პოლიტიკური ცვლილებების ფონზე; ედუარდ შევარდნაძის გამოსვლები 1995 წლის აგვისტო-ოქტომბრის წინასაარჩევნო პერიოდში; მიხეილ სააკაშვილის გამოსვლები 2003 წლის ოქტომბერ-დეკემბრის წინასაარჩევნო პერიოდში; სტატიების მთლიანი რაოდენობა ორმოცდაათს აღწევს.

ასევე, ჩვენ მიერ შესწავლილი და გაანალიზებული იქნა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს მოვლენებთან დაკავშირებით აშშ-ს პრეზიდენტების ჯორჯ ბუშისა და ბარაკ ობამას მიერ გაკეთებული განცხადებების თარგმანები ქართულ და რუსულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სივრცეებში. თარგმანის მეშვეობით გარკვეული სტერეოტიპული საფუძვლის კონსტრუირების შესაბამისად, საზოგადოების მანიპულირების მექანიზმების გამოვლენის მიზნით სამ ენაზე შექმნილი ტექსტები იქნა განხილული და გაანალიზებული (ქართული, ინგლისური, რუსული).

ემპირიული მასალის შერჩევა მოხდა სპეციალურად შერჩეული ქრონოლოგიის მიხედვით, რაც ზუსტად ასახავს პოლიტიკურ გარდატეხათა სპექტრში დისკურსის ლინგვისტური შემადგენელი ელემენტების ვარიაციას. კერძოდ, პოლიტიკური

დისკურსი და მისი ნათარგმნი ვარიანტების გაანალიზების მიზნით მართებულად მივიჩნიეთ შემდეგი ქრონოლოგიის შემოღება:

- (1) 2005-2008 წწ. აშშ-ში რესპუბლიკური პარტიის დომინაციისა და საქართველო-აშშ-ს განსაკუთრებით ახლო ურთიერთობების ერა;
- (2) 2009-2012 წწ. აშშ-ში რესპუბლიკური პარტიის დომინაციის ჩანაცვლება დემოკრატიული პარტიით და პოლიტიკური დისკურსის ვარიაცია;
- (3) 2012-2013 წწ. საქართველოში ერთი პოლიტიკური პარტიის (ნაციონალური მოძრაობა) მეორე პოლიტიკური ძალით (ქართული ოცნება) შეცვლა.

სტატიების საერთო რაოდენობა: 35

სტატიების რაოდენობა პერიოდების მიხედვით:	სტატიების რაოდენობა ენების მიხედვით:
2005 წ. - 3	
2008 წ. - 20	ინგლისური - 8
2012 წ. - 5	ქართული - 8
2013 წ. - 8	რუსული - 19

ნაშრომის თეორიული ღირებულება მდგომარეობს ავტო- და ჰეტეროსტერეოტიპების კვლევაში პოლიტიკურ დისკურსში, კერძოდ კი წინასაარჩევნო კამპანიებში ფორმირების თავისებურებისა და მეთოდების აღწერაში. საქართველოში ამ პრობლემას რიგი კვლევებისა მიეძღვნა (მ. ებანოიძე, ს.ომიაძე...) თუმცა არც ერთი მათგანი არ განიხილავს ტექსტს როგორც სტერეოტიპების ფორმირებისა და, განსაკუთრებით კი სტერეოტიპული თარგმანის - ტრანსლაციის ასპექტებს, ასევე მასალების მიმართებას - პოლიტიკოსების წინასაარჩევნო ტექსტებს და ავტო-ჰეტეროსტერეოტიპებს შორის, ინგლისურენოვანი პოლიტიკური ტექსტების თარგმანებსა და გარკვეულ იდეოლოგიზირებულ სტერეოტიპთა ფორმირების პროცესს შორის.

ამგვარად, ნაშრომის თეორიულ ღირებულებას, ჩვენი აზრით, წარმოადგენს ის, რომ იგი პოლიტიკური პროცესების არა მარტო პოლიტოლოგიური, ჟურნალისტური თუ საზოგადოებამთვდონეობითი, არამედ, ფილოლოგიური კონტენტიდან გამომდინარე ანალიზის მცდელობაა.

საკვალიფიკაციო ნაშრომი **პრაქტიკული** თვალსაზრისით საინტერესო იქნება ფილოლოგებისათვის, როგორც პოლიტიკური ენის ანალიზის თვალსაზრისით, ისე სპეციალური ენობრივი ფორმის, შინაარსისა და მოდელების დანერგვის მხრივ. ნაშრომში დასმული საკითხების ერთი ნაწილი მოგვიანებით გამოყენებული იქნება პრაქტიკული ხასიათის ნაშრომის შესაქმნელად, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიის მონიტორინგისა თუ მასში მონაწილეებისათვის იქნება საინტერესო. მისი მასალები გამოყენებადი იქნება ლინგვისტიკისა და დისკურსის თეორიის, თარგმანმცოდნეობის სალექციო კურსებში, იგი გამოსადეგი იქნება როგორც სტუდენტებისათვის, ასევე იმ უკვე შემდგარი მთარგმნელებისათვის, რომლებიც უშუალოდ პოლიტიკური ტექსტების თარგმანს ახორციელებენ.

სტრუქტურულად ნაშრომი მოიცავს შესავალს, სამ თავს, რვა ქვეთავს, დასკვნებსა და გამოყენებული ლიტერატურის სიას. სადისერტაციო ნაშრომი განხილვა გაიმართა 2015 წლის 13 ივლისს ბსუ–ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სლავისტიკის დეპარტამენტის სხდომაზე.

შესავალში, ჩამოყალიბებულია თემის აქტუალობა, მისი მიზნები, აღნიშნული მიზნების მისაღწევად დასახული ამოცანები, ნაშრომის სამეცნიერო სიახლე, მისი თეორიული და პრაქტიკული ღირებულებები. ასევე მოცემულია კვლევის პროცესში ჩვენი სამუშაო სტრატეგიები და გამოყენებული მეთოდები.

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა განსაზღვრა ჩვენ მიერ საკვლევად შერჩეული ობიექტის სირთულემ - ნაშრომის ფარგლებში განვიხილეთ სტერეოტიპის ფენომენი, პოლიტიკური დისკურსის საკითხები, გავანალიზეთ პოლიტიკური სტერეოტიპების ფორმირების მოდელები და თარგმანის როლი პოლიტიკურ დისკურსში. შესაბამისად, ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის **პირველ თავში, ავტო- და**

ჰეტეროსტერეოტიპები როგორც ლინგვისტური კვლევების სოციო-კულტურული ფენომენი და მათი გამოვლინება პოლიტიკურ დისკურსში. შევეცადეთ წარმოგვედგინა არსებული თეორიული მიდგომებისა და პრაქტიკის ურთიერთმიმართება და დაგვეკავშირებინა ჩვენი კვლევის ინტერესებთან.

ნაშრომის მეორე თავი „პოლიტიკური დისკურსის ენა - სტერეოტიპული ხედვის ფორმირების იარაღი“ ეთმობა ქართულ წინასაარჩევნო დისკურსში სტერეოტიპების კონსტრუირების მოდელებისა და მეთოდების გამოვლენას. აღნიშნულ თავში შევეცადეთ წარმოგვედგინა საქართველოს სამი საპრეზიდენტო კანდიდატის (ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძის, მიხეილ სააკაშვილის) ოფიციალური წინასაარჩევნო გამოსვლებისა და მიმართვების მასალების ანალიზი და მისი შედეგები. განხორციელებული ანალიზის საფუძველზე შევეცადეთ გამოგვევლინა ქართველი საპრეზიდენტო კანდიდატების მიერ გარკვეული სტერეოტიპული წარმოდგენების ფორმირების მიზნით გამოყენებული მეთოდები და მოდელები.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში - „თარგმანი, როგორც პოლიტიკური მედიატორი“, გავაანალიზეთ უცხოელი პოლიტიკოსების გამოსვლების ტექსტების ნაწილი, რომელიც უკავშირდებოდა საქართველოში ბოლო წლებში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებს. ასევე მათი თარგმანები ქართულ და რუსულ ენებზე. ჩვენს მიზანს წარმოადგენდა ქართულ სინამდვილეში პოლიტიკური საზოგადოებრივი მოვლენების ამსახველი ტექსტების თარგმნის პროცესში მთარგმნელის, როგორც მედიატორის, როლის განსაზღვრა. ასევე იმის დადგენა თუ რამდენად ადექვატურად აისახება თარგმანში ორიგინალის იდეა.

თავი I. ავტო- და ჰეტეროსტერეოტიპები როგორც ლინგვისტური კვლევების სოციოკულტურული ფენომენი და მათი გამოვლინება პოლიტიკურ დისკურსში

1.1. ავტო - და ჰეტეროსტერეოტიპები, როგორც სოციოკულტურული ფენომენი და ლინგვისტური კვლევის ობიექტი

სოციალური ურთიერთობების ლინგვოკულტუროლოგიური სპეციფიკა გარკვეულ სამოქმედო სტრატეგიებსა და შინაარსებს მოიცავს. საზოგადოებაში არსებული ტრადიციების გავლენით ჩამოყალიბდა აზროვნებისა და მეტყველების ფორმა, რომელიც ერთგვარად გამარტივებული და განზოგადოებული მოდელების გამოყენებით ცალკეული მოვლენის, ჯგუფის ან პროცესის მარკირებას ახდენს. ასე მიიღება მოდელი, ფორმა თუ შინაარსი - სტერეოტიპი, რომელიც დაინტერესებული მხარეების მიერ კონკრეტული აზრის მკაფიო და შინაარსობრივად დატვირთული ტრანსლირების ხერხს წარმოადგენს. ამავდროულად სტერეოტიპი, როგორც ინდივიდუალური და ამავდროულად ავტონომიური ფენომენი, სხვადასხვა ჯგუფების ინტერაქციისა და მარკირების ფართოდ გავრცელებულ ხერხს წარმოადგენს. ამიტომაც, სტერეოტიპის ფენომენი მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევს.

სტერეოტიპის კვლევა ინტერდისციპლინარულ ხასიათს ატარებს და ხშირდ არის არა მარტო ლინგვისტების, არამედ სოციოლოგების, ეთნოგრაფების, ფსიქოლოგების და სხვა მეცნიერებების ინტერესის ობიექტი. ცალკეულ დარგში სტერეოტიპში გამოიყოფა ის თავისებურებები, რომლებიც საყურადღებოა კონკრეტული მიმართულების, ან კვლევისათვის. ამიტომ გამოიყოფა სოციალური, ურთიერთობის, მენტალური, კულტურული, ეთნოკულტურული და სხვა სახის სტერეოტიპები. ასე მაგალითად, სოციალური სტერეოტიპები გამოიხატება პიროვნების აზროვნებასა და ქცევაში. ეთნოკულტურულ სტერეოტიპებს წარმოადგენს ამა თუ იმ ერისთვის დამახასიათებელი ტიპური ნიშნების განზოგადებული წარმოდგენები. გერმანელების აკურატულობა, ჩინელების ცერემონიები, აფრიკელების ტემპერამენტი, იტალიელების ფეთქებადობა,

ფინელების სიჭიუტე, ესტონელების სიზანტე, პოლონელების გალანტურობა - სხვა არაფერია თუ არა ერის შესახებ წარმოქმნილი შეხედულება, რომელიც მის თითოეულ წარმომადგენელზე ვრცელდება.

ტერმინი სტერეოტიპი ორი ბერძნული სიტყვისაგან შედგება: στερεός (სტერეოს) - მტკიცე, მყარი, ფართო; და τύπος (ტიპოს) - ანაბეჭდი. სამეცნიერო მიმოქცევაში მისი შემოტანა ამერიკელ სოციოლოგს, უოლტერ ლიპმანს (Walter Lippmann) უკავშირდება. წიგნში „Public Opinion“ (1992 წ.), წარმოდგენილია ავტორის ხედვა სტერეოტიპის ადგილისა და როლის შესახებ საზოგადოებრივი აზრის სისტემაში.

უ. ლიპმანის “საზოგადოებრივი აზრის” მიხედვით არსებული სამყაროს აღქმის მიზნით ადამიანი გარკვეულ სურათს ქმნის საკუთარ აზროვნებაში ისეთ მოვლენებზე, რომლებთანაც არ ჰქონია პირდაპირი კავშირი. შესაბამისად, ადამიანს სხვადასხვა მოვლენებზე გარკვეული წარმოდგენა უჩნდება მათთან შეხებამდე. მსგავსი წარმოდგენა-სტერეოტიპი ყალიბდება იმ კულტურული გარემოს ზემოქმედებით, რომელშიც იგი იმყოფება. სტერეოტიპები სამყაროზე ერთიანი წარმოდგენის შექმნაში, ჩვენი სოციალური, გეოგრაფიული და პოლიტიკური ჩარჩოებიდან გასვლაში გვეხმარება (Lippmann 1922:95).

განსხვავებით კულტუროლოგიური მიდგომისაგან, სტერეოტიპის სიმბოლურ შინაარსზე აკეთებს აქცენტს ი. სოროკინი (Ю.А. Сорокин). ის სტერეოტიპს განსაზღვრავს, როგორც განსაზღვრული სემიოტიკური მოდელების შესაბამისად ურთიერთობის პროცესსა და შედეგს. შეიძლება ითქვას, რომ სტერეოტიპიზაცია ინდივიდის მიერ განიხილება როგორც სტანდარტი და ნორმა, თანაც სტანდარტი წარმოადგენს გარკვეული სემიოტიკური თუ ტექნოლოგიური მოდელის რეალიზებას სოციალური თუ სოციალურ-ფსიქოლოგიურ დონეებზე; ნორმა კი წარმოადგენს ასეთი მოდელის რეალიზებას ენობრივ და ფსიქოლოგიურ დონეებზე. ასეთი გაგება საშუალებას გვაძლევს დავანაწევროთ ენობრივი და არაენობრივი ქცევები და ამის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სტანდარტი არის არაენობრივი, სოციო-ფსიქოლოგიური რეალობა, რომელიც ენობრივ დონეზე არსებობს და გამოიხატება ნორმით. სტერეოტიპი

კი არის საერთო ერთეული, რომელიც თავის თავში ნორმასაც და სტანდარტსაც აერთიენებს (Сорокин 1988: 25).

სტერეოტიპს კულტურულ ფენომენად მიიჩნევენ ასევე მეცნიერები ჯ. ნაჰბარი და კ. ლაუზე (J. Nachbar, K. Lause). წიგნში „Popular Culture: An Introductory Text” (1992წ.), ისინი აღნიშნავენ, რომ სტერეოტიპები წარმოადგენენ მასობრივი კულტურის შემადგენელ ნაწილს. ისინი შეიძლება ჩამოყალიბდნენ ასაკთან მიმართებით, მაგალითად, ახალგაზრდები მხოლოდ როკ-ენ-როლს უსმენენ, სქესთან მიმართებით - ყველა კაცი ქალისაგან მხოლოდ ერთს ითხოვს, რასასთან მიმართებით - ყველა იაპონელი ერთმანეთს გავს, რელიგიასთან მიმართებით - ისლამი ტერორის რელიგიაა, პროფესიასთან მიმართებით - ყველა ადვოკატი გაიძვერაა და ეროვნებასთან მიმართებით - ყველა ებრაელი ძუნწია. უმეტეს შემთხვევაში სტერეოტიპები ნეიტრალური ხასიათისაა, თუმცა მათი ერთი პიროვნებიდან ხალხის მთელ ჯგუფზე გადატანისას უარყოფით შეფერილობას იძენს. სწორედ სტერეოტიპზეა აღმოცენებული ისეთი მოვლენები, როგორცაა რასიზმი, ისლამოფობია და სხვ. (Nachbar, Lause 1992: 237).

ზოგიერთი მეცნიერი, სტერეოტიპს კულტურასთან აიგივებს. ასე, მაგ., ტ. სტეფანენკოს მტკიცებით, კულტურა არის ადამიანის მიერ გათავისებული და განხორციელებული გამოცდილება. თვით გამოცდილება კი წარმოადგენს ცოდნის ერთიანობას, რომელიც გადაზრდილია ნებისმიერ სიტუაციაში ვარგის სამოქმედო მოდელში. ეს არის პროგრამა, რომლის გამოყენებაც დაშვებულია ნებისმიერი წარმოჭრილი ამოცანის ამოსახსნელად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტერმინი კულტურა შეიძლება განვიხილოთ როგორც სტერეოტიპთა გარკვეული ერთიანობა, რომელიც განსაზღვრავს და ამით ზღუდავს ადამიანის მოქმედებას ნებისმიერ პირობებში (Стефаненко 1999:320).

ეთნიკური ცნობიერებისა და კულტურის, როგორც ადამიანის ქცევის მარეგულირებლის, ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, როგორც თანდაყოლილი ასევე შეძენილი ფაქტორები. ეს ის კულტურული ფაქტორებია,

რომლებიც იმ მომენტიდანვე აღიქმება როცა ადამიანი საკუთარ თავს მოცემული ჯგუფის წევრად გააცნობიერებს. ასე რომ, ჩვენ ვცხოვრობთ იმ სტერეოტიპთა გარემოცვაში, რომლებსაც ჩვენი კულტურა განაპირობებს. ”უმეტეს შემთხვევებში მოვლენას მასთან შეხების შემდეგ კი არ ვაფასებთ, არამედ პირიქით, ჯერ ვაფასებთ მას და მერე ვხვდებით. გარე სამყაროში მიმდინარე მოვლენათაგან მეხსიერებაში გვრჩება მხოლოდ ის, რასაც ჩვენი კულტურა გვახვევს თავს და ჩვენ ტენდენციურად ვდებულობთ ამ ინფორმაციას სტერეოტიპის ფორმით” (Lippmann 1922:68).

სოციოლოგი რ. ბინკლი (R. Binkley) სტერეოტიპს ფუნქციონალური თვალსაზრისით, უდიდეს საერთო მნიშვნელს უწოდებს. მისი აზრით, სტერეოტიპი ადამიანს პოლიტიკური სიტუაციის ადეკვატურად შეფასების საშუალებას აძლევს. ამგვარი შეფასების გაკეთება პოლიტიკური სფეროდან დაშორებული ადამიანისათვის ძალიან რთულია. რ. ბინკლი გამოყოფს ორ სამყაროს, რომლებშიც ცხოვრობს ადამიანი: ა. გარე სამყარო, რომელიც მოიცავს ყველაფერ იმას, რაც თავს გვხდება, იმას რისი მოწმენიც ვხდებით, რაც განგვიცდია ან შეგვიფასებია და ბ. ვერბალური სამყარო, რომელიც სხვადასხვა წყაროდან ენის საშუალებით იქმნება. ამ ორი სამყაროს ურთიერთმიმართება რუკისა და რეალური ტერიტორიის მიმართებას ჰგავს, რომელსაც იგი ასახავს (Binkley 1928:96).

სტერეოტიპების ანალიზის დროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას სტერეოტიპისა და კონკრეტული მოვლენებისა თუ ფაქტების ურთიერთმიმართება წარმოადგენს. ასევე საყურადღებო საკითხს წარმოადგენს სტერეოტიპის გამძლეობა. ანუ რამდენად უცვლელად რჩება ის მიმოქცევაში ან რა პერიოდის შემდეგ ქრება. კულტურებისა და ეროვნებების განზოგადოება შესაძლოა სიამაყის, სიბრაზის ან უბრალოდ წარუმატებელი ხუმრობის წყაროდ იქცეს.

ამასთან დაკავშირებით, სოციოლოგი უ. ლიპმანი აღნიშნავს, რომ სტერეოტიპი ისე მყარად გადაეცემა თაობებს, რომ ხშირად რეალობად, ბიოლოგიურ ფაქტად აღიქმება და თუკი პირადი გამოცდილება მოცემულ სტერეოტიპს ეწინააღმდეგება „მოუქნელი” ადამიანი, რომელიც გარკვეულ მიზეზთა გამო არაა დაინტერესებული უკვე არსებული

წარმოდგენის შეცვლაში, უბრალოდ იგნორირებას უწევს ამ სხვაობებს ან ჯიუტად უარყოფს მათ. უფრო ადაპტირებადი ადამიანი კი რეალობისკენ იხრება და ცვლის თავის წარმოდგენას (Lippmann 1922:66).

უ. ლიპმანი სტერეოტიპებს ერთგვარად ყალბ წარმოდგენად მიიჩნევს. თუმცა მისი აზრით სტერეოტიპი შესაძლოა იყოს სრული ან ნაწილობრივი სიმართლე. როგორც ის აღნიშნავს, „სტერეოტიპების სისტემა შესაძლოა ჩვენი პირადი ტრადიციის ღერძია, რომელიც იცავს ჩვენს ადგილს საზოგადოებაში. ასევე სტერეოტიპი საშუალებას გვაძლევს უფრო მარტივად და, რაც მთავარია, უფრო სწრაფად აღვიქვათ სამყარო“ (Lippmann 1922:64). საკითხის ამგვარი დასმა ანალიტიკურ პროცესს გარკვეულ ალგორითმებთან აახლოებს, ანუ თუკი ალგორითმი მათემატიკური ამოცანების ამოხსნისას ადამიანის აზრის ეკონომიას ახდენს, სტერეოტიპული სურათი პიროვნების დროის ეკონომიას ახდენს ამა თუ იმ მოვლენის შეფასებისას. მაგალითად, თუ დავეყრდნობით მასმედიაში გამოყენებულ ფორმებს, საქართველოზე საუბრისას ასოციატიურად აქტურდება ისეთი კონსტრუქტები, როგორცაა საქართველო ღვინის, სიმღერისა და პოეზიის ქვეყანა, განთქმული ქართული სტუმართმოყვარეობა, გრძელი და შინაარსობრივად დატვირთული სადღეგრძელოები და სხვა.

თუმცა ეს სტერეოტიპები ძალიან ფრთხილად უნდა იქნეს აღქმული. საზოგადოება გაცილებით უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე მათზე წარმოქმნილი და ხშირად უარყოფითი სტერეოტიპები. პოპულარული რწმენების ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს ის, რომ საქართველო ტრადიციების ქვეყანაა. ეს არის ტურისტული ბროშურების ძირითადი სამიზნე, რომელიც რეალობას ეყრდნობა. თუმცა ყოველდღიურ პირად ცხოვრებაში ქართველები გაცილებით ნაკლებად მიჰყვებიან ტრადიციებს ვიდრე სხვა რომელიმე ერი.

თუ უ. ლიპმანმა სტერეოტიპების შესწავლის თეორიას ჩაუყარა საფუძველი, ამერიკელმა მეცნიერებმა დ. კაცმა და კ. ბრეილიმ (1933 წ.) სტერეოტიპების შესწავლის მეთოდოლოგია შეიმუშავეს. შემდგომში იგი საკმაოდ გამოყენებად მეთოდოლოგიად იქცა ეროვნული სტერეოტიპების მკვლევართა შორის.

მეორე მსოფლიო ომმა ეთნიკური სტერეოტიპების შესწავლის ახალი ტალღა მოიტანა. ომის შედეგად გამოჩნდა, თუ რამხელა როლს თამაშობს ხალხების ტრადიციული მყარი წარმოდგენები ერთმანეთზე და რამდენად მნიშვნელოვანია მსგავსი წარმოდგენების ფორმირების გზების შესწავლა. XX საუკუნის 40-ანი წლების მიწურულს ეთნიკური სტერეოტიპების შესწავლისადმი ინტერესი იცვლება. ამ პერიოდში იუნესკოს ინიციატივით ჩატარდა ფართომასშტაბიანი კვლევა, რათა გამოვლენილიყო: ა. თუ როგორ აღიქვამენ ერთი ქვეყნის წარმომადგენლები მეორე ქვეყნების ერებს; ბ. რომელი ფაქტორები განსაზღვრავენ მათ აღქმას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს კვლევა ცივი ომის დასაწყისს ემთხვევა, როდესაც დიდი ინტერესი ჩნდება რუსეთის, მისი ეროვნული ხასიათის მიმართ. იუნესკოს გამოკითხვა ჩატარდა ავსტრალიაში, ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ნიდერლანდებში, ნორვეგიასა და აშშ-ში. გამოკითხულებს სთხოვდნენ ათი ნიშნით დაეხასიათებინათ ზემოჩამოთვლილი ქვეყნების წარმომადგენლები და საკუთარი თავი. დადებით და უარყოფით მახასიათებლებს შორის განმსაზღვრელი აღმოჩნდა ე.წ. მეგობრულობის მნიშვნელი (Buchanan, Cantril 1953:97). სხვადასხვა ერის სტერეოტიპული ურთიერთდამოკიდებულება ძალიან აქტუალურია თანამედროვე ცხოვრებაში და მეცნიერთა განსაკუთრებული ყურადღების საგნად არის ქცეული. ეს კი ყოველწლიურად სხვა და სხვა ქვეყანაში შესაბამისი სოციოლოგიური გამოკითხვების გზით დგინდება.

სტერეოტიპის ფუნქცია. შეიძლება ითქვას, რომ სტერეოტიპები როგორც პიროვნულ, ისე საზოგადოებრივ დონეზე მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს. ამავდროულად, სტერეოტიპი, თავისი სპეციფიკისა და განზოგადოების გამო სამყაროს სრულფასოვანი აღქმის პროცესში მნიშვნელოვანი კორექტირება შეაქვს, თუმცა მაგალითად, სოციოლოგების აზრით, სტერეოტიპები ერთგვარი ფუნდამენტია, რომელიც, შესაძლოა შემდგომი ურთიერთობების საფუძველი გახდეს. სტერეოტიპები, როგორც ხერხი და საშუალება, სხვადასხვა სახით გამოიყენებოდა. წარსულში მეზობელი სახელმწიფოების შესახებ იუმორისტული ხასიათის ცნობები მათ სახელმწიფოებრივ

სტატუსთან იყო დაკავშირებული, ან ევროპელები თავისებურად მარკირებდნენ სხვა რელიგიის მიმდევარებს, ან საპირისპირო სქესის წარმომადგენლებს.

უ. ლიპმანის დროიდან მოყოლებული, მეცნიერებს სტერეოტიპიზაციის აუცილებელ და სასარგებლო ფსიქოლოგიურ ფუნქციად დიდი და რთული ინფორმაციის გამარტივება და სისტემატიზაცია მიაჩნიათ. სწორედ იმ ინფორმაციისა, რომელსაც ადამიანი გარემოდან იღებს. ასე, „რესურსების შენახვის“ თეორიის მიმდევრები სტერეოტიპიზაციის მთავარ დანიშნულებას ინდივიდების მიერ მაქსიმალური ინფორმაციის აღქმაში ხედავენ მინიმალური ინტელექტუალური ენერჯის დახარჯვით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოციალური შემეცნების პროცესში, სტერეოტიპები ინდივიდებს თავიდან აცილებენ სოციალური სამყაროს ინტერპრეტაციას მთელი თავისი სირთულით, მაგრამ წარმოადგენენ სოციალური რეალობის შესახებ წარმოდგენების უმდაბლეს ფორმას, რომლებიც გამოიყენება მაშინ, როცა უფრო ზუსტი და ინდივიდუალიზირებული წარმოდგენების უფრო მაღალი ფორმა მიუწვდომელია (Стефаненко 1999:26).

ზოგადად, სტერეოტიპებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ ადამიანის მიერ სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების ან პროცესების შეფასებისას, გამომდინარე იქედან, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანები მათ გონებაში შექმნილი და ჩადებული სტერეოტიპების შესაბამისად იქცევიან. უ. ლიპმანის აზრით, სტერეოტიპები გვეხმარებიან იმაში, რომ არ გადავტვირთოთ ჩვენი ფსიქიკა უსარგებლო დეტალებით. ისინი საზოგადოებაში ორიენტირების საშუალებას გვაძლევენ ჩვენს გონებაში არსებული წარმოდგენების საფუძვლელზე. გარდა ამისა, გვეხმარებიან თვითიდენტიფიცირებასა და საკუთარი თავის რომელიმე კონკრეტული ჯგუფისადმი მიკუთვნებაში. ხშირ შემთხვევებში ადამიანებს, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, უშუალო პიროვნული კონტაქტის ნაკლებობას განიცდიან, თუმცა ამ ნაკლს ადამიანები მათ გონებაში არსებული წარმოდგენებით - სტერეოტიპებით ავსებენ (Lippmann 1922:60).

სოციოლოგ უ. ლიპმანის აზრით, ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ იქცევიან ადამიანები სტერეოტიპების შესაბამისად, არის ის, რომ სტერეოტიპების სისტემა შეიძლება ჩვენი პირადი ტრადიციის ბირთვს წარმოადგენდეს და შესაბამისად წარმოადგენს პიროვნების საზოგადოებაში დამკვიდრების საშუალებას. სამყაროს სტერეოტიპული სურათი შეიძლება არასრული იყოს, მაგრამ ეს ის რეალობაა, რომელიც ჩვენ გავითავისეთ და შევისისხლხორცეთ. ასეთ სამყაროში ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი აქვს და გარშემომყოფი საზოგადოების ქცევა ჩვენთვის სავსებით მოსალოდნელია. სწორედ ამიტომ, სტერეოტიპების შეცვლის ან მსხვრევის მცდელობა სხვა პირების მხრიდან ჩვენს მიერ ტრაგედიად განიხილება.

როგორც მეცნიერი აღნიშნავს, ადამიანის თავში არსებული ნიმუშები გარკვეული ფსევდოსამყაროა. სამყარო, რომელთანაც ადამიანები პოლიტიკური თვალსაზრისით ვურთიერთობთ, მათი შეხედულებების მიღმა არსებობს. ჯერ მისი გამოკვლევა, აღწერა და წარმოდგენაა საჭირო. მაგრამ ადამიანს არ შეუძლია მისი არსის სრულად აღქმა. მას მხოლოდ იმ ნაწილის აღქმა და გაგება შეუძლია, რომელიც მისთვის საკმარისია მთელი ცხოვრების მანძილზე. მაგრამ სწორედ ადამიანმა შექმნა ის მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია იმის დანახვა, რაც თვალთ მიუწვდომელია და იმის გაგონება, რაც ყურით მიუწვდომელია, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია უკიდურესად დიდისა და მცირეს აღქმა. თავისი სულიერებით ადამიანი სწავლობს სამყაროს, უდიდესი ნაწილის დანახვას, რომელიც მანამდე არ დაუნახია, არ შეხებია, არ გაუგონია ან დაუმახსოვრებია. ასე ქმნის ადამიანი საკუთარ თავში მიუწვდომელი სამყაროს თავისებურ სურათს. უ. ლიპმანი მკითხველს იმის შეგრძნებას უყალიბებს თუ რაოდენ მწირია შეფასება მასობრივი ინფორმაციის წყაროებში არსებულ მონაცემებთან შედარებით. ჭეშმარიტი სამყაროს სურათის შექმნის მცდელობა ფუჭი საქმიანობაა. რეალური გარემო იმდენად რთული, მიუწვდომელი და ამოუწურავია, რომ შეუძლებელია მისი ერთიანად აღქმა. ადამიანი არასაკმარისადაა შეიარაღებული იმისათვის, რომ ეს მოახერხოს და ამიტომ მას უწევს არსებული რეალობის რეკონსტრუქცია და გამარტივებულად აღქმა” (Lippmann 1922:14).

განსხვავებული შეხედულებების მქონე ხალხი ერთსა და იმავეს სხვადასხვაგვარად ხედავს. გარდაუვალი რედუქციის სირთულეებთან ერთად სელექციური აღქმის შემთხვევას ვაწყდებით. სელექციური აღქმა და ადამიანის ლტოლვა იმისაკენ, რომ კოგნიტიური დისონანსი აცილებულ იქნეს, წარმოადგენს სახეცვლილი რეალობის საფუძველს. "ჩვენი კოდექსის ცენტრში არსებული სტერეოტიპული მოდელი ჩვენთვის სასურველი რეალობის აღქმას განსაზღვრავს" - ამტკიცებს უ. ლიპმანი „ასე მაგალითად კაპიტალისტი ამა თუ იმ ფაქტს ერთი მხრიდან აფასებს და აღიქვამს, მაშინ როცა მისი სოციალისტი ოპონენტი იგივე ფაქტის მეორე მხარეს განიხილავს. თითოეული მათგანი საკუთარ მოწინააღმდეგეს სულელად მიიჩნევს და ეს ხდება იმ პირობებში, როცა რეალური სხვაობა არა ფაქტის შინაარსში მდგომარეობს, არამედ მისი აღქმის სხვადასხვაგვარობაში" (Lippmann 1922:20).

“სტერეოტიპი”, “სიმბოლო”, “ნიმუში”, “ფანტაზია” - ეს არის ტერმინები, რომლებითაც უ. ლიპმანი ცდილობს ახსნას, თუ რომელი მასალისაგან იგება ე.წ. ფსევდოსამყარო - ბერკეტები, რომლებიც კრისტალიზაციის დიდი პროცესების შედეგად წარმოიქმნებიან.

საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების ყველაზე გავრცელებული მექანიზმები ისინია, რომლებიც ქმნიან და განამტკიცებენ სტერეოტიპების რეპერტუარს. უკვე არსებული სტერეოტიპი ამა თუ იმ მოვლენის შესახებ მოგვითხრობს მანამ, სანამ მასთან უშუალო შეხება გვაქვს. სტერეოტიპი არის საკმაოდ შეზღუდული ინდივიდუალური თუ ჯგუფური ინფორმაცია, რომელსაც საზოგადოება ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებს; ასევე ის არის ზოგიერთი სპეციფიკური მოვლენა, რომლებიც წარმოიშვება პიროვნებათმორის ურთიერთობაში - სუბიექტური არჩევითობა, „ნორმები“, შეხედულებები და ა.შ. ამ თვალსაზრისით სტერეოტიპები წარმოადგენენ განსხვავებული ინდივიდუალური და ჯგუფური გამოცდილების აკუმულირებულ მთლიანობას, რომელიც ასახავს სოციალურ-პოლიტიკურ შედარებით საერთო ან ზოგად, განმეორებად თავისებურებასა და მახასიათებლებს. საჭირო გამოცდილების ამკარა ინფორმაციულ-ანალიტიკური უკმარისობა, წარმოადგენს სტერეოტიპების

ფორმირებისა და გამოყენების „იძულებით“, „გარდაუვალ“ საფუძველს (Lippmann 1922:22).

ბრიტანელი ფსიქოლოგი ჰ. ტეჟელი (Henri Tajfel) განსაკუთრებით აღნიშნავდა იმას, რომ სტერეოტიპებს შეუძლიათ ინდივიდის არამართო ღირებულებების, არამედ მისი სოციალური იდენტურობის დაცვა. აქედან გამომდინარე, სტერეოტიპიზაციის ძირითად სოციო-ფსიქოლოგიურ ფუნქციად, მეცნიერის აზრით, უნდა მივიჩნიოთ ჯგუფთაშორისი დიფერენციაცია, ან შეფასებითი შედარებანი, უმეტესად საკუთარი ჯგუფის სასარგებლოდ და მისი დახმარებით დადებითი სოციალური იდენტურობის მხარდაჭერა. სხვაგვარად - სტერეოტიპი გამიზნულია ჯგუფის განწყობის მოსაგვარებლად, უპირველესად ყოვლისა თვით ამ მოცემული ჯგუფის შიგნით და არა სხვა ჯგუფებთან, რითაც მის წარმომადგენლებს საშუალება ეძლევათ მოახდინონ საკუთარი თავის იდენტიფიცირება ისტორიის ორომტრიალში. „გავიხსენოთ კლასიკური: ჩვენ - არ ვართ მონები, მონები - არ არიან ჩვენ შორის. ამ თვალსაზრისით სოციალური სტერეოტიპების უმთავრესი ამოცანაა თუნდაც სიმბოლური, მაგრამ სოციალური საზოგადოების მთლიანობა“ (Tajfel 1981:110).

ჰ. ტეჟელი გამოყოფს სტერეოტიპების ფუნქციებს, როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ დონეზე. მეცნიერი ინდივიდუალურ დონეს მიაკუთვნებს ა. კოგნიტურ ფუნქციას, რომლის მეშვეობითაც ხდება გამოცდილების სქემატიზაცია და გამარტივება და ბ. ღირებულებით - თავდაცვით ფუნქციას, რომლის პირობებშიც ხდება „მე“ - ხატის შექმნა.

ჯგუფურ თუ სოციალურ დონეს ჰ. ტეჯელის მოსაზრებით, მიეკუთვნება ა. მაიდენტიფიცირებელი ფუნქცია, რომელიც ემსახურება ჯგუფის „ჩვენ“ დადებითი ხატის შექმნას და შენახვას, და ბ. იდეოლოგიური ფუნქცია, რომლის პირობებშიც მიმდინარეობს ჯგუფის იდეოლოგიის ფორმირება და დაცვა (რომელიც თავის მხვრივ განმარტავს და არეგულირებს მოცემული ჯგუფის ქცევას), ასევე „ისინი“ ხატის ჩამოყალიბება (Tajfel 1981:145).

სტერეოტიპების ფორმირებისა და ცვალებადობის განმაპირობებელი ფაქტორები.
სტერეოტიპების ფორმირებას ხშირად ხანგრძლივი პერიოდი სჭირდება, რომელსაც ასევე მისი გადაცემისა და დამკვიდრების კონკრეტული სტრატეგიები შემუშავება მოჰყვება. ამიტომაც გამოიყოფა ეროვნული სტერეოტიპების ფორმირებისა და საზოგადოებაში მათი გავრცელების გზების გამოვლენის მიდგომები.

მკვლევარების ნაწილი (K. მაკკოლი, K. სტიტ, M. სეგალ) ყურადღებას აქცევს სტერეოტიპების სიმყარეს და აღნიშნავენ, რომ გარკვეული ფაქტის უარყოფელი/საპირისპირო ინფორმაცია განიხილება როგორც გამონაკლისი, რომელიც თავის მხრივ, საზოგადოებაში დამტკიცებულ წესს ადასტურებს.

სტერეოტიპები რეაგირებენ ახალ ინფორმაციაზე, განსაკუთრებით კი დრამატულ მოვლენებზე. სტერეოტიპი იცვლება მაშინ, როდესაც ხდება რომელიმე ფაქტის/რეალობის მოცულობითი უარყოფელი/საწინააღმდეგო ინფორმაციის აკუმულირება (Мельник 1996:6). საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის არსებობის მანძილზე, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ საზოგადოების ცხოვრების სოციალური პირობების ცვლილებასთან ერთად იცვლებოდა როგორც სოციალური სტერეოტიპები, ისე მათი შინაარსი. ასე მაგ., არსებობდა მრავალი ლოზუნგი, რომელიც თავის მხრივ ასაზრდოებდა სტერეოტიპებს, რაც, თავის მხრივ, სოციალისტური სისტემის იდეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენდნენ: “ვინც არ მუშაობს, არ ჭამს!”, “ეკონომიკა უნდა იყოს ეკომონომიური!”, “ცხოვრება უფრო უკეთესი გახდა, ცხოვრება უფრო ხალისიანი გახდა!”, “ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს” და სხვა მრავალი. ისტორიული პროცესებისა და ახალი რეალების გავლენით წარსულში არსებული მიდგომებისა და იდეოლოგიური სისტემების გადახედვა მოხდა, რამაც, ერთგვარად, წარსულის ნიჰილისტური გაგება გამოიწვია. საბჭოთა საქართველოს პერიოდის სტერეოტიპები დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდის ისეთმა სტერეოტიპებმა ჩაანაცვლეს, როგორცაა: „დასავლეთი გადაგვარჩენს“, „მთავრობის წევრების შვილები საზღვარგარეთ ცხოვრობენ“ და სხვ.

დ. ბარ–ტალის (Bar-Tal D.) მოსაზრებით, სტერეოტიპთა ფორმირებასა და ცვლაზე მოქმედ ფაქტორთა პირველ კატეგორიას მაკრო-სოციალური ცვალებადი სიდიდეები მიეკუთვნება. მეცნიერის აზრით, სტერეოტიპთა ფორმირებისა და ცვლის პროცესს შემდეგი ერთეულები განსაზღვრავენ: საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები, ჯგუფთაშორისი ურთიერთობების ბუნება და ისტორია, გარე ჯგუფების მახასიათებელი თვისებები და მათი ქცევები. ამათგან, სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორები და ეკონომიკური პირობები სწორედ ის ფაქტორებია, რომლებიც აჩქარებენ ან აფერხებენ კონკრეტული სტერეოტიპული წარმოდგენის ფორმირებას ან ცვლას. ჯგუფთაშორისი ურთიერთობების ბუნება და ხასიათი ამ ჯგუფების მიერ დაგროვილი სტერეოტიპული წარმოდგენების ძირითად დეტერმინანტი არის. ის პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და საგანმანათლებლო არხებით მოწოდებული ინფორმაციის გადამუშავებისა და აღქმის ინსტრუმენტის როლს ასრულებს.

როგორც წესი, ერთი ჯგუფის წევრები აყალიბებენ გარკვეულ შეხედულებას მეორე ჯგუფის წევრების შესახებ სწორედ ჯგუფთაშორისი ურთიერთობებზე დაყრდნობით. ჯგუფებს შორის მეგობრული ურთიერთობების შემთხვევაში, იქმნება დადებითი წარმოდგენები გარე, “ისინი” ჯგუფის შესახებ. შესაბამისად, დაძაბული ურთიერთობების შემთხვევაში, საზოგადოებისათვის მტრის უარყოფითი ხატი იქმნება, რაც უარყოფითი სტერეოტიპული წარმოდგენების საფუძველი ხდება. შეიძლება ითქვას, რომ ჯგუფებს შორის არსებული ურთიერთობების ხასიათი სტერეოტიპული წარმოდგენების ხასიათის პირდაპირპროპორციულია: რაც უფრო პოლარიზებულია ურთიერთობების ბუნება და რაც უფრო მნიშვნელოვანია ეს საკითხი მოცემული ჯგუფის ცხოვრებაში, მით უფრო ინტენსიური და მასშტაბურია სტერეოტიპებიც. ამ მიმართულებით განხორციელებულმა კვლევებმა აჩვენეს, რომ ჯგუფებს შორის კონფლიქტური ურთიერთობების მოგვარებისა და მეგობრული დამოკიდებულების ჩამოყალიბებისკენ სწრაფვას მოსდევს სტერეოტიპული წარმოდგენების ცვლა უარყოფითიდან დადებითისაკენ. აღსანიშნავია, რომ სხვა ჯგუფის ლიდერებთან

სატელევიზიო პრესკონფერენციები, გამოქვეყნებული ინტერვიუები, მიმართვები, ფილმები თუ სატელევიზიო პროგრამები საზოგადოებას გარკვეულ ინფორმაციას აწვდიან, რომელიც შედგომში საზოგადოების მხრიდან გარე ჯგუფებთან ურთიერთობის ბუნების შეფასების საფუძველი და, შესაბამისად, სტერეოტიპული წარმოდგენების ჩამოყალიბების საფუძველი ხდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჯგუფებს შორის ურთიერთობების ბუნება სტატიკური მოვლენა როდია, იგი დროში ცვალებადია. ჯგუფები საომარი მდგომარეობიდან თანამშრომლურ მდგომარეობაში გადადიან და პირიქით, მეგობრულიდან კონფლიქტურში, რაც უშუალოდ სტერეოტიპების შინაარსზე აისახება (Bar-Tal 1997:500).

უკვე ფორმირებულ სტერეოტიპულ წარმოდგენებზე ჯგუფთაშორის ურთიერთობების გარდა გავლენას ასევე ამ ჯგუფების წარსული ისტორია ახდენს. ჯგუფებს შორის წარსული ურთიერთობები დავიწყებას ძნელად თუ ეძლევიან. ომები, შუღლი, წინააღმდეგობები ან პირიქით - ურთიერთდახმარება, ხელშეწყობა და მეგობრობა, რაც თავის ასახვას მოცემული ჯგუფის წევრების სტერეოტიპებში პოულობს, ერთად აღებული ზემოქმედებს ამ ჯგუფებს შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობებზე. გარე ჯგუფების ნიშან-თვისებები, როგორცაა ძალაუფლება, სტატუსი, წეს-ჩვეულებანი ან ცხოვრების სტანდარტები, ასევე სხვა ჯგუფების ქცევები, ზემოქმედებენ სტერეოტიპულ წარმოდგენებზე. თითოეულ ჯგუფს განსხვავებული ტიპის ურთიერთობები აქვს სხვა ჯგუფებთან, რაც უმეტეს შემთხვევაში ორმხრივი ურთიერთობების შესაბამისია (Bar-Tal 1997:500). ასე მაგალითად, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის დროს, აშშ-ს მხრიდან სოლიდარობის გამოხატველმა ქცევამ, რაც გამოიხატებოდა ქართული სახელმწიფოს მხარდაჭერაში და მის მიმართ დახმარების გაწევაში, ხელი შეუწყო ქართულ საზოგადოებაში აშშ-ს მიმართ გარკვეული სტერეოტიპის საფუძვლის ჩაყრას - ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს მეგობარია. იგივე ქცევამ რუსულ საზოგადოებაშიც გარკვეული სტერეოტიპის ფორმირებას შეუწყო ხელი, ოღონდ საქართველოსგან განსხვავებით აქ უარყოფითი სტერეოტიპი ჩამოყალიბდა.

ყველა ზემოთ მოყვანილი ფაქტორის გარდა, დ. ბარ-ტალის მოსაზრებით, ტრანსლირების მექანიზმებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ. მათი მეშვეობით ადამიანები იღებენ იმ ინფორმაციას, რომლის საფუძველზეც ხდება სტერეოტიპული წარმოდგენების ფორმირება და ცვლა. იგი გამოყოფს ინფორმაციის გადამცემი მექანიზმების ტიპებს, მათ შორის: საზოგადოებრივი-პოლიტიკური (ლიდერების გამოსვლები, გაშუქებული ახალი ამბები, წერილობითი კომენტარები), სოციალური (პრიორიტეტული ნორმები, მეგობრების წრეები), კულტურული (წიგნები, ფილმები, ხელოვნება) და საგანმანათლებლო (სკოლის წიგნები, განმანათლებელი სატელევიზიო პროგრამები) არხები; ასევე ოჯახი, რომელიც ასრულებს სტერეოტიპული წარმოდგენების საზოგადოებაში გამავრცელებელი აგენტის როლს. „ოჯახი არამხოლოდ გადასცემს სტერეოტიპებს ახალგაზრდა თაობებს, არამედ ასევე ქმნის კონკრეტული სტერეოტიპული წარმოდგენის ჩამოყალიბების ხელშეწყობის ან შეფერხების კლიმატს“ (Bar-Tal 1997:501).

საზოგადოებრივ-კომუნიკაციური არხების განხილვისას, ავტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ენიჭებს ფუნქციას ანიჭებს. ენა, რომელიც პოლიტიკურ-სოციალურ-კულტურულ-საგანმანათლებლო წყაროებში გამოიყენება, საზოგადოებაში უკვე არსებული სტერეოტიპების გააქტიურებას იწვევს, გამოხატავს მათ, ზემოქმედებს ჯგუფებს შორის არსებულ კომუნიკაციურ მანძილსა და შიდა ჯგუფის წევრების ემოციურ რეაქციებზე გარე ჯგუფის მიმართ. მისი გამოყენებისა და აღქმის სტრატეგიები კიდევ უფრო ამყარებენ სტერეოტიპებს და კონტექსტთან კომბინაციაში შესაძლოა შიდა ჯგუფის კომუნიკაციის ჩაშლა და მისი განადგურება გამოიწვიონ (Bar-Tal 1997:502)

გარკვეული საზოგადოების წყაროებიდან მომდინარე ინფორმაცია სხვა ჯგუფების შესახებ ყოველთვის ექცევა მოცემული ჯგუფის ღირებულებების, იდეოლოგიის, რწმენებისა და მიზნების ზემოქმედების ქვეშ. შესაბამისად, ინსტიტუციონალური წყაროებიდან მოწოდებული ინფორმაცია სხვა ჯგუფის შესახებ არ უნდა განიხილებოდეს როგორც უბრალოდ სტერეოტიპების შემცველი ინფორმაცია. სტერეოტიპული წარმოდგენები ყოველთვის ასახავენ ჯგუფის სულისკვეთებას და

მაკრო-სოციალური ფაქტორების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ. გარდა ამისა, როგორც მეცნიერი აღნიშნავს, პირადი კონტაქტი ასევე წარმოადგენს სტერეოტიპების ფორმირების, მათი ცვლილების ერთ-ერთ წყაროს, რომლის საშუალებითაც ადამიანები აგროვებენ ინფორმაციას გარე ჯგუფის წევრების შესახებ, რაშიც მათ შთაბეჭდილებების-ფორმირების პროცესი უწყობს ხელს.

ამრიგად, სტერეოტიპი დინამიკური მოვლენაა, იგი ცვალებადია დროსა და სივრცეში. სტერეოტიპები წარმოადგენენ ჯგუფთაშორისი ურთიერთობების ხასიათის ანალიზის წინაპირობასა და შედეგს. შესაბამისად, სტერეოტიპების ფორმირებისა და ცვლის პროცესი არის ასეთი ურთიერთობების ხელშემწყობი ან შემაფერხებელი გარემოება. სტერეოტიპის სტრუქტურაში დომინირებენ ემოციურ-მგრძნობელობითი და შეფასებითი ელემენტები, რომელიც გარკვეულ დამოკიდებულებას გვიქმნის სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებისადმი.

სტერეოტიპის სახეები. სტერეოტიპების კვლევის ხანგრძლივ პროცესში, სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით მრავალი სახის სტერეოტიპი გამოიყო. ასე მაგალითად, ეთნოლინგვისტი ვ. კრასნიხი სტერეოტიპების ორ სახეს გამოყოფს - სტერეოტიპი-ხატი და სტერეოტიპი-სიტუაცია. სტერეოტიპი-ხატის მაგალითებია: ფუტკარი მშრომელია, თხა ჯიუტია, სტერეოტიპი-სიტუაციის მაგალითი კი არის: წერო-კომბოსტო (Красных 2002:194).

მეცნიერი ა. პავლოვსკაია (А.В. Павловская) გამოყოფს სტერეოტიპთა ორ კატეგორიას: ზედაპირული და სიღრმისეული. ზედაპირული სტერეოტიპები არის ის წარმოდგენები ამა თუ იმ ერზე, რომელთა არსებობაც განპირობებულია ისტორიული, საერთაშორისო, შიდაპოლიტიკური სიტუაციით, ან სხვა სახის დროებითი ფაქტორებით. ეს სტერეოტიპები მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებებთან ერთად იცვლებიან. მათი არსებობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია საზოგადოების საერთო სტაბილურობაზე. როგორც წესი ეს არის წარმოდგენები, რომლებიც კონკრეტულ რეალიებს უკავშირდება. ზედაპირული სტერეოტიპები საინტერესოა ისტორიკოსებისათვის და სხვა მიმართულების სპეციალისტებისათვის, რომლებიც

დაინტერესებული არიან საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესებით.

ზედაპირული სტერეოტიპებისაგან განსხვავებით, სიღრმისეული სტერეოტიპები უცვლელია. ისინი დროში არ იცვლებიან და იმდენად მყარი არიან, რომ ეროვნული ხასიათის მკვლევართა განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენენ. თვით სტერეოტიპები წარმოადგენენ სპეციფიურ მასალას ეროვნებისა და ეთნიკურობის კვლევის მიმართულებით.

სიღრმისეულ სტერეოტიპთა შორის განსაკუთრებულ ჯგუფში გამოიყოფა გარე სტერეოტიპები, რომლებიც ერის ცხოვრებისა და ყოველდღიურობის ატრიბუტებთან არიან დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ ერის ყოველდღიურობა სწაფად იცვლება, მსგავსი სტერეოტიპები უცვლელი რჩება. ასე „სამოვარი“ («Самовар») „მატრიოშკა“ («Матрёшка»), „ვალენკი“ («Валенки») უკვე საუკუნეებია რუსული ცხოვრების განუყოფელ ნაწილად მიიჩნევიან. ამ ატრიბუტებიდან ზოგიერთი მართლაც შენარჩუნდა, ზოგიერთი კი თანდათან გაქრა, თუმცა დღემდე რჩებიან ტურისტების ყურადღების ობიექტებად (Павловская 1998: 96).

სტერეოტიპთა ტიპოლოგიას შედარებით კომპლექსური სახით ვხვდებით ნ. სოროკინასთან, რომელიც სტერეოტიპებს სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით შემდეგნაირად აჯგუფებს:

სტერეოტიპიზაციის სუბიექტის მიხედვით: კოლექტიური და ინდივიდუალური;

სტერეოტიპიზაციის ობიექტის მიხედვით: ანთროპოსტერეოტიპები (მათ შორის პერსონალური და სოციალური სტერეოტიპები), მოვლენასთან დაკავშირებული და საგნობრივი სტერეოტიპები;

სოციალური ჯგუფის ტიპის მიხედვით: გენდერული, ასაკობრივი, პროფესიული, რასობრივი, ეთნიკური/ეროვნული, რელიგიური, რეგიონალური, კლასობრივი, პოლიტიკური სტერეოტიპები;

„საკუთარი“ – „სხვისი“ ურთიერთმიმართების მიხედვით: ავტოსტერეოტიპები და ჰეტეროსტერეოტიპები;

„რეალური“ – „სავარაუდო“ ურთიერთმიმართების მიხედვით: პირდაპირი და გადატანითი (მატასტერეოტიპები);

ტიპიური მახასიათებლების მიხედვით: უშუალოდ სტერეოტიპი (ტიპიური მახასიათებლები) და კონტრასტერეოტიპები (არატიპიური მახასიათებლები).

აფექტური კომპონენტის მიხედვით: პოზიტიური, ნეგატიური, მამტკიცებელი, უარმყოფელი სტერეოტიპები;

ემოციურობის ხარისხის მიხედვით: ინტენსიური, მედიალური;

სტრუქტურის კომპონენტების ურთიერთმიმართების მიხედვით: ცრურწმენები, ნორმები და ტრადიციები;

ფორმირების მექანიზმის მიხედვით: დედუქციური და ინდუქციური;

ფორმირების პირობების მიხედვით: ინტენციონალური, სპონტანური;

საზოგადოებრივ აზრზე და სოციალურ შეუცნობლობაზე ზემოქმედების ხარისხის მიხედვით: სამყაროს სურათის, მსოფლმხედველობითი, მეთოდოლოგიური, მეთოდური, ტექნოლოგიური სტერეოტიპები;

ცვალებადობის ხარისხის მიხედვით: მტკიცე, მოქნილი, მყარი, დინამიური, სიღრმისეული და ზედაპირული სტერეოტიპები;

ყოველდღიური ცხოვრებაში აცილებლობის ხარისხის მიხედვით: აუცილებელი და დესტრუქციული;

რეალობის ადეკვატურად ასახვის ხარისხის მიხედვით: ზუსტი, უზუსტო, ჭეშმარიტი ან მცდარი სტერეოტიპები (Сорокина 2013:136).

ეთნიკური სტერეოტიპები. ეროვნებათშორისი ურთიერთობების ისეთი ასპექტი, როგორცაა ურთიერთსიმპათია-ანტიპათია ყველაზე მკაფიოდ ეთნიკურ სტერეოტიპებში ვლინდება. სტერეოტიპი წარმოქმნის იდენტურ შთაბეჭდილებებს ნებისმიერი სოციალური ჯგუფის წარმომადგენლის შესახებ და ის, მნიშვნელოვანწილად, დამოკიდებულების განმსაზღვრელი ხდება. საერთო ჯამში რეაქციების სტერეოტიპიზაცია ადამიანს მის გარშემო მყოფ სოციალურ გარემოსთან

უფრო მარტივად ადაპტირების საშუალებას აძლევს. თუმცა ეთნიკური სტერეოტიპები ხშირად თამაშობენ უარყოფით როლს, როდესაც გამოიყენებიან ინდივიდის მიერ პიროვნებათშორისი აღქმის პროცესში კონკრეტული პარტნიორის შესახებ არასაკმარისი ინფორმაციის პირობებში.

განასხვავებენ ეთნოკულტურული სტერეოტიპების ოთხ სახეს: მარტივი ავტო-სტერეოტიპი (რას ვფიქრობთ ჩვენს შესახებ) და ჰეტერო-სტერეოტიპი (რას ვფიქრობთ სხვის შესახებ); გადატანითი ავტო-სტერეოტიპი (როგორც გვგონია, რას ფიქრობს სხვა ჩვენს შესახებ) და ჰეტერო-სტერეოტიპი (როგორც გვგონია, რას ფიქრობს სხვა საკუთარი თავის შესახებ)

ეთნიკური სტერეოტიპი წარმოადგენს სოციალური სტერეოტიპების ერთ-ერთ სახეს, კერძოდ ისინი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წევრებს აღწერენ. დღესდღეობით ყოველდღიურ აზროვნებაში და მასობრივი კომუნიკაციის წყაროებში ეთნიკური სტერეოტიპების შესახებ გავრცელებულია შეხედულება როგორც უარყოფით ფენომენზე. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ მსოფლიო მეცნიერებებში უფრო ხშირად უარყოფითი სტერეოტიპები ისწავლებოდა, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების დისკრიმინაციის საგანი ხდებოდა. ამიტომაც სტერეოტიპების ცრურწმენებთან გათანაბრება ხდება. თუმცა აუცილებელია ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ სტერეოტიპები როგორც სოციალური მოვლენა და სტერეოტიპიზაცია, როგორც ფსიქოლოგიური პროცესი. უკანასკნელი ათწლეულების სოციალურ ფსიქოლოგიაში სტერეოტიპიზაცია განიხილება, როგორც შემეცნების რაციონალური ფორმა და როგორც კატეგორიზაციის პროცესის კერძო, უფრო უნივერსალური შემთხვევა: სოციალური კატეგორიების შექმნისას ყურადღებას მახასიათებლებზე ვამახვილებთ, რომელთა მეშვეობითაც ამა თუ იმ ჯგუფის წარმომადგენლები ერთმანეთის მსგავსად აღიქმებიან და სხვებისგან განსხვავდებიან (Стефаненко 1999:326).

ამავდროულად, მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეთნიკური სტერეოტიპი მნიშვნელოვანწილად მაინც ობიექტურ რეალობას ეყრდნობა. ამ მხრივ საყურადღებოა მ. კარდველის განმარტება, რომლის მიხედვით სტერეოტიპი არის "...მტკიცე,

განზოგადებული რწმენა ხალხის ამა თუ იმ ჯგუფის შესახებ” (Cardwell 1996:78). ანუ, სტერეოტიპი არის რწმენა რომლის თანახმადაც გარკვეული ჯგუფის, რასის თუ რელიგიის წარმომადგენლებს ერთნაირი თვისებები აქვთ. ამგვარი ესენციალისტური მიდგომა თავისი სპეციფიური ბუნებით განსაკუთრებით საყურადღებოა პოლიტიკური ტექსტების შემუშავების დროს. თუმცა ნათელია, რომ კონკრეტული ჯგუფის დახასიათება ცალკეული, ერთნაირი ნიშნებით წარმოდგენს განზოგადებისა და ანალიზის ერთგვარ სისტემას.

ლინგვისტი მ. ბერგელსონის განმარტებით - „ეთნიკური სტერეოტიპი არის განსაზღვრულ ლინგვოკულტუროლოგიურ გარემოში გავრცელებული ლინგვოკულტუროლოგიური მოდელი, რომელიც მოცემული გარემოს მიხედვით აფიქსირებს წარმოდგენებს ამა თუ იმ ჯგუფის (ერის) წარმოდგენების შესახებ; კერძოდ, ამარტივებს მის ზოგიერთ ნიშანთვისებას და დისკურსში ამ წარმოდგენებით აპელირების საშუალებას იძლევა“. როგორც ავტორი აღნიშნავს, ის ლინგვისტური ხერხები, რომლებსაც უკავშირდება სტერეოტიპების დისკურსში გამოხატვა, ორ დიდ კატეგორიად იყოფა. ესენია - სემანტიკური და სტილისტური ხერხები. სემანტიკური ხერხები უშუალოდ ასახავენ და ქმნიან სტერეოტიპებს დისკურსში. სტილისტური ხერხები კი ამშვენებენ სხვა ენობრივი საშალებებით გამოხატულ სტერეოტიპებს, აღწერილ სტერეოტიპებს უფრო გამოკვეთავენ მას და რელიეფურს ხდიან. სტერეოტიპი წარმოარგენს მენტალურ არსს, თუმცა იგი შეიძლება გახდეს დაკვირვების ობიექტი ვინაიდან იგი დაფიქსირებულია დისკურსში განსაზღვრული ენობრივი საშუალებების, ხერხებისა და მექანიზმების მეშვეობით. ამიტომ ანალიზის ობიექტია არა უშუალოდ სტერეოტიპები, არამედ სტერეოტიპების გამომხატველი გამოთქმები (Бергельсон 2010: 2).

ვ. კრასნიხის მიხედვით, სტერეოტიპები ყოველთვის ეროვნულია და თუკი სხვა კულტურებში ანალოგს წავაწყდით, იგი უკვე კვაზისტეროტიპია. ამ შემთხვევაში ისინი ერთმანეთისაგან ნიუანსებითა და დეტალებით განსხვავდებიან, რომლებსაც, ამავდროულად, პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება. მაგალითად, სხვადასხვა

კულტურაში განსხვავებული მნიშვნელობა ენიჭება დეტალს, რომელის გავლენითაც ფიქსირდება ქვეყნის განსხვავებული სტერეოტიპი. ასე, რუსეთში კითხულობენ თუ ვინ არის ბოლო, ან უბრალოდ რიგში დგებიან; ხოლო ევროპის ქვეყნების უმეტესობაში ხალხი სპეციალური აპარატიდან თავის რიგის ნომერს იღებს და უბრალოდ ციფერბლატზე გამოჩენილ რიცხვებს ადევნებენ თვალყურს, რათა საკუთარი რიგი არ გამოტოვონ (Красных 2002:194).

ეთნიკური სტერეოტიპების დამახასიათებელ თვისებებს შორის მეცნიერები განსაკუთრებით გამოყოფენ მათ ემოციურ-შეფასებით ხასიათს. სტერეოტიპების ემოციური ასპექტები აღიქმება, როგორც უპირატესობის მინიჭება, შეფასება. თვით აღქმადი დამახასიათებანიც ემოციურად შეფერილია. სხვა კულტურის წარმომადგენლები შეიძლება დადებითი ან უარყოფითი თვისებებით დავახასიათოთ, მაგრამ ისინი ყოველთვის განსხვავდებიან ჩვენგან. როგორც მეცნიერი ი. ლოტმანი აღნიშნავს, სემიოტიკური ინდივიდუალობის ერთ-ერთ ძირითად მექანიზმს სემიოტიკური საზღვრის არსებობა წარმოადგენს. ეს არის სივრცე - „ჩვენი“, „საკუთარი“, „კულტურული“, „უსაფრთხო“, „ჰარმონიულად ორგანიზებული“ სივრცეა, რომელსაც „სხვისი“, „მტრული“, „საშიში“, „ქაოტური“ უპირისპირდება (Лотман 2000:257).

ეთნიკური სტერეოტიპების კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისებაა მათი სიმყარე, მათი სტაბილურობა. მიუხედავად იმისა, რომ სტერეოტიპების სტაბილურობა დასტურდება მრავალი ემპირიული კვლევებით, იგი მაინც შედარებითია: ჯგუფებს შორის დამოკიდებულების ცვლილების შემთხვევაში, რაც ახალი ინფორმაციის მიღების შემხვევაში ხდება (Ерофеев 1982:178).

პოლიტიკური სტერეოტიპები. ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს სტერეოტიპთა ერთ-ერთი სახესხვაობის – პოლიტიკური სტერეოტიპები. სტერეოტიპებს და პოლიტიკურ დამოკიდებულებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ პოლიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებაში. პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის დ. ოლშანსკის (Д.В. Ольшанский) განმარტებით, პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, სტერეოტიპი არის სოციალურ-პოლიტიკური ობიექტის (მოვლენისა

თუ პროცესის) სტანდარტიზებული, სქემატური და გამარტივებული, საკმაოდ მდგრადი და ხშირად ემოციურად შეფერილი ხატი, რომელიც ამ მოვლენის მხოლოდ გარკვეულ მახასიათებლებს აფიქსირებს. ხშირად პოლიტიკური სტერეოტიპი განიმარტება როგორც არაზუსტი, ირაციონალური, ზედმეტად განზოგადებული წარმოდგენა. ფართო გაგებით ეს არის აზროვნების, აღქმისა და ქცევის ტრადიციული, მიღებული კანონი, ქცევის შაბლონური მანერა, მოქმედებათა განსაზღვრული მიმდევრობით შესრულება, ერთგვაროვნება, იგივეობა, აზროვნების ინერცია, რიგიდულობა და ა.შ. (Ольшанский, 2001:50).

შიდა აგებულების მიხედვით, პოლიტიკური სტერეოტიპი წარმოადგენს რთულ, ინტეგრირებულ წარმონაქმნს, რომელშიც ჩართულია ორი ძირითადი ელემენტი: ცოდნა (ანუ კოგნიტურ-ინფორმაციული კომპონენტი) და დამოკიდებულება (ემოციურ-ინფორმაციული და შეფასებითი კომპონენტი). გარდა ამისა, რიგი სტერეოტიპებისათვის თავის თავში მოიცავენ უშუალოდ სამოქმედო კომპონენტს. როგორც წესი, სტერეოტიპის სტრუქტურაში დომინირებენ სწორედ ემოციურ-მგრძნობელობითი და შეფასებითი ელემენტებია, რომელიც გარკვეულ დამოკიდებულებას გვიქმნის სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებისადმი. ჩვეულებრივ, სტერეოტიპის სტრუქტურა მოიცავს „ცენტრსა“ და „პერიფერიას“. ასეთი ხატის ცენტრში განლაგებულია რამდენიმე შედარებით ცნობილ, გამოკვეთილი, ემოციურად აღქმადი ნიშანი, მაგალითად ეთნიკურ-პოლიტიკური სტერეოტიპებისათვის ეს შეიძლება იყოს კანის ფერი, თვალის ფორმა, ცხვირის ზომა; სოციალურ-პოლიტიკური სტერეოტიპებისათვის კი სიმბოლოები: დროშა, გერბი, ლოზუნგი, აფორიზმი, საპროგრამო ფრაზა, რომელთანაც პირდაპირ არის დაკავშირებული „პერიფერია“ - ქცევისა თუ ხასიათის ესა თუ ის მახასიათებელი, მოვლენის ან პროცესის დასაწყისი და შედეგი (Ольшанский 2001:86).

დ. ოლშანსკი გამოყოფს სტერეოტიპების ფორმირების ორ ძირითად წყაროს. ამათგან პირველი საკმაოდ შეზღუდული ინდივიდუალური ან ჯგუფური წარსული გამოცდილება და შეზღუდული ინფორმაციაა, რომელიც საზოგადოების ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია; ასევე ზოგიერთი სპეციფიკური მოვლენა,

რომელიც პიროვნებათშორისი ურთიერთობის თანხმლება - სუბიექტური არჩევითობა, დამოკიდებულების, მითქმა-მოთქმის, პირველობის ეფექტების ზემოქმედება და ა.შ. ამ თვალსაზრისით, სტერეოტიპები წარმოადგენენ ინდივიდუალური და ჯგუფური გამოცდილების აკუმულირებულ „ნაწყვეტებს“, რომლებიც ასახავენ შედარებით საერთო, განმეორებად თვისებებს და სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების თავისებურებებს. ზოგადად მოვლენის ინფორმაციულ-ანალიტიკური დამუშავების უკმარისობა სტერეოტიპების ფორმირებისა და მისი გამოყენების „იძულებით“, აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს (Ольшанский 2001:80).

მეორე მხრივ, სტერეოტიპების ფორმირების ასევე მნიშვნელოვან წყაროს მასობრივი საინფორმაციო და პოლიტიკური პროპაგანდის საშუალებების მიზანმიმართული საქმიანობა წარმოადგენს. მასობრივი კომუნიკაციის კანონები განზოგადებულ, სტერეოტიპიზირებულ ურთიერთობას მოითხოვენ: თვით ტრანსლირების აქტი, მაგალითად, რომელიმე პოლიტიკური იდეისა, მასობრივ აზროვნებაზე შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრული სტერეოტიპების ფორმის სახით. სოციალურ-პოლიტიკური ინფორმაციის ტირაჟირების პროცესი, რომლის მიზანია საზოგადოების ცნობიერებასა და პოლიტიკურ ქცევაში შედარებით ერთგვაროვანი, სტერეოტიპული რეაქციის გამოწვევა, შესაძლებელია მხოლოდ ინფორმაციული სტერეოტიპების გამოყენებით, რომლებიც თავის მხრივ საზოგადოების ცნობიერებაში შესაბამისი ფსიქოლოგიური და ქცევითი სტერეოტიპების წარმოქმნას იწვევენ.

სტერეოტიპები წარმოადგენენ პოლიტიკაში ცალკეული ინდივიდების, ჯგუფების თუ მასების აზროვნების მანიპულირების უძლიერეს საშუალებას. ამ თვალსაზრისით, თავისი მნიშვნელობით, სტერეოტიპი შეიძლება განისაზღვროს, როგორც გააზრების მუდმივად დეკლარირებადი და თავს მომხვევი სტანდარტული ერთფეროვანი მეთოდი. იგი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებისადმი, ობიექტებისადმი თუ პრობლემებისადმი ისეთნაირი დამოკიდებულება და მიდგომაა, რომელიც აღიქმება როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური კანონი და „ჭეშმარიტება“ - პოლიტიკური ქცევის ნორმები, ღირებულებები და ეტალონური ერთეულები. ეს ერთეულები

მუდმივად მეორდებიან და გამოიყენებიან პოლიტიკური ელიტის მიერ, ვრცელდებიან მასობრივი საინფორმაციო-პროპაგანდისტული საშუალებებით და მტკიცდებიან ოფიციალური ორგანოებით საზოგადოების წევრების ერთგვაროვან ნორმატიულ-დაქვემდებარებულ მდგომარეობაში შენარჩუნების მიზნით. მსგავსი სტერეოტიპების ერთობლიობა აყალიბებს მოცემული საზოგადოების იდეოლოგიურ ან იდურ-პოლიტიკურ საფუძველს. მანიპულაციურ-იდეოლოგიური თვალსაზრისით, სტერეოტიპები იყოფა „ჭეშმარიტ“ (როგორც წესი „ჩვენ“) და „მცდარ“ (როგორც წესი „სხვის“, „ისინი“) სტერეოტიპებად, რომლებიც ამყარებენ საპირისპიროობაზე ორიენტირებულ სოციალურ-პოლიტიკური სისტემას.

დ. ოლშანსკის მოსაზრებით, თითოეული სოციალურ-პოლიტიკური სისტემა ქმნის განსაზღვრულ სტერეოტიპებს, რომელთა დაცვაც უზრუნველყოფს მოცემული პოლიტიკური სისტემის წარმატებულ ფუნქციონირებას. იგი სტერეოტიპთა არსებობის სამ ძირითად დონეს გამოყოფს:

1. ინდივიდუალური პოლიტიკური აზროვნებისა და ქცევის სტერეოტიპები, რომლებიც განმტკიცებულია შესაბამისი პოზიტიური და ნეგატიური სტერეოტიპებით;
2. ჯგუფური პოლიტიკური აზროვნებისა და ქცევის სტერეოტიპები; მაგ., ამა თუ იმ ეთნოსის ტრადიციები, პოლიტიკური პარტიების წესდებები და ა.შ.; და
3. მთლიანად საზოგადოების წევრის პოლიტიკური აზროვნებისა და ქცევის სტერეოტიპები.

პოლიტიკური სტერეოტიპის მოქმედების მექანიზმი იმაში გამოიხატება, რომ ობიექტის ან მოვლენის რეალურ ცხოვრებაში გარე მახასიათებლებით „ინდენტიფიცირების“ შემდეგ, ადამიანი ავტომატურად აღიქვამს მას და თავის დამოკიდებულებას უმატებს „პერიფერიის“ იმ ნიშანთვისებებს, რომლებიც მას სტერეოტიპებით აქვს თავს მოხვეული. ამის შემდეგ ვიღებთ შედეგს (დასკვნას), რომელიც ადამიანის სოციალურ-პოლიტიკურ ქცევას განსაზღვრავს.

როგორც ავტორი აღნიშნავს, სოციალურ-პოლიტიკური სისტემები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ადამიანთა ცნობიერებისა და ქცევების სტერეოტიპიზაციის დონით.

ტოტალიტარული საზოგადოების სტერეოტიპების ჯგუფი შეზღუდულია, შესაბამისად საზოგადოება უნდა დაემორჩილოს მას, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში კი სადამსჯელო ღონისძიებები მოქმედებს. დემოკრატიულ საზოგადოებაში გაცილებით უფრო მეტი თავისუფლება დაიშვება. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს სტერეოტიპების ერთგვარ პლურალიზაციას, რის ხარჯზეც მიიღწევა ადამიანის გათავისუფლება მკაცრი მორჩილებისაგან. პოლიტიკური ცხოვრებისა და საქმიანობის ფორმების პლურალიზაცია აძლიერებს სოციალურ-პოლიტიკური სისტემების სტერეოტიპებისაგან გათავისუფლების პროცესს და ხელს უწყობს მის შემდგომ განვითარებას. პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, დემოკრატიზაციის პროცესი და ტოტალიტარული რეჟიმიდან საზოგადოების უფრო თავისუფალ სოციალურ-პოლიტიკურ ფორმებზე გადასვლა ორგვარად მიმდინარეობს:

ა) ერთიანი სტერეოტიპის მიზანმიმართული მსხვერვისა ან თვითმსხვერვის შედეგად (Ольшанский 2001:85). საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებაში ამ შემთხვევის ნათელ მაგალითს წარმოადგენს 1991 წლის არჩევნები, როდესაც საბჭოთა კავშირი იშლებოდა და შესაბამისად საქართველოში იცვლებოდა სოციალურ-პოლიტიკური სისტემა; და

ბ) საზოგადოების „საერთო“ ინტერესის განადგურებით, რომელიც იქვემდებარებს ცალკეულ ადამიანებს, და ამკვიდრებს ინდივიდუალურ ინტერესებს. ამ პროცესის შედეგად, იდეალურ შემთხვევაში, წარმოიქმნება საზოგადოების მოდელი წარმოდგენილი თვითორგანიზებადი საზოგადოებით, რომელიც შედგება პოლიტიკური ცნობიერებისა და ქცევის განვითარების უმაღლესი დონის მქონე ინდივიდებისაგან და რომლებსაც შესწევთ დამოუკიდებლად გაცნობიერებული სოციალურ-პოლიტიკური არჩევანის უნარი (Ольшанский 2001:88).

ამდენად, სტერეოტიპი არის შედარებით მყარი, განზოგადებული ხატი ან კიდევ მთელი რიგი მახასიათებლებისა, რომლებიც დამახასიათებელია როგორც საკუთარი კულტურული და ენობრივი სივრცის წარმომადგენელთათვის, ასევე სხვა ერების წარმომადგენელთათვის. იგი კაცობრიობის არსის ერთი და, ალბათ, უმნიშვნელოვანესი

ნაწილია, რომელიც წარმოადგენს მისი განვითარების კვალობაზე ერთეულთა გადაჭარბებულ შეფასებას, იქნება ეს რელიგიური, რასობრივი თუ კლასობრივი ერთეულები. ამავდროულად სტერეოტიპები წარმოადგენენ ჯგუფთაშორისი ურთიერთობების ხასიათის ანალიზის წინაპირობასა და შედეგს.

სტერეოტიპი კონცეპტუალური სამყაროს სურათის რაღაც ფრაგმენტია, მდგრადი კუთურულ-ნაციონალური წარმოდგენა რაღაც საგანზე ან სიტუაციაზე. იგი არის კულტურულ-დეტერმინირებული წარმოდგენა საგანზე, მოვლენასა თუ სიტუაციაზე. კონკრეტული კულტურისადმი მიკუთვნება განისაზღვრება ცოდნის ბაზისური სტერეოტიპული ბირთვის არსებობით, რომელიც პიროვნების მოცემულ საზოგადოებაში სოციალიზაციის პროცესში მეორდება, ამიტომ სტერეოტიპები პრეცედენტულ სახელებად მიიჩნევა კულტურაში.

იგი ენისა და მეტყველების ისეთი მოვლენაა, რომელიც ერთი მხრივ მოცემული კულტურის ზოგიერთი დომინანტური შემადგენელი ნაწილაკების შენახვისა და ტრანსფორმირების საშუალებას გვაძლევს, ხოლო მეორე მხრივ საკუთარი თავის ჩვენების წრეში წარმოჩენის და ამასთანავე ჩვენისეულის გაცნობის საშუალებას გვაძლევს. ჩვენ ვცხოვრობთ იმ სტერეოტიპების სამყაროში, რომელსაც ჩვენი კულტურა გვახვევს თავს.

ეთნოსის მენტალური სტერეოტიპების ერთიანობა ცნობილია თითოეული მისი წარმომადგენლისათვის. შესაბამისად, სტერეოტიპი კულტურული მოვლენაა, იგი არსებობს ნებისმიერ საზოგადოებაში ამ საზოგადოების მიერ დაგროვებული გამოცდილების სახით, რომელიც გადაეცემა თაობებს, რასაკვირველია პერიოდისა და საზოგადოების განვითარების დონის შესაბამისი გარკვეული ცვლილებებით. სტერეოტიპის არსებობა კულტურის გარეშე წარმოუდგენელია, რამდენადაც თვით ტერმინი კულტურა შეიძლება განვიხილოთ როგორც სტერეოტიპების გარკვეული ერთიანობა, რომელიც განსაზღვრავს და ამავდროულად ზღუდავს ადამიანის მოქმედებას მისთვის უცნობ ან მიუღებელ სიტუაციაში.

სტერეოტიპი დინამიკური მოვლენაა, იგი ცვალებადია დროსა და სივრცეში. სტერეოტიპები წარმოადგენენ ჯგუფთაშორისი ურთიერთობების ხასიათის ანალიზის წინაპირობასა და შედეგს. შესაბამისად, სტერეოტიპების ფორმირებისა და ცვლის პროცესი არის ასეთი ურთიერთობების ხელშემწყობი ან შემაფერხებელი გარემოება. სტერეოტიპის სტრუქტურაში დომინირებენ ემოციურ-მგრძობელობითი და შეფასებითი ელემენტები, რომელიც გარკვეულ დამოკიდებულებას გვიქმნის სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებისადმი.

პოლიტიკური სტერეოტიპები წარმოადგენენ ცალკეული ინდივიდების, ჯგუფების თუ მასების აზროვნების მანიპულირების უძლიერეს საშუალებას. იგი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებისადმი, ობიექტებისადმი თუ პრობლემებისადმი ისეთნაირი დამოკიდებულება და მიდგომაა, რომელიც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კანონად, „ჭეშმარიტებად“ აღიქმება. ისინი პოლიტიკური ქცევის ნორმები, ღირებულებები და ეტალონური ერთეულებია.

1.2. პოლიტიკური დისკურსის ადგილი დისკურსის თეორიაში და მისი კვლევის თეორიული საფუძვლები

დისკურსის თეორია, როგორც კვლევის არეალი თანამედროვე საზოგადოებრივი მეცნიერებების ერთ-ერთ ყველაზე განვითარებად მიმართულებას წარმოადგენს. აკადემიურ სივრცეში ჩამოყალიბდა საკვლევო სკოლები და მიმდინარეობები, რომლებიც გვთავაზობენ დისკურსის სხვადასხვა ორიგინალურ თეორიულ მოდელებს და დისკურსის ანალიზის ჩატარების სხვადასხვა გზებს. თუმცა, ამ მიმართულებით სამეცნიერო ნაშრომების სიმრავლის მიუხედავად, დისკურსის ერთიანი განმარტება არ შემუშავებულა.

ლინგვისტური ტერმინების ლექსიკონი დისკურსს განიხილავს როგორც სამეტყველო წარმონაქმნს, თავისი გამოხატულებისა და მისწრაფების სისრულით, ყველა ექსტრალინგვისტური ფაქტორების გათვალისწინებით (სოციალური, კულტურული, პსიქოლოგიური), რომლებიც მნიშვნელოვანია წარმატებული სამეტყველო ურთიერთმიმართებისათვის (Васильева 1995:34).

დისკურსული ფსიქოლოგია დისკურსს განიხილავს როგორც ენისა და მეტყველების სიტუაციურ გამოყენებას ყოველდღიურ ურთიერთობაში. დისკურსული ფსიქოლოგიის პოზიციიდან, ენა არა მხოლოდ არხია, რომელიც აღწერს ფსიქოლოგიურ რეალობას და გამოცდილებას, არამედ, სუბიექტური ფსიქოლოგიური რეალობები იქმნება დისკურსის მეშვეობით. დისკურსი განიხილება, როგორც ფსიქოლოგიური რეალობის „მშენებელი“. დისკურსულ ფსიქოლოგიაში ძირითადი ყურადღება ეთმობა ურთიერთობის კულტურულ, ისტორიულ და სოციალურ კონტექსტებს. მისი კვლევის ძირითად ობიექტებს წარმოადგენენ კომუნიკაციის მონაწილეთა და ჯგუფური კონფლიქტების განზრახვები (Русакова 2006:21).

მეტყველების ლინგვისტიკის პოზიციიდან დისკურსი არის ცოცხალი ვერბალიზებული კომუნიკაციის პროცესი, რომელიც ხასიათდება კანონიკური წერილობითი მეტყველებისგან გადახრების სიმრავლით, სოციოლინგვისტიკის

პოზიციიდან კი დისკურსი არის ხალხის ურთიერთობა, რომელიც განიხილება მათი ამა თუ იმ სოციალური ჯგუფისადმი მიკუთვნების პოზიციიდან ან გამოიყენება ამა თუ იმ ტიპიურ სამეტყველო-ქცევით სიტუაციაში (Карасик 2007:170).

ს. ომიაძე დისკურსის თავისებურ განმარტებას გვაძლევს, რომლის თანახმადაც „გარკვეული (ქართული) ლინგვო-კულტურული ერთობის წარმომადგენელთა შორის კომუნიკაციის შინაარსის ორგანიზაციისა და გაფორმების პრაქტიკას წარმოადგენს, იმის მხედველობაში მიღებით, რომ თვით დისკურსის სტრუქტურა ორი - ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური კომპონენტისაგან აიგება“ (ომიაძე 2006:32).

სხვადასხვა მეცნიერი დისკურსის კლასიფიკაციის განსხვავებულ საფუძველს გამოყოფს. ასე მაგალითად ჰოლანდიელი ლინგვისტი ტ. ვან დეიკისათვის საბაზისო პრინციპი დისციპლინარულ-გენეტიკური მიდგომაა, რომელიც დისკურსის თეორიების დიფერენციაციის საშუალებას იძლევა, იმის გათვალისწინებით, თუ რომელი დისციპლინის მეთოდოლოგიურმა ინსტრუმენტება იქონიეს ყველაზე დიდი ზემოქმედება დისკურსის ანალიზის განვითარებაზე კონკრეტულ პერიოდში.

პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი იაკობ ტორფინგი (Jacob Torfing) დისკურსის თეორიის კლასიფიკაციას აყალიბებს საკვლევი ტრადიციების გამოყოფით – დისკურსისადმი ლინგვისტურიდან - პოსტსტრუქტურალისტურ მიდგომებამდე დიაპაზონში.

თეორეტიკოსების მ. იორგენსენისა და ლ. ფილიპსის (Marianne Jorgensen and Louise Phillips) კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს დისკურსის სოციალურ-კონსტრუქტივისტული თეორიების დიფერენციაციის პრინციპი, იმის და მიხედვით თუ როგორ განმარტავენ ისინი დისკურსული და არადისკურსული სოციალური პრაქტიკების ურთიერთკავშირს.

ხშირად დისკურსის თეორიებს საფუძვლად კომუნიკაციური მინდგომა უდევს. ამ შემთხვევაში დისკურსი განიხილება კომუნიკაციის უმნიშვნელოვანეს და განუყოფელ ნაწილად, რომელიც იდეების, ღირებულებების, შეხედულებების ინტერპრეტატორად არის წარმოდგენილი. ამასთან დაკავშირებით რუსი ლინგვისტი ე. შეიგალი აღნიშნავს,

რომ დისკურსი წარმოადგენს კომუნიკაციის სისტემას, რომელსაც გააჩნია რეალური და პოტენციური (ვირტუალური) განზომილება (Шейгал 2000:11). რეალურ განზომილებაში ეს არის მიმდინარე სამეტყველო საქმიანობა, რომლის შედეგადაც ტექსტები იქმნება, პოტენციონალურ განზომილებაში კი - სემიოტიკური სივრცე, რომელშიც შედის: ა. ვერბალური და არავერბალური ნიშნები, რომლებიც ორიენტირებულია მოცემული საკომუნიკაციო სფეროს მომსახურებაზე; ბ. პრეცედენტული ტექსტების თეზაურუსი; გ. სამეტყველო ქცევის ტიპური მოდელები; დ. პოლიტიკური დისკურსის სამეტყველო აქტებისა და ჟანრების სისტემა.

ლინგვისტი ე. კუბრიაკოვა დისკურსს განსაზღვრავს, როგორც ენის გამოყენების სპეციფიკურ ფორმას რეალურ დროში, რომელიც განსაკუთრებული სამყაროს კონსტრუირების მიზნით გამოიყენება და რომელიც ადამიანის აქტივობის განსაზღვრულ ტიპს ავლენს. დისკურსის ტიპი განისაზღვრება ადამიანის სოციალური აქტივობის ბუნებითა და მიზნებით, რომლის ფარგლებშიც იგი ხორციელდება. ამასთან მოსაუბრის განზრახვების რეალიზაციისათვის ჩართულია სპეციალური ენობრივი საშუალებები, რომელთა დემონსტრირების თავისებურებაც წარმოადგენს დისკურსის ლინგვისტური ანალიზის მთავარ მიზანს (Курякова 2000:8).

მკვლევარი უ. სტეპანოვი დისკურსს ანალიზებს იდეოლოგიური მიდგომის ფარგლებში, რომლის შესაბამისადაც ეს არის ენა ენაში, მაგრამ წარმოდგენილია განსაკუთრებული სოციალური მოცემულობით (Степанов 1995:44).

როგორც მეცნიერი ო. რუსაკოვა აღნიშნავს, დისკურსი ხშირად განიმარტება როგორც ძლიერი ძალაუფლების მქონე რესურსი, რომლის მეშვეობითაც სოციალური ინსტიტუტები და ინდივიდები ახდენენ საკუთარი თავის პრეზენტაციას, ლეგიტიმაციას, კონსტრუირებას და რეალობის ამა თუ იმ სურათების წარმოდგენას, ახორციელებენ პოზიცირებას სოციოკულტურულ და პოლიტიკურ სივრცეში. სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების სუბიექტებს შორის გაცხარებული ბრძოლა მიმდინარეობს დისკურსების შინაარსისა და დისკურსული კომუნიკაციების არხების კონტროლირების უფლებისათვის (Русакова 2006:14). იგივე

საკითხთანაა დაკავშირებული ასევე პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის მ. შაპიროს მოსაზრება. მეცნიერი შეხედულებით, როცა ადამიანი რაიმე არჩევანს აკეთებს, იგი ჯერ გარკვეული სიტყვების არჩევას იწყებს. ის, ვინც დისკურსს აკონტროლებს საზოგადოებას აკონტროლებს. პოლიტიკა არის დისკურსი და დისკურსი არის პოლიტიკა“ (Shapiro 1982:2)

ო. რუსაკოვას მოსაზრებით, არსებობს ობიექტური და სუბიექტური სამეცნიერო-კოგნიტიური ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ დისკურსის ამა თუ იმ თეორიის წარმოშობის პროცესსა და განვითარების ტრაექტორიას.

„ობიექტურ სამეცნიერო-კოგნიტიურ ფაქტორებს ჩვენ მივაკუთვნებთ დისციპლინათშორისი ინტეგრაციისა და მეცნიერებების დიფერენციაციის ობიექტურ ტენდენციებს, რომელთა შედეგად წარმოიქმნება კვლევის ახალი მეთოდები და პრინციპები, ასევე ახალი დისციპლინებისა და ქვედისციპლინების საგნობრივი სფეროების გაფორმება. სწორედ ასეთი ობიექტური პროცესების შედეგად წარმოიშვა დისკურსისა და დისკურსის ანალიზის თეორიები. ისინი მრავლდებიან და ვითარდებიან განსხვავებული მეცნიერებების საგნობრივი ველებისა და მეთოდების ურთიერთგადაკვეთის წყალობით. როგორც წესი, სწორედ მათი გადაკვეთის წერტილებში წარმოიქმნება დისკურსის თეორიების სახესხვაობები“ (Русакова 2006:24).

სუბიექტურ სამეცნიერო-კოგნიტიურ ფაქტორებს, ო. რუსაკოვა მიაკუთვნებს პირველ რიგში, განსაზღვრულ აკადემიურ წრეებში ჩამოყალიბებულ სამეცნიერო ტრადიციებს, აზროვნების სტერეოტიპებს, დომინირებად პარადიგმებს და კატეგორიულ სისტემებს, ყველაფერ იმას, რაც შეიძლება განისაზღვროს ტერმინით „მეცნიერთა მენტალური რუკები“. მეორე, სუბიექტურ სამეცნიერო-კოგნიტიურ ფაქტორებს მეცნიერის აზრით, უნდა მივაკუთვნოთ უპირატესობის მინიჭების ინდივიდუალური ეპისტემოლოგიური ფილტრები, ანუ კონკრეტული მკვლევარების პოზიციები, რომლებიც საკუთარი ორიგინალური თეორიის ჩამოყალიბების მიზნით ახდენენ ამა თუ იმ მენტალური რუკების შერჩევას“ (Русакова 2006:24).

მკვლევართა ერთი ნაწილი (ო. რუსაკოვა) მიიჩნევს, რომ ყველაზე დიდი შენატანი დისკურსის თეორიასა და პრაქტიკაში ეკუთვნით ტ.ა.ვან დეიკს, იაკობ ტორფინგს, მარიანე იორგენსენსა და ლუიზა ფილიფსს.

ტ. ვან დეიკის თანახმად, დისკურსის ანალიზი დამოუკიდებელ დისციპლინად 1972-1974 წლებში ჩამოყალიბდა. მის მიერ შემოთავაზებული დისკურსის თეორიების კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს დისციპლინარულ-გენეტიკური მიდგომა. თავის სტატიაში ტ. ვან დეიკი დისკურსის ანალიზს წარმოგვიდგენს როგორც ახალ კროს-დისციპლინას, რომლის განვითარებაც დაკავშირებულია კვლევის საგნობრივი სფეროს მუდმივ გაფართოებასთან, დისკურსის შესწავლაში ახალი დისციპლინების ჩართვასთან, რასაც საბოლოო ჯამში მივყავართ დისკურსის ანალიზის სხვადასხვა მიმართულებებთან ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში. ამასთან დისკურსის ანალიზის საგნობრივი ველის გაფართოება, ტ. ვან დეიკის მიერ განიხილება როგორც ინტეგრაციული დისციპლინათშორისი პროცესების შედეგი. საგნობრივი ველის გაფართოების პროცესს, თან ახლავს დისკურსის თეორიაში ახალი მეთოდოლოგიური მიდგომების ჩართვა, რომლებიც ნასესხებია სხვადასხვა დისციპლინებიდან.

1970-ანი წლების დასაწყისში სოციოლინგვისტიკის ფარგლებში ჩნდება ყოველდღიური, სამეტყველო დისკურსის თეორიები (W. Labov, H. Sacks, E. Schegloff, G. Jefferson), ენის ფილოსოფიის ფარგლებში კი - სამეტყველო აქტების თეორია (J. Austin, P. Grice, J. Searle), რომლებშიც ძირითადი ყურადღება გადატანილია დისკურსის ექსტრალინგვისტურ ცვლილებებზე, კერძოდ კი, მოსაუბრის ინტენციებზე, რწმენებზე, ფასეულობათა ორიენტაციებზე, მოსაუბრესა და მსმენელს შორის ურთიერთობაზე.

ი. ტორფინგის შეხედულებით, დისკურსის თეორია გაჩნდა 1970-ანი წლების ბოლოს როგორც „ახალი მემარცხენეების“ თეორიული ძიებანის კრიზისის ერთგვარი ინტელექტუალური პასუხი. დისკურსის თეორიის ძირითადი მიზანია სოციალური, პოლიტიკური და კულტურული იდენტობის კონსტრუირების მეთოდების კვლევებში ახალი ანალიტიკური პერსპექტივის შემოტანის მცდელობა.

ი. ტორფინგი გამოყოფს დისკურსის თეორიის სამ თაობას ან სხვაგვარად დისკურსის ანალიზის სამ ტრადიციას.

დისკურსის თეორიის პირველი თაობა დისკურსს ვიწრო-ლინგვისტური თვალსაზრისით განმარტავს, კერძოდ კი, განსაზღვრავს მას როგორც სამეტყველო და წერილობითი ენის ტექსტურ ერთეულს. ამასთან ყურადღება ზეპირი და წერილობითი ტექსტის სემანტიკურ თავისებურებებზე მახვილდება. პირველი თაობის დისკურსის თეორია ძირითადად აანალიზებს ინდივიდუალური მოქმედი პირების ან „ენობრივი პიროვნებების“ ენობრივ მახასიათებლებს მათი სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით. მაგალითად, სოციოლინგვისტიკა აანალიზებს ურთიერთობას მოსაუბრის სოციო-ეკონომიკურ სტატუსსა და მის ლექსიკურ მარაგებს შორის. პირველი თაობის თეორიებს ი. ტორფინგი ასევე დისკურსის რიგ ფსიქოლოგიურ თეორიებს მიაკუთვნებს, რომლებიც წარმოიქმნებიან სამეტყველო მოქმედების საფუძველზე და რომლებიც ვითარდებოდნენ ანალიტიკური ფსიქოლოგიის ფარგლებში, ამასთან, ყურადღებას ამახვილებენ საუბრის დროს მოსაუბრის სტრატეგიებზე (Torfiing 2005:6).

დისკურსის თეორიის მეორე თაობა, ი. ტორფინგის თანახმად, დისკურსს უფრო ფართოდ განმარტავს. ამ შემთხვევაში მისი სფეროს სამეტყველო და წერილობითი ენა არ იზღუდება. დისკურსის ანალიზის საგნობრივი ველი ფართოვდება სოციალური პრაქტიკების შესწავლამდე. დისკურსის თეორიის მეორე თაობას ი. ტორფინგი „კრიტიკულ დისკურს ანალიზს“ მიაკუთვნებს. მოცემული მიმართულების განვითარებაში დიდი წვლილი ნორმან ფერკლოუს მიუძღვის (Norman Fairclough), რომელიც მიშელ ფუკოს დისკურსული პრაქტიკების ანალიზით შთაგონებული, დისკურსს განიხლავს, როგორც მმართველობის, სოციალური აქტორების სუბორდინაციის ურთიერთობების რეგულირების ერთ-ერთ მეთოდს (Torfiing 2005:7).

სოციალური კლასები და ეთნიკური ჯგუფები ქმნიან იდეოლოგიურად მნიშვნელოვან დისკურსებს, საკუთარი ჰეგემონიის დამყარებისა და მხარდაჭერის მიზნით, ასევე სინამდვილის შეცვლის მიზნით. შესაბამისად, დისკურსულ პრაქტიკას წვლილი არამარტო სოციალური და პოლიტიკური წესრიგის ჩამოყალიბებაში, არამედ

ასევე სოციალური ტრანსფორმაციის პროცესშიც შეაქვს. ამრიგად, კრიტიკული დისკურსი ანალიზი თვალნათლივ ავლენს დისკურსის მბრძანებლურ ეფექტს.

დისკურსის თეორიის მესამე თაობა ყურადღებას თანამედროვე სოციალურ და პოლიტიკურ პრაქტიკებზე ამახვილებს. იგი გამოირჩევა პოსტსტრუქტურალური ხასიათის მკვეთრი გამოვლინებით. დისკურსი განიმარტება როგორც სოციალური კონსტრუირების პრაქტიკის სინონიმი. ამ შემთხვევაში საფუძველს წარმოადგენს ჟაკ დერიდეს მაქსიმალისტური ფორმულა: „დისკურსი ყველაფერია“ (Pysakova 2006:22).

პოლიტიკურ მეცნიერებაში დისკურსის პოსტსტრუქტურალისტური თეორია ორიგინალურად არის წარმოდგენილი ერნესტო ლაკლოსა და შანტალ მუფის ნაშრომებში (Ernesto Laclau, Chantal Mouffe). მათ თეორიაში მეტი ყურადღება პოლიტიკის ანალიზს ეთმობა. ისინი პოლიტიკას რთავენ დისკურსულ პრაქტიკაში, რამდენადაც იგი სოციალური სამყაროს კონსტრუირების, რეპროდუქციისა და გარდაქმნის საშუალებაა. კერძოდ პოლიტიკა განიხილება როგორც განსაზღვრულ დისკურსებს შორის ბრძოლის სფერო. პოლიტიკური არტიკულაციები განსაზღვრავენ ჩვენს მოქმედებებსა და ფიქრებს, წარმოადგენენ რა მბრძანებლობისა და ხელისუფლების განაწილების საშუალებას.

მეორე და მესამე თაობის დისკურსის კონცეფციების შედარებით ანალიზში, ი. ტორფინგი აღნიშნავს, რომ კრიტიკული დისკურსის ანალიზის წარმომადგენლები, დისკურსის პოსტსტრუქტურალისტური თეორეტიკოსებისგან განსხვავებით არ ეთანხმებიან იმას, რომ თითქოს დისკურსსგარე ისეთი ფენომენები, როგორებიცაა ტექნოლოგია, ინსტიტუტები და ეკონომიკური ურთიერთობები, ჩამოყალიბებულია დისკურსული პრაქტიკის გარეშე. ისინი დისკურსს განიხილავენ როგორც ნებისმიერი სოციალური საქმიანობის ატრიბუტს.

დისკურსის სახეები. დღეისათვის აღნიშნული კუთხით მიმდინარე კვლევები დისკურსის სხვადასხვა სახეების გამოყოფის საშუალებას გვაძლევს. თავის მონოგრაფიაში „Политический дискурс: когнитивный аспект“ მეცნიერი დ. შაპოჩკინი

განიხილავს რუსი ლინგვისტის ნ. მირონოვას მიერ მოყვანილი დისკურსის შედარებით ყველაზე გავრცელებულ სახეებს:

პედაგოგიური დისკურსი, პოლიტიკური დისკურსი, სამეცნიერო დისკურსი, კრიტიკული დისკურსი, ეთიკური დისკურსი, იურიდიული დისკურსი, სამხედრო დისკურსი.

გარდა ამისა, გამოიყოფა „ინტერდისკურსი“ და „სპეციალური დისკურსები“ (ვ. ლიბერტი), რომლებიც შეიძლება აღინიშნოს როგორც „ზოგადი დისკურსი“ და „კერძო დისკურსები“ .

დ. შაპოჩკინი ასევე საინტერესოდ მიიჩნევს მეცნიერ ვ. კარასიკის მიერ გამოყოფილ დისკურსის შემდეგ ორ ტიპს: პერსონალურს (ანუ პიროვნებაზე ორიენტირებულს) (მოსაუბრე გამოდის როგორც პიროვნება მთელი თავისი შინაგანი სამყაროს სიმდიდრით) და ინსტიტუციონალურს (მოსაუბრე, როგორც განსაზღვრული სოციალური სტატუსის წარმომადგენელი). დისკურსის პერსონალური ტიპი მეცნიერის აზრით არსებობს ორი ძირითადი სახესხვაობით: საყოფაცხოვრებო და ყოფითი ურთიერთობის სახით.

საყოფაცხოვრებო ურთიერთობა ნაცნობ ადამიანებს შორის ყალიბდება. იგი დაიყვანება კონტაქტის შესანარჩუნებლად და ყოველდღიური პრობლემების გადასაჭრელად. მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი დიალოგის მონაწილეები კარგად იცნობენ ერთმანეთს და შესაბამისად ერთმანეთისათვის ნაცნობ თემებზე საუბრობენ, რომლის პირობებშიც არ მოითხოვება სასაუბრო თემის დეტალური განშლა. საუბარი მარტივადაა გასაგები.

საყოფაცხოვრებო დისკურსისგან განსხვავებით, ყოფით დისკურსში ადგილი აქვს საკუთარი შინაგანი სამყაროს განშლის მცდელობას. ურთიერთობა გამოირჩევა აზრობრივი სიჭარბით, გამოიყენება მეტყველების ყველა ფორმა ლიტერატურული ენის ბაზაზე; ყოფითი ურთიერთობა უპირატესად მონოლოგიურია და წარმოდგენილია მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებებითა და ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური ინტროსპექტიული ტექსტებით.

საერთო ჯამში, ყოფითი დისკურსი მნიშვნელოვანწილად საყოფაცხოვრებო დისკურსის საპირისპიროა, მაგრამ ამ ორ ტიპს ის საერთო აქვთ, რომ ორივე მათგანისათვის ძირითად საყრდენს წარმოადგენს ადრესატის მიერ მეტყველების მნიშვნელობის აქტიური გააზრება. პიროვნებაზე-ორიენტირებული ურთიერთობის აგება ადრესატის ცნობიერებაში ფართო აზრობრივი ველის საფუძველზე ხდება, თუმცა საყოფაცხოვრებო და ყოფით ურთიერთობაში აზრთა გაფართოება სხვადასხვაგვარია. პირველ შემთხვევაში მნიშვნელობის გააზრება ურთიერთობის კონკრეტულ სიტუაციაზეა დამოკიდებული, ხოლო მეორეში - ნიშნის ფორმასა და ადრესატის პიროვნულ კონცეპტოსფეროზე (Шапочкин 2012:55).

ვ. კარასიკის მიერ გამოყოფილი დისკურსის მეორე ტიპი - ინსტიტუციონალური , წარმოადგენს ურთიერთობას სტატუსურ-როლის ურთიერთობების განსაზღვრულ ფარგლებში. მეცნიერი გამოყოფს **ინსტიტუციონალური დისკურსის** შემდეგ სახეებს:

პოლიტიკური, დიპლომატიური, ადმინისტრაციული, იურიდიული, სამხედრო, პედაგოგიური, რელიგიური, მისტიური, სამედიცინო, საქმიანი, სარეკლამო, სპორტული, სამეცნიერო, სპეციფიკური, მასობრივ-საინფორმაციო.

ამასთან, მეცნიერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული ჩამონათვალი შეიძლება შეიცვალოს ან გაფართოვდეს, რამდენადაც საზოგადოებრივი ინსტიტუტები არსობრივად განსხვავდება ერთმანეთისგან და არ შეიძლება განხილულ იყვნენ როგორც ერთგვაროვანი მოვლენა. გარდა ამისა, ისინი ისტორიულად იცვლებიან, შეიძლება კიდევ გადაიხლართონ ერთმანეთში და აღმოცენდნენ როგორც ნაირსახეობა ამა თუ იმ ტიპის ფარგლებში.

დისკურსების ზემოხსენებული სახეებიდან ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანს პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს.

პოლიტიკური დისკურსი. პოლიტიკურ დისკურსს, როგორც დისკურსის ერთ-ერთ სახეს განსაკუთრებული სოციალური მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის. პოლიტიკა არის საქმიანობის სფერო, რომელიც მიმართულია ძალაუფლების

მოპოვებისა და შენარჩუნებისაკენ. ამ პროცესში პოლიტიკოსი აქტიურად და მიზანმიმართულად იყენებს თავისი კომუნიკაციური საშუალებების მთელ არსენალს რეციპიენტზე ზემოქმედებისათვის, რათა მიაღწიოს დასახულ პრაგმატიკულ ეფექტს, ანუ, ლინგვოსოციუმის კოლექტიურ, სამყაროს ენობრივ სურათში მოახდინოს მსოფლმხედველობითი ცვლილება. ამ პროცესში, როგორც წესი, იმარჯვებს ის პოლიტიკოსი, რომელიც „უფრო ძლიერ ენობრივ პიროვნებას“ წარმოადგენს (ნ. ბეზმენოვა, ა. ვოროჯბიტოვა), ანუ უკეთესად ფლობს სამეტყველო კომუნიკაციის სტრატეგიებსა და ტაქტიკას, რომელთა მეშვეობითაც ცდილობს მასობრივი რეციპიენტზე კოლექტიურ ენობრივ სამყაროს სურათზე თავის სასარგებლოდ მოახდინოს გავლენა. პოლიტიკურ დისკურსს ლინგვორიტორიკული პარადიგმის ფარგლებში დიდი მნიშვნელობა აქვს დისკურსიული პროცესების კომპლექსური შესწავლის პოზიციიდან.

პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს კვლევის რთულ ობიექტს, რამდენადაც იგი სხვადასხვა დისციპლინის თანხვედრის ზღვარზეა - პოლიტოლოგიის, სოციალური ფსიქოლოგიის, ლინგვისტიკის, ასევე იგი დაკავშირებულია განსაზღვრულ სიტუაციებში გამოყენებული დისკურსის ფორმის, ამოცანებისა და მნიშვნელობის ანალიზთან.

ლინგვისტურ ლიტერატურაში პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენილია როგორც მრავალასპექტიანი მოვლენა. მოცემულ ტერმინთან დაკავშირებით მისი მნიშვნელობის ორი ძირითადი განმარტება ჩამოყალიბდა:

1. შედარებით ვიწრო გაგების თანახმად (ტ. ვან დეიკი), პოლიტიკური დისკურსი არის ჟანრების კლასი, რომელიც შემოიფარგლება სოციალური სფეროთი, უფრო ზუსტად კი პოლიტიკით. სამთავრობო განხილვები, საპარლამენტო დებატები, პარტიული პროგრამები, პოლიტიკოსების გამოსვლები - ეს ის ჟანრებია, რომლებიც განეკუთვნება პოლიტიკის სფეროს. პოლიტიკური დისკურსი არის პოლიტიკოსების დისკურსი. ასევე მეცნიერი აღნიშნავს, რომ პოლიტიკური დისკურსი ამავდროულად წარმოადგენს ინსტიტუციონალური დისკურსის ფორმას. ამ შეხედულების მიხედვით, პოლიტიკოსების დისკურსად მიიჩნევა ის ინფორმაციული ველი, რომლებიც

წარმოიშობა ისეთ ინსტიტუციონალურ გარემოში, როგორცაა მთავრობის სხდომა, პარლამენტის სესია, პოლიტიკური პარტიის ყრილობა. ამგვარად, დისკურსი პოლიტიკურია, როდესაც იგი თან ახლავს პოლიტიკურ აქტს და წარმოიშობა პოლიტიკურ გარემოში. ამ შემთხვევაში პოლიტიკურ დისკურსს ურთიერთობის მხოლოდ ინსტიტუციონალური ფორმები განეკუთვნება, რომლებიც ძირითადად საზოგადო პოლიტიკის სამეტყველო ჟანრების ფორმაში გამოიხატება (Гаврилова 2002:63).

2. ფართო გაგებით პოლიტიკური დისკურსი ნებისმიერი ენობრივი წარმონაქმნია, რომელთა სუბიექტი, ადრესატი თუ შინაარსი განეკუთვნება პოლიტიკის სფეროს (Шейгал 2000:23); დისკურსი ასევე განიმარტება როგორც დისკურსული პრაქტიკების ერთობლიობა, რომელიც ახდენს პოლიტიკური დისკურსის მონაწილეთა იდენტიფიცირებას თუ პოლიტიკური კომუნიკაციის კონკრეტული თემატიკის ფორმირებას (Баранов 2001:246).

პოლიტიკური დისკურსი ლინგვისტების მიერ განიხილება, როგორც ლინგვოკულტუროლოგიური შესწავლის ობიექტი (Е.И.Шейгал) როგორც „მეორადი ენობრივი ქვესისტემა, რომელსაც გააჩნია განსაზღვრული ფუნქციები, თავისებური თეზაურუსი და კომუნიკაციური ზემოქმედება“ (О.И.Воробьева), როგორც იდეოლოგიური დისკურსის სახესხვაობა (Гаврилова 2002:65).

რუსი ლინგვისტის ე. შეიგალის მიხედვით, პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს ისეთ ინსტიტუციონალურ ურთიერთობას, რომელიც პირად-ორიენტირებული ურთიერთობისაგან განსხვავებით, იყენებს პროფესიურ-ორიენტირებული ნიშნების განსაზღვრულ სისტემას. მას გააჩნია საკუთარი ქვე-ენა. თავისი სიტუაციურ-კულტურული კონტექსტის მნიშვნელობის გათვალისწინებით, პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს ფენომენს, რომლის არსიც შეიძლება გამოხატული იყოს შემდეგი ფორმულით „დისკურსი = ქვე-ენა + ტექსტი + კონტექსტი“ (Шейгал 2000:16). მკვლევარის აზრით, პოლიტიკური დისკურსის სივრცე მოიცავს სამი ტიპის ნიშნებს: სპეციალიზირებული ვერბალური (პოლიტიკური ტერმინები და ა.შ.),

სპეციალიზირებული არავერბალური (პოლიტიკური სიმბოლოები) და არასპეციალიზირებული, რომლებიც თავდაპირველად მოცემულ სფეროზე ორიენტირებული არ იყვნენ, მაგრამ მყარი ფუნქციონირების შედეგად შეიძინეს აზრობრივი თავისებურება.

ასევე ზოგიერთი მკვლევარი პოლიტიკურ დისკურსს განიხილავს როგორც პუბლიცისტური სფეროს ენას. ასე კოლექტიურ კვლევაში „Politically speaking. A Worldwide Examination of Language Used in the Public Sphere“ მეცნიერი ო. ფელდმანი აღნიშნავს, რომ პოლიტიკური ფუნქცია დამახასიათებელია პრაქტიკულად ყველა სახალხო გამოსვლისათვის (Feldman 1998:14).

როგორც აღვნიშნეთ, პოლიტიკური დისკურსი ინტერდისციპლინარული მოვლენაა, რომელიც იკვეთება პედიგოგიურ დისკურსთან, როგორც პიროვნების პოლიტიკური სოციალიზაცია, ამ სასაზღვრო განათლების სპეციფიკა მის ორგანოზომილებიან მოდუსში მდგომარეობს -ფორმალურ და არაფორმალურ პოლიტიკურ აღზრდაში, რომელიც ხორციელდება სახელმწიფოს სასწავლო დაწესებულებებსა და ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგალითად მშობლებთან, თანატოლებთან, მეზობლებთან საუბრისას.

პოლიტიკური და იურიდიული დისკურსი ერთმანეთს სახელმწიფო კანონმდებლობის სფეროში ხვდებიან.

პოლიტიკური რეკლამა ეს არის პოლიტიკური და სარეკლამო დისკურსების ჰიბრიდული ჟანრი, რომელიც მიმართულია საზოგადოებაში ღირებული ურთიერთობების რეგულირებისაკენ. მისთვის დამახასიათებელია თემატიკის შევიწროება, მისაწოდებელი პრობლემის სიმარტივე, მნიშვნელოვანი სიტყვების აქტიურად გამოყენება, ლოზუნგების ხშირი გამოყენება, ტავტოლოგია.

პოლიტიკური დისკურსი კვეთს ასევე რელიგიურ დისკურსსაც, როგორც ე. შეიგალი აღნიშნავს, ამ მოვლენას ადგილი აქვს აზროვნების მითოლოგიზაციის დროს, ლიდერის საღმრთო როლის აღიარებისას, ამ დროის გამოიყენება მანიპულაციური ზემოქმედება და ურთიერთობის რიტუალიზაცია .

პოლიტიკური დისკურსი ასევე „ესაზღვრება“ სპორტულ-სათამაშო დისკურსს. ხელისუფლებისათვის დაუნდობელი ბრძოლა ჯიბრს, დიდ ეროვნულ თამაშს ჰგავს. ამ პროცესისათვის მნიშვნელოვანია სანახაობრიობა, განსაზღვრული იმიჯები, სამეტყველო აგრესიის გამოხატვის ფორმები და ა.შ.

ავტორი ქმნის პოლიტიკურ დისკურსის მრავალსპექტიან მოდელს, გამოყოფს რა ინსტიტუციონალიზაციის (მეგობრებს შორის საუბრებით დაწყებული საერთაშორისო მოლაპარაკებებით დასრულებული) სუბიექტურ-ადრესატული ურთიერთობების პარამეტრებს (კომუნიკაცია ინსტიტუტსა და საზოგადოებას შორის, ინსტიტუტსა და მოქალაქეს შორის, ინსტიტუტის შიგნით აგენტებს შორის), სოციო-კულტურულ დიფერენციაციას (მმართველი და ოპოზიციური პარტიების დისკურსი), მოვლენის ლოკალიზაციის დიფერენციაციას (მაგ. სკანდირება -მიტინგი, სახალხო გამოსვლა - ყრილობა) და ასევე დიფერენციაციას ტექსტათაშორისი კავშირების ხასიათის მიხედვით (პოლიტიკური დისკურსის პირველადი და მეორადი ჟანრები (შედარებისათვის შეიძლება მოვიყვანოთ: სიტყვა, განცხადება, დებატები, ანეკდოტები და მემუარები).

ინსტიტუციონალური ურთიერთობების სახესხვაობათა ზღვარი პირობითია. მოცემული მომენტისათვის ხდება დისკურსის ჟანრების სწრაფი ცვლილება, რაც განპირობებულია მასობრ-ინფორმაციული ურთიერთობის აქტიური ექსპანსიით. სატელევიზიო და კომპიუტერული სივრცე მიზანდასახულად შლის ყოველგვარ ზღვარს ყოველდღიურ და ინსტიტუციონალურ ურთიერთობებს შორის. ურთიერთობის გასართობი კომპონენტი დომინირებს სარეკლამო დისკურსში, ამ დროს ადგილი აქვს სხვადასხვა დისკურსების ტრანსპორტირებას. სამთავრობო თანამდებობების კანდიდატების სატელევიზიო დებატები სანახაობრივად იდგმება, სადაც სასცენო მახასიათებლები პოლიტიკური დისკურსის მახასიათებლებთან შედარებით წინა პლანზე იწევა. ე. შეიგალის აზრით, ადამიანისათვის, რომელიც არ კითხულობს პოლიტიკურ დოკუმენტებს, რომლისთვისაც უცნობია გამოსვლებისა და სიტყვების ორიგინალი ტექსტები, რომლებიც აღიქვამენ პოლიტიკას შერწყმული სახით მასობრივ-საკომუნიკაციო საშუალებებიდან, მათთვის პოლიტიკა წარმოადგენს სიუჟეტების

ერთიანობას. ეს სიუჟეტები პოლიტიკური ნარატივის ბაზას ანუ სხვადასხვა დისკურსული ჟანრების ერთიანობას წარმოადგენენ. ისინი კონცენტრირებულია კონკრეტული პოლიტიკური მოვლენის ირგვლივ. ამასთან ხდება სხვადასხვა დისკურსების მახასიათებლების „დატანა“ ერთ ტექსტში მაგალითად, ინტერვიუ პოლიტიკოსთან მოიცავს როგორც მასმედიის ელემენტებს, ასევე სამეცნიერო და პოლიტიკური დისკურსების ელემენტებს. მასმედიასა და პოლიტიკურ დისკურსებს შორის სივრცე ავტორს წარმოადგენლი აქვს შკალის სახით, რომელიც პოლიტიკური შინაარსის მატებასთან ერთად მოიცავს შემდეგ ტექსტებს: კამფლეტი, ფელენტონი, პრობლემური პოლიტიკური სტატია, რომელიც ჟურნალისტის მიერ არის დაწერილი, კომენტატორის სვეტი, ნათარგმნი სტატია, რეპორტაჟი, საინფორმაციო შენიშვნა, ინტერვიუ პოლიტიკოსთან, პრობლემური ანალიტიკური სტატია, რომელიც პოლიტიკოსის მიერ არის დაწერილი, პოლემიკა (სატელევიზიო დებატები, დისკუსია პრესაში), პოლიტიკოსის სიტყვა, პოლიტიკური დოკუმენტი (პრეზიდენტის ბრძანება, კანონის ტექსტი) და სხვ. (Шейгал 2000:32).

პოლიტიკური დისკურსის მნიშვნელოვანი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ პოლიტიკოსები ხშირად ცდილობენ თავიანთი მიზნების დაფარვას, ამ მიზნით ისინი იყენებენ ნომინალიზაციას, მეტაფორიზაციას, განსაკუთრებულ ინტონაციას და ელექტორატზე და ოპონენტებზე ზემომქმედების სხვა მექანიზმებს. ინგლისურენოვანი პოლიტიკური დისკურსის ერთ-ერთი სპეციფიკური მახასიათებელი არის პოლიტიკური კორექტულობის იდეოლოგია. ამ ლინგვოკულტუროლოგიური ფენომენის კვლევის შედეგად (რომელიც ინტერპრეტაციის კონტექსტებისთვის არის დამახასიათებელი, და ეხება ხალხის რასას, სქესს, სოციალურ სტატუსს, მათ ფიზიკურ ან გონებრივ ნაკლებს, ასევე ასაკს) დადგინდა, რომ „პოლიტიკურად კორექტული ერთეულები უახლოვდებიან იდიომატურ მოთოლოგენებს, რამდენადაც ისინი ირეკლავენ კატეგორიზაციის მიმართულებას, რომლითაც შორდებიან რეფერენტული ურთიერთმიმართების პროტოტიპს“ (Aceeva 1999:5).

პოლიტიკური დისკურსის მახასიათებლებთან დაკავშირებით, ე. შეიგალი აღნიშნავს, რომ პოლიტიკური დისკურსის სისტემათწარმომქმნელი ნიშნებია - ინსტიტუციონალურობა, სპეციფიკური ინფორმაციულობა, აზრობრივი განუსაზღვრელობა, მასმედიის განსაკუთრებული როლი, თეატრალურობა, დინამიურობა. ამ ნიშნებს აქვთ დინამიური ხასიათი და შეიძლება წარმოდგენილი იყოს შკალის სახით. პოლიტიკური დისკურსის ტიპიდან გამომდინარე, გამოყოფილი მახასიათებლები იკავებენ გარკვეულ წერტილებს ტოტალიტარობის/დემოკრატიულობის პირობით შკალაზე. აღინიშნება, რომ დემოკრატიული პოლიტიკური დისკურსი უფრო ახლოსაა სამეცნიერო კომუნიკაციის პოლუსთან, მაშინ როცა ტოტალიტარული დისკურსი რელიგიური ურთიერთობის პოლუსს უახლოვდება: ასე, დემოკრატიული პოლიტიკური დისკურსისათვის დამახასიათებელია ინფორმაციულობა, რაციონალობა, არგუმენტირების ლოგიკა, რეალური დენოტატი, დიალოგურობა, დინამიურობა, მაშინ როცა ტოტალიტარული დისკურსისათვის დამახასიათებელია რიტუალობა, ემოციურობა, მონოლოგიურობა, ურთიერთობის ავტორიტარობა, კონსერვატიზმი (Шейгал 2000:28).

პოლიტიკური დისკურსის ფენომენი არაერთგვაროვანია, და ის არ იწურება კომუნიკაციური შრით - იგი მრავალი ფენისაგან შემდგარი ელემენტია და მისი თითოეული ფენა ავსებს ერთმანეთს კომუნიკაციის პროცესში. აქ შესაძლებელია ფსიქოლოგიური, სოციალური, სათამაშო ფენების პოვნა. ისევე როგორც ენის ფუნქციონირებისას, პოლიტიკური დისკურსის შემთხვევაშიც, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მონაწილეთა როლების მახასიათებლების, მათი პოლიტიკური ისტორიის ამა თუ იმ სიუჟეტში ჩართვა. სიუჟეტ-როლის ფენა ერთნაირად მნიშვნელოვანია ჩვენი საზოგადოების განვითარების ყველა პერიოდისათვის. გარდაქმნის პერიოდში სიუჟეტ-როლის ფენის შინაარსი იცვლება: განსხვავებული პოლიტიკური ეპოქა განსხვავებულ სცენარს, სიუჟეტს მოითხოვს (Баранов 1997:8). სწორედ ამ დროს ხდება საზოგადოებაში თითოეული პოლიტიკური ჯგუფისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური სტერეოტიპების ფორმირების საფუძვლის მომზადება.

ლინგვისტების ნაწილისათვის პოლიტიკური დისკურსის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია დარწმუნებაში გამოიხატება. ამასთან დაკავშირებით, რუსი ლინგვისტი პ. პარშინი აღნიშნავს, რომ სემიოტიკური თვალსაზრისით ნებისმიერი ტექსტი ახდენს ზემოქმედებას ადრესატის ცნობიერებაზე. მაგრამ პოლიტიკური ტექსტისათვის სამეტყველო ზემოქმედება წარმოადგენს კომუნიკაციის ძირითად მიზანს, რომლის მისაღწევადაც ორიენტირი კეთდება ლინგვისტური საშუალებების შერჩევაზე (Паршин 1987:403).

პოლიტიკური დისკურსის ფუნქციის განსაზღვრისას, ლინგვისტი ე. შეიგალი ამტკიცებს, რომ ამ ტიპის ურთიერთობის საბაზისო ფუნქცია არის ბრძოლა ძალაუფლებისათვის, ასევე ამ დისკურსისთვის აქტუალურია რეგულაციური, რეფერენტული და მაგიური ფუნქციები.

მეცნიერი აღნიშნავს, რომ პოლიტიკა როგორც ადამიანის საქმიანობის სპეციფიკური სფერო, თავისი ბუნებით წარმოადგენს სამეტყველო ქმედებების ერთობლიობას. სხვა ნებისმიერი დისკურსის მსგავსად პოლიტიკურ დისკურსს გააჩნია ველის ისეთი აგებულება, რომლის ცენტრშიც მოქცეულია ის ჟანრები, რომლებიც მაქსიმალურად შეესაბამება პოლიტიკური კომუნიკაციის ძირითად დანიშნულებას - ბრძოლას ძალაუფლებისათვის. ეს იქნება საპარლამენტო დებატები, პოლიტიკური მოღვაწეების გამოსვლები, არჩევნები თუ სხვა. პერიფერიულ ჟანრებში ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფუნქცია იხლართება სხვა სახის დისკურსების ფუნქციებთან.

პოლიტიკური დისკურსის კონცეპტები. კონცეპტები - „პოლიტიკა“ და „პოლიტიკური“ წარმოადგენენ პოლიტიკური თეორიისა და პოლიტიკური ფილოსოფიის ერთეულებს, რომელთა ირგვლივაც აქტიური დისკუსიები მიმდინარეობს. შედეგად ჩამოყალიბდა ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული მოსაზრება: „პოლიტიკა მიეკუთვნება ისეთ საქმიანობას და ინსტიტუციას, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო ორგანიზაციასთან. შედარებით უფრო ფართო კონცეპტები ხშირად ახდენენ პოლიტიკის როგორც ენის ასპექტის იდენტიფიცირებას. ეს

მოსაზრება ძირითადად სოციოლოგებსა და კულტურული ანთროპოლოგიის წარმომადგენლებს ეკუთვნით. პოლიტიკა იმართება ინსტიტუტური მექანიზმებით, მოტივებით და საჭიროებებით, შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს არის საჭიროებების დაკმაყოფილება. სიტუაციებზე ზემოქმედებს გარკვეული მოტივები, რომლებიც ასევე განსაზღვრავენ ლექსიკონს. ლინგვისტური ფილოსოფიის კლასიკურ მარქსისტულ კონცეპტებში ვლინდება კ. მანჰეიმის გლობალური იდეოლოგიების კონცეპტი (საუბრის მანერა, მეტყველება ასახავს სოციალურ სტრუქტურას), რომელმაც თანამედროვე სტრუქტურალისტების კონცეპტებზე მახდინა ზემოქმედება (იდეოლოგია ტყუილის ტოლფასია) (Feldman, Landtsheer 1998:14 მიხედვით).

პოლიტიკური დისკურსის საბაზისო კონცეპტებს ე. შეიგალი „ხელისუფლებასა“ და „პოლიტიკოსს“ მიაკუთვნებს. კონცეპტის „ხელისუფლება“ აღქმისას დიდი სხვაობა არ არის მის ყოველდღიურ და მეცნიერულ გაგებას შორის, და მისი გაგება ხდება როგორც იძულების უნარი, უფლება და შესაძლებლობა. ხელისუფლების მეტაფორიკა გამოიხატება ისეთ ასოციაციებში როგორცაა გასხვისებადი კუთვნილება (მაგ. ხელისუფლების მოპოვება), მექანიზმი (ხელისუფლების ბერკეტები), ცოცხალი არსება (ხელისუფლების ქმედუნარობა), პერსონალიზაცია (ხელისუფლების კაპრიზები). ავტორის თანახმად ხელისუფლება დისკურსში უშუალოდ კომუნიკაციურ ლიდერობასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული (Шейгал 2000:10).

პოლიტიკა ისევე როგორც კომუნიკაცია, არის პროცესი და ისევე როგორც კომუნიკაცია იგი მოიცავს მეტყველებას. აქ სიტყვა “მეტყველება” იგულისხმება არა მეტყველების ვიწრო გაგებით, არამედ უფრო ფართო გაგებით იგი გულისხმობს ყველა იმ მეთოდს, რომელთა მეშვეობითაც ადამიანები ახერხებენ სიმბოლოების - წერილობითი და სამეტყველო სიტყვების, სურათების, მოძრაობების, ჟესტების, მანერების ურთიერთგაცვლას. ენის მეცნიერული კონცეპტები ხშირად აიგივებენ ენას და კომუნიკაციას ან აღიქვამენ ენას კომუნიკაციის მიზნობრივ საშუალებად (Schaff 1960:292). ისევე როგორც ლინგვისტები, კომუნიკაციის სფეროს მეცნიერებიც მიიჩნევენ

ენას ნიშნების სისტემად (Schaff 1960:292) ან სიმბოლოების ურთიერთგაცვლის საშუალებად (Nimmo 1978:70; Meadow 1980:22).

როდესაც ენისა და პოლიტიკის ფართო კონცეპტები ემთხვევა ერთმანეთს, ენა ძირითადად მიიჩნევა ძალაუფლების სტრატეგიად. ასეთი დამოკიდებულება ისევ და ისევ კულტურული, ანთროპოლოგიური და სოციოლოგიური წარმოდგენების შედეგია. სოციალური ფენომენი ყოველთვის მიმოქცევაშია (Malinowski 1944:23); არ არის აუცილებელი, რომ ეს იყოს წერილობითი თუ ზეპირი მეტყველება. როგორც კ. მანჰეინი მოიაზრებს, პრინციპები, რომელსაც საზოგადოება ეყრდნობა ყოველთვის არ გამოითქმება მეტყველებაში (Mannheim 1960:238).

კ. ლანდშირის დასკვნით, პოლიტიკური ენის კონცეპტი რომელიც ხშირად გამოიყენება მეცნიერების მიერ, შეზღუდულია როგორც ენის ასევე პოლიტიკის იდეების თვალსაზრისით. მ. ედელმანის მოდელური დეფინიცია სწორედ ამ შეზღუდვას გამოხატავს, რომლის თანახმადაც, პოლიტიკა ძირითადად სიტყვების საკითხია. ასეთნაირად იმართება მოლაპარაკებები, მზადდება გამოსასვლელი სიტყვები, ეწყობა დებატები, ისაზღვრება შეზღუდვები. ამ ზეპირი დისკუსიების გარდა არსებობს პოლიტიკური მეტყველების სხვა ფორმებიც, წერილობითი კომუნიკაციები, რომელთა ფარგლებშიც იქმნება კანონები, პროკლამაციები, შეთანხმებები და სხვა პოლიტიკური დოკუმენტი. ეს ზოგადი კონცეპტი გულისხმობს, რომ პოლიტიკური ენა არის საზოგადოებრივი კომუნიკაცია პოლიტიკურ საკითხებზე. ამის აღმოჩენა შეიძლება გაზეთების, ტელევიზიის და რადიოს ენაზე დაკვირვებისას (მათ შორის პოლიტიკური დებატების, საზოგადოებასთან შეხვედრები, პარტიის შეხვედრები), ასევე პროპაგანდის (მათ შორის საარჩევნო პუბლიკაციები და სხვა პოლიტიკური პამფლეტები) და ადმინისტრაციულ, იურიდიულ და დიპლომატიურ ენებზე დაკვირვებისას (მათ შორის კანონის ტექსტები, ხელშეკრულებები და საერთაშორისო პოლიტიკური შეთანხმებები).

კ. დე ლანდშირი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი მეცნიერი კიდევ უფრო შეზღუდულ კონცეპტებს აყალიბს, თვლიან რა თანასწორად პოლიტიკურ დისკურსსა და პოლემიკურ ან არგუმენტაციულ ენას ან კიდევ პოლიტიკურ ლექსიკას. ზოგიერთი მეცნიერი

პოლიტიკური ენის იდენტიფიცირებისათვის სემანტიკურ კრიტერიუმს (ანუ შინაარს) ეხება ან ზოგჯერ პრაგმატიკულსაც (ანუ ფუნქციებსა და ეფექტებს) კი (Feldman, Landtsheer 1998:15 მიხედვით).

პოპულარული პოლიტიკური ენის კონცეპტები, რომლებსაც საზოგადოება, თვით პოლიტიკოსები და ლიტერატურული მწერლები იყენებენ ტენდენციურად იზღუდებიან იმ სამეტყველო შაბლონებამდე, რომლებსაც პოლიტიკოსები იყენებენ. ყოველთვის აქვს ადგილი ისეთ უარყოფით კონოტაციებს, როგორცაა დემაგოგიები და ტყუილი. ინგლისელი მწერლის ჯ. ორუელის დეფინიცია ადექვატურად ასახავს ამ პოპულარულ კონცეპტებს: „პოლიტიკური დიალექტები რომლებიც პამფლეტებში, წამყვან სტატიებში, პროგრამულ დოკუმენტაციებში, მთავრობის საინფორმაციო დოკუმენტებში და მთავრობის წარმომადგენლების სიტყვებში მოიძებნება, რა თქმა უნდა განსხვავდებიან პარტიების მიხედვით, მაგრამ ისინი ყოველთვის მსგავსნი არიან იმით, რომ მათში თითქმის არასოდეს იპოვით ახალ, თვალსაჩინო, „ეროვნული წარმოების სამეტყველო ბრუნვას“ (Orwell 1950:336).

პოლიტიკისა და ენის ურთიერთმიმართება. ტრადიციულ დასავლურ პოლიტიკურ იდეაში ჩადებული შეხედულების მიხედვით, ენა და პოლიტიკა მჭიდრო კავშირში არიან ფუნდამენტალურ დონეზე. თავის წიგნში „Analysing Political Discourse: Theory and Practice“ (2004წ.) ბრიტანელი ლინგვისტი პ. ჩილტონი პოლიტიკას განიხილავს, როგორც ძალაუფლებისთვის ბრძოლას, რომლის მონაწილეებიც ერთი მხრივ არიან ისინი, ვინც საკუთარი ძალის გაძლიერებასა და შენარჩუნებას ცდილობს, ხოლო მეორე მხრივ ისინი, ვინც ამ ძალასთან გამკვლავებას ცდილობს. ზოგიერთი სახელმწიფო პირდაპირ ეფუძნება ბრძოლას ძალაუფლებისთვის, სადაც სადავოა დემოკრატიის საწყისების არსებობა. პოლიტიკა განიხილება ისეთი სახის ურთიერთობად, როგორცაა პრაქტიკა და ინსტიტუციები, რომლებიც საზოგადოებაში წარმოშობილ ინტერესთა კონფლიქტის მოსაგვარებლად გამოიყენება. მსგავსი კონფლიქტები შეიძლება ეხებოდეს ფულს, ზეგავლენას, თავისუფლებას და სხვა საკითხებს. ამ შემთხვევაშიც სადავო ხდება დემოკრატიის არსობრივი ჩართულობა (Chilton 2004:6).

ამ ორი ორიენტაციის ურთიერთშეპირისპირება წარმოადგენს სხვა, „მიკრო“ და „მაკრო“ განსაზღვრულ სხვაობას. მიკრო დონეზე გვხვდება ინტერესთა კონფლიქტი, ბრძოლები დომინანტობისათვის და სხვადასხვა ინდივიდთა, გენდერთა თუ სოციალურ ჯგუფთა თანაარსებობა. მაკრო დონეზე არსებობს სახელმწიფო პოლიტიკური ინსტიტუტები, რომლებიც, ერთი მხრივ, ემსახურება ინტერესთა კონფლიქტების მოგვარებას, და, მეორე მხრივ, კი, დომინანტური ინდივიდების ან ჯგუფების ძალაუფლების განმტკიცებას. ასეთ სახელმწიფოში დემოკრატია ჩადებულია კონსტიტუციაში, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსებში, და პრეცედენტული სასამართლოების პრაქტიკაში. ასეთ სახელმწიფო ინსტიტუტებთან ასოცირებული ერთეულები არიან მეტ-ნაკლებად სტაბილური პრაქტიკის მქონე პარტიები და პროფესიონალი პოლიტიკოსები; სხვა სოციალური ფორმირებებიც, მათ შორის ინტერესთა ჯგუფები, სოციალური მოძრაობები და ა.შ. შეიძლება ასევე ეფექტურად მოქმედებდნენ (Chilton 2004:3).

მეცნიერის თანახმად პოლიტიკის ტრადიციულ კვლევაში იმ ფაქტის უგულებელყოფა ხდება, რომ მიკრო დონეზე არსებული ზემოხსენებული ქცევები სინამდვილეში ლინგვისტური ქმედების ნაირსახეობას წარმოადგენს, რაც სხვა არაფერია თუ არა დისკურსი. თანაბარწილად, მაკრო დონეზე ინსტიტუციები არის სპეციფიური მახასიათებლების მქონე დისკურსის ტიპები - მაგალითად, საპარლამენტო დებატები, სატელევიზიო ან რადიო ინტერვიუები. კონსტიტუციები და კანონები ასევე დისკურსს წარმოადგენენ - განსაკუთრებით სპეციფიური ტიპის წერილობით დისკურსს ან ტექსტს. ეს კი მაშინ ვლინდება, როდესაც პოლიტიკურ მეცნიერებათა სტუდენტები ხშირად აცხადებენ შემდეგს: „პოლიტიკაში აზრთა სხვადასხვაობის დარეგულირებისათვის დისკუსიები და დარწმუნება გამოიყენება. შესაბამისად, კომუნიკაცია ცენტრალური საკითხია პოლიტიკისათვის“ (Chilton 2004:3).

აღნიშნულთან დაკავშირებით ბრიტანელი თეორეტიკოსი დ. მილერი აღნიშნავს, რომ პოლიტიკური პროცესი, როგორც წესი, დამარწმუნებელი ფუნქციით გამოირჩევა. მოცემული განსაზღვრება იმის დაზუსტებას მოითხოვს, თუ როგორ შეიძლება

უფლებამოსილების, კანონიერების, კონსენსუსის და პოლიტიკისათვის სხვა მახასიათებლების ენის გამოყენებით ამოქმედება. ასევე ბრიტანელი მეცნიერი რ. ჰაგი აღნიშნავს, რომ ის გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღწეულია კომუნიკაციის მეშვეობით, ანუ დარწმუნებით და გარიგებით, ავტორიტეტული ხდება; ეს არის პროცესი, რომელშიც ჩართულია ძალა ან ძალის გამოყენების საშიშროება. თუმცა, პოლიტიკა ნაკლებად თუ არსებობს მაშინ, როცა გადაწყვეტილებები მხოლოდ იძულებით მიიღწევა, ან მისი გამოყენების საშიშროებით, მნიშვნელოვანია კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღება. თუკი პოლიტიკური ძალაუფლების ვერბალური საქმიანობა ხასიათდება ძალაუფლების უკიდურესი სანქციონებით (მაგალითად ჯარიმები, დაპატიმრებები, პრივილეგიების შემცირება და სხვა), აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ ასეთი ძალის „ამოქმედება“ შესაძლებელია მხოლოდ საკომუნიკაციო აქტებით, როლებიც ჩვეულებრივ დაქვემდებარების სისტემას უერთდება. მიუხედავად ამისა, პოლიტიკის განმარტებისას, თანმხლები ლინგვისტური, დისკურსული და კომუნიკაციური განზომილებები მხოლოდ ნაწილობრივ ან საერთოდ არ არის აღიარებული პრაქტიკოსებისა და თეორეტიკოსების მიერ (Chilton 2004:4).

3. ჩილტონის თანახმად ენა და პოლიტიკური საქმიანობა ურთიერთდამოკიდებული და განუყოფელი ერთეულებია. მართალია სხვა ქვევებიც ჩართულია ამ პროცესში, კერძოდ კი ზემოქმედების ფიზიკური მეთოდები, მაგრამ “პოლიტიკის კეთება“ უპირატესად არის ჩადებული ენაში. მეცნიერის შეხედულებით, სახელმწიფო ენა წარმოადგენს იმ საქმიანობის განხორციელების საშუალებას, რომელიც ეკონომიკურ კეთილდღეობას უწყობს ხელს. სახელმწიფოს როლი პრესტიჟული სტანდარტების ფარგლებში ინსტრუქციების მიცემისას შეიძლება განხილულ იყოს არა მხოლოდ როგორც სახელმწიფოებრიობისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის წყობილების ნაწილი, არამედ როგორც დემოკრატიის ინსტიტუციის ნაწილი. ეს ასეა არა მხოლოდ იმიტომ, რომ სტანდარტმა შესაძლებელია უზრუნველყოს ეკონომიკური კეთილდღეობის თანაბარი პოტენციალური ხელმისაწვდომობა, არამედ იმიტომ, რომ სტანდარტი შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს პოლიტიკურ ცხოვრებაში

მონაწილეობისათვის. „თუკი ადამიანმა ბერძნული არ იცოდა, ის ფაქტიურად ვერ მიიღებდა მონაწილეობას ქალაქ-სახელმწიფოს განხილვებში. თუკი მოქალაქემ ფრანგული არ იცოდა, ის საფრანგეთის რესპუბლიკაში სრულყოფილი ფრანგად ვერ იქნებოდა აღქმული“ (Chilton 2004:9).

ადამიანს მხოლოდ ენის გამოყენებით შეუძლია ბრძანებების გაცემა, საფრთხის შექმნა, კითხვების დასმა, შემოთავაზება და დაპირება. იმ შემთხვევაში, თუ იგი შეძლებს თანამოსაუბრეების დარწმუნებას იმაში, რომ მას სამეტყველო აქტის სისრულეში მოყვანის შესაბამისი რესურსი გააჩნია. მხოლოდ ენის გამოყენებითაა შესაძლებელი სოციალურ და პოლიტიკურ ინსტიტუტებში ჩაბმული პირისათვის ომის გამოცხადება, დამნაშავეის მხილება ან უდანაშაულოს გამოცხადება, პარლამენტის შესვენების გამოცხადება, გადასახადების გაზრდა ან შემცირება. „სასაუბრო ენის“ ფილოსოფოსები და ზოგიერთი პრაგმატიკოსი სამეტყველო აქტებს განიხილავენ, როგორც დიდ ტექნიკურ პრობლემას. თუმცა გასაგებია, რომ აზრთა-წარმოქმნის არალოგიკური ნაწილები არ შეიძლება მარტივად გამოეყოს სოციალურ და პოლიტიკურ ინტერაქციას, მის ზოგად მიღებულ ნორმებსა და ინსტიტუციებს (Chilton 2004:25).

ენისა და პოლიტიკის მჭიდრო კავშირზე საუბრობს ასევე დანიელი ლინგვისტი ჯ. მეი (J. Mey). მეცნიერი აღნიშნავს, რომ ენა ყოველთვის ასახავს „საზოგადოების სრულ პირობებს“. ამ პირობებს შორის არის ინსტიტუციები, რომლებსაც საზოგადოება (რომელიც თავის მხრივ არის სოციალური ადამიანების შემადგენლობა) თავისთვის იქმნის: კანონიერი, აღმასრულებელი, იურიდიული და სახელმწიფოს სხვა ორგანოები; სხვადასხვა რელიგიური ორგანოები როგორცაა რწმენა და ეკლესიები; ადამიანის სოციალური ინსტიტუტები მაგალითად ქორწინება, ოჯახი, ბაზარი და ა.შ. ყველა ასეთ ინსტიტუციასა და ორგანოში, გარკვეული ადამიანური შეთანხმებები და ჩვეულებები ლეგალიზებული გახდა, და ამ ლეგალიზაციამ თავისი სიმბოლური გამოვლინება ენაში ჰპოვა“ (Mey 2001:115).

მეცნიერი ა. ბარანოვის მოსაზრებით, პოლიტიკური ტექსტების შესწავლისადმი დიდი ინტერესი შეიძლება აიხსნას შემდეგი ფაქტორებით: ა) ლინგვისტური თეორიის

შინაგანი მოთხოვნილება, რომელიც ისტორიის სხვადასხვა პერიოდში მიმართავდა ენობრივი სისტემის ფუნქციონირების სფეროებს, მეტყველებას; ბ) პოლიტიკური აზროვნების შესწავლის პოლიტოლოგიური პრობლემები, მისი კავშირი პოლიტიკურ ქმედებასთან. პოლიტოლოგიაში წინასამეტყველო მოდელების ჩამოყალიბების აუცილებლობით, ასევე პოლიტიკური ტექსტებისა და მედიის ტექსტების ანალიზის მეთოდების განვითარების აუცილებლობით, საზოგადოების აზროვნების სფეროში სხვადასხვა ტენდენციების მონიტორინგის მიზნით; და გ) სოციალური დაკვეთა პოლიტიკური კომუნიკაციის საზოგადოებრივი აზროვნებით მანიპულირებისაგან განთავისუფლების მცდელობა (Баранов 1990:9). პოლიტიკური დისკურსით ინტერესდებიან როგორც პოლიტიკურ სფეროში მოღვაწე ფროფესიონალები, მათ შორის ჟურნალისტები და პოლიტოლოგები, ასევე საზოგადოების ფართო მასებიც (Шейгал 2000:22).

მეცნიერთა შორის არ არსებობს ზოგადად მიღებული პოლიტიკის ენა. ლინგვისტურ ლიტერატურაში „პოლიტიკური დისკურსის“ ცნების გარდა (ე.ი. შეიგალი, ა.ნ. ბარანოვი) გამოიყენება ასევე დეფინიციები „საზოგადოებრივ-პოლიტიკური მეტყველება“ (გ.ტ. იუდინა), „აგიტაციურ-პოლიტიკური მეტყველება“ (ა.პ. ჩუდინოვი), „საზოგადოებრივი აზრის ენა“ (პ.ნ. დენისოვი), „პოლიტიკური ენა“ (ო.ი. ვორობიოვა).

ბელგიელი მეცნიერის კ. დე ლანდშირის შეხედულებით, პოლიტიკური ენა, პოლიტიკური გამოსვლა, პოლიტიკური რიტორიკა და პოლიტიკური დისკურსი უდავოდ ურთიერთჩანაცვლებადი ტერმინებია რომლებსაც მეცნიერები, პოლიტიკოსები და ჟურნალისტები იყენებენ, რათა მოახდინონ ენასა (ლინგვისტები განასხვავებენ ენას, როგორც კომუნიკაციის მატარებელს და მეტყველებას, როგორც ამ მატარებლის გამოყენებას მოცემული ინდივიდუალის მიერ მოცემულ შემთხვევებში (Ullmann 1962:19-23) და პოლიტიკას შორის ურთიერთობის დომინირება. ამ ტერმინებს შორის არსებული სხვაობა, ავტორის აზრით, არ უნდა წარმოადგენდეს ძირითად საკითხს პოლიტიკური ენის (პოლიტიკური-სემანტიკა) მკვლევარი მეცნიერებისათვის,

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინები წარმოადგენენ სწავლების განსხვავებულ ტრადიციებს.

როცა არსებობს ძალის ზემოქმედების მიზანი და არსებობს რაღაც ზემოქმედება ძალაზე, ჩვენ ვსაუბრობთ ენის პოლიტიკურ ფუნქციაზე (Lasswell 1949:8) და როცა ჩვენ პოლიტიკურ მეცნიერებაზე ვსაუბრობთ, ძალაუფლების მეცნიერებას ვგულისხმობთ. შესაბამისად პოლიტიკის ენა ძალაუფლების ენაა (Feldman, Landtsheer 1998:16).

პოლიტიკური ენა წარმოადგენს განსაკუთრებული ნიშნების სისტემას, რომელიც განკუთვნილია უშუალოდ პოლიტიკური კომუნიკაციისათვის: საზოგადოებრივი კონსენსუსის მისაღწევად, პოლიტიკური და სოციალურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და დასაბუთებისათვის ჭეშმარიტად პლურალისტული საზოგადოების მრავალი საზოგადოებრივი ინტერესების ფარგლებში, სადაც თითოეული ადამიანი წარმოადგენს არა იდეოლოგიური ზემოქმედებისა და მანიპულირების ობიექტს, არამედ პოლიტიკური მოქმედების სუბიექტს (Баранов 1997:3).

ავსტრიელი ლინგვისტის რ. ვოდაკის მიხედვით, პოლიტიკური ენა ორ პოლუსს შორის იმყოფება, იდეოლოგიის მქონე ფუნქციონალურად განპირობებულ სპეციალურ ენასა და ჟარგონს შორის. ამიტომ პოლიტიკური ენა გასაგები უნდა იყოს პროპაგანდის ამოცანების შესაბამისად. გარდა ამისა იგი განსაზღვრულ ჯგუფზე უნდა იყოს ორიენტირებული ისტორიულ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ მიზნებიდან გამომდინარე (Водак 1998:24).

პოლიტიკის ენის თავისებურებაზე საუბრისას ე. შეიგალი აღნიშნავს, რომ მისი არსებობის გარემოს მასობრივი ინფორმაცია წარმოადგენს, და იმდენად რამდენადაც პოლიტიკური ურთიერთობის ორინტაცია მასობრივ ადრესატზე ხდება, ამ ენას დაკარგული აქვს კორპორაციულობა, რაც სხვა ნებისმიერი სპეციალური ენის ნიშანდობლივი მახასიათებელია (Шейгал 2000:22).

რუსი ლინგვისტის კ. პარშინის განმარტებით, პოლიტიკური დისკურსის ლინგვისტური კვლევის სიღრმეში ორი თეზისი დევს: სისტემის და ტექსტის შესახებ.

ამათგან პირველის თანახმად, პოლიტიკური ტექსტების ენა არ არის ყოველდღიური ენა, ამასთან მისი სპეციფიკა მდგომარეობს არა რაიმე განსაკუთრებული ფორმალური საშუალებების გამოყენებაში, არამედ უფრო საზღვრულისა და მსაზღვრელის ურთიერთმიმართების ისეთ ცვლილებაში, რომლის შემთხვევაშიც კარგად ნაცნობი ენის ერთეულები ერთგვარ უჩვეულო ინტერპრეტაციას იძენენ, კარგად ნაცნობი სიტუაციები კი ცოტა არ იყოს მოულოდნელ კატეგორიებამდე დაიყვანება: საგნები „აღარ მოიხსენება თავიანთი სახელწოდებით“. მეორე თეზისი დაკავშირებულია პირველთან, კერძოდ კი ამტკიცებს, რომ პოლიტიკურ ტექსტში შეიძლება ამოკითხულ იყოს რაღაც არაექსპლიციტური აზრი, რომელიც განსხვავდება ზუსტის აზრისაგან და შეიძლება კიდევ მისი საპირისპირო მნიშვნელობის იყოს. ხშირად მიიჩნევა, რომ სწორედ ეს არაექსპლიციტური აზრი არის პოლიტიკური ტექსტის „ჭეშმარიტი“ აზრი (Паршин 1987:407).

პოლიტიკური ენის განსაზღვრისას, კ. დე ლანდშირი აღნიშნავს, რომ ენა, რომელიც პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით გამოიყენება, არ შეიძლება იზოლირებულ იქნეს ყოველდღიური ენისაგან, იმდენად რამდენადაც მისი გამოყენების შესაბამისად, ყველანაირი ენა შეიძლება გახდეს პოლიტიკური. ის ფაქტი, რომ ენა საზოგადოებრივ სფეროებში გამოიყენება, გულისხმობს იმას, რომ ის შეიძლება მოქალაქეებს პოლიტიკური თვალსაზრისით ეხებოდეს. ეს შეიძლება იყოს ძირითადი ფოკუსი საკითხის შევიწროების მიზნით. „ტერმინებს - საზოგადოებრივი სფერო და საზოგადოებრივ შორის უპირატესობას საზოგადოებრივ სფეროს მივანიჭებდი, რამდენადაც იგი მოიცავს არაფორმალურ თავაზიან საუბარს, რომელიც, რასაკვირველია ეხება პოლიტიკური შეხედულების ფორმირების პროცესს“ (Feldman, Landtsheer 1998:16).

პოლიტიკური დისკურსის შესწავლის მეთოდები. თანამედროვე პოლიტიკური დისკურსის შესწავლისათვის (როგორც XXI საუკუნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუციონალური დისკურსის) კვლევის თეორიული ანალიზის შედეგად სხვადასხვა კლასიფიკაციების სინთეზის საფუძველზე, შესაძლებელი გახდა ისეთი ძირითადი მიდგომების გამოყოფა, როგორცაა ფუნდამენტალური, დესკრიპტული,

ნორმატიული, კრიტიკული, კოგნიტური, კომუნიკაციური და რიტორიკული. პოლიტიკური დისკურსის შესწავლის მეთოდებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი ასევე უჭირავს ინტერგაციულ საკვლევ მიდგომას ფილოლოგიაში სახელწოდებით - ლინგვორიტორიკული პარადიგმა.

თავის მონოგრაფიაში ე. შეიგალი პოლიტიკური დისკურსის, როგორც ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის ობიექტის კომპლექსურ ანალიზს გვაწვდის. ავტორი პოლიტიკური დისკურსის შესწავლის არსებულ ლინგვისტურ მიდგომებს სამ ძირითად ტიპად ყოფს - დესკრიპციული (პოლიტიკოსების ენობრივი ქცევის რიტორიკული ანალიზი), კრიტიკული (პოლიტიკურ დისკურსში გამოხატული სოციალური უთანასწორობის გამოვლინება) და კოგნიტური (პოლიტიკური დისკურსის კონცეპტების გამოვლენა).

რუსი ლინგვისტი მ. გავრილოვა გამოყოფს პოლიტიკური დისკურსის ლინგვისტური შესწავლის შემდეგ მეთოდებს: კრიტიკული, კოგნიტური, აღწერილობითი და რაოდენობრივი მეთოდები.

„კრიტიკული ლინგვისტები“ ამტკიცებენ, რომ სოციალური წესრიგის გაგება ყველაზე სრულად და ბუნებრივად ენის ძლევამოსილების კრიტიკული გააზრებით მიიღწევა. მათი აზრით, თანამედროვე საზოგადოების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ერთი სოციალური ჯგუფის დომინირება ხორციელდება არა ძალისმიერი მეთოდებით, არამედ შეთანხმებით, იდეოლოგიის მეშვეობით, ენის მეშვეობით. „კრიტიკული ლინგვისტები“ თვლიან, რომ დისკურსი წარმოადგენს საზოგადოებრივი ურთიერთობების განუყოფელ ნაწილს, რადგანაც ერთი მხრივ იგი აყალიბებს ამ ურთიერთობებს, მეორე მხრივ კი, ამ ურთიერთობით თვითონ ყალიბდება. ნებისმიერი დისკურსი განიხილება სამი მხრიდან: როგორც ენის გამოყენება, როგორც განსაზღვრული წარმოდგენების „შესისხლხორცება“ საზოგადოების ცნობიერებაში და როგორც სოციალური ჯგუფებისა და ინდივიდების ურთიერთქმედება. „კრიტიკოსები“ სოციალურ ურთიერთქმედებებს იკვლევენ, აქცევენ რა ყურადღებას ამ ურთიერთქმედების ლინგვისტურ შემადგენელ ელემენტებს. ენობრივი ელემენტების

ანალიზი იმპლიციტურად გამოხატული მიდგომების გამომჟღავნების საშუალებას იძლევა სოციალური ურთიერთობების სისტემაში და დისკურსის ამ სისტემაზე ზემოქმედების ფარულ ეფექტებს ავლენს.

პოლიტიკური დისკურსის კვლევის შემდეგი მეთოდი არის კოგნიტიური ანალიზის მეთოდი. ამ მეთოდს საფუძვლად უდევს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ადამიანის კოგნიტიური სტრუქტურები (აღქმა, ენა, აზროვნება, მეხსიერება, მოქმედება) განუყოფლად დაკავშირებულია ერთმანეთთან ერთი საერთო ამოცანის ფარგლებში - აღქმის პროცესების, ცოდნის გადამუშავება და ტრანსფორმაცია, რომლებიც, შესაბამისად, განსაზღვრავენ ადამიანის ცნობიერების არსს (Сергеев 2001:19).

კოგნიტიური მეთოდის თვალსაზრისით ხდება სტერეოტიპების კვლევა, რომლებიც ჩადებულია პოლიტიკურ რწმენებში. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ პოლიტიკური დისკურსი ერთი მხრივ, იდეოლოგიებით კონტროლირდება (მაგალითად დემოკრატია, ლიბერალიზმი, სოციალიზმი) სოციალური პოზიციების დახმარებით, ხოლო მეორე მხრივ, კონკრეტული მოვლენების მენტალური მოდელებითა და კომუნიკაციური სიტუაციის კონტექსტუალური მოდელებით. ამასთან დაკავშირებით იდეოლოგიური ანალიზი მოისაზრებს პოლიტიკური დისკურსის შემდეგ ასპექტებს:

- ის დონეები, სტრუქტურები, სტრატეგიები თუ ნაბიჯები, რომლებშიც იდეოლოგიური წრმენები ვლინდება დისკურსში; და
- სხვადასხვა იდეოლოგიის ურთიერთმიმართების არსებობის დისკურსული მტკიცებულებანი (Гаврилова 2002:68).

პოლიტიკური დისკურსის ლინგვოდეოლოგიური ანალიზი, როგორც წესი, ინდივიდუალური დისკურსის მასალაზე ხორციელდება, ამიტომ გასაგებია, რომ პოლიტიკოსის დისკურსში შესამღებელია სხვადასხვა იდეოლოგიების ზემოქმედების ამოკითხვა. ლინგვისტის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გამოავლინოს ის იდეოლოგიები, რომლებთანაც პოლიტიკოსი საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენს (როგორც კონსერვატიული პარტიის წევრი, ან რასისტი, ან ანტიფემინისტი და ა.შ.). ასევე ლინგვისტისთვის საინტერესოა ხდება თუ არა გარკვეული იდეოლოგიის

ექსპლიციტურად ფორმულირება, თუ იმპლიციტურად ჩართვა პოლიტიკოსის დისკურსში. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ პოლიტიკურ დისკურსებში შეიძლება დემონსტრირებული იყოს როგორც ინტერტექსტუალობა, ასევე ინტერიდეოლოგიურობა. ლინგვისტისათვის მნიშვნელოვანია იმ უნიკალური საშუალებების ექსპლიციტირება, რომელთა მეშვეობითაც ურთიერთმოქმედებენ იდეოლოგიები კონკრეტული პოლიტიკოსის დისკურსის თუ მთლიანობაში პოლიტიკური დისკურსის ჩამოყალიბების პროცესში. ტ. ვან დეიკი მიიჩნევს, რომ პოლიტიკური დისკურსის იდეოლოგიური ანალიზისათვის ყველაზე საინტერესო მასალას საპარლამენტო დებატები წარმოადგენს, იმდენად, რამდენადაც დებატები არის პოლიტიკური პარტიების წევრების სოციალური შეცნობის გამოხატულება (Dijk 1998:64).

კოგნიტური ანალიზი საშუალებას გვაძლევს ჩავწვდეთ როგორც ხალხის აზროვნებას, ასევე სოციალურად მნიშვნელოვან ქმედებებს, რაც თავის მხრივ პოლიტიკური პროცესების მოდელირების საშუალებას გვაძლევს. პოლიტიკური პროცესების კოგნიტური მოდელირების პრობლემა ყალიბდება, როგორც კორელაციის ძიება „ტექსტის ლინგვისტურ სტრუქტურებსა და მისი ავტორის წარმოდგენების სტრუქტურებს შორის“ (Паршин 1987:9).

პოლიტიკური დისკურსის ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზით უნდა გაირკვეს, თუ როგორ ვლინდება ლინგვისტურ სტრუქტურებში ადამიანის ცოდნის სტრუქტურა სამყაროს შესახებ, ადამიანის, სოციალური ჯგუფისა თუ საზოგადოების პოლიტიკური წარმოდგენები. კოგნიტური ანალიზის ტექნიკა გარე სამყაროს შესახებ ადამიანის წარმოდგენების რეკონსტრუირების საშუალებას იძლევა, მისი სიმპათიები/ანტიპათიები, ღირებულებები, ასევე პოლიტიკური სიტუაციის შესახებ განსჯის საშუალებას იძლევა, იმდენად რამდენადაც ლიდერის სამყაროს შიდა მოდელები პოლიტიკური სიტუაციის ობიექტური სურათის ნაწილი ხდება.

პოლიტიკის ენის კონცეპტუალური ანალიზი წარმოადგენს პოლიტიკური ლინგვისტიკის შედარებით აქტუალურ ამოცანას. დღეისათვის შეიძლება გამოიყოს კონცეპტუალური ანალიზის რამდენიმე მეთოდოლოგიური მიმართულება, მაგალითად

ისტორიულ-ეტიმოლოგიური მიმართულება. ამ ანალიზის ფარგლებში, ძირითადად ხდება სოციალური თეორიების ცნებების პოლიტიკურ ტექსტებში გამოყენების საშუალებებისა და მათში ჩადებული შინაარსობრივი სხვაობების კვლევა. ასეთი ცნებების რიგს განეკუთვნება თავისუფლება, დემოკრატია, რევოლუცია, პარლამენტარიზმი, კლასობრივი ბრძოლა, მშვიდობა, ეროვნება, პროგრესიული/რეაქციული და სხვა მრავალი. მოცემული მიმართულება დაკავშირებულია ცნების ევოლუციის კვლევებთან, გამოყენებადი ცნებების კონტექსტების განხილვებთან. იგი გამიზნულია იმ ისტორიული გარემოს ფუნდამენტალური შესწავლისათვის, რომელშიც ვითარდება ცნება, ასევე მისი სემანტიკური ველის დეტალური კვლევა. სხვა მიმართულება, რომელიც კოგნიტიურ მეთოდებს ეფუძნება, მიმართულია აზრის იერარქიული სტრუქტურების აღდგენისაკენ, რომლებიც წარმოდგენილია რომელიმე მაღალი დონის ენის ფარგლებში. მოცემული მიდგომის მიზანია - პოლიტიკური სიტუაციის მოდელირება, კოგნიტიური სქემის რეკონსტრუირება, ანუ „იმ მინიმალური პირობების აღწერილობა, რომელთა პირობებშიც შესაძლებელი ხდება ამა თუ იმ ცნების გამოყენება“ (Сергеев 2001:19).

რაც შეეხება აღწერილობით მეთოდს, მოცემული მეთოდის ფარგლებში შედარებით ნათლად და სრულადაა წარმოდგენილი პოლიტიკური დისკურსის შესწავლისადმი რიტორიკული მიდგომა, რაც სავარაუდოდ პოლიტიკური ტექსტის ძირითადი - სამეტყველო ზემოქმედების ფუნქციით აიხსნება. ლინგვისტებს აინტერესებთ, თუ რომელი სამეტყველო საშუალებები გამოიყენება ამა თუ იმ თავსმოხვეული პოლიტიკური წარმოდგენების ავტორის მიერ, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას თანამოსაუბრის ცნობიერების კონტროლისათვის. როგორც ჩანს, მოცემული მეთოდის ლინგვისტური მიმართულებების ფართო წარმოდგენილობა აიხსნება სინამდვილის ალტერნატიული წარმოდგენის ენობრივი საშუალებების მრავალფეროვნებით. პოლიტიკური ლიდერების გამოსვლების ლინგვისტური კვლევების ლინგვოპრაგმატიკის ფარგლებში, მეცნიერები აღწერენ პოლიტიკოსების სამეტყველო ქცევებს, შეისწავლიან პოლიტიკურ საქმიანობაში რიტორიკულ სტრატეგიებს, ახდენენ

პოლიტიკური ენობრივი პიროვნების რეკონსტრუირებას. ლინგვისტიკური მიმართულებები შეისწავლიან ენობრივი სისტემის სტილისტურად მარკირებულ ელემენტებს (ყოველდღიური სიტყვები; ვიწრო-სპეციალიზებული სამეცნიერო, ტექნიკური, ხელოვნების ტერმინები; სიტყვები, რომელთა გამოყენება შეიძლება სალიტერატურო მეტყველების მხოლოდ განსაზღვრული სტილით) და მათი შინაარსის, კონოტაციისა და ასოციაციის დამახასიათებელ ემოციურ და ექსპრესიულ კომპონენტებს მათი გამომყენებელი პირის სიმპათიებისა და ანტიპათიების ურთიერთმიმართების თვალსაზრისით. გარე სამყაროს გააზრება და ვერბალიზაცია უშვებენ მოვლენების ალტერნატიულ ხედვას, და პოლიტიკოსები ამ მიზნით აქტიურად იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებას.

პოლიტიკური დისკურსის კოგნიტური ასპექტების შესწავლა, გამოვლენა და აღწერა შესაძლებელია კონგნიტურ-დისკურსული ანალიზის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდი შეიძლება შეეხოს ნებისმიერ ვერბალურ ან არავერბალურ გამონათვამს, რომელიც ორიენტირებულია სხვა ინდივიდთან ურთიერთობის დამყარებაზე. ესა თუ ის გამონათქვამი თავისთავად აკუთვნებს მოსაუბრეს გარკვეულ სოციალურ ჯგუფს, რადგანაც ავლენს გარკვეულ სოციალურ კონტექსტში გამოსაყენებელი ენის სფეციფიკას (Шапочкин 2012:88).

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ობიექტის თავისებურებიდან გამომდინარე გამოვიყენეთ სხვადასხვა მეთოდი, მათ შორის: დისკურსის ანალიზი, კონტენტ ანალიზი, კოგნიტური ანალიზი, ტექსტის ლინგვისტიკური ანალიზი, შედარებითი ანალიზი, ასევე თარგმანისა და ორიგინალის შეპირისპირებითი ანალიზი. თუმცა ჩვენი ნაშრომის საბაზისო მეთოდს წარმოადგენს სწორედ შედარებითი კოგნიტურ - დისკურსული ანალიზი, რომელმაც საშუალება მოგვცა გამოგვევლინა გარკვეული მსგავსებება-განსხვავებანი ქართულ წინასაარჩევნო დისკურსში სხვადასხვა პერიოდში (კერძოდ 1991 წ. 1995 წ. და 2003 წ.) და ორიგინალისა და თარგმანის შეპირისპირებითი ანალიზი, რამაც საშუალება მოგვცა გამოგვევლინა ის

მთარგმნელობითი სტრატეგიები, რომელთა მეშვეობითაც მიიღება გარკვეულწილად განსხვავებული პრაგმატული მნიშვნელობის ტექსტი.

ამრიგად, ჩვენ მიერ განხილული თეორიების საფუძველზე, შეგვიძლია აღვნიშნოთ რომ პოლიტიკური დისკურსი, როგორც ინსტიტუციონალური დისკურსის ერთ-ერთი სახე, წარმოადგენს კვლევის რთულ ობიექტს, რამდენადაც იგი დისციპლინათშორისი კვლევის საგანია (პოლიტოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, თარგმანმცოდნეობა, ანთროპოლოგია, სოციოლოგია).

პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს იმ სამეტყველო აქტების ერთიანობას, რომელიც იქნება და გამოიყენება პოლიტიკურ ინსტიტუციონალურ გარემოში. ხოლო პოლიტიკური ენა ნებისმიერი ენის განსაკუთრებულ ნიშანთა სისტემაა, რომელიც გამიზნულია პოლიტიკური კომუნიკაციისათვის - ამა თუ იმ იდეის პროპაგანდისთვის, საზოგადოებაზე ემოტიური ზემოქმედებისათვის. თუმცა ენა, რომელიც პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით ან პოლიტიკური მიზნებით გამოიყენება, ყოველდღიური ენისაგან განუყოფელია.

პოლიტიკური საქმიანობა მიმართულია სახელმწიფოში ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისაკენ. მისი ფუნქცია პოლიტიკოსების მხრიდან მიმღები საზოგადოების დარწმუნებაში და მასზე ზემოქმედებაში გამოიხატება. ამ თვალსაზრისით განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკოსის მიერ თავისი მოსაზრებების საზოგადოებისათვის მისაღები ფორმით მიწოდებას და ამ საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სტერეოტიპების ჩარჩოებში მოქცევას. ამიტომაც, მასობრივ საზოგადოებაზე პოლიტიკური იდეის მოხვევა შესაძლებელია მხოლოდ სტერეოტიპების ფორმის სახით, რომელთა ფორმირებაც მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიზანმიმართული ქმედებებით ხდება: ეს ფაქტორი მნიშვნელოვანია მაშინ, თუ საზოგადოების ცნობიერებასა და პოლიტიკურ საქმიანობაში შედარებით ერთგვაროვანი, სტერეოტიპული რეაქციის გამოწვევა წარმოადგენს ძირითად მიზანს. ამიტომაც, პოლიტიკური დისკურსი იმ სამეტყველო აქტების ერთიანობაა, რომლებიც იქმნებიან და ფუნქციონირებენ პოლიტიკურ ინსტიტუციონალურ გარემოში.

თავი II. პოლიტიკური დისკურსის ენა - სტერეოტიპული ხედვის ფორმირების იარაღი

2.1. ქართული სტერეოტიპული ხატების ფორმირების ძირითადი ფაქტორები

ჩვენი ნაშრომის მოცემულ ნაწილში საუბარი გვექნება ქართულ პოლიტიკურ დისკურსში ერთი მხრივ, საზოგადოების ცნობიერებაში არსებული სტერეოტიპებით აპელირების მეთოდებზე და მეორე მხრივ, პოლიტიკური სტერეოტიპების ფორმირებისა და მათი ტრანსფორმაციის მოდელებზე. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული პრობლემის თეორიული საფუძვლებისა და კონკრეტული ემპირიული მასალის კვლევის შედეგების შეჯერების საფუძველზე გამოვლინდა, რომ წარმატების მისაღწევად პოლიტიკოსი ცდილობს დაარწმუნოს აუდიტორია (ელექტორატი) საკუთარი მოსაზრებების მართებულობაში, იმაში, რომ მის მიერ გამოკვეთილი პრობლემა რეალურია და სწორედ მის მიერ შემოთავაზებული გზა წარმოადგენს საუკეთესო გამოსავალს. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ავტორი იყენებს როგორც ლოგიკურ, ასევე ავტორიტეტული სიმბოლოებისადმი მიმართვის არგუმენტებს, ემოციურ ხატებს, რიტორიკულ განმეორებებს. უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკურ ტექსტში გამოყენებული ხერხების ეფექტურობა განისაზღვრება ადრესატის, ამ შემთხვევაში საზოგადოების წარმოდგენლების, შეხედულებებთან სიახლოვით. დავეთანხმებით ტეოდორ უინდტს (Theodore O. Wind), რომელიც აღნიშნავდა, რომ ხალხი ნაკლებად ინტერესდება იმით, ლოგიკურია თუ არა მოყვანილი არგუმენტი. ხალხს ისეთი არგუმენტების მოსმენა უნდა, რომელიც მათი რწმენების, წარმოდგენების, მათი საქმიანობის სასარგებლოდ არის მოყვანილი. რიტორიკული მსჯელობები წარმოიშვება პირადი შეხედულებების, საზოგადოებრივი აზრის, ღირებულებების, კანონების, წეს-ჩვეულებების საფუძველზე (Алтуниан 2006:56). სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოლიტიკოსს უწევს სტერეოტიპებთან მუშაობა. ზუსტად ამ პრინციპს ვეყრდნობოდით ჩვენს ნაშრომში ქართული პოლიტიკური დისკურსის ანალიზის დროს.

ამასთანავე, მიგვაჩნია, რომ პოლიტიკური სტერეოტიპების ცვლისა და ფორმირებასთან დაკავშირებით, სტერეოტიპის ფენომენის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია წინასაარჩევნო პერიოდში. სწორედ არჩევნების პერიოდში ხდება გარკვეული სტერეოტიპული წარმოდგენების ცვლილებისათვის საფუძვლის ჩაყრა. სწორედ არჩევნების პერიოდში ცდილობენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები საზოგადოებაზე ზემოქმედების მოხდენას საკუთარი მიზნის მისაღწევად, კერძოდ კი არჩევნებში წარმატების მოპოვებისათვის. ამიტომაც, კონკრეტული მასალის ანალიზის დროს, ჩვენ საორიენტაციოდ ავიღეთ წინასაარჩევნო პერიოდის გამოსვლები და მიმართვები.

პოლიტიკურ სტერეოტიპთა ფორმირებისა და ცვალებადობის პროცესი ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური თუ საზოგადოების ცხოვრების სოციალური პირობების ცვლილებას უკავშირდება. როგორც დ. ოლშანსკი აღნიშნავს, თითოეული სოციალურ-პოლიტიკური სისტემა ქმნის განსაზღვრულ სტერეოტიპებს, რომელთა საზოგადოებაში შენახვა/კონსერვირებაც უზრუნველყოფს მოცემული პოლიტიკური სისტემის წარმატებულ ფუნქციონირებას. გარკვეული იდეის მუდმივი დეკლარირება და ამ იდეის თავს მოხვევის სტანდარტული ერთფეროვანი მეთოდი განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულებას კონკრეტული სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებისადმი, ობიექტებისადმი თუ პრობლემებისადმი. ჩამოყალიბებული დამოკიდებულება და მიდგომა აღიქმება როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური კანონი და „ჭეშმარიტება“ - პოლიტიკური ქცევის ნორმა, ღირებულება და ეტალონური ერთეული. ეს ერთეული მუდმივად მეორდება და გამოიყენება პოლიტიკური ელიტის მიერ, ვრცელდება მასობრივი საინფორმაციო-პროპაგანდისტული საშუალებებით და მტკიცდება ოფიციალური ორგანოებით საზოგადოების წევრების ერთგვაროვან ნორმატიულ-დაქვემდებარებულ მდგომარეობაში შენარჩუნების მიზნით. ასეთი გზით ჩამოყალიბებულ სტერეოტიპთა ერთობლიობა მოცემული საზოგადოების იდეოლოგიურ ან იდეურ-პოლიტიკურ საფუძველს აყალიბებს (Ольшанский, 2001:50). აღნიშნულის გათვალისწინებით, საარჩევნო კანდიდატის მიერ ხდება საზოგადოებაში

არსებული პოლიტიკური სტერეოტიპების მსხვრევა და ახალი სტერეოტიპების ფორმირების საფუძვლის ჩაყრა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა, როდესაც სახელმწიფოს პოლიტიკური სიტუაცია ან მოქმედ პარტიას ოპოზიციური პარტია ჩაანაცვლებს.

ჩვენ მიერ შერჩეული მიდგომებიდან გამომდინარე, გაანალიზებული იყო საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ძირეული ცვლილებების პერიოდები (თანმხლები მიმდინარე მოვლენებითურთ) და ემპირიულ მასალად გამოყენებულ იქნა საქართველოს სამი საპრეზიდენტო კანდიდატის (მომავალი პრეზიდენტების) ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის წინასაარჩევნო პერიოდების გამოსვლები, მიმართვები, ოფიციალური წერილები, განცხადებები ინტერვიუები და სხვ. ჩვენ შევეცადეთ კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით გამოგვევლინა ზემოაღნიშული თითოეული კანდიდატის მიერ გამოყენებული ტენდენციური ხერხები და მეთოდები ამა თუ იმ პოლიტიკური სტერეოტიპული წარმოდგენის ფორმირების მიზნით, ასევე მათ მიერ საზოგადოებისადმი მიმართვებში ეროვნული სტერეოტიპების ინტეგრირება, როგორც მათი საქმიანობის (ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი საზოგადოების აგიტაციის) ერთ-ერთი ელემენტი.

მასალების წყაროების შესარჩევად ჩვენ მიერ შერჩეული პერიოდების (1991, 1995 და 2002 წწ) საზოგადოებრივ პოლიტიკურ გაზეთებს გავეცანით, მათ შორის: „ახალი საქართველო“, „მოლოდიოჟ გრუზიი“, „ზარია ვოსტოკა“, „დრონი“, „7 დღე“ „საქართველოს რესპუბლიკა“ და სხვ. გაზეთების მიმოხილვის შედეგად გამოვლინდა, რომ ჩამოთვლილი გაზეთებიდან ჩვენთვის საჭირო მასალა (საპრეზიდენტო კანდიდატების გამოსვლებისა და მიმართვების ტექსტები) შედარებით სრულყოფილად მხოლოდ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ იყო წარმოდგენილი, რასაც ის გარემოება განაპირობებდა, რომ ზვიად გამსახურდიას და ედუარდ შევარდნაძის მიმართველობის პერიოდში, ეს გაზეთი ოფიციალური გამოცემის ფუნქციას ასრულებდა. მასში დეტალურად შექდებოდა სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენები, მათ შორის საქართველოს საპრეზიდენტო

კანდიდატების წინასაარჩევნო ტექსტების უმეტესი ნაწილი. აღნიშნულის გარდა ხელმისაწვდომი იყო ასევე პირველი ორი პრეზიდენტის საქმიანობის ამსახველი გამოცემები¹, მოგონებები² და სხვ., თუმცა ჩვენი კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, გამოვიყენეთ ის წყაროები, რომლებიც პრეზიდენტების წინასაარჩევნო საქმიანობას უშუალოდ ეხებოდა.

რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილის წინასაარჩევნო მასალებს, ისინი აღებულია გაზეთიდან „24 საათი“, ვინაიდან „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ახალი პოლიტიკური რეჟიმის პირობებში „საქართველოს რესპუბლიკა“ კარგავს ოფიციალური გამოცემის სტატუსს და ძირითადი ინფორმაცია, მართალია შეზღუდულად, მაგრამ გაზეთ „24 საათში“ ქვეყნდება. აღსანიშნავია, რომ მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო საქმიანობის ამსახველი მასალები, რომლებიც განთავსებული იყო საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ხელმიუწვდომელი გახდა, რამაც გარკვეულწილად სირთულეები შექმნა მასალების მოპოვების თვალსაზრისით.

ჩვენ მიერ საკვლევად შერჩეული მასალა საკმაოდ მრავალფეროვანი თემატიკისაა. იგი აერთიანებს კანდიდატების პოზიციას სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ცხოვრების უმეტესს ასპექტებთან დაკავშირებით. განსაკუთრებით საპრეზიდენტო პროგრამები, პლატფორმები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი საპრეზიდენტო კანდიდატის სამომავლო სამოქმედო გეგმა სახელმწიფოს საშინაო თუ საგარეო კურსთან დაკავშირებით. თუმცა მასალების ანალიზმა საშუალება მოგვცა გამოგვეყო რამდენიმე განმეორებადი თემატური ბლოკი, რომლებიც დამახასიათებელი იყო ჩვენ მიერ შერჩეული სამივე საარჩევნო კანდიდატისათვის. ეს ბლოკებია:

¹ მაგ., საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები. ოფიციალური, მიმართვები და ინტერვიუები. ტომი II. ზვიად გამსახურდია. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა. თბილისი. 2013.

² მაგ., ფიქრი წარსულსა და მომავალზე : მემუარები (ავტორი). - თბილისი, პალიტრა L, 2006., ჩემს უძვირფასეს "საგანს" საქართველო ჰქვია (ავტორი). - თბილისი, საქართველო, 2000., დიდი აბრეშუმის გზა : TRACECA, PETRA. ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი. ევრაზიის საერთო ბაზარი. პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები (ავტორი). - თბილისი, მეცნიერება, 1999.

1. საკუთარი თავის ხატი - ეს ის ნაწილია, სადაც კანდიდატები საკუთარ თავს აცნობენ საზოგადოებას და შესაბამისად ხდება საკუთარი თავის შესახებ გარკვეული შეხედულებები (ნაწილობრივ სტერეოტიპის) ფორმირება;

2. ოპონენტების ხატი - კანდიდატების მიერ ხდება ოპონენტების შესახებ გარკვეული ინფორმაციის გაცელება და, შესაბამისად, მათი ხატის შექმნა. ამ პროცესში ოპონენტების ნეგატიური მხარეებით აპელირება, კანდიდატებს საშუალებას აძლევდა კიდევ ერთხელ წარმოეჩინათ საკუთარი თავი და შესაბამისად მოეხდინათ ზემოქმედება ამომრჩეველზე;

3. ქართველი ერის ხატი - კანდიდატების წინასაარჩევნო ტექსტების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ზოგადად ხალხის თემა მნიშვნელოვანი იყო კანდიდატებისთვის, იმდენად, რამდენადაც ხალხი წარმოადგენდა იმ წყაროს და ძალას, რომელიც მათი მიზნების განხორციელებისათვის იყო საჭირო. ამ თვალსაზრისით კანდიდატები მიმართავდნენ ისეთ ხერხებს, როგორცაა: ხალხის ქება, მობილიზება; ასევე ეროვნული სტერეოტიპებით აპელირება, რადგან მიიჩნევა, რომ ამ საშუალებით ხდება საზოგადოებაზე ძლიერი ემოციური ზემოქმედება.

სამი კანდიდატის წინასაარჩევნო დისკურსების ანალიზს წარმოვადგენთ ქრონოლოგიურად და დავიწყებთ საქართველოს პირველი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას წინასაარჩევნო პერიოდით. ნაშრომის მოცულობიდან გამომდინარე წინასაარჩევნო ტექსტებიდან წარმოვადგენთ მხოლოდ რამდენიმე, ჩვენი აზრით, ყველაზე გამორჩეულ მაგალითს.

2.2. სტერეოტიპების ფორმირება ზვიად გამსახურდიას 1991 წლის წინასაარჩევნო მასალების მიხედვით

საკვალიფიკაციო ნაშრომის მოცემული ნაწილი ეძღვნება საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, წინასაარჩევნო მასალების ანალიზს სტერეოტიპული ხატების ფორმების გამოყენების თვალსწრისით.

ზვიად გამსახურდიას წინასაარჩევნო პერიოდი იმით გამოირჩევა, რომ მისი ქვეყნის სათავეში მოსვლა სახელმწიფოს ძირეული პოლიტიკური ცვლილებების ფონზე ხდებოდა - საქართველო დანგრევის პირას მისული საბჭოთა კავშირისგან გამოყოფისა და დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე იდგა; ამ პირობებში საზოგადოებას სჭირდებოდა ძლიერი ლიდერი, რომელიც შეძლებდა შექმნილი პოლიტიკური კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანას, საზოგადოების მობილიზებას და მასზე ზემოქმედებას. ამ მიზეზით ზვიად გამსახურდიას ამოცანას ხალხის მენტალური სურათის ძირეული შეცვლა წარმოადგენდა. ეს სურათი საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესვლის დღიდან სოციალიზაციის სხვადასხვა ფორმების გავლენით ყალიბდებოდა.

აღნიშნული მოსაზრების განმტკიცებას წარმოადგენილი ანალიზითა და მიღებული შედეგებით შევეცდებით. მასალებში ჩვენ მიერ გამოყოფილი თემატური ბლოკებიდან პირველად კანდიდატის მიერ საკუთარი თავის შესახებ სტერეოტიპული წარმოდგენების ფორმირების მოდელები და მეთოდები გვინდა განვიხილოთ:

საკუთარი თავის ხატის შექმნა (პიროვნული ავტოსტერეოტიპის ჩამოყალიბება).
ზვიად გამსახურდიას წინასაარჩევნო მასალების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს ქვეყანაში შექმნილ უმძიმეს მდგომარეობაზე საუბარი წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის საერთო მძიმე პოლიტიკურ სიტუაციაზე მითითება ჩვენ მიერ შერჩეული ყველა საპრეზიდენტო კანდიდატის წინასაარჩევნო გამოსვლებში გამოიკვეთა, რაც ჩვენი აზრით, კანდიდატებს საშუალებას აძლევდა წარმოაჩინათ საკუთარი თავი არსებული მდგომარეობის ფონზე და შეექმნათ

გარკვეული სტერეოტიპული წარმოდგენა საკუთარი თავის შესახებ. განვიხილოთ მაგალითი:

„მსურს აღვნიშნო უწინარეს ყოვლისა, რომ არ მინდა ვტოვებდე შთაბეჭდილებას ისეთი ადამიანისას, რომლის ცხოვრების უმთავრესი მიზანი პრეზიდენტობაა. არასოდეს მქონია ასეთი მიზნები. <...> მაგრამ ქვეყნის მდგომარეობამ, ჩვენი ერის დღევანდელმა ვითარებამ განაპირობა ეს ყოველივე“.³

ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითში, გამსახურდია პირდაპირ საუბრობს იმაზე, რომ მას არ აქვს პრეზიდენტის პოსტის დაკავების მიზანი, მაგრამ ქვეყანაში არსებულმა მდგომარეობამ წარმოშვა მისი მოქმედების, რეაგირების აუცილებლობა. მის მიერ ხდება საკუთარი როლის იმპლიციტურად ჩართვა არსებული მდგომარეობის ფონზე. გამსახურდია ტექსტებში საკუთარ თავს ხშირად საქართველოს ინტერესებთან აიგივებს, რის დასტურადაც შეგვიძლია კიდევ ერთი მაგალითი მოვიხმოთ:

„ე.წ. ოპოზიციური საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს ჩემს წინააღმდეგ ბრძოლას, გამოდის საქართველოს წინააღმდეგ და საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ“.⁴

როგორც მაგალითში ვხედავთ, კანდიდატი საკუთარი თავის წინააღმდეგ ბრძოლას საქართველოსა და საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ ბრძოლად აცხადებს.

გამსახურდიას ტექსტების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში იგი საკუთარი თავის პიროვნულ მიღწევებზე ნაკლებად საუბრობს და თავს თანამებრძოლეთა გუნდის – ეროვნული მოძრაობის წევრად წარმოადგენს. შესაბამისად, მიღწეულ წარმატებებზე თუ დასახულ მიზნებზე საუბრისას იგი ყოველთვის გუნდის – საქართველოს ეროვნული მოძრაობის სახელით საუბრობს, რომლის მამოძრავებელი მიზანიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და ქვეყნის მძიმე მდგომარეობიდან გამოხსნა იყო. აღნიშნულის დასტურად გვინდა მაგალითი წარმოადგინოთ:

³ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს ტელევიზიით 1991 წლის 28 აპრილს. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1991. 1 მაისი. N84 (104).

⁴ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენცია საზღვარგარეთის და საქართველოს ჟურნალისტებისათვის 1991 წლის 27 მაისს. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1991. 30 მაისი. N108 (128).

„არჩევისთანავე ახალი ხელისუფლება ურთულესი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, ვინაიდან გარდა ძირითადი სტრატეგიული მიზნის რეალიზაციისა - საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა, მასვე დაეკისრა ქვეყნის გამოხსნა უმძაფრესი კრიზისიდან“.⁵

ამ შემთხვევაში გამსახურდიას მიერ ისევ ხდება მისი მიზნის ხაზგასმა არსებული მდგომარეობის ფონზე. გამსახურდიას დამოუკიდებულება ქვეყანაში არსებული სიტუაციის მიმართ გამოხატულია ნეგატიური კონოტაციის მქონე ლექსიკური ერთეულებით – ურთულესი პრობლემა, უმძაფრესი კრიზისი, რომლებსაც, საკუთარი რეაგირების გამოსახატავად იგი უპირისპირებს უკვე დადებითი კონოტაციის მქონე ლექსიკურ ერთეულებს – დამოუკიდებლობის აღდგენა, გამოხსნა. შესაბამისად მის მიერ ყალიბდება გარკვეული სურათი – არსებული ცუდია, მის მოქმედებას კი დადებითი მოაქვს. განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი:

„ეროვნული ხელისუფლება არჩეულ იქნა ისეთ დროს და ისეთ პირობებში, როდესაც საქართველო ფაქტობრივად სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კატასტროფის ზღურბლთან მიიყვანა საბჭოთა იმპერიალიზმმა, მისმა მბრძანებლურ-ადმინისტრაციულმა სისტემამ“.⁶

ან კიდევ: „...ტოტალიტარული, იმპერიული, კომუნისტური მმართველობა შეცვალა ხალხის მიერ არჩეულმა დემოკრატიულმა, ეროვნულმა მმართველობამ“.⁷

მაგალითებიდან ჩანს, რომ შენარჩუნებულია კანდიდატის ტენდენციურობა საერთო მძიმე ფონზე მისი გუნდის ფაქტორის წარმოჩენისა. კანდიდატის მიერ პირდაპირ ხდება სიტუაციის აღწერა, საერთო ემოციური ფონის შექმნა მის მიერ ხდება ბინარული ოპოზიციით – პოზიტიური და ნეგატიური კონოტაციის ლექსიკური ერთეულებისა და საერთო ნეგატიური და პოზიტიური კონტექსტების შეპირისპირებით, როგორცაა ერთის მხრივ მბრძანებლური, კატასტროფული, იმპერიალისტური,

⁵ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატის ბატონ ზვიად გამსახურდიას საარჩევნო პროგრამა. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1991. 22 მაისი. N99-100 (120).

⁶ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატის ბატონ ზვიად გამსახურდიას საარჩევნო პროგრამა. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1991. 22 მაისი. N99-100 (120).

⁷ იქვე.

ტოტალიტარული მმართველობა და მეორეს მხრივ დემოკრატიული, ეროვნული მმართველობა. შესაბამისად, იგი აპირისპირებს ზოგადი ფონის ნეგატივსა და საკუთარი მეოხებით შესრულებული ქმედებების პოზოტივს. აღსანიშნავია, რომ ზვიად გამსახურდიას გამოსვლების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ კანდიდატი ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას არსებითად უკავშირებს საბჭოთა კავშირის ფაქტორს, უფრო მეტიც საბჭოთა კავშირზე საუბარი კანდიდატის წინასაარჩევნო ტექსტების საყრდენს წარმოადგენს. გამსახურდიასთვის ქვეყნის კეთილდღეობა და ეროვნული ღირებულებები იწყება იქ, სადაც მთავრდება საბჭოთა კავშირი, იგი ქვეყნის კეთილდღეობის საფრთხე და წინსვლის შეფერხების მიზეზია, ამიტომ პირველ რიგში მისგან დამოუკიდებლობა უნდა იქნეს მიღწეული. აქვე გვინდა დავამატოთ, რომ გამსახურდია საბჭოთა კავშირთან პარალელურ კონტექსტში მოიხსენიებს ასევე საბჭოთა რუსეთს, კრემლს, მოსკოვს, ცენტრს, საბჭოთა მთავრობას, რითაც, ვფიქრობთ, იგი ცდილობს უფრო მკაფიოდ წარმოაჩინოს საკუთარი პოზიცია და გააძლიეროს გარკვეული ზემოქმედება საზოგადოების აზრზე. აღნიშნულის დასადასტურებლად წარმოგიდგენთ შემდეგ მაგალითს:

„ის ადამიანები, რომლებიც საუბრობენ საქართველოში შექმნილ მძიმე ეკონომიკურ ვითარებაზე, ცხოვრების დონის დაცემაზე, რატომღაც არასოდეს არ ახსენებენ მთავარ მიზეზს – კრემლს და საბჭოთა იმპერიას, რომლის შემაღენლობაშიც ჯერჯერობით იძულებით ვიმყოფებით...“⁸

ან კიდევ:

„კომუნისტებმა ჩვენ დაგვიტოვეს დანგრეული, დაქცეული, დაქუცმაცებული საქართველო, [...] შრომა და თავისი საყვარელი კულტურა შეაძულა ქართველ კაცს“.⁹

მოყვანილი მაგალითებიდან გამომდინარე – საბჭოთა კავშირი, კრემლი მძიმე ვითარების, დონის დაცემის, საქართველოს დანგრევის, დაქცეულობის, დაქუცმაცებულობის მიზეზია, რომელსაც ქართველა ერმა თავი უნდა დააღწიოს.

⁸ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს ტელევიზიით 1991 წლის 28 აპრილს. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1991. 1 მაისი. N84 (104).

⁹ ვაზი სიმბოლოა საქართველოსი: ზვიად გამსახურდიას სიტყვა სრულად საქართველოს საზოგადოება „კახეთის“ პირველ ყრილობაზე. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1991. 17 მაისი. N96 (116).

სხვაგვარად რომ ვთქვათ, გამსახურდია ცდილობს დაამსხვრიოს ის სტერეოტიპი, რომელიც ათეულობით წლების მანძილზე ყალიბდებოდა საზოგადოების ცნობიერებაში და საფუძველი ჩაუყაროს ახალ სტერეოტიპს, რასაც განვითარებული ისტორიული მოვლენების მიხედვით კიდეც მიაღწია.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ხატთა ბინარული ოპოზიცია გამსახურდიას გამოსვლების თანმდევა და ამასთან დაკავშირებით საინტერესოდ მიგვაჩნია კიდეც ერთი მაგალითი, სადაც კანდიდატი ამომრჩეველს ორ გზას სთავაზობს. ერთი მხრივ იგი აღწერს მისი გუნდის არჩევის შემთხვევაში მოსალოდნელ შედეგს, მეორეს მხრივ კი – გამსახურდიას ამოურჩევლობის შემთხვევაში, სავარაუდო შედეგს:

„...ასე რომ, ჩვენს წინაშეა არჩევანი ერთი მხრივ, **ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობა**, რომელიც ჩვენ გამოვაცხადეთ და რომლის მიზანიც არის სრული და საბოლოო დამოუკიდებლობის მიღწევა და მეორე მხრივ, **კრემლთან და ცენტრთან ელასტიური დამოკიდებულება, შემგუებლობა და საბოლოო ანგარიშით ერის ღალატი**. მე მგონი, არჩევანი გაკეთებულია. დღეს ვერავითარი დემაგოგიით ვერავინ ვერ დაარწმუნებს ქართველ ერს, რომ **პირველი გზა არ არის სწორი** და მეორე გზას უნდა დაადგეს“.¹⁰

მაგალითიდან ვხედავთ, რომ კანდიდატი ამომრჩეველს სთავაზობს ერთი მხრივ ეროვნულ მოძრაობას – რომელსაც იგი დამოუკიდებლობას უკავშირებს, ხოლო მეორე მხრივ კრემლთან, ცენტრთან შემგუებლობას, რაც კანდიდატის მიერ ერის ღალატად სახელდება და საზოგადოების აზრზე ზემოქმედების მიზნით, ხდება პირველი გზის გამართლება და სწორად დასახელება. ამგვარად კანდიდატის მიერ გამოყენებული შეპირისპირება საზოგადოების თავის სასარგებლოდ მობილიზების მიზნით ხდება, შედეგად კი იქმნება გარკვეული ხატი, ამ შემთხვევაში უარყოფითი, ქვეყნის არსებული პოლიტიკური სიტუაციის მიმართ.

წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზვიად გამსახურდიას მიერ საკუთარი თავის შესახებ სტერეოტიპის ფომირება ძირითადად

¹⁰ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს ტელევიზიით 1991 წლის 28 აპრილს. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1991. 1 მაისი. N84 (104).

ხდება შექმნილი მძიმე სიტუაციის ფონზე საკუთარი თავის წარმოჩენით. კანდიდატი საკუთარ თავს ყოველთვის ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლი გუნდის წევრად წარმოაჩენს და ხშირად საქართველოსთან აიგივებს. მის ტექსტებში მკაფიოდ გამოიკვეთება ბინარული ოპოზიცია - „საკუთარი“ პოზიტიური და „სხვისი“ ნეგატიურის შეპირისპირებით, საზოგადოებისათვის ორი უკიდურესობის შეთავაზება, რასაც, როგორც წესი, თან ახლავს მისი შეხედულებით სწორი ვარიანტის გამართლება.

კვლევის შემდეგი რუბრიკა, მეორე თემატური მოდელი - **ოპონენტების ხატია**. საკუთარი თავის ხატის შექმნის მცდელობის გარდა, საარჩევნო კანდიდატის გამოსვლებში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ოპონენტების ხატის შექმნას. გამსახურდიას შემთხვევაში ვხვდებით ოპოზიციის წარმომადგენლების უარყოფითი ფონის ნაწილად წარმოჩენას და შესაბამისად, მათ შესახებ კანდიდატის ნეგატიური დამოკიდებულების გამოვლინებას. ოპონენტების/ოპოზიციის შესახებ ხატის ფორმირება უმეტესწილად ექსპლიციტურად ხდება, ნეგატიური ლექსიკური ერთეულების მოშველიებით, რაც შეგვიძლია შემდეგი მაგალითებით წარმოვადგინოთ:

„ის ადამიანები, რომლებიც საუბრობენ საქართველოში შექმნილ მძიმე ეკონომიკურ ვითარებაზე, ცხოვრების დონის დაცემაზე <...> ცდილობენ გადმოიტანონ ბრალდებების მთელი სიმძიმე საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებაზე, მთავრობაზე – ამას სჩადიან უპირველეს ყოვლისა, სწორედ კრემლის მოციქულები, რომელთა მიზანია დისკრედიტაცია ჩვენი ხელისუფლებისა და ჩვენი მთავრობისა“.¹¹

ან კიდევ ერთი მაგალითი:

„...**ოპოზიცია**, რომელიც ცდილობს ჩვენი ხელისუფლების, ჩვენი ეროვნული მოძრაობის **დისკრედიტაციას**, ხშირად **ეხმარება ამ მტერს** და შედეგად სახეზეა – არის ცალკეული **გაუგებრობანი**, არის ცალკეული ექსცესები, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ ჩვენი **გათიშვა**, ჩვენი **ეროვნული მოძრაობის** ცალკეული **წარუმატებლობანი**“.¹²

¹¹ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს ტელევიზიით 1991 წლის 28 აპრილს. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1991. 1 მაისი. N84 (104).

¹² საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს ტელევიზიით 1991 წლის 8 მაისს. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1991. 10 მაისი. N91 (111).

როგორც წარმოდგენილი მაგალითებიდან ვხედავთ, კანდიდატი ოპოზიციის წარმომადგენლებს „კრემლის მოციქულებად“ მოიხსენიებს, კრემლი კი ზოგადად გამსახურდიას დისკურსში მტერია, ბოროტებაა. ზოგადად, ოპოზიციის ცენტრთან კავშირი ზვიადის არაერთ გამოსვლაშია ნახსენები, რითაც იკვეთება კანდიდატის საერთო დამოკიდებულება ამ ობიექტის მიმართ. ოპოზიციის შესახებ საუბრისას გამსახურდია იყენებს ნეგატიური კონოტაციის მქონე ისეთ ლექსიკურ ერთეულებს როგორცაა - დისკრედიტაცია, გათიშვა, წარუმატებლობანი, ეხმარება მტერს. კანდიდატის მიერ ხდება ჩვენ - ხელისუფლებისა, ეროვნული მოძრაობისა და ისინი - ოპოზიციის ერთმანეთისაგან გამიჯვნა, სადაც ისინი მტრის სასარგებლოდ მოქმედი, მტრის მიერ ინსპირირებული, ცრუ ინფორმაციის გამავრცელებლები ჩვენ წინააღმდეგ მოქმედი ობიექტები არიან. ოპოზიციის შესახებ უარყოფითი ხატის შექმნა, ჩვენი აზრით კანდიდატისათვის საკუთარი თავის შესახებ საჭირო სტერეოტიპული წარმოდგენის შექმნის აუცილებელი ელემენტია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ოპონენტების შესახებ სტერეოტიპული წარმოდგენების ფორმირების პროცესი, საკუთარი თავის შესახებ სტერეოტიპის ფორმირების მეთოდის მსგავსად სართო უარყოფით ფონზე იშლება, სადაც ოპოზიციური ძალები ამ უარყოფითი სურათის მთავარი ელემენტია. იგი გამსახურდიას მიერ წარმოჩენილია, როგორც ზოგადად სამშობლოს მტრის - კრემლის, რუსეთის, საბჭოთა კავშირის დამხმარე ძალა, რომელიც მისი აზრით უგულვებელყოფილი უნდა იქნეს საზოგადოების მიერ. უარყოფით ფონზე საკუთარი თავისა და ოპოზიციის ადგილის წარმოჩენის ტენდენციურობას თან ახლავს კანდიდატის მიერ საზოგადოების „ჩვენ“ და „ისინი“ ჯგუფებად დაყოფა, სადაც საკუთარ თავს იგი ჩვენის ნაწილად წარმოაჩენს, ოპოზიციას კი ისინის რიგებში აერთიანებს. შესაბამისად გამსახურდია საზოგადოების ნაწილია, რომლის მიზანიცაა ქვეყნს გადარჩენა, ოპოზიცია კი იმ სხვათა ჯგუფის ნაწილია, რომლისგანაც საზოგადოებას თავი შორს უნდა ეჭიროს. სახეზე ისევ ბინარული ოპოზიცია გვაქვს, რაც ზვიად

გამსახურდიას წინასაარჩევნო დისკურსის მთავარ ტენდენციურ ნიშანთვისებად შეგვიძლია განვიხილოთ.

ჩვენი თემატური ბლოკებიდან მესამეს **ქართველი ერის ხატს** წარმოადგენს, რომელიც ზვიად გამსახურდიას წინასაარჩევნო ტექსტების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ხალხის მხარდაჭერისა და თანადგომის თემა ზოგადად ფონურია გამსახურდიას დისკურსში, რითაც კანდიდატი ცდილობს წარმოაჩინოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ხალხის ნებასა და მის მოქმედებებს შორის. ტექსტებში ვხვდებით კანდიდატის მიერ თავისი ქმედებების ხალხის თანადგომით გაძლიერებას, რის დასტურადაც გვინდა შემდეგი მაგალითი მოვიყვანოთ:

„ჩვენ ვდგავართ საქართველოს ისტორიის გზის გასაყარზე, სადაც ქართველი კაცი კიდევ ერთხელ ამბობს უარს ამქვეყნიურ, ფიზიკურ კეთილდღეობაზე, სულისმიერი, ეროვნული აღორძინების სახელით. აღორძინება კი განახლებისა და საკუთარი ქეშმარიტი მეობისაკენ დაბრუნებას ნიშნავს“.¹³

მოცემულ მაგალითში ვხედავთ გამსახურდიას მიერ ქვეყანაში არსებულ სოციალურ - პოლიტიკურ ფონზე ხალხის ჩართულობის წარმოჩენას, იგი ხალხის სახელით საუბრობს - **ქართველის კაცი** რთულ გზას ირჩევს **ეროვნული ღირებულებების** სახელით. ამ შემთხვევაში გამსახურდია იმპლიციტურად რთავს თავის როლს – იგი პირდაპირ არ ასახელებს საკუთარ თავს, მაგრამ ამართლებს ხალხის მოქმედებას, ხალხის მოქმედება კი მთავრობის მოწოდების შედეგია და ქმედებების ლეგიტიმაციის წყაროა. განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი:

„საპრეზიდენტო არჩევნებში მოპოვებული შთამბეჭდავი გამარჯვებების ერთ-ერთი საწინდარი გახდა **ხალხის საყოველთაო მხარდაჭერა** იმ ძირეული რეფორმებისადმი, რომელთაც არჩევნებისთანავე ახორციელებენ **საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და მთავრობა**.“¹⁴ ან კიდევ: ჩვენც გამოვთქვამთ იმედს, რომ საქართველოს **მოსახლეობა დადგება** მის მიერ არჩეული **ხელისუფლების გვერდით**,

¹³ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე 1991 წლის 7 ივნისს. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1991. 11 ივნისი. N114 (134).

¹⁴ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე 1991 წლის 7 ივნისს. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1991. 11 ივნისი. N114 (134).

რათა რაც შეიძლება სწრაფად იქცეს რეალობად ჩვენი ხალხის საუკუნოვანი მიზანი - თავისუფალი და ეკონომიკურად აყვავებული საქართველო¹⁵.

მაგალითებში კანდიდატი პირდაპირ ანუ ექსპლიციტურად საუბრობს ხალხის მხრიდან ხელისუფლების კურსის მხარდაჭერაზე და გამოთქვამს ხალხის თანადგომის იმედს. ისევ ხდება ხელისუფლების როლის ჩართვა, რომელიც მოქმედებს ერის ინტერესებიდან გამომდინარე.

ზვიად გამსახურდიას წინასარჩევნო ტექსტების შესწავლის საფუძველზე გამოვლინდა, რომ იგი არაერთხელ მიუთითებს ქართველი ერის თვისებებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტებში ვერსად ვერ ვხვდებით კანდიდატის მიერ ერის ნეგატიურ კონტექსტში მოხსენებას, რაც, ვფიქრობთ, საზოგადოების მანიპულირების ხერხია. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

„ბოლო სამოცდაათი წლის მანძილზე ქართველი ხალხის მიმართ შეგნებულად ტარდებოდა პოლიტიკა, რომლის მიზანიც იყო მისი ეროვნული და კულტურული გადაგვარება. მიუხედავად ამისა, ქართველმა ერმა შეძლო არა მარტო თავისი ეთნოკულტურული თვითმყოფადობის, არამედ გარკვეულად ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებაც“¹⁶.

მოყვანილ მაგალითში კანდიდატი საუბრობს ქართველი ერის გამძლეობაზე, ამტანობაზე. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, გამსახურდიას ტექსტებში ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით საუბარი იმლება უარყოფით ფონზე, რასაც ზემოხსენებულ მაგალითშიც აქვს ადგილი – ქართველი ხალხის მიმართ ტარდებოდა პოლიტიკა ეროვნული და კულტურული გადაგვარების მიზნით, ამ ნეგატიურ ფონს კანდიდატი ერის პოზიტიურ თვისებებს უპირისპირებს – ქართველმა ერმა შეძლო ეთნოკულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება. ნეგატიური და პოზიტიური კონტექსტის შექმნა შესაბამისი კონოტაციური დატვირთვის მქონე ლექსიკური

¹⁵ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატის ბატონ ზვიად გამსახურდიას საარჩევნო პროგრამა. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1991. 22 მაისი. N99-100 (120).

¹⁶ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატის ბატონ ზვიად გამსახურდიას საარჩევნო პროგრამა. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1991. 22 მაისი. N99-100 (120).

ერთეულებით ხდება, რაც საშუალებას აძლევს ავტორს შექმნას და წარმოგვიდგინოს მის მიერ დანახული რეალობა. განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი:

„ყველაზე კარგი გამოსავალი იქნება, თუ **დავთმობთ ჩვენს პრინციპებს, ხელს ავიღებთ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე** და ხელს მოვაწერთ სამოკავშირეო ხელშეკრულებას. მმაგრამ ეს იქნება **ღალატი ჩვენი იდეალებისა, ჩვენი პრინციპებისა, და მე მგონი, ქართველი ერი ამას არ მოიწონებს**“.¹⁷

ამგვარად კანდიდატი ქმნის ქართველი ერის ხატს, რომელიც არ დათმობს თავის პრინციპს – ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის და არ უღალატებს იდეალებს.

ამრიგად, გამსახურდიას გამოსვლებში ხალხის ჩართულობის საკითხი მნიშვნელოვანია. კანდიდატისათვის დამახასიათებელია ხალხის სახელით საუბარი, რაც, ჩვენი აზრით, მას საშუალებას აძლევს გაამართლოს თავისი ქმედებები და წარმოაჩინოს ისინი, როგორც ქმედებები, რომლებიც ხალხის ინტერესებიდან გამომდინარეობს. ხალხის ხატის შექმნა ხალხის ქების, საზოგადოების აქტიურობისა და კანდიდატის მოქმედებების მხარდაჭერის მობილიზების გზით ხდება.

როგორც უკვე შესავალში აღვნიშნეთ, ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენდა როგორც კანდიდატის მიერ გარკვეული სტერეოტიპული წარმოდგენების ფორმირების მეთოდები და ხერხები, ასევე კანდიდატების გამოსვლებში ეროვნული სტერეოტიპების ჩართვა საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ზვიად გამსახურდიას ტექსტებში ეროვნული სტერეოტიპები ძალზედ აქტუალურია, რაც, ჩვენი აზრით, კიდევ უფრო განამტკიცებს მისი, როგორც კანდიდატის სიტყვას. იმდენად, რამდენადაც ეროვნული სტერეოტიპი წარმოადგენს იმ მენტალურ ელემენტს, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო და განმტკიცდა საზოგადოების ცნობიერებაში, კანდიდატის მიზანია საკუთარი როლის ინტეგრირება უკვე არსებულ მენტალურ სურათში, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. აღნიშნული მოსაზრების წარმოჩენის მიზნით გვინდა მაგალითი მოვიყვანოთ:

¹⁷ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს ტელევიზიით 1991 წლის 28 აპრილს. *საქართველოს რესპუბლიკა*: 1991. 1მაისი. N84 (104).

„საქართველო ყოველთვის იცავდა თავის დამოუკიდებლობას, თავის სარწმუნოებას და ის ტრაგიკული ისტორია, რომელიც საქართველოს აქვს, არ იქნებოდა ესოდენ ტრაგიკული, მას რომ უარი ეთქვა სარწმუნოებაზე, თავის ეროვნულ თვითმყოფადობაზე, არ ებრძოლა თავისუფლებისათვის“.¹⁸

ზ. გამსახურდია მიუთითებს ქართველების ბრძოლისუნარიანობაზე, რომელიც, მოგვეხსენება ჩვენი ერის ერთ–ერთი ისტორიულად გამორჩეული ნიშანთვისებაა. ქართველთა მებრძოლ ხასიათზე გამსახურდია არაერთხელ მიუთითებს თავის გამოსვლებში, რაც კიდევ ერთ მაგალითში შეგვიძლია დავინახოთ:

„ტრადიციულად, ცნობილია ქართველთა მხედრული შემართება და მებრძოლი სული“.¹⁹

გამსახურდიას გამოსვლებში მითითება ასევე ქართველთა რელიგიურ და ეროვნულ შემწყნარებლობაზე ხდება:

„უნდა გავითვალისწინოთ საქართველოსათვის ტრადიციული რელიგიური და ეროვნული შემწყნარებლობა“;²⁰ ან კიდევ „ქართული სახელმწიფო კვლავაც ერთგული დარჩება ტრადიციული რელიგიური შემწყნარებლობისა“.²¹

ჩვენ მიერ განხილული მაგალითები აღებულია კანდიდატის სხვადასხვა გამოსვლიდან, სწორედ ამიტომ შეიძლება ვიმსჯელოთ აღნიშნულ სტერეოტიპზე აქცენტირების ტენდენციურ ხასიათზე.

ეროვნული სტერეოტიპების გამოსვლებში ჩართვით კანდიდატი ცდილობს თავისი თავი წარმოადგინოს საერთო ეროვნული წარმოდგენების ნაწილად, რითაც მეტ დამაჯერებლობას ჰმატებს მის სიტყვას და უმარტივებს კანდიდატს აღებული გეზის, დასახული მიზნების საზოგადოებისათვის უფრო ნათლად წარმოდგენას. ვფიქრობთ, ეს ხერხი მის მიერ გამოიყენება საზოგადოების მანიპულირების, საქმოქმედოდ მობილიზების მიზნით და შესაბამისად წარმატების მისაღწევად. აღსანიშნავია, რომ

¹⁸ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს ტელევიზიით 1991 წლის 28 აპრილს. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1991. 1 მაისი. N84 (104).

¹⁹ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე 1991 წლის 7 ივნისს. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1991. 11 ივნისი. N114 (134).

²⁰ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატის ბატონ ზვიად გამსახურდიას საარჩევნო პროგრამა. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1991. 22 მაისი. N99-100 (120).

²¹ იქვე.

ეროვნული სტერეოტიპებით აპელირება, ჩვენ მიერ შერჩეული ყველა კანდიდატის გამოსვლებში ჰპოვებს ასახვას.

ამრიგად, ზვიად გამსახურდიას წინასაარჩევნო გამოსვლებისა და მიმართვების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ კანდიდატის მიერ გარკვეული სტერეოტიპის ფორმირების მცდელობა ძირითადად ბინარული ოპოზიციის სახით ხდება, რაც გამოიხატება კანდიდატის მიერ საზოგადოებისათვის ორი ურთიერთსაპირისპირო ვარიანტის შემოთავაზებით და შემოთავაზებული ვარიანტებიდან იმ ვარიანტის გამართლებით, რომლის ნაწილსაც თავად წარმოადგენს. საზოგადოების მობილიზება ძირითადად ხდება ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის ფონზე და საკუთარი თავის წინამძღოლად შემოთავაზებით. გამსახურდიას ლექსიკა მკაფიოდ გამოხატავს მის დამოკიდებულებას ქვეყნის ზოგადი სიტუაციის მიმართ, საიდანაც იკვეთება საზოგადოების მოკეთებებისა და მტრების ხატი. კანდიდატის გამოსვლებში ხალხის როლის ჩართვა - ხალხის სახელით საუბარი საკმაოდ აქტიურად ხდება საკუთარი თავის საზოგადოების ნაწილად წარმოჩენისა და საკუთარი ქმედებების ლეგიტიმაციის მიზნით, რასაც ემატება ეროვნული სტერეოტიპებით აპელირება, რაც, ვფიქრობთ, საზოგადოებაზე მეტი ემოციური ზემოქმედების მიზნით ხდებოდა.

2.3. სტერეოტიპების ფორმირება ედუარდ შევარდნაძის 1995 წლის წინასაარჩევნო კამპანიის მასალებზე დაყრდნობით

ედუარდ შევარდნაძე ორი ვადით იყო არჩეული საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე; შესაბამისად მისი ორი წინასაარჩევნო კამპანია ჰქონდა ორგანიზებული. ჩვენ მხოლოდ ერთი - პირველი წინასაარჩევნო კამპანიის მასალები განვიხილეთ და გავაანალიზეთ იმდენად, რამდენადაც, გვინტერესებდა განსხვავებული პოლიტიკური პარტიების პოლიტიკურ სტერეოტიპთა ცვლის თავისებურებანი, რაც მხოლოდ

რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკური ძალების სტერეოტიპთა ფორმირების მეთოდებზე დაკვირვებითა და მათი ანალიზით იყო შესაძლებელი.

ემპირიული მასალა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღებულია გაზეთიდან „საქართველოს რესპუბლიკა“, რომელიც შევარდნადის წინასაარჩევნო პერიოდშიც (1995 წლის ოქტომბერი-ნოემბერი), ოფიციალურ სამთავრობო გამომცემლობას წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ ედუარდ შევარდნადის პერიოდში „საქართველოს რესპუბლიკაში“ ასევე იბეჭდებოდა შევარდნადის ყოველკვირეული ინტერვიუები, რომელთა მეშვეობითაც პოლიტიკოსს საშუალება ჰქონდა პირდაპირ გამოეხატა თავისი პოზიცია სახელმწიფოში მიმდინარე მოვლენებისადმი. აღნიშნული მასალა ასევე გაანალიზებულ იქნა ჩვენი კვლევის მიზნების ფარგლებში.

ე. შევარდნადის გამოსვლებისა და მიმართვების ანალიზსაც, გამსახურდიას მასალების მსგავსად, საკუთარი თავის შესახებ სტერეოტიპული წარმოდგენების ჩამოყალიბების თავისებურებათა ანალიზით დავიწყებთ:

საკუთარი თავის ხატის შექმნა (პიროვნული ავტოსტერეოტიპის ჩამოყალიბება). ედუარდ შევარდნადის წინასაარჩევნო მასალების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა კანდიდატის მიერ საკუთარი თავის ხატის შექმნის მცდელობის შემდეგი ორი მოდელი:

ა) სტერეოტიპის შექმნა, სადაც ვლინდება საფრთხე-გამოსავალი-მამოძრავებელი მიზანი;

ბ) სტერეოტიპის ფორმირების მცდელობის მეორე ვარიანტი სადაც სახეზეა ჯერ მიღწეული შედეგი, ამ შედეგისკენ მიმავალი გზა და მამოძრავებელი მიზანი. თვალსაჩინოების მიზნით, განვიხილოთ ორივე შემთხვევა:


• **პიროვნული ავტოსტერეოტიპი აწმყოდან მომავალზე ორიენტირებული დროის ვექტორით.** ჩვენ მიერ ქვემოთ მოყვანილ მაგალითში ნათლად ჩანს კანდიდატის მიერ გადადგმული ნაბიჯის არგუმენტაცია, რაც საფუძველად უდევს საკუთარი თავის ხატის შექმნას:

„რამდენიმე სიტყვა პირადული განცდების სფეროდან <...> **რატომ დავბრუნდი საქართველოში**, რომელიც მითითებულ **კუპრს** მაგონებდა. უნდა ვთქვა, სრულიად

ცხადად მქონდა წარმოდგენილი, თუ რა გარემოცვაში მომიწევდა ბრძოლა. სულაც არ მქონდა ილუზია იმ ბატონების მიმართ, რომლებთანაც მომიხდებოდა მუშაობის დაწყება, ისინი ფიქრობდნენ, რომ მათი ინტერესების მძევლები და ზრახვების მსახური ვიქნებოდი... და არ ესმოდათ, რამდენად ცდებოდნენ, როცა ახლობლები მეკითხებოდნენ მათთან როგორ იმუშავებო, ვპასუხობდი: სწორედ იმიტომ, რომ ეს ადამიანები განაგებენ სამშობლოს, - უნდა დავბრუნდე! <...> როცა შენზე ამდენი დანა ილესება, - გაიფიქრებ და იტყვი: კმარა! მაგრამ 29 აგვისტოს ღამით მივიღე გადაწყვეტილება მეთხოვა თქვენგან პრეზიდენტობის საყოველთაო-სახალხო მანდატი. იმ აფეთქების ცეცხლში კვლავ დავინახე ერთი ჭეშმარიტება: ის, ვინც დაგეგმა 9 აპრილი, 27 სექტემბერი, 29 აგვისტო - უნდა შევაჩეროთ, უნდა დავამარცხოთ, უნდა გავაკოტროთ“.²²

კანდიდატი საქართველოში არსებულ მძიმე და მისთვის წინააღმდეგობებით აღსავსე მდგომარეობას აღწერს, რაშიც იგი ნეგატიური კონოტაციის ლექსიკურ ერთეულებს თუ ფრაზებს იყენებს: – (საქართველო) კუპრს მაგონებდა; ბრძოლა; არ მქონდა ილუზია; მძევალი და მსახური; განაგებენ სამშობლოს; დანა ილესება; არსებულ სურათს იგი საკუთარ ბრძოლისუნარიან შემართებას უპირისპირებს, რაც გამოხატულია დადებითი კონოტაციის მქონე სიტყვებით – ჭეშმარიტება, უნდა შევაჩეროთ, უნდა დავამარცხოთ, უნდა გავაკოტროთ ის ძალები რომლებიც სამშობლოს განაგებენ. იგი აღწერს მძიმე რეალობას, საუბრობს მისგან თავის დაღწევის შესაძლებლობაზე, მაგრამ ირჩევს არსებულის გამოსწორებისკენ მიმართულ გზას. ჩვენ მიერ შემუშავებული მოდელით რომ განვმარტოთ შევარდნაძე წარმოგვიდგენს საფრთხეს - ალესილი დანები, მძევლობა, მსახურობა - გამოსავალი - უნდა შევაჩეროთ, დავამარცხოთ, გავაკოტროთ - მამოძრავებელი მიზანი - ჭეშმარიტება. ზემოხსენებულის უფრო მეტი თვალსაჩინოების მიზნით გვინდა შემოთავაზებული მოდელი გრაფიკულად წარმოვადგინოთ:

²² საქართველო ღირსეულად შეაბიჯებს XXI საუკუნეში. ბატონ ედუარდ შევარდნაძის სიტყვა, წარმოთქმული საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ფორუმზე 1995 წლის 2 ნოემბერს. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1995. 3 ნოემბერი. N161-162(2078).



შეგვიძლია მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი, რომელშიც გამოხატულია კანდიდატის დამოკიდებულება ქვეყნისადმი:

„ჩემი ცხოვრების ეს სამი წელი, როგორც იტყვიან, ალესილი სამართებლის პირზე სიარულს ჰგავს. და მაინც ვერაფერი ვერ შეაფერხებს ჩემს მზადყოფნას, ვიბრძოლო თუნდაც, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ერთიანი და დემოკრატიული, გამთლიანებული და აყვავებული საქართველოსათვის.“²³

აქ ისევ ვხვდებით საფრთხეს → ალესილი სამართებლის პირზე სიარული გამოსავალს → ბძროლა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე → მამოძრავებელი მიზანი - ერთიანი და დემოკრატიული, გამთლიანებული და აყვავებული საქართველო; აღნიშნულ მაგალითში ასევე იმპლიციტურად ხდება ქართველი კაცის შესახებ არსებული სტერეოტიპის ჩართვა – ქართველი კაცი საქართველოს ერთიანობის, მთლიანობისა და კეთილდღეობისათვის მზადაა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლოს.

განხილული მაგალითები მომავალ პერსპექტივაზე ორიენტირებულ ტექსტებს წარმოადგენს და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოადგენენ ისეთ მოდელს, სადაც დროის აღმავალ ვექტორზე ლოგიკური მიმდევრობით განლაგებულია რეალობის გამოხატვის კანდიდატისეული ვერსია. ახლა კი განვიხილოთ კანდიდატის მიერ საკუთარი თავის

²³ მთავარი ის გახლავთ, რომ უკვე შევუდექით მშენებლობას, დავადექით სულიერი განწმენდისა და გაჯანსაღების გზას, რაც ჩვენი საბოლოო გამთლიანებისა და გაძლიერების გარანტიაა. [ჩაიწერა] ონიანი ნატო. საქართველოს რესპუბლიკა. 1995. 17 ოქტომბერი. N143(2059).

შესახებ სტერეოტიპის კონსტრუირების მეორე - წარსულიდან მომავალზე ორიენტირებული მოდელი.


• **პიროვნული ავტოსტერეოტიპი წარსულიდან დღევანდელ შედეგზე მიმართული დროის ვექტორით.** ამ შემთხვევაში კანდიდატის მიერ რეალობის შეფასება-წარმოდგენა ხდება არა დროის ლოგიკური მიმდევრობით, არამედ დროში უკუსვლით - არგუმენტების დროის ვექტორი წარსულზე მითითებით არსებულ შედეგს განმარტავს, აზუსტებს ან აძლიერებს. მაგალითად:

„მოსახლეობამ უკუაგდო ყოველგვარი პოპულიზმი, დემაგოგია, უკიდევანო კრიტიკანობა და ამჯობინა მართალი და მკაცრი სინამდვილე, კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანის ურთულესი, მაგრამ ყველაზე რეალისტური პროგრამა რომელიც შევთავაზე მე ყოველგვარი შელამაზებისა და შერბილების გარეშე.“²⁴

განხილულ მაგალითში, შევარდნამდე პირველად გვთავაზობს მიღწეულ შედეგს - **მოსახლეობამ უკუაგდო** - შედეგამდე მიმავალი გზა (ანუ ინტერვიუს მომენტისათვის მიღწეული შედეგი) - **მართალი და მკაცრი სინამდვილე** და მამოძრავებელი მიზანი (რაც იყო შედეგის მიღწევის სურვილი და წინაპირობა) - **კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანა**. ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითში აღსანიშნავია ასევე შევარდნადის მიერ ირიბად გარკვეული სტერეოტიპის შექმნა იმ სიტუაციის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა მის მიერ მიღწეულ შედეგამდე. ირიბად ხდება იმიტომ რომ ამ შემთხვევაში იგი პირდაპირ არ ასახელებს ობიექტს, მაგრამ გულისხმობს მას - **დაძლეულია პოპულიზმი, დემაგოგია, უკიდევანო კრიტიკანობა** შესაბამისად აღმოფხვრილია ადრე არსებული ნეგატივი. ემოციური ეფექტის მიღწევა ხდება ნეგატიურად დატვირთული კონოტაციის მატარებელი ლექსიკური ერთეულების გამოყენებით - **პოპულიზმი, დემაგოგია, უკიდევანო კრიტიკანობა**.

ზემოხსენებული გრაფიკულად შეიძლება შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

²⁴ ძლიერი ხელისუფლება კიდევ უფრო განამტკიცებს წესრიგს და ამით რეალურად იზრუნებს დემოკრატიის განვითარებისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის უზენაესობისათვის. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1995. 14 ნოემბერი. N168 (2084).



ჩვენი მოსაზრების დასადასტურებლად გვინდა კიდევ ერთი მაგალითი განვიხილოთ:

„ჩვენმა ხალხმა ძლიერ პრეზიდენტსა და ძლიერ პარლამენტს მისცა ხმა. ძლიერი ხელისუფლება კიდევ უფრო განამტკიცებს წესრიგს და ამით რეალურად იზრუნებს დემოკრატიის განვითარებისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის უზენაესობისათვის“.

25

ამ შემთხვევაშიც სახეზეა შედეგი - ხალხმა ძლიერ პრეზიდენტსა და ძლიერ პარლამენტს მისცა ხმა - გასავლელი გზა - განამტკიცებს წესრიგს და მამოძრავებელი მიზანი - განვითარება, დაცვა, შესაბამისად სახეზეა ლოგიკური მიმდევრობის საპირისპირო – უკუსვლითი ეფექტი. შევარდნამე ემოციურ ეფექტს გრამატიკული კონსტრუქციის - განმეორებით აღწევს, ნათქვამში სამჯერ არის გამოყენებული სიტყვა ძლიერი, მაგრამ ისევ გამოყენებულია ირიბად სტერეოტიპის ფორმირება სადაც არ ჩანს ობიექტი ამ შემთხვევაში საკუთარი თავი.

მოყვანილი მაგალითებიდან თვალსაჩინოა, რომ ორივე შემთხვევაში, განურჩევლად იმისა, ავტორის მიერ სტერეოტიპი მომავლის პერსპექტივით ხდება თუ დროში უკან ხდება, ავტორი იმპლიციტურად აღნიშნავს საკუთარ როლს.

ამრიგად, ედუარდ შევარდნაძის ტექსტების ანალიზის შესაბამისად გამოვლინდა, რომ იგი საკუთარი თავის ხატის შექმნისას ტექტებისა და არგუმენტების ფორმირების

²⁵ ძლიერი ხელისუფლება კიდევ უფრო განამტკიცებს წესრიგს და ამით რეალურად იზრუნებს დემოკრატიის განვითარებისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის უზენაესობისათვის. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1995. 14 ნოემბერი. N168 (2084).

მთავარი ხაზი დროის პირდაპირი და ირიბი გამოყენებით ხორციელდება. თუმცა აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში კანდიდატი პირდაპირ თუ ირიბად რთავს და საუბრობს საკუთარ როლზე. შევარდნაძის მიერ გამოიყენება სხვადასხვა ლექსიკური და გრამატიკული ხერხები, რის შედაგადაც ვლემულობთ კანდიდატის შემდეგნაირ ხატს: სამშობლოს უღალატო, მართალი, თავმდაბალი, ძლიერი კანდიდატი რომელსაც ძალუმს ქვეყნის კრიზისიდან ხსნა.

ჩვენ მიერ მასალების საფუძველზე გამოყოფილი მეორე თემატური ბლოკი წარმოადგენს კანდიდატების მიერ ოპონენტის შესახებ სტერეოტიპული წარმოდგენების შექმნა, რაც გვინდა შემდეგნაირად წარმოვადგინოთ:

ოპონენტების ხატი. ზემოთ ვისაუბრეთ შევარდნაძის მიერ პიროვნული ავტოსტერეოტიპის შექმნის ხერხებსა და მეთოდებზე, ახლა კი ვისაუბრებთ შევარდნაძის მიერ ოპონენტების ხატის შექმნის მცდელობაზე. შევარდნაძის ოპონენტებში ჩვენ გავაერთიანეთ ყველა ის პირი, რომელიც კანდიდატის მიერ არაერთი სახელწოდებებით მოიხსენიება თუმცა პირდაპირ არ ხდება მათი დასახელება, როგორც კონკრეტული ობიექტები ან მოქმედი პირები. ოპონენტთა შესახებ სტერეოტიპის ჩამოყალიბება ხდება როგორც ექსპლიციტურად²⁶ ასევე იმპლიციტურად²⁷. განვიხილოთ ორივე შემთხვევა:

ა) **სტერეოტიპის ექსპლიციტურად შექმნა.** ამ შემთხვევაში კანდიდატის კონკრეტული მიმართება თუ განწყობა ოპონენტების მიმართ პირდაპირ არის გამოხატული ლექსიკური ერთეულებით. ჩვენი მოსაზრების წარმოსაჩენად მოვიყვანთ მაგალითს:

„29 აგვისტოს საშინელი სენის კულმინაცია გახლდათ და უფალს მადლობა შევწიროთ, რომ საქართველოს ასცდა, ამჯერად, დარწმუნებული ვარ, საბოლოოდ, **ზადიტურ, კრიმინალურ** კლანთა მიერ თავსმოხვეული ცხოვრების წესის დამკვიდრების საფრთხე, ასცდა **ქურდებისა და მკვლელების, ტერორისტების,** ცხოვრებაში

²⁶ <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=17198>

²⁷ <http://www.vedu.ru/bigencdic/23686/>

ხელმოცარულთა მაგრამ სხვათა სიცოცხლის ხელყოფით, მკვლელობით და ძარცვის გზით გამდიდრებული არაკაცების დიქტატურა“.²⁸

მოცემული ამონარიდი წარმოადგენს კანდიდატის მიერ ოპონენტთა პირდაპირ ანუ ექსპლიციტურ დახასიათებას, რისთვისაც იგი იყენებს სხვადასხვა ნეგატიური დატვირთვის მქონე ლექსიკურ ერთეულებს: **ბანდიტური, კრიმინალური კლანები, თავსმოხვეული საფრთხე, ქურდები, ტერორისტები, სიცოცხლის ხელმყოფელები, მკვლელები, მძარცველები.** შევარდნაძის მიერ ხდება მისი თვალით დანახული რეალობის აღწერა, რომელიც მის მიერ გამოყენებული ენობრივი საშუალებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ საკმაოდ ნეგატიურია, დატვირთულია უარყოფითი ემოციებით და ამძიმებს საერთო სურათს. საერთო სურათიდან კი იკვეთება მის მიერ საკუთარი როლის ამაღლება. შესაბამისად მკითხველისათვის გასაგები ხდება მისი ზოგადი დამოკიდებულება მოცემული ობიექტის მიმართ.

ბ) ახლა კი განვიხილოთ **სტერეოტიპის ფორმირების იმპლიციტური ხერხები,** სადაც ექსპლიციტური ხერხებისაგან განსხვავებით კანდიდატისეული დამოკიდებულება ნაგულისხმევია ნათქვამში და არ არის გამოხატული პირდაპირ ლექსიკური ერთეულებით. წარმოგიდგინთ შესაბამის ამონარიდს: „თბილისობა“ დიდი ბაზრობით დაიწყება, თბილისელებიც და რაიონებიდან ჩამოსულებიც ბევრ რამეს შეიძენენ, ეს კარგი ტრადიციაა და სრულიად უაზრო და უჭკუო იყო მისი გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღება „თბილიოსობა“ უნდა აღდგეს და კიდევაც აღდგება“.²⁹

მოყვანილ მაგალითში ნაჩვენებია შევარდნაძის მიერ მოწინააღმდეგეთა შესახებ ხატის ირიბად შექმნა, იგი პირდაპირ კი არ საუბრობს რომ ისინი **უაზრობი და უჭკუოები** არიან, ის ამბობს რომ მათი საქციელი – **კარგ ტრადიციაზე უარი იყო უაზრო**

²⁸ ფულის რეფორმა ხელს შეუწყობს წარმოების გამოცოცხლებასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის რეაბილიტაციას. ედუარდ შევარდნაძის სიტყვა 1995 წლის 16 სექტემბერს გამართულ თათბირზე. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1995. 20 სექტემბერი. N124 (2040).

²⁹ ის რაც ბოლო წლინახევრის განმავლობაში კეთდება მთელი ხალხის მხარდაჭერითა და მოთხოვნით, დემოკრატიული და სტაბილური, ძლიერი სახელმწიფოს შექმნის, ხალხის კეთილდღეობისა და უსაფრთხოების, ადამიანის უფლებათა დაცვის რეალური გზა და გარდუვალი, აუცილებელი პიროვნებაა. [ჩაიწერა] ონიანი ნატო. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1995. 12 სექტემბერი. N119 (2035).

და უჭკუო საქციელი, რითაც ისევ გამოხატავს და წარმოგვიდგენს საკუთარ დამოკიდებულებას მათ მიმართ.

ასევე აღსანიშნავია, რომ ედუარდ შევარდნაძის ტექსტების განხილვის საფუძველზე გამოვლინდა, რომ იგი ოპონენტებს აბსტრაქტულად მოიხსენიებს როგორც – „დესტრუქციულ ძალებს“, „ბნელ ძალებს“, „უპასუხისმგებლო პიროვნებებს“, „რევანშისტულ ძალებს“ და სხვა.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოპონენტების ხატის შექმნა ედუარდ შევარდნაძის დისკურსში ხდება პირდაპირი (ანუ ექსპლიციტური) და არაპირდაპირი (ანუ იმპლიციტური) ხერხით. ოპონენტები ხასიათდებიან როგორც ნეგატიური და უარყოფითი მოვლენა, რომელიც მისი აზრით აღსაკვეთია ქვეყანაში არსებული მძიმე სიტუაციის გამოსწორების მიზნით.

განვიხილოთ ჩვენი მესამე თემატური ბლოკი - ხალხის შესახებ სტერეოტიპების კონსტრუირების თავისებურებანი და კანდიდატის მიერ ეროვნული სტერეოტიპებით აპელირების მეთოდები.

ქართველი ერის ხატი. შევარდნაძის ტექსტებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხალხის გადამწყვეტი როლის, მისი კეთილდღეობისა და მისი მხარდაჭერის თემას. კანდიდატი ხშირად ხალხის სახელით საუბრობს, რითაც ცდილობს აჩვენოს მისი ხალხთან სიახლოვე და ერთიანობა. იგი ხაზგასმით აღნიშნავს იმას, რომ მის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ნაბიჯი და საქმიანობა ხალხის სურვილის გამოხატულებაა და ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე ხორციელდება. ამგვარად, მიიღწევა სიმბოლური ლეგიტიმაცია – ძალაუფლების წყაროს წარმოადგენს ხალხი, მოსახლეობა, რომელმაც დელეგირება გაუკეთა პრეზიდენტს, რაც ზემოთ შემოთავაზებული მოდელებით თუ ვიტყვით, წარმოადგენს არსებული პრობლემის გადაჭრის გზას სასიკეთო მომავლისაკენ, რაც ასევე ხალხის სურვილსა და მიზანს წარმოადგენდა.

ჩვენი მოსაზრების გასამტკიცებლად მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

„დღეს ჩვენ ყველას დიდ სიხარულს გვანიჭებს ის ფაქტი, რომ საქართველო გახდა კონსტიტუციური ქვეყანა. <...> ვფიქრობ, პარლამენტში ძალიან კარგად ვითანამშრომლეთ და ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ ხალხი, ჩვენი მოსახლეობა, განწყობილი იყო, რათა ქვეყანას მიეღო ისეთი კონსტიტუცია, რომელიც იმუშავებს არა მარტო დღევანდელ, არამედ ხვალინდელ დღესაც, ქვეყნის მომავლისათვის“.³⁰

მოცემული მაგალითი კვლავ ასახავს ჩვენ მიერ შემოთავაზებული პირობითი მოდელის პირველ შემთხვევას, სადაც სახეზე გვაქვს მიღწეული შედეგი – საქართველო გახდა კონსტიტუციური ქვეყანა, ხოლო მამოძრავებელი მიზანი – ქვეყნის მომავალი. ყოველივე ეს კი ხალხის სურვილის, განწყობის შედეგი იყო. ამიტომაც ხალხი, დადებით „ემოციურ სარგებელს“ ღებულობს, რაც შესაბამისი დადებითი ლექსიკური ერთეულებითაა მოცემული – სიხარული, თანამშრომლობა, იმუშავებს“.

ან კიდევ:

„ჩვენი ხალხის მხარდაჭერით დაიწყო შეტევა კორუფციის, კორუმპირებული ელემენტების, კლანების წინააღმდეგ. ამ მძიმე სენისაგანაც უნდა განიკურნოს ქვეყანა, თუ გვინდა იზეიმოს დემოკრატია, განვითარდეს ბიზნესი, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა და ამაღლდეს მოქალაქეთა კეთილდღეობის დონე“.³¹

მოყვანილ მაგალითებში შევარდნაძე საუბრობს საზოგადოების მხარდაჭერაზე იმ საფრთხეების აღმოფხვრის მიზნით, როგორცაა – კორუფცია, კორუმპირებული ელემენტები, კლანები. პრობლემიდან გამოსავალს ხალხი ლიდერის აქტიურ ქმედებაში – შეტევაში ხედავს, რითაც მიიღწევა მამოძრავებელი მიზანი – კეთილდღეობა.

ამგვარად, საჭირო ხდება ხალხის რეპრეზენტაცია, მისი სახის „კონსტრუირება“, როგორც კოლექტიური და ერთიანი აზრის, რომლის კეთილი და გონიერი ნების გამოხატულებას ზუსტად პრეზიდენტის არჩევა და მისი მეშვეობით არსებული

³⁰ საქართველო არჩევნიდან გამოვა უფრო განმტკიცებული, გამთლიანებული და განწმენდილი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის-სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა ადგილობრივი მმართველობის, უშიშროებისა და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელთა რესპუბლიკურ თათბირზე 1995 წლის 1 ოქტომბერს. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1995. 5 ოქტომბერი. N135(2051).

³¹ მთავარი ის გახლავთ, რომ უკვე შევუდექით მშენებლობას, დავადექით სულიერი განწმენდისა და გაჯანსაღების გზას, რაც ჩვენი საბოლოო გამთლიანებისა და გაძლიერების გარანტიაა. [ჩაიწერა] ონიანი ნატო. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1995. 17 ოქტომბერი. N143(2059).

პრობლემების გადაჭრა წარმოადგებს. ამიტომაც პრეზიდენტი პირდაპირი ხერხებით ქმნის ხალხის ხატს.

მასალების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ქართველ ერზე საუბრისას, შევარდნაძე ხაზგასმით აღნიშნავს ქართველი ხალხის თვისებებს, აქვე აღსანიშნავია, რომ ხდება მხოლოდ დადებითი თვისებების ხაზგასმა, ხალხის ქება და განდიდება. შევარდნაძე არც ერთ თავის ტექსტში არ მიანიშნებს ერის უარყოფით მახასიათებლებზე, რაც საზოგადოების აზრზე ზემოქმედების ერთგვარი ხერხია. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: „... ჩვენი ხალხი ბრძენი ხალხია“³², „...ვეფქრობ, ჩვენი მოსახლეობა სწორედ ამ დიდი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის სათანადო დონეზე აღმოჩნდება“³³, „გაიმარჯვა საქართველოს მოქალაქეთა სიბრძნემ და შორსმჭრეტელობამ“³⁴ ან კიდევ: „არჩევნებში ხალხმა თავისი გამჭრიახობით, სიბრძნით, სწორი პოლიტიკური ალლოთი და ორიენტაციით იხსნა საქართველო და მისი მომავალი, გაიმარჯვა დემოკრატია და დამარცხდა რეაქცია“.³⁵

მაგალითებიდან კარგად ჩანს, თუ როგორი პოლიტიკური, ენობრივი და ემოციური კონოტაციებით აქვს დატვირთული პრეზიდენტს ხალხის ცნება, მისი ადგილი და როლი. მისი ამალღებული და ემოციურად დატვირთული შინაარსები გამოხატულია მაღალფარდოვანი ლექსიკური ერთეულებით, როგორცაა: **ბრძენი, შორსმჭრეტელი, გამჭრიახი, პასუხისმგებლობის სათანადო დონეზე მყოფი.** საკუთარი ძალაუფლების ლეგიტიმაციისა და დასაბუთების კონტექსტში ამგვარი ფორმატი უპირველეს ყოვლისა ისევ მოქმედი პრეზიდენტის სასიკეთოდ წარმოჩენის ხერხს წარმოადგენს, რადგან ბრძენი ხალხი ბრძენ პრეზიდენტს აირჩევდა და გონივრული სამოქმედო გეგმით, გამორჩეული ლიდერის მეშვეობით მიაღწევს სანუკვარ მიზანს.

³² საქართველო არჩევნებიდან გამოვა უფრო განმტკიცებული, გამთლიანებული და განწმენდილი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის – სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა ადგილობრივი მმართველობის, უშიშროებისა და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელთა რესპუბლიკურ თათბირზე 1995 წლის 1 ოქტომბერს. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1995. 5 ოქტომბერი. N135(2051).

³³ ლარისადმი დამოკიდებულება გამოხატავს თითოეული მოქალაქის ეროვნული და სახელმწიფოებრივი აზროვნების დონეს. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1995. 3 ოქტომბერი. N133 (2049).

³⁴ არჩევნების შედეგები იძლევა იმის სრულ გარანტიას, რომ ქვეყანაში მშვიდობის, სტაბილურობის, შემოქმედების ატმოსფერო დამკვიდრდება; [ჩაიწერა] ონიანი ნატო. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1995. 21 ნოემბერი. N1772(2088).

³⁵ არჩევნებში ხალხმა თავისი გამჭრიახობით, სიბრძნით, სწორი პოლიტიკური ალლოთი და ორიენტაციით იხსნა საქართველო, მისი მომავალი: 6 ნოემბრის რადიოინტერვიუ; [ჩაიწერა] ონიანი ნატო. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1995.7 ნოემბერი. N164(2080).

საინტერესოდ მიგვაჩნია ბოლო მაგალითი, სადაც ემოცია გრადაციის ხერხით მიიღწევა – აქ თითოეული გამოყენებული სიტყვით ემოცია თანდათან იზრდება – **გამჭრიახობით, სიბრძნით, სწორი პოლიტიკური ალლოთი და ორიენტაციით** – და ბოლოს თავის კულმინაციას აღწევს – **იხსნა საქართველო და მისი მომავალი**. ამგვარი აღმავალი ემოციური ტექსტების ფორმა ძირითადად პროგრამულ გამოსვლებში, მიტინგებზე გამოიყენება და ის მნიშვნელოვან მამობილუზებელ, მაკონსტრუირებელ და ქმედებაზე მაორინტირებელ ხერხს წარმოადგენს.

ახლა კი განვიხილოთ შევარდნადის გამოსვლებში **ეროვნული სტერეოტიპების** ჩართულობა. ედუარდ შევარდნადის ტექსტები ხასიათდება ეროვნული სტერეოტიპების მოშველიებით, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს მისი, როგორც კანდიდატის სიტყვის სიმტკიცეს. ეროვნული სტერეოტიპებით აპელირება წინასაარჩევნო კანდიდატების დისკურსებში მნიშვნელოვანი ელემენტი. ვფიქრობთ, კანდიდატის მიერ ეროვნული სტერეოტიპების გამოყენება საზოგადოებაზე განსაკუთრებული ემოციური ზემოქმედების მიზნით ხდება. აღნიშნული შეგვიძლია მაგალითებით გავაძლიეროთ:

„მე მართლაც დავით აღმაშენებლის მემკვიდრეობის, მისი ანდერძის **ერთგული** ვარ ისევე, როგორც **ყველა ქართველი**. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ **ტოლერანტობის** ის გზა, რომლის საუკეთესო მაგალითები საქართველოს დიდმა მეფემ გვიჩვენა. ამიტომაც, ვეწვიე მეჩეთს, სინაგოგას, და სომხურ ეკლესიას“.³⁶

ამ კონკრეტულ მაგალითში კანდიდატი ექსპლიციტურად წარმოაჩენს არსებულ სტერეოტიპს ქართველი კაცის ერთგულებისა და ტოლერანტობის შესახებ. თუმცა ქართველი ერის ტოლერანტობაზე შევარდნაძე არაერთხელ მიუთითებს თავის ტექსტებში, რის დასტურადაც შეგვიძლია კიდევ ერთი მაგალითი მოვიყვანოთ:

„საქართველო არა მხოლოდ თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, არამედ ქართველი ხალხის კულტურული ტრადიციებისა და ტოლერანტობის გამოც იქცევა საერთაშორისო მასშტაბის შეხვედრების ადგილად. აქ უყვართ მოყვასი, აქ აშენებენ, აქ

³⁶ გადაუჭრელად შეიძლება ითქვას, რომ 5 ნოემბერს გადაწყდება საქართველოს ბედი!. [ჩაიწერა]ნატო ონიანმა. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1995. 31 ოქტომბერი. N157(2073).

ეხმარებიან ერთმანეთს. ეს არის ჩვენი, როგორც ერის, თავგადარჩენის გზა. ეს არის იმავდროულად კაცობრიობის გადარჩენაც”.³⁷

ზემოაღნიშნულ მაგალითში შემოდის კიდევ ერთი ეროვნული სტერეოტიპი - ქართველების **ტრადიციულობა**.

შევარდნაძე თავის ტექსტებში აპელირებს ასევე ქართველთა პატრიოტიზმის თემატიკით, რომელიც მას მიაჩნია საზოგადოების მამოტივირებელ ელემენტად. მოსაზრების ნათლად წარმოსაჩენად განვიხილოთ მაგალითი:

„დღევანდელი თაობების **პატრიოტული** შემართება უთუოდ უზრუნველყოფს ჩვენი საზოგადოების ისტორიულად ხანგრძლივ პერიოდში **აყვავება - გადაფურჩქვნას**, სოციალურ სამართლიანობაზე დაფუძნებული საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე მართვადი, ეკონომიკურად **ძლიერი და დემოკრატიული** სახელმწიფოს აშენება **განვითარებას**“.³⁸

პატრიოტიზმს შევარდნაძე განიხილავს როგორც ქვეყნის აყვავება-გადაფურჩქვნას, სიძლიერეს და განვითარებას.

ქვეყნის მთლიანობა ასევე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხთაგანია ქართულ სინამდვილეში, რამაც შევარდნაძის ტექსტებში არაერთი გამოვლინება ჰპოვა, განვიხილოთ მაგალითი:

„საქართველოს **ტერიტორიული მთლიანობის** აღდგენაში დავით აღმაშენებლის დიდი მაგალითი შთაგვაგონებს: **ვეძებოდ გზა მშვიდობისა, გზა შერიგებისა, გზა მიტევებისა**, ხოლო თუ ეს გზა სამართლიანობის ტაძრამდე ვერ მიგვიყვანს, დავითის დიდგორის მაგალითი გავიხსენოთ და გავიმეოროთ“.³⁹

მოცემულ მაგალითში ეროვნული სტერეოტიპი გამოხატულია როგორც ექპლიციტურად - ქართველები - მშვიდობიანი, შემრიგებლური და მიმტევებელი ხალხია; ასევე იმპლიციტურად - ავტორი ახსენებს დიდგორის ბრძოლას, მაგრამ

³⁷ შავი ზღვის აუზის ქვეყნების არქიტექტორთა პირველი კონფერენციის მონაწილეებს. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1995. 2 ნოემბერი. N160(2076).

³⁸ ფულის რეფორმა ხელს შეუწყობს წარმოების გამოცოცხლებასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის რეაბილიტაციას: ედუარდ შევარდნაძის სიტყვა 1995 წლის 16 სექტემბერს გამართულ თათბირზე. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1995. 20 სექტემბერი. N124 (2040).

³⁹ დავითის დროშამ უნდა გაგვაერთიანოს იმ გზაზე, რომელსაც გამარჯვება და საქართველოს გამთლიანება ჰქვია. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1995. 22 სექტემბერი. N126 (2042).

პირდაპირ აღარ საუბრობს იმაზე, თუ რას გულისხმობდა დიდგორის მაგალითში, შესაბამისად ავტორის მიერ ხდება სტერეოტიპის იმპლიციტურად ჩართვა იმის შესახებ, რომ ქართველი ერი ოდითგანვე სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ერია.

მეტი თვალსაჩინოების მიზნით წარმოგიდგენთ კიდევ ერთ მაგალითს:

„რამდენი შეთქმულებაც უნდა მოაწყონ, რაც უნდა მოხდეს, მინდა გითხრათ, ჩემო ძმებო, დებო, შვილებო, შვილიშვილებო, რომ ვერ შეგაშინებენ, ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ ერთიანი, მთლიანი და განუყოფელი საქართველოსათვის“.⁴⁰

როგორც ზემოხსენებულ მაგალითში ჩანს, ისევ ექსპლიციტურად გამოყენებულია ეროვნული სტერეოტიპები – ბრძოლა ერთიანი, მთლიანი და განუყოფელი საქართველოსათვის.

ედუარდ შევარდნაძის წინასაარჩევნო დისკურსისათვის ასევე დამახასიათებელია ისტორიული სიმბოლური ავტორიტეტებისადმი მიმართვა, როგორც ეს ქვემოთ მოყვანილ მაგალითში შეგვიძლია დავინახოთ. ამ შემთხვევაში კანდიდატი საქართველოს მეფე დავით აღმაშენებელს ახსენებს. დავით აღმაშენებლის ხსენებით ავტორი ცდილობს გამოიწვიოს ქართველი ხალხის ღრმა ემოციები, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის ძლიერებასთან, მთლიანობასთან და სიდიადესთან, რითაც ცნობილია დავით აღმაშენებლის ეპოქა. აღნიშნულის საილუსტრაციოდ განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

„...ამიტომ ღრმად უნდა ჩავუფიქრდეთ ყოველ კანდიდატურას, ვისაც ხმას ვაძლევთ, როგორი იქნება იგი საქართველოსთვის? ასეთი, როგორსაც ავაშენებთ ამ ოთხ-ხუთ წელიწადში. ამ საფუძველზე წამოიმართება ქვეყანა XXI საუკუნისა, **ბედნიერი და აყვავებული საქართველო**, დიდი დავითის, დიდი თამარის და ჩვენი სამშობლო“.⁴¹

ამ მაგალითში დავით აღმაშენებელთან ერთად თამარ მეფის ხსენებით კიდევ უფრო აძლიერებს ემოციურ ფონს – დავით აღმაშენებლის შემდეგ მის სიდიადეს თამარ

⁴⁰ ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ ერთიანი, მთლიანი და განუყოფელი საქართველოსთვის. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1995. 31 აგვისტო. N112 (2028).

⁴¹ სიტყვა იაკობ გოგებაშვილზე. *საქართველოს რესპუბლიკა*. 1995. 21 ოქტომბერი. N148-149(2065).

მეფე აგრძელებს და მისი მეფობის პერიოდში საქართველო კიდევ უფრო ვითარდება და ძლიერდება, რაც საქართველოს სახელმწიფოს ისტორიაში „ოქროს ხანის“ სახელწოდებით შედის. ვფიქრობთ, საქართველოს დიდი მეფეების „მომველიება“ კანდიდატის მიერ საზოგადოების ცნობიერებაზე ზემოქმედების ემოციური გაძლიერების ხერხია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ედუარდ შევარდნაძის წინასაარჩევნო მიმართვებისა და გამოსვლების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ კანდიდატის მიერ საკუთარი თავის შესახებ სტერეოტიპის ფორმირება ხდება აწმყოდან მომავალზე ორიენტირებული დროის ვექტორით და წარსულიდან დღევანდელ შედეგზე მიმართული დროის ვექტორით, სადაც, ორივე შემთხვევაში, კანდიდატი საკუთარ როლზე აქცენტირებს. ტექსტებში გამოიყენება სხვადასხვა ლექსიკური და გრამატიკული ხერხი მის მიერ დანახული რეალობის საზოგადოებისათვის მიწოდებისათვის. ოპონენტების შესახებ გარკვეული სტერეოტიპების ფორმირების ეტაპზე გამოიყენება პირდაპირი (ანუ ექსპლიციტური) და არაპირდაპირი (ანუ იმპლიციტური) ხერხები. ამ შემთხვევაში საქმე ძირითადად უარყოფითი დატვირთვის მქონე ლექსიკურ ერთეულებთან გვაქვს, რაც საშუალებას გვაძლევს გავიგოთ პოლიტიკოსის ზოგადი დამოკიდებულება საზოგადოების ამ ნაწილის მიმართ. ოპონენტები ხასიათდებიან, როგორც ნეგატიური და უარყოფითი მოვლენა და ეს სავსებით მოსალოდნელი იყო, ვინაიდან კანდიდატის მიერ ოპოზიციის წარმომადგენელთა უარყოფით მხარეებზე საუბრით იკვეთება მის მიერ საკუთარი როლისა და არსის აქცენტირების ტენდენციები.

ედუარდ შევარდნაძის გამოსვლებშიც, ზვიად გამსახურდიას მსგავსად, ხაზგასმით აღინიშნება ხალხის თანადგომისა და მხარდაჭერის მნიშვნელობა, რაც ასევე მოსალოდნელი იყო, რადგან, სწორედ ხალხის სახელით მოქმედება შეიძლება შეფასდეს საარჩევნო კანდიდატების აგიტაციის საბაზისო ელემენტად. ამ შემთხვევაში ხშირია საზოგადოების ქებისა და განდიდების შემთხვევები, რაც ვფიქრობთ საზოგადოების მანიპულირების მიზნით ხდება.

ე. შევარდნაძის წინასაარჩევნო გამოსვლებში ეროვნული სტერეოტიპების აღგილზე საუბრისას აღსანიშნავია, რომ კანდიდატის მიერ ძირითადი აქცენტი კეთდება ქართველის ერის ერთობაზე, გამძლეობაზე, ასევე ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობაზე. კანდიდატი თავის მიმართვებში ისტორიულ ავტორიტეტებს ახსენებს, რაც ერთიანობაში ქმნის დიდ ემოციურ ფონს და შესაბამის ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებაზე.

2.4. სტერეოტიპების ფორმირება მიხეილ სააკაშვილის 2003 წლის წინასაარჩევნო მასალების მიხედვით

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის წინამდებარე ნაწილი ეძღვნება საქართველოს მესამე საპრეზიდენტო კანდიდატის - მიხეილ სააკაშვილის წინასაარჩევნო მიმართვებისა და გამოსვლების ანალიზის შედეგებს. მოცემულ შემთხვევაშიც მასალების ანალიზის მიზნით გამოვიყენეთ იგივე სქემა, რაც ზვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძის შემთხვევებში გვქონდა. ემპირიულ მასალად გამოყენებული მასალები აღებულია გაზეთიდან „24 საათი“. მასალების წყაროს შერჩევისათვის ჩვენ მიმოვიხილეთ იმ პერიოდის (2003 -2004 წწ) ქართული ბეჭდური მედია და შევარჩიეთ გაზეთი „24 საათი“ იმდენად, რამდენადაც მასში სხვა გაზეთებთან შედარებით ყველაზე სრულად იყო გაშუქებული მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები. მიხეილ სააკაშვილი ედუარდ შევარდნაძის მსგავსად ორჯერ იყო არჩეული საქართველოს პრეზიდენტად, თუმცა მისი ქვეყნის სათავეში მოსვლა რევოლუციის შედეგად მოხდა. შევარდნაძის პრეზიდენტობის კრიზისის ფონზე, საზოგადოებაში სააკაშვილის სახით გამოჩნდა ახალგაზრდა, აქტიური ლიდერი, რომელიც გამოვიდა მოქმედი მთავრობის წინააღმდეგ და მოახერხა საზოგადოების ხელისუფლების წინააღმდეგ აღმართვა. მოქმედი

პრეზიდენტის გადადგომისა და მ. სააკაშვილის საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელების შემდეგ დაიწყო საარჩევნო კამპანია და სწორედ აღნიშნული მასალები იქცა ჩვენი ნაშრომის ემპირიულ მასალად. მ. სააკაშვილის წინასარჩევნო ტექსტები ისეთივე მიდგომით გავაანალიზეთ, რაც ზემოხსენებული ორი საპრეზიდენტო კანდიდატების მასალები, შესაბამისად, პირველად წარმოგიდგენთ საკუთარი თავის შესახებ სტერეოტიპების კონტრუირების მოდელს.

საკუთარი თავის ხატის შექმნა (პიროვნული ავტოსტერეოტიპის ფორმირება):
ზემოთ განვიხილეთ და დავახასიათეთ საქართველოს საპრეზიდენტო კანდიდატების ზვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძის მიერ წინასარჩევნო კამპანიის პერიოდში შექმნილი გარკვეული მოდელები - სტერეოტიპული ხატები, რომლებიც მათ მიერ წარმატების მისაღწევად გამოიყენებოდა. მასალების ანალიზმა გამოავლინა, რომ სააკაშვილის მიმართებებში თუ გამოსვლებში ნაკლებად ხდება საკუთარი თავის შესახებ რაიმე სურათის შექმნის მცდელობა. ამასთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ სააკაშვილი საზოგადოებაში ჩნდება როგორც გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი წევრი, ოპოზიციური გუნდის ლიდერებს კი ქართული საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი, ავტორიტეტული პირები წარმოადგენდნენ. ვფიქრობთ, რომ სწორედ ამიტომ, სააკაშვილის მოდელში კანდიდატის მიერ საკუთარ პიროვნულ თვისებებსა და ღირებულებებზე ყურადღების გამახვილება ნაკლებად ხდება, თუმცა კანდიდატის ხატის შექმნაზე მისი გუნდის წევრები ზრუნავენ და რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის შემდეგ, მიხელ სააკაშვილს გაერთიანებული ოპოზიციის ერთიან და საპრეზიდენტო პოსტზე ყველაზე რეალურ კანდიდატად ასახელებენ. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით გვინდა რამდენიმე მაგალითი მოვიხმოთ:

„...გაერთიანებული ოპოზიციის მიერ შერჩეული პრეზიდენტობის კანდიდატი მნიშვნელოვანი წარმატების გარანტია“ – ნინო ბურჯანაძე;⁴²

„ელდარ შენგელაიამ ყველას ურჩია „ასპარეზი დაუთმონ მიხეილ სააკაშვილს“⁴³

⁴² ბუკია, სოფო. 2003. მთავარი კონკურენტები - დრო და საქართველოს მტრები. 24 საათი. 5 დეკემბერი. N315.

⁴³ იქვე.

ან კიდევ რამაზ ჩხიკვაძის სიტყვები: „დიდი ხანია ვნატრობდი, ჩვენთან გამოჩნდეს ასეთი ახოვანი, ლამაზი, მხნე, წარმოსადეგი, ნიჭიერი, განათლებული, ახალგაზრდა კაცი და აი ისიც“. ⁴⁴

მიხეილ სააკაშვილის ლობირება ხდებოდა ქართული პოლიტიკური ცხოვრების აქტიური და საზოგადოებისათვის ცნობილი ფიგურების მიერ, რაც უდაოდ ზრდიდა აგიტაციის ემოციურ, სიმბოლურ, შინაარსობრივ დატვირთვას და შესაბამის ზემოქმედებას ახდენდა საზოგადოებრივ აზრზე.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, სააკაშვილის წინასაარჩევნო კამპანია დაკავშირებულია საქართველოში იმ პერიოდისთვის არსებულ უთანხმოებასთან მიმართველ გუნდსა და ოპოზიციას შორის, რომელიც რევოლუციაში გადაიზარდა და მოქმედი პრეზიდენტის გადადგომა გამოიწვია. სააკაშვილის საზოგადოების ფართო მასების წინაშე გამოჩენა ხდება საზოგადოების მამობილიზირებელი მიმართვებით ძველი მიმართველი გუნდის წინააღმდეგ. მის მიზანს წარმოადგენს საზოგადოების გაერთიანება და არსებული სიტუაციისა და მოქმედი პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართვა. სააკაშვილის საზოგადოებისადმი მიმართვები გამოირჩევა პათოსურობით და ფართო მასების აზროვნებაზე ზემოქმედების ტენდენციურობით, რაც შემდეგ მაგალითში შეიძლება შეიმჩნეს:

„ყოველი ერის ცხოვრებაში დგება დღე, როდესაც გულგრილობა დანაშაულია. დღეს ასეთი დღე დგას თითოეული ქართველისათვის. ამიტომ მინდა მივმართო ყველას, ვისაც მიგაჩნდათ და დღესაც მიგაჩნიათ, რომ თქვენ არაფერს წყვეტთ საკუთარი ერის ცხოვრებაში“. ⁴⁵

გვინდა კიდევ ერთი მაგალითი წარმოვადგინოთ:

„უკვე მრავალი დღეა, წვიმასა და უამინდობაში ათასობით თქვენი თანამოქალაქე დგას რუსთაველზე და იბრძვის ყველა თქვენგანის უფლებისთვის, იცხოვროს გაცილებით წესიერ ქვეყანაში. მინდა გთხოვოთ, დღეს ყველანი მათ გვერდით დადგეთ და ყველამ ერთად მოვიტხოვოთ პრეზიდენტ შევარდნაძეს გადადგომა, მისი 30-წლიანი

⁴⁴ იქვე.

⁴⁵ საქართველოს მოსახლეობას!. მიხეილ სააკაშვილის მიმართვიდან. 24 საათი. 2003. 14 ნოემბერი. N297.

მმართველობის დასასრული. თუ გვინდა, რომ გადავრჩეთ ყაჩაღების რეჟიმს, თუ გვინდა, რომ საკუთარ თავს და შვილებს მომავალი მივცეთ..... ყველანი უნდა დავდგეთ რუსთაველზე და ვაჩვენოთ შევარდნაძეს ჩვენი ძალა“. ⁴⁶

ან კიდევ:

„ახლა იმისათვის, რომ თავიდან ავიშოროთ ძალადობა და უბედურება, ყველანი უნდა დავდგეთ ერთად.“ ⁴⁷

პოლიტიკოსის მიზანია საზოგადოების გაერთიანება და მობილიზება გარკვეული მიზნით მისაღწევად. იმედგაცრუებული საზოგადოების, რომელსაც ჰგონია რომ „არაფერს წყვეტს ერის ცხოვრებაში“, გააქტიურებას ცდილობს და მოქმედი პრეზიდენტის წინააღმდეგ გამოსვლას წესიერ ქვეყანაში ცხოვრებას, ყაჩაღური რეჟიმის დაძლევისა და შვილების მომავლის შენებას უკავშირებს. ამ შემთხვევაში კანდიდატის მიერ ხდება მმართველ გუნდთან დაკავშირებულ უარყოფით თვისებებზე აქცენტირება - „თავიდან ავიშოროთ ძალადობა, უბედურება...“ საზოგადოების რეაქციის გამოწვევის მიზნით. მოვიხმობთ კიდევ ერთ მაგალითს:

„დღეს გადამწყვეტი დღეა საქართველოსთვის. შევარდნაძის ყოველი დამატებითი წუთი საქართველოს ხელისუფლების სათავეში ახალი არასტაბილურობის, სისხლისღვრის, დაქუცმაცების, ეკონომიკური განადგურების, განათლების არმილების, ჩვენი მომავლის რეალური განადგურების საფრთხეს ნიშნავს.“ ⁴⁸

როგორც მაგალითიდან ვხედავთ, პოლიტიკოსის მიერ ხდება ხალხის აქტიური მობილიზება, გამოწვევა - „დღეს გადამწყვეტი დღეა“ აღნიშნავს იგი და შევარდნაძის სახელს საფრთხეებს - არასტაბილურობას, დაქუცმაცებას, ეკონომიკურ განადგურებას და სხვა ნეგატიურ შედეგებს უკავშირებს.

ზემოთ წარმოდგენილი ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მიხეილ სააკაშვილის პიროვნული სტერეოტიპის ჩამოყალიბება ხდება ერთი მხრივ მის თანამებრძოლთა გუნდის წარმომადგენლების მიერ, მეორე მხრივ კი

⁴⁶ იქვე.

⁴⁷ იქვე.

⁴⁸საქართველოს მოსახლეობას!. მიხეილ სააკაშვილის მიმართვიდან. 24 საათი. 2003. 14 ნოემბერი. N297.

პოლიტიკური ლიდერის ხატი იკვეთება შექმნილ მძიმე მდგომარეობაზე აქცენტირებით და მოქმედი მთავრობისა და პრეზიდენტის წინააღმდეგ საზოგადოების მიმართვით. აღნიშნული ბოლო მეთოდი შეგვხვდა საქართველოს სამივე საპრეზიდენტო კანდიდატის წინასაარჩევნო დისკურსების კვლევისას, რაც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ იგი საზოგადოებაზე ზემოქმედების მიზნით ნიშანდობლივია ქართველი პოლიტიკოსების წინასაარჩევნო დისკურსში.

ახლა კი გვინდა განვიხილოთ სააკაშვილის მიერ **ოპონენტების ხატის** შექმნის მოდელი. სააკაშვილის მთელი წინასაარჩევნო აგიტაცია იშლება წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების მომენტისათვის გადამდგარი პრეზიდენტის – ედუარდ შევარდნაძის უარყოფითი ხატის შექმნის ფონზე. მასალების ანალიზმა ცხადყო, რომ სააკაშვილის პირველი წინასაარჩევნო კამპანიის გამოსვლებში ნაკლებად გვხვდება რომელიმე ოპოზიციური ძალის წინააღმდეგ მიზანმიმართული აგიტაცია. ოპოზიციის ხსენება იმ დროს ხდება, როდესაც კანდიდატი ცდილობს მის „გადმობირებას“. თუმცა ოპოზიციის დარწმუნებას სააკაშვილი ოპოზიციის პირდაპირი დადანაშაულებით იწყებს და ბრალს სდებს ხელისუფლებასთან გარიგებაში. აღნიშნულის დემონსტრირების მიზნით მოვიხმობთ შემდეგ მაგალითს:

„მივმართავ იმ პარტიებს, რომლებიც თავს ოპოზიციურს უწოდებენ და დღეს ჩვენს გვერდით არ არიან <...> თქვენი სიჩუმის სანაცვლოდ, ხელისუფლება თქვენ შვიდპროცნტიანი ბარიერის გადალახვას გპირდებათ. **თქვენ გგონიათ, რომ ვერავინ ხვდება, რომ თქვენ ხელისუფლებას გაურიგდით** და, აჭარიდან და უცხოეთიდან ჩამოტანილი, **ხალხისთვის წართეული ხმებით დაკმაყოფილდით?**“⁴⁹

როგორც ვხედავთ, სააკაშვილი პირდაპირ ადანაშაულებს ოპოზიციის წევრებს მოსყიდულობაში და ხალხის ხმების „წართმევაში“ და მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ტექსტები მწირად გვხვდება წინასაარჩევნო პერიოდის გამოსვლებში, მაინც იკვეთება კანდიდატის მიერ ოპოზიციური ძალების ხატი - **ოპოზიცია მთავრობასთან გარიგებული და ხალხის ხმების უკანონოდ მიმთვისებელთა გუნდი.**

⁴⁹ ბუკია სოფო. 2003. მე, მიზა სააკაშვილი, არ ვაპირებ დღეს აქედან წასვლას. 24 საათი. 8 ნოემბერი. N293

თუკი ოპოზიციის წინააღმდეგ მიმართული კამპანია მწირია, იგივეს ვერ ვიტყვით წინა მთავრობის გუნდზე და კონკრეტულად გადამდგარ პრეზიდენტთან დაკავშირებით. მიხეილ სააკაშვილის წინასაარჩევნო კამპანიის მიმართებებში თუ ტექსტებში ჭარბობს წინა მთავრობის უარყოფითი ხატის შექმნის მცდელობები. ნეგატიური ფონის შექმნა კანდიდატის მიერ ხდება როგორც იმპლიციტურად, ასევე ექსპლიციტურად. განვიხილოთ ორივე შემთხვევა შესაბამისი მაგალითების მოხმობით.

სტერეოტიპული წარმოდგენების ექსპლიციტურად შექმნა: როცა კანდიდატი კონკრეტული ლექსიკური ერთეულების გამოყენებით აყალიბებს თავის დამოკიდებულებას კონკრეტული მოვლენისა თუ ოპონენტის შესახებ. ჩვენი მოსაზრების წარმოდგენის მიზნით გვინდა მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

„გაიხსენეთ შაჰ-აბასი, თემურ ლენგი... საქართველოს ბევრად უფრო დახვეწილი შინა გამყიდველები უნახავს, ვიდრე სახელისუფებო ბლოკში თავმოყრილი სუბიექტებია, მაგრამ საქართველომ ყველაფერს გაუძლო. ჩვენ დღესაც გავიმარჯვებთ! ოცდაათწლიანი მმართველობის შემდეგ ჩვენ ერთად გავაცილებთ თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ ბოლო დიქტატორს – ედუარდ შევარდნაძეს. გაფრთხილებთ, ხელისუფლება დიდი გაყალბებისთვის ემზადება – „ნაციონალური მოძრაობა“ კი დიდი გამარჯვებისთვის“⁵⁰

მაგალითიდან ვხედავთ, რომ სააკაშვილი მოქმედ ხელისუფლებას პირდაპირ, ღიად ნეგატიურად ახასიათებს, უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბების ხელშეწყობისა და გაღვივებს მიზნით, კანდიდატი მთავრობის წევრებს მოიხსენიებს და აიგივებს საქართველოს ისტორიაში ყველაზე სამულველ და სასტიკ მტრებთან, რომლებიც ქვეყნის განადგურებას და გაჩნაგებას ცდილობდნენ. ამ შემთხვევაში სააკაშვილი ცდილობს საზოგადოების ისტორიული წარსულის უარყოფითი სტერეოტიპებით აპელირებას, ამას ემატება საზოგადოების გაფრთხილება ხელისუფლების მხრიდან მოსალოდნელი არაკანონიერი ქმედების, კერძოდ კი **გაყალბების** საშიშროების შესახებ. ყველაფერი ერთად კი დიდი ემოციურ

⁵⁰ ბუკია სოფო. 2003. მხოლოდ ჩვენ ვიცით, როგორ დავიბრუნოთ საქართველო. 24 საათი. 1 ნომბერი. N286.

ზემოქმედებასა და შესაბამისი რეაგირების გამოწვევ ელემენტად გამოდის, რასაც მოსდევს ხალხის დამაიმედებელი გამხნეება – **„მაგრამ საქართველომ ყველაფერს გაუძლო. ჩვენ დღესაც გავიმარჯვებთ!“**. ამ შემთხვევაში პოლიტიკოსი იმპლიციტურად რთავს ეროვნულ სტერეოტიპს ქართველი ერის გამძლეობის, სულიერი სიმტკიცის შენარჩუნების შესახებ. კანდიდატი საზოგადოებას თავის გუნდად აერთიანებს და უკვე საზოგადოების სახელით გამოდის – **„ოცდაათწლიანი მმართველობის შემდეგ ჩვენ ერთად გავაცილებთ თანამედროვე მსოფლიოს ერთ–ერთ ბოლო დიქტატორს – ედუარდ შევარდნაძეს“**.

გვინდა კიდევ ერთი მაგალითი განვიხილოთ:

„ჩვენ გვაქვს საქმე შევარდნაძის მხრიდან სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასთან, ჩვენ გვაქვს საქმე ხალხის ნების ფეხქვეშ გათელვასთან და ხელისუფლების მისაკუთრებასთან. <...> ჩვენ გვინდა ერთადერთი რამ – ადამიანებმა შვებით ამოისუნთქონ, საქართველოში განხორციელდეს პოლიტიკურ–ეკონომიკური პროექტები, შეწყდეს ბანდიტთა თარეში.“⁵¹

ამ შემთხვევაში მიხეილ სააკაშვილი პირდაპირ აფრთხილებს საზოგადოებას მოქმედი პრეზიდენტის მხრიდან მოსალოდნელ საფრთხეების შესახებ – **სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, ხალხის ნების ფეხქვეშ გათელვა, ხელისუფლების მისაკუთრება**, რაც ბუნებრივია საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას და ძველი ხელისუფლების ისედაც შერყეული საფუძვლის ბოლომდე დანგრევას უწყობს ხელს.

ახლა კი განვიხილოთ **სტერეოტიპების იმპლიციტურად შექმნის** მოდელი: ჩვენ ვისაუბრეთ საარჩევნო კანდიდატის მიერ ოპონენტის, მოცემულ შემთხვევაში კი მოქმედი პრეზიდენტის, ხატის ექსპლიციტური გზით შექმნაზე, ახლა კი გვინდა განვიხილოთ იმპლიციტური გზით სტერეოტიპების შექმნის მცდელობის რამდენიმე მაგალითი:

⁵¹ბარიერთან: საზოგადოება უპირისპირდება შევარდნაძე-აბაშიძის მიერ სახელმწიფო გადატრიალებისა და ხელისუფლების მისაკუთრების მცდელობას. 24 საათი. 2003. 7 ნოემბერი. N291.

„ბაქო–თბილისი–ჯეიხანის {...} მსგავსი პროექტები, პირველ რიგში, ხალხის სამსახურში უნდა იყოს და არა რომელიმე კლანის ინტერესებში, როგორც ეს აქამდე ხდებოდა“⁵²

ან კიდევ:

„ხალხი დაინახავს, რომ მას ფულს აღარ სძალავენ, რომ ქვეყანაში უზენაესი იქნება კანონი, რომელსაც ყველა დავიცავთ. <...> აქამდე ჯარში მიდიოდნენ ისინი, ვისაც გავლენიანი პატრონი არ ჰყავდა. ამიერიდან ეს აღარ იქნება...“⁵³

ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითებში სახეზეა სააკაშვილის მიერ წინა მთავრობის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების იმპლიციტური ანუ არაპირდაპირი, ირიბი, ნაგულისხმევი ხერხით შექმნა. როგორც ვხედავთ, კანდიდატი პირდაპირ არ ასახელებს „უბედურების“ კონკრეტულ ობიექტს, მაგრამ გულისხმობს წინა მთავრობას – სახელმწიფოში განხორციელებული საქმიანობა ხალხის სამსახურში უნდა იყოს და არა რომელიმე კლანის ინტერესებში, როგორც ეს აქამდე ხდებოდა..., ხალხს ფულს აღარ სძალავენ – ანუ აქამდე სძალავდნენ, აქამდე ჯარში მხოლოდ გავლენიანი პატრონის არმქონე ახალგაზრდები მიდიოდნენ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება აღინიშნოს, რომ პირველი საარჩევნო კამპანიის პერიოდში, მიხეილ სააკაშვილის გამოსვლებში, მართალია მწირად, მაგრამ პირდაპირ ხდება ოპოზიციური ძალების დადანაშაულება რის შედეგადაც ვლუბლობთ კანდიდატის საერთო დამოკიდებულების სურათს ამ კონკრეტული ობიექტის მიმართ. ზოგადად კი შეიძლება ითქვას, რომ მ. სააკაშვილის წინასაარჩევნო სააგიტაციო მიმართვები აგებულია მოქმედი მთავრობის შესახებ კატეგორიულ, უარყოფით აგიტაციურ მეთოდებზე. ამ შემთხვევაში სტერეოტიპის კონსტრუირება ხდება როგორც იმპლიციტურად - პირდაპირ დადანაშაულებით, ასევე ექსპლიციტურად - ქვეყანაში მიღებული შედეგების მთავრობასთან მიზეზობრივ არაპირდაპირ კავშირზე მითითებით. გარდა ამისა, სააკაშვილის მოდელში შემოდის კიდევ ერთი ელემენტი –

⁵² ნარჩემაშვილი, ნინო. 2003. ქართველი ბიზნესმენები ახალი ხელისუფლებისაგან ცვლილებებს ელიან. 24 საათი. 13 დეკემბერი. N322.

⁵³ იქვე.

უარყოფით ისტორიულ წარსულზე აქცენტირების ხერხი, რაც მას სჭირდებოდა დასახული მიზნის მიღწევისათვის – კანდიდატმა უკმაყოფილო მასების მხრიდან საპასუხო რეაგირება მიიღო, რაც პრაქტიკულად საერთო სახალხო გამოსვლებში, სახელმწიფო არეულობაში გამოიხატა და მოქმედი პრეზიდენტის გადადგომით დასრულდა.

ქართველი ერის ხატი. საარჩევნო პროცესებში ხალხის ჩართულობისა და მონაწილეობის თემა მიხეილ სააკაშვილის წინასაარჩევნო გამოსვლებში ისეთივე აქტუალურია, როგორც წინა ორი კანდიდატის შემთხვევაში. კანდიდატი საზოგადოების გააქტიურებას, მობილიზებას ცდილობს და მის მხარდაჭერას ითხოვს საერთო საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის. აღნიშნულის წარმოსაჩენად განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

„იმისათვის, რომ ჩვენმა შვილებმა იცხოვრონ მშვიდობიან, სტაბილურ ქვეყანაში, იმისათვის, რომ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ჰქონდეს მომავალი, საქართველოში იყოს სამოქალაქო თანხმობა და ნორმალური საცხოვრებელი და ეკონომიკური პირობები, საჭიროა, ქართული საზოგადოება დაირაზმოს და, მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი ფორმით, არ დაუშვას სახელმწიფო გადატრიალება, ხელისუფლების მისაკუთრება შევარდნაძის და აბაშიძის მიერ“.⁵⁴

ან კიდევ:

„ყველას, ვისაც გული ერჩის, ვინც ნამდვილი პატრიოტია <...> დადექით ჩვენს გვერდით, რათა ისევ არ გადაგვიარონ, არ ამოგვსვარონ ტალახში, არ შეურაცხგვყონ, საბოლოოდ არ გაანადგურონ საქართველო... არ მისცეთ ამის ნება, ხალხო“.⁵⁵

როგორც წარმოდგენილ მაგალითებში ვხედავთ, კანდიდატი ხალხს, საზოგადოებას ძიერ ძალად წარმოაჩენს, რომელსაც შეუძლია წინ აღუდგეს სახელმწიფო გადატრიალებას, ხელისუფლების მისაკუთრებას, შეურაცხყოფას, და საქართველოს განადგურებას. აღსანიშნავია, რომ საზოგადოების მობილიზება ხდება

⁵⁴ბარიერთან: საზოგადოება უპირისპირდება შევარდნაძე-აბაშიძის მიერ სახელმწიფო გადატრიალებისა და ხელისუფლების მისაკუთრების მცდელობას. 24 საათი. 2003. 7 ნოემბერი. N291.

⁵⁵ ბუკია, სოფო. 2003. გინდათ ასეთი პრეზიდენტი? 24 საათი. 10 ნოემბერი. N293.

საზოგადოების ინტერესებიდანვე, სააკაშვილი ხალხს რეაგირებისაკენ მოუწოდებს, მაგრამ ეს მოქმედება გამართლებულია მომავალი სასიკეთო შედეგის მისაღწევად და ქართველის ერის ერთობლიობისა და სიძლიერის წარმოსაჩენად „ჩვენ არ უნდა აღმოვშნდეთ სხვა ერებზე უფრო სუსტები“.

საკაშვილისათვის დამახასიათებელია ასევე ხალხის სახელით საუბრობარი, ხალხის ერთგვარი წარმომადგენლისა და მისი ინტერესების დამცველის სახელით:

„ტყუილად ჰგონიათ, რომ ქართველ კაცს ღირსება არა აქვს; ტყუილად ჰგონიათ, რომ ქართველი ხალი ბრიყვია. <...> ხალხი მართლა სულელი ხომ არ გგონიათ?“⁵⁶

ჩვენი აზრით, ხალხის სახელით საუბარი კანდიდატს საშუალებას აძლევს, გამოხატოს თავისი საზოგადოებასთან სიახლოვე და ერთსულოვნება. ხალხის სახელით საუბარი ტენდენციურია ჩვენ მიერ განხილული სამივე საპრეზიდენტო კანდიდატის წინასაარჩევნო გამოსვლებში. ამ მეთოდის გამოყენებით კანდიდატებს საშუალება ეძლევათ შექმნან გარკვეული ხატი საკუთარი თავის შესახებ - ადამიანი, საზოგადოების წინამძღოლი, რომელიც ზრუნავს ხალხზე და იცავს მის ღირსებას. როგორც წესი ამას მოსდევს ხალხის ხოტბა და მიღწევებში მისი როლისა და მნიშვნელობის ხაზგასმა: „საქართველოში დამარცხდა ტირანის რეჟიმი და ეს თქვენი დამსახურებაა, ხალხო!“;⁵⁷ „...ქართველმა ხალხმა კატასტროფული დამარცხება მიაყენა ამჟამინდელ ხელისუფლებას“;⁵⁸ „ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ხალხით იმ გამბედაობისათვის, რაც რევოლუციის პროცესში გამოიჩინა“;⁵⁹ „...მაგრამ, აქ მთავარი გმირი არც სააკაშვილია და არც შევარდნაძე. მთავარი გმირი ხალხია, რომელმაც გუმინ საკუთარი ხელით შექმნა ისტორია“.⁶⁰

როგორც ჩვენ მიერ გამოყოფილ და წარმოდგენილ მაგალითებში ვხედავთ, სააკაშვილი თავისი მიზნის მიღწევაში ხალხის როლზე საუბრობს - „მთავარი გმირი ხალხია“, რითაც თავისი ქმედებების ლეგიტიმაციას ახდენს და საკუთარ თავს ხალხის

⁵⁶ ბუკია სოფო. 2003. მხოლოდ ჩვენ ვიცით, როგორ დავიბრუნოთ საქართველო. *24 საათი*. 1 ნოემბერი. N286.
⁵⁷ ბუკია, სოფო. 2003. მატარებელი მომავლის მიმართულებით. *24 საათი*. 11 დეკემბერი. N320.
⁵⁸ ზარიერთან: საზოგადოება უპირისპირდება შევარდნაძე-აბაშიძის მიერ სახელმწიფო გადატრიალებისა და ხელისუფლების მისაკუთრების მცდელობას. *24 საათი*. 2003. 7 ნოემბერი. N291.
⁵⁹ სატელეფონო ხაზზეა ჯორჯ ბუში. *24 საათი*. 2004. 8 იანვარი. N05.
⁶⁰ ქალაგანიძე მათა. 2003. შევარდნაძე დიდი პიროვნებაა. *24 საათი*. 24 ნოემბერი. N305.

ნების გამომხატველად და შემსრულებლად წარმოაჩენს - „...საკუთარი ხელით შექმნა ისტორია“ და „... კატასტროფული დამარცხება მიაყენა ამჟამინდელ ხელისუფლებას“.

ხალხის როლზე და მის ჩართულობაზე საუბრის მეთოდი შეიძლება მივიჩნიოთ საზოგადოების მანიპულირების ერთ–ერთ ხერხად, რომელიც საკმაოდ აქტუალურია ქართული წინასაარჩევნო დისკურსისათვის. იმდენად, რამდენადაც აღნიშნული ხერხი ტენდენციურია, იგი შეგვიძლია ქართული წინასაარჩევნო დისკურსის სტერეოტიპულ ფორმად მივიჩნიოთ.

ამდენად, მიხეილ სააკაშვილის წინასაარჩევნო პერიოდის მასალების კვლევის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ავტოსტერეოტიპის ჩამოყალიბება ძირითადად ხდება კანდიდატის გუნდის წარმომადგენლების მიერ, ასევე პოლიტიკური ლიდერის ხატი იკვეთება სახელმწიფოში შექმნილ კრიტიკულ მდგომარეობაზე მითითებით. კანდიდატის მთელი სააგიტაციო კამპანია იშლება მოქმედი პრეზიდენტის წინააღმდეგ საზოგადოების მობილიზების ფონზე. ზოგადად, შექმნილ კრიტიკულ პოლიტიკურ ვითარებაზე მითითება და ამ ვითარების ფონზე პოლიტიკური ლიდერის (ამ შემთხვევაში კი საარჩევნო კანდიდატის) როლის ჩართვა და წარმოჩენა შეიძლება მივიჩნიოთ ქართული წინასაარჩევნო დისკურსის ტენდენციურ, სტერეოტიპულ ნიშანთვისებად, ვინაიდან სწორედ წინა მთავრობის ნაკლოვანებებზე მითითება განმეორებადი და ნიშანდობლივია ჩვენ მიერ შერჩეული სამივე საპრეზიდენტო კანდიდატის გამოსვლებში.

ოპოზიციის შესახებ სტერეოტიპული ხატის ფორმირებაზე საუბრისას აღსანიშნავია, რომ სააკაშვილის მიერ სტერეოტიპის აგება ხდება როგორც იმპლიციტურად - ოპონენტების პირდაპირ დადანაშაულებით, ასევე ექსპლიციტურად - ქვეყანაში მიღებული შედეგების მთავრობასთან არაპირდაპირ კავშირზე მითითებით. გარდა ამისა, თუკი გამსახურდიასა და შევარდნაძის წინასაარჩევნო დისკურსებში ადგილი აქვს ისტორიული ავტორიტეტების მოხმობას საკუთარი ქმედებების უფრო მტკიცე და გამართლებული საფუძვლის შექმნის მიზნით, სააკაშვილის მოდელში

შემოდის კიდევ ერთი ელემენტი – უარყოფითი ისტორიული წარსულით აპელირება, რაც, ვფიქრობთ, საკმაოდ დიდი ემოციური ზემოქმედების მიზნით იქნა გამოყენებული.

საარჩევნო პროცესში ხალხის ჩართულობის ხაზგასმა ქართულ პოლიტიკურ დისკურსში კიდევ ერთი ფუნდამენტური ელემენტია, იმდენად რამდენადაც იგი განმეორებადია სამივე საპრეზიდენტო კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანიის მასალებში, საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების აღნიშნული ხერხიც შეგვიძლია ქართული წინასაარჩევნო დისკურსის სტერეოტიპულ ფორმად მივიჩნიოთ.

დასკვნა.

როგორც აღვნიშნეთ, სტერეოტიპთა ცვლა ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის ცვლასთან არის დაკავშირებული. საქართველოს საპრეზიდენტო კანდიდატების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში სტერეოტიპთა ფორმირების ტენდენციებიც შესაბამისია. ჩვენ მიერ სამივე საპრეზიდენტო კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდის სახალხო გამოსვლების, სატელევიზიო მიმართვების თუ საზოგადოებასთან პირადად შეხვედრისას გამოყენებული ტექსტების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა სტერეოტიპთა ფორმირების განმეორებადი ტენდენციები, რომელთა გათვალისწინებითაც შეგვიძლია ქართულ წინასაარჩევნო დისკურსში გამოვყოთ შემდეგი ძირითადი მახასიათებლები:

1. არჩევნების მნიშვნელობის ხაზგასმა – ჩვენ მიერ განხილულ სამივე შემთხვევაში არჩევნები „გადამწყვეტია“ ქვეყნის გადასარჩენად; თითოეული კანდიდატი საუბრობდა არჩევნების დიდ მნიშვნელობაზე და შესაბამისად, საზოგადოებრივ ვალდებულებებზე მითითებით გარკვეულ შედეგებსაც ლეზულობდნენ.

2. ერის ერთობა – „ჩვენ უნდა გავერთიანდეთ“, „ჩვენ ერთად უნდა დავდგეთ“ „ძალა ერთობაშია“ – ხალხის ერთობის თემა ქართველი საპრეზიდენტო კანდიდატების ერთ-ერთი მთავარი იყო, რაც ჩვენი აზრით საზოგადოებაზე ზემოქმედების გზით, მისი შემდგომი ქმედების განმაპირობებელ ფაქტორად გამოიყენებოდა.

3. ისტორიული წარსულის მოშველიება – ისტორიულ წარსულს კანდიდატები მიმართავდნენ კონკრეტულ ობიექტსა თუ სიტუაციასთან დაკავშირებით როგორც

დადებითი, ასევე უარყოფითი დამოკიდებულების გამოხატვისა თუ ჩამოყალიბების მიზნით. კვლევის პროცესში გამოვლინდა საქართველოს ისტორიაში გამორჩეულ პიროვნებებზე საუბრისას საზოგადოების იმ მაგალითების „შეხსენება“, რომელიც ქართული ისტორიის გამორჩეულ და ცნობილ ფაქტებს წარმოადგენდა. ასევე გვხვდება საქართველოს ისტორიაში ცნობილი უარყოფითი ფიგურების „გამოყენება“ ოპონენტის ხატის შექმნის მიზნით, როგორც ეს მიხეილ სააკაშვილის შემთხვევაში ვლინდება.

4. ხალხის სახელით საუბარი და საკუთარი ქმედებების ლეგიტიმაცია სამივე კანდიდატის მოდელში უცვლელი და, შეიძლება ითქვას, წინასაარჩევნო კამპანიის უმთავრესი ელემენტია. თითოეული კანდიდატი ხალხის სახელით იწყებდა, აგრძელებდა ასრულებდა კონკრეტულ აქტივობას. კანდიდატების მიერ საკუთარი თავის, როგორც ხალხის, საზოგადოების ლიდერად და წინამძღოლად წარმოჩენით, მიიღწეოდა ერთგვარი ერთობა, როცა კანდიდატი მომავალში საზოგადოების გულისტკივილს სახალხოდ გამოიტანდა და საზოგადოების ინტერესებისათვის იბრძოლებდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კანდიდატები ასეთნაირად საკუთარი ქმედებების ლეგიტიმაციას ახდენდნენ და აპელირებდნენ იმით, რომ ისინი ხალხის ნებით მოქმედებდნენ, იყვნენ აღჭურვილნი ხალხის უფლებამოსილებით. ამიტომაც, არჩევნების შედეგებიც ხალხის ნებისა და სურვილის გამოხატულებას წარმოადგენდა.

5. ხალხის ქება – მოტივირება: ქართველი ხალხი შორსმჭვრეტელია, ქართველი ხალხი შეცდომას არ დაუშვებს, ქართველი ხალხი სულელი ხომ არ გგონიათ და სხვა მსგავსი ქება-დიდება ყველა კანდიდატის მოდელში ფიქსირდება. ჩვენი აზრით ხალხის ქება მისი მოტივირების, მობილიზირების მიზნით ხდებოდა რაც არჩევნების დროს გადამწყვეტი ფაქტორი იყო თითოეული კანდიდატისათვის.

6. სამივე შემთხვევაში განმეორდა მიმართვებისა და გამოსვლების ფორმა და სტრუქტურა: კანდიდატები ხაზს უსვამდნენ წინასაარჩევნო პერიოდში ქვეყანაში არსებულ მძიმე მდგომარეობას, რაშიც მმართველ გუნდს ადანაშაულებდნენ; ამ შემთხვევაში, საკუთარი თავი ქვეყნის გადარჩენის ერთგვარ გარანტიად წარმოჩნდებოდა, რისთვისაც

ხდებოდა ერის სტერეოტიპული მახასიათებლებით აპელირება; ეს ელემენტები საკუთარი მიზნის მისაღწევად გამოიყენებოდა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ ზემოთ გამოყოფილი მახასიათებლები ის ელემენტებია, რომლებიც სტერეოტიპული ხატის შექმნის მიზნით გამოიყენებოდა. თუმცა თუ გავითვალისწინებთ კანდიდატების მიმართვებისა თუ გამოსვლების სტრუქტურას, ასევე გამოიყენებოდა ისეთი ერთეულებიც, როგორებიცაა: ქვეყნის მომავალი პოლიტიკური კურსისა და განვითარების მიზნების განსაზღვრა, დასახული ამოცანების გადაწყვეტისუნარიანობის აღნიშვნა, პოლიტიკური რეფორმების აუცილებლობაზე საუბარი, პრეზიდენტის როლისა და ამოცანების ხაზგასმა და სხვ. ისინი, ასევე შეგვიძლია საარჩევნო კანდიდატების წინასაარჩევნო სტერეოტიპულ ფორმად და სტრუქტურად მივიჩნიოთ, თავისი განმეორებითობისა და უცვლელობის გათვალისწინებით.

სამი კანდიდატის წინასაარჩევნო მასალებში როგორც გარკვეულ მსგავსებები, ასევე განსხვავებები გამოვლინდა, რაც, ვფიქრობთ, ქვეყანაში თითოეული პერიოდისათვის არსებული პოლიტიკური თუ სოციალური მდგომარეობით იყო გამოწვეული. ჩვენი აზრით, ამით აიხსნება სტერეოტიპთა შექმნის განსხვავებული ტენდენციებიც.

ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის წინასაარჩევნო ტექსტებში, ზვიად გამსახურდიას ტექსტებისაგან განსხვავებით, ნაკლებად ვხვდებით ბინარულ ოპოზიციას, რაც გამოიხატება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო კონტექსტის დაპირისპირებით („ჩვენ“-„ისინი“, „კარგი“-„ცუდი“). ზვიად გამსახურდია თავს საქართველოსთან აიგივებდა, ედუარდ შევარდნაძე საქართველოს კეთილდღეობისათვის მზრუნველად წარმოაჩენსდა თავს; მიხეილ სააკაშვილთან არც ერთი მსგავსი ტენდენცია არ ფიქსირდება.

ზვიად გამსახურდიას შემთხვევაში მთავარ პრობლემას ქვეყნის საგარეო მდგომარეობა და საბჭოთა კავშირი - მასთან გაიგივებული რუსეთი წარმოადგენდა, ე. შევარდნაძის მოდელში რუსეთი კეთილგანწყობილ მეზობლად იყო წარმოდგენილი, თუმცა ე. შევარდნაძის „შიდა მტერი“ ჰყავდა. მ. სააკაშვილის მოდელში საგარეო ფაქტორის ხსენება საერთოდ არ ხდება და ამის მიზეზი, ვფიქრობთ, ის არის, რომ მ. სააკაშვილი ხელისუფლებაში მოსვლას მოქმედი პრეზიდენტის გადაყენებით ცდილობდა.

შესაბამისად, მისი ტექსტები სწორედ მოქმედი პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართული სააგიტაციო ხასიათის მასალას წარმოადგენდა.

მ. სააკაშვილის მოდელში, ზ. გამსახურდიასა და ე. შევარდნაძის მოდელებისაგან განსხვავებით, საზოგადოებასთან შეხვედრის განსხვავებულ ფორმატს ვხვდებით: ზ. გამსახურდია და ე. შევარდნაძე მთლიანად საზოგადოებას მიმართავდნენ, როგორც სახალხო შეკრებებზე, ასევე ტელევიზიითა და გაზეთებით. მ. სააკაშვილის შემთხვევაშიც, ფორმატი მეორდება, მაგრამ ერთი განსხვავებით - კანდიდატი საზოგადოების გარკვეული ნიშნით დაყოფილ ჯგუფებს - ბიზნესმენებს, პროფესორებს, პოლიციელებს, პენსიონერებს ცალკ-ცალკე ხვდებოდა და ასეთ შეხვედრებზე თითოეული მათგანისთვის საინტერესო სპეციფიკურ საკითხებზე ამახვილებდა ყურადღებას.

და ბოლოს, ქართველი საპრეზიდენტო კანდიდატების წინასაარჩევნო დისკურსის განმსაზღვრელ ელემენტს, საზოგადოების აზროვნებაზე ზემოქმედების ემოციური ხერხი წარმოადგენდა, რაც, წინასაარჩევნო კამპანიის ყველა ეტაპზე კანდიდატების მიერ საკუთარი მიზნის - არჩევნებში გამარჯვების მისაღწევად წარმატებით გამოიყენებოდა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ არჩევნების გადამწყვეტ მნიშვნელობაზე აქცენტირება, საზოგადოების ერთსულოვნებაზე მითითება, ისტორიული ავტორიტეტების, ასევე უარყოფითი ისტორიული ფიგურების მოხსენიება, საკუთარი ქმედებების ხალხის სახელით ლეგიტიმაცია, ეროვნული მოტივების გამოყენება წარმოადგენდა საპრეზიდენტო კანდიდატების ძირითად სამოქმედო ელემენტს, მეთოდს წინასაარჩევნო პერიოდში. თუმცა მსგავსი საარჩევნო სტრატეგიების გარდა, ვხვდებით ასევე განსხვავებულ სტრატეგიებს, რომლებსაც, ვფიქრობთ, საფუძვლად სხვადასხვა პერიოდებში ჩვენს ქვეყანაში განსხვავებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა ედო.

თავი III. პოლიტიკური დისკურსის თარგმანი - სტერეოტიპების ცვლის ინსტრუმენტი

3.1. მთარგმნელობითი სტრატეგიები პოლიტიკურ თარგმანში

საერთაშორისო ურთიერთობების სწრაფი განვითარების ფონზე, სულ უფრო მეტად საჭირო ხდება სხვადასხვა სახელმწიფოს წარმოჩენა და მათი საერთაშორისო დონეზე პოზიციებისა და პოლიტიკური ინტერესების გამოვლენა ამა თუ იმ პოლიტიკურ მოვლენასთან დაკავშირებით. შესაბამისად, იზრდება სახელმწიფოების, მათი როლისა და პოზიციების გაგების მოთხოვნილება, რაც თავის მხრივ იწვევს თარგმანის დიდ მოთხოვანას.

პოლიტიკური ტექსტების თარგმანი დიდ ძალისხმევას მოითხოვს, რაც გულისხმობს წყარო და სამიზნე ენების ფუნდამენტალურ ცოდნას, მთარგმნელობითი საქმიანობისა და პროცესის პრინციპების გათავისებებას და, ამასთან პოლიტოლოგიის, ისტორიის, იურისპრუდენციისა და მთელი რიგი მონათესავე დისციპლინების გარკვეულ ცოდნასაც. მსოფლიო დიპლომატიაში ცნობილია საკმაოდ გახმაურებული მთარგმნელობითი შეცდომები⁶¹, რომლებმაც ერთგვარად შეცვალეს კიდეც საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება.

ზეპირი და წერილობითი მთარგმნელობა, როგორც საქმიანობა, უკვე მრავალი საუკუნეა არსებობს. ამ პერიოდში თარგმანთან დაკავშირებით მრავალი განსხვავებული

⁶¹ 1956 წელს, ცივი ომის პერიოდში, საბჭოთა ლიდერი ნიკიტა ხრუშოვი სიტყვით გამოვიდა პოლონეთის საელჩოში. ლიდერის ერთ-ერთი განცხადება «Нравится вам это или нет, но история на нашей стороне. Мы вас похороним!» საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. დამაბულ საერთაშორისო ვითარებაში დასავლურმა მედიამ განცხადება მუქარად აღიქვა, თუმცა საბჭოთა მხარემ განაცხადა რომ ხრუშოვის განცხადება არასწორად იქნა გაგებული. სინამდვილეში საბჭოთა ლიდერმა იგულისხმა მარქსის იდეოლოგიური ლოზუნგი „კომუნისტური პარტიის მანიფესტიდან“, რომელიც მიუთითებდა ბურჟუაზიის ნაკლოვანებებზე; 1945 წლის 26 ივლისს ანტიჰიტლერული კოალიციის წევრმა ქვეყნებმა პოტსდამის დეკლარაცია გამოაქვეყნეს, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო იაპონიის კაპიტულაციის პირობები. დეკლარაცია ერთგვარ ულტიმატუმს წარმოადგენდა და მისი დაუმორჩილებლობა საპასუხო რეაგირებას გამოიწვევდა. იაპონიის პრემიერ-მინისტრმა კანტარო სუზუკიმ მოწვეულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა: „უკომენტაროდ. საკითხი განხილვის პროცესშია“. თავის განცხადებაში პრემიერმა გამოიყენა სიტყვა „mokusatsu“, რომელიც სავალალო შედეგი გამოიწვია. აღნიშნული სიტყვა შეიძლება ითარგმნოს როგორც „უკომენტაროდ“ და ასევე როგორც „ჩვენ არ ვეთანხმებით“. განცხადების გავრცელებიდან ათ დღეში აშშ-ს პრეზიდენტ ტრუმენის ბრძანებით იაპონიის ტერიტორიაზე ატომური ბომბი ჩამოვარდა. და სხვ. <http://inosmi.ru/world/20150314/226841484.html> (30.03.2015).

შეხედულება ჩამოყალიბდა. თუმცა, თარგმანმცოდნეობა, როგორც აკადემიური დისციპლინა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ვითარდება. თეორიული პრინციპების ფორმირება თარგმანის აღწერის, დაკვირვების და სწავლების საფუძველზე ყალიბდებოდა. თარგმანს სწავლობდნენ როგორც პროდუქტს, როგორც კოგნიტურ პროცესს, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას; თარგმანს სწავლობდნენ იმ მეცნიერებთან ერთად, რომლებიც თავიანთი კვლევის ობიექტს სხვადასხვა კუთხით განიხილავდნენ, სხვადასხვა მეთოდებისა და კონცეპტების გამოყენებით (Bassnett, Shaffner, 2010:10). 1990-ანი წლების დასაწყისიდან თარგმანმცოდნეობის დისციპლინა გარკვეულწილად კულტუროლოგიის, ანთროპოლოგიის, პოსტსტრუქტურალიზმის, პოსტმოდერნიზმის თეორიებით მყარდებოდა. თარგმანი განიმარტება, როგორც რეგულირებული ტრასფორმაციის ფორმა, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრაქტიკა (Venuti 1995:291).

პოლიტიკური ტექსტები ყველგან გვხვდება - გაზეთებში, ინტერნეტში, სატელევიზიო გადაცემებში. მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ყოველდღიურად შუქდება სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენები.

„პოლიტიკური ენა - არის განსაკუთრებული ენობრივი სისტემა, რომელიც განკუთვნილია პოლიტიკური კომუნიკაციისათვის: საზოგადოებრივი კონსენსუსის მისაღწევად, პოლიტიკური და სოციალურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და დასაბუთების მიზნით, ჭეშმარიტად პლურალისტული საზოგადოების მრავალი საზოგადოებრივი ინტერესების პირობებში, სადაც თითოეული ადამიანი წარმოადგენს არა იდეოლოგიური ზემოქმედებისა და მანიპულირების ობიექტს, არამედ პოლიტიკური ქმედების სუბიექტს“ (Баранов 1997:1). ეს არის სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ოფიციალური ენა, რომლის ზემოქმედების საშუალებებიც განსხვავდება იმ ენობრივი საშუალებებისაგან, რომლებიც გამოიყენება მხატვრულ, პუბლიცისტურ და სამეცნიერო ენებში (Попова, Таратынова 2009:90).

ორიგინალი ტექსტის ძირითადი იდეის თარგმანში ასახვის მიზნით სხვადასხვა ტიპის ტექსტები თარგმანის განსხვავებულ ტექნიკასა და სტრატეგიას მოითხოვენ.

თითოეული ტექსტი შედგენილია კონკრეტული ჯგუფის, პარტიისა თუ ერის ამა თუ იმ კონცეპტის, დარწმუნებისა თუ იდეოლოგიის გათვალისწინებით, შესაბამისად, როგორც ტ. პოპოვა აღნიშნავს „კომუნიკაციის პროცესში, კერძოდ კი სოციალურად-ორიენტირებული კომუნიკაციის სფეროში, ენა გარკვეულ სოციალურ-კულტურულ ვარიანტებს ექვემდებარება, რომელშიც ინდივიდის წარმოსახვაში არსებული სამყაროს სურათის გათვალისწინება ხდება“ (Попова 2009: 363). ზემოხსენებულიდან გამომდინარე, პოლიტიკური თარგმანი კიდევ უფრო რთულია, იმდენად რამდენადაც ლექსიკური ელემენტების შერჩევა, მათი სტრუქტურა შემთხვევითი არ არის და ადგილი ექნება იმ ძირითად იდეას, რომლის შესაბამისადაც მოხდა ტექსტის შექმნა. ტექსტების სხვადასხვა ჟანრებს შორის, სწორედ პოლიტიკურ დისკურსში, სიტყვები კონკრეტული ზემოქმედებისა და იდეოლოგიის ერთი ჯგუფიდან თუ სახელმწიფოდან მეორისათვის გადაცემას ემსახურება.

პოლიტიკური ენა დატვირთულია იდეოლოგიური კონტექსტებით, პოლიტიკური შეხედულებების და ემოციური ელემენტებით, რაც როგორც წერითი, ასევე ზეპირი საშუალებებით გადმოიცემა. ამავდროულად, ხშირად პოლიტიკოსთა მეტყველებაში ინტენცია და იდეოლოგია იმპლიციტურად არის გამოხატული. ვან დეიკის მტკიცებით, ტექსტი „ინფორმაციულ აისბერგს“ გავს, და ის რაც გამოხატულია სიტყვებით, მხოლოდ მის „წვერს“ წარმოადგენს (Dijk 1998:29). თუმცა მიუხედავად იმისა, რომ თარგმანი უჩინარია პოლიტიკურ სფეროში, იგი წარმოადგენს პოლიტიკური საქმიანობის განუყოფელ ნაწილს, რადგან პრობლემა, თუ რომელი ტექსტი უნდა ითარგმნოს, და რომელ ენებზე - უკვე პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. ასე, სხვადასხვა ქვეყნის ოფიციალური ვებ-გვერდები მრავალენოვანია, მაგრამ აქ წარმოდგენილი ინფორმაციის მხოლოდ გარკვეული ნაწილია ნათარგმნი (Bassnett, Schaffner 2010:22).

როგორც ქ. შაფნერი აღნიშნავს, თარგმანი წარმოადგენს დისკურსის ნაწილს და ორ განსხვავებულ დისკურსს შორის მაკავშირებელ ხიდს (Bassnett, Schaffner, 2010:23). სწორედ თარგმანის მეშვეობით ხდება შესაძლებელი ინფორმაციის უცხო ქვეყნის

ადრესატებთან მიტანა და ხშირად სხვა ქვეყანაში განცხადებით გამოწვეული რეაქცია, რეალურად წარმოადგენს რეაქციას არა ტექსტზე, არამედ თარგმანზე.

პოლიტიკური ტექსტების თარგმანები ახდენენ სამიზნე აუდიტორიის ინფორმირებას წყარო ტექსტის აუდიტორიაში განხორციელებულ კომუნიკაციურ აქტებთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში, ტექსტი შეიძლება გამიზნული იყოს როგორც ერთი, ასევე მრავალი ადრესატისთვის. თარგმანი არის შუამავალი კულტურათაშორის კომუნიკაციაში, რომელზეც ზემოქმედებას მრავალი ფაქტორი ახდენს - აუდიტორია, სიტუაცია და ნათარგმნი ტექსტის ფუნქცია თარგმანის ენაში. წყარო და სამიზნე ტექსტების ფუნქციები განსაზღვრავენ თარგმანის სტრატეგიას. ასე, მაგალითად, თუკი წყარო ტექსტის ფუნქცია წყარო ენაში დარმუნებაა, მაშინ ნათარგმნი ტექსტის ფუნქცია ინფორმაციული ხასიათის იქნება (Schaffner 2004:118-128) ვინაიდან, სამიზნე ენის აუდიტორიას არ გააჩნია ისეთივე ცოდნა, რაც წყარო ენის აუდიტორიას და შესაბამისად, ალტერნატივები მთარგმნელის მიერ უნდა იქნეს შერჩეული.

პოპოვა და ტარატინოვა ლექსიკის თვალსაზრისით პოლიტიკური დისკურსის მახასიათებლებს შორის გამოყოფენ პოლიტიკური ტერმინოლოგიის ფართო გამოყენებას; „მაღალი“ ანუ წიგნის სიტყვების გამოყენებას, ასევე მყარი შესიტყვებები და ფრაზები (to take smth for granted, to lay foundation of და ა.შ.). პოლიტიკური ხასიათის სამეცნიერო მონოგრაფიებში და სტატიებში შეიძლება შეგვხვდეს ლათინური და ფრანგული სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც ავტორების აზრით ხელს უწყობენ კონსერვატიულ-ამაღლებული სტილის შექმნას. პოლიტიკური ტექსტების, სტატიებისა და ანგარიშების ენა ლექსიკური თვალსაზრისით მშრალია, აბრსტაქტული, განზოგადების მაღალი დონის, ამაღლებული. ის „ნაკლებად შეფერილია ემოციურად და საეთო ჯამში, ძალიან ტრადიციული და კონსერვატიულია ენობრივი საშუალებების არსენალის გამოყენების თვალსაზრისით (Родомах 2009:19). მასში ასევე გვხვდება მხატვრულ-შემოქმედებითი ელემენტები, რომლებიც ახალი ტერმინების შექმნისათვის გამოიყენება (Попова, Таратынова 2012:94).

მთარგმნელის ამოცანას წარმოადგენს ორიგინალის შინაარსის სრულად და ზუსტად გადმოცემა, ამასთან მისი სტილისტური და ექსპრესიული ელემენტები შენარჩუნებული უნდა იყოს. თარგმანის „მთლიანობაში“ იგულისხმება ფორმისა და შინაარსის მთლიანობა ახალი ენის საფუძველზე. მონათხრობისაგან განსხვავებით, თარგმანი არა მხოლოდ უნდა გადმოსცემდეს ორიგინალის ინფორმაციას, არამედ ისეთაირადვე უნდა გადმოსცემდეს ამ ინფორმაციას, როგორც ორიგინალი. ეს მოთხოვნა ეხება როგორც ნათარგმნ ტექსტს მთლიანად, ასევე მის ცალკეულ ნაწილებს (Рецкер, 2007:10).

ნებისმიერ ენათა წყვილის თარგმნის პროცესში გამოიყენება ლექსიკური ტრანსფორმაციების ტიპები, რომლებსაც რუსი თარგმანმცოდნეები უწოდებენ ხერხებს, ხოლო დასავლეთევროპელი და ამერიკელი თარგმანმცოდნეები პროცედურებსა და სტრატეგიებს (ნიუმარკი). აღნიშნული ტრანსფორმაციების გამოყენება თარგმანის დროს, მთარგმნელს საშუალებას აძლევს ორიგინალში არსებული ინფორმაცია რაც შეიძლება ზუსტად გადმოსცეს თარგმანში. მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების შესახებ თარგმნის თეორიაში მრავალი ნაშრომი არსებობს. მთარგმნელობითი ტრანსფორმაცია წარმოადგენს ენათაშორის გარდაქმნას წყარო ტექსტის ელემენტების გადაადგილებას, ლექსიკური ერთეულების ჩანაცვლებას, მნიშვნელობის გაფართოებას და ა.შ. იმისათვის რომ მიღწეულ იქნას მთარგმნელობითი ეკვივალენტობა.

მთარგმნელობით ტრანსფორმაციებთან დაკავშირებით თარგმანის თეორეტიკოსებს შორის საერთო აზრი არ არსებობს. ვ. კომისაროვის შეხედულებით, მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები მთარგმნელის მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნას ამოსავალ და სამიზნე ენებში ლექსიკური შეუსაბამობის დროს. წყარო ენის ერთეულების ბუნებიდან გამომდინარე, კომისაროვი განასხვავებს ლექსიკურ და გრამატიკულ, ასევე კომპლექსურ ლექსიკურ-გრამატიკულ ტრანსფორმაციებს, სადაც ხდება ორიგინალის, როგორც ლექსიკური, ასევე გრამატიკული გარდაქმნა. ლექსიკური ტრანსფორმაციების ძირითადი ტიპები მოიცავს: ტრანსკრიფცია/ ტრანსლიტერაციას, კალკირებას და ლექსიკურ-სემანტიკური ჩანაცვლებებს (კონკრეტიზაცია,

გენერალიზაცია, მოდულაცია). გრამატიკულ ტრანსფორმაციებს, მეცნიერი მიაკუთვნებს: სიტყვა-სიტყვით თარგმანს, წინადადების დანაწევრებას, წინადადების გაერთიანებას, გრამატიკულ ჩანაცვლებებს (სიტყვის ფორმის, მეტყველების ნაწილების ან წინადადების წევრების დონეზე). ხოლო კომპლექსურ ლექსიკურ-გრამატიკულ ტრანსფორმაციებს კომისაროვი მიაკუთვნებს -ანტონიმურ თარგმანს, აღწერილობით თარგმანს და კომპენსაციას (Комиссаров 1990:173).

ა. ფიტერმანისა და ი. ლევიცკაიას კლასიფიკაციის მიხედვით, გრამატიკული ტრანსფორმაცია მოიცავს შემდეგ ხერხებს: გადაადგილება, გამოტოვება, დამატება, გარდაქმნები და წინადადებების ჩანაცვლება; სტილისტური ტრანსფორმაციებს მიეკუთვნება: სინონიმური ჩანაცვლებები, აღწერილობითი თარგმანი, კომპენსაცია; ხოლო ლექსიკური ტრანსფორმაციები მოიცავს ჩანაცვლებებს, დამატებებს, კონკრეტიზაციას, განზოგადებასა და გამოტოვებებს (Левицкая, Фитерман 1963:136).

თარგმნის პროცესში ხშირია ლექსიკური და გრამატიკული ტრანსფორმაციის ისეთი ტიპები, როგორცაა: კონკრეტიზაცია, განზოგადება (გენერალიზაცია), დამატებები, გამოტოვება, წინადადებათა გაერთიანება.

კომისაროვის განმარტებით, **კონკრეტიზაცია** ეწოდება წყარო ენის ფართო საგნობრივ-ლოგიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვის ან სიტყვათა შეთანხმების შეცვლას სამიზნე ენის ვიწრო მნიშვნელობის მქონე სიტყვით ან სიტყვათა შეთანხმებით. მაგალითად:

„Polls Open in Presidential Vote“ – „საპრეზიდენტო არჩევნები დაიწყო“⁶²

„საკაშვილის მიმართვა“ – „SaakaShvili Address on Russia’s Abkhazia, S. Ossetia Recognition“⁶³

წარმოდგენილი ორი მაგალითში, რომელთაგან პირველ შემთხვევაში წყარო ტექსტს ინგლისური წარმოადგენს, ხოლო მეორე შემთხვევაში ქართული, მთარგმნელის მიერ გამოყენებულია კონკრეტიზაცია, რაც გამოიხატება პირველ შემთხვევაში უფრო

⁶² Polls Open in Presidential Vote. *Civil Georgia*. 2013. October 27. <http://civil.ge/eng/article.php?id=26611&search>. (10.06.2015).

⁶³ სააკაშვილის მიმართვა-სრული ტექსტი. *სივილ ჯორჯია*. 2008. 27 აგვისტო. <http://www.civil.ge/geo/article.php?id=19315&search> (9.06.2015).

ფართო საგნობრივ ლოგიკური მნიშვნელობის მქონე ფრაზა Polls Open in Presidential Vote ქართულ თარგმანში გადმოტანილია უფრო კონკრეტულად – საპრეზიდენტო არჩევნები დაიწყო.

გენერალიზაცია ეწოდება წყარო ენის ვიწრო მნიშვნელობის მქონე ერთეულის შენაცვლება სამიზნე ენის უფრო ფართო მნიშვნელობის მქონე ერთეულით, ანუ კონკრეტიზაციის საპირისპირო გარდაქმნა (Комиссаров 1990:174). მაგალითად:

„ბოლო კვირების განმავლობაში კი, საქართველომ მიიღო იმდენად დიდი საერთაშორისო მხარდაჭერა და სოლიდარობა მთელი თავისუფალი სამყაროს საზოგადოების მხრიდან“.⁶⁴

„But now Georgia has gained a huge international support and solidarity from all over the world“.⁶⁵

წარმოდგენილი ამონარიდის თარგანისათვის, მთარგმნელმა გამოიყენა გენერალიზაცია, კერძოდ კი ქართულ ტექსტში გამოყენებული ფრაზა მთელი თავისუფალი სამყაროს საზოგადოების სამიზნე ენაში გადატანილია უფრო ფართო ფრაზით all over the world.

თარგმანში **დამატებების** გამოყენება განპირობებულია სამიზნე ტექსტში მნიშვნელობების გადატანის აუცილებლობით, რომლებიც ორიგინალში გრამატიკული ხერხებით არის გამოხატული (Бархударов, 1975:191-227). მაგალითად:

„A U.S. C-17 aircraft with humanitarian supplies is on its way“.⁶⁶

„Уже в пути транспортный самолет С-17 с гуманитарным грузом на борту“.⁶⁷

მოცემული მაგალითში, ინგლისური ენიდან რუსულ ენაზე თარგმანის პროცესში მთარგმნელს გამოყენებული აქვს დამატება, კერძოდ კი ფრაზა на борту, რაც

⁶⁴ სააკაშვილის მიმართვა-სრული ტექსტი. *სივილ ჯორჯია*. 2008. 27 აგვისტო. <http://www.civil.ge/geo/article.php?id=19315&search> (9.06.2015).

⁶⁵ Saakashvili address on Russia's Abkhazia, S.Ossetia Recognition. *Civil Georgia*. 2008. August 26. <http://www.civil.ge/eng/article.php?id=19304.U> (5.06.2015).

⁶⁶ G.W. Bush Statement on the Military Conflict between Georgia and Russia. *Presidential Rhetoric*. 2008. August 13. www.presidentialrhetoric.com (17.05.2015)

⁶⁷ Официальное заявление президента Буша по поводу ситуации в Грузии. *Государственный департамент США*. 2008. 13 августа. <http://iipdigital.usembassy.gov/st/russian/texttrans/2008/08/20080813134552ejavosson.0.9464075.html#ixzz3dE12Rlyh> (27.05.2015).

აუცილებელი იყო ორიგინალი ტექსტის დატვირთვის თარგანში ადეკვატურად გადატანისათვის.

გამოტოვება არის დამატების საპირისპირო ხერხი. ხშირად თარგმანში გამოტოვებას

ექვემდებარება სემანტიკურად ზედმეტი სიტყვები, რომელთა გარეშე შესაძლებელია ტექსტიდან მნიშვნელობის გამოტანა. მაგალითად:

მას შემდეგ, რაც, როგორც მათ ჰქონდათ ჩაფიქრებული, საქართველო სამხედრო აგრესიით ვერ დააჩოქეს; მას შემდეგ, რაც ვერ შეძლეს ჩვენი ხალხის გატეხვა, საქართველოს მთავრობის განდევნა, საქართველოს ფუნდამენტური ფასეულობების შერყევა და საქართველოს რუკიდან გაქრობა; მას შემდეგ, რაც ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა<...>.⁶⁸

After a failure to kneel down Georgia as a result of military aggression, ouster of the Georgian government, shattering Georgia's fundamental values and Georgia's disappearance from map as they planned it, as well as after the Georgian army, people <...>.⁶⁹

მოყვანილი მაგალითის ორიგინალისა და ნათარგმნი ვარიანტის შედარებისას დავინახავთ, რომ ქართულ ტექსტში რამდენჯერ გამოყენებული მას შემდეგ, ინგლისურ თარგმანში გამოტოვებულია, რომელიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს ზედმეტ ფრაზად თარგმანში. გამოტოვების გარდა, მოცემულ მაგალითში, ასევე, გამოყენებულია კიდევ ერთი მთარგმნელობითი ტრანსფორმაცია - წინადადებათა გაერთიანება.

აღსანიშნავია, რომ ცალკეული მთარგმნელობითი ტრანსფორმაცია, იშვიათად თუ შეიძლება შეგვხვდეს დამოუკიდებლად, რადგანაც თარგმანში ერთდროულად ხდება სხვადასხვა სახის ტრანსფორმაციის გამოყენება, ასე გადაადგილებას ჩანაცვლება ახლავს, გრამატიკულ გარდაქმნას ლექსიკური და ა.შ.

⁶⁸ სააკაშვილის მიმართვა-სრული ტექსტი. *სივილ ჯორჯია*. 2008. 27 აგვისტო. [http://www.civil.ge/geo/article .php?id=19315&search](http://www.civil.ge/geo/article.php?id=19315&search) (9.06.2015).

⁶⁹ Saakashvili address on Russia's Abkhazia, S.Ossetia Recognition. *Civil Georgia*. 2008. August 26. <http://www.civil.ge/eng/article.php?id=19304.U> (5.06.2015).

უნდა აღინიშნოს, რომ თარგმანი საკმაოდ დიდ როლს ასრულებს საერთაშორისო პოლიტიკასა და დიპლომატიაში. როგორც ქ. შაფნერი და ს. ბასნეტი აღნიშნავენ მიუხედავად თავისი უჩინარობისა პოლიტიკის სფეროში, თარგმანი პრაქტიკულად პოლიტიკური საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი ტექსტი უნდა ითარგმნოს, რომელი ენიდან რომელ ენაზე, უკვე პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. გარდა ამისა, თუკი შევადარებთ ერთი და იგივე ტექსტის თარგმანებს სხვადასხვა მედია წყაროში, უდავოდ ვიპოვით გარკვეულ ცვლილებებს, რომლებსაც უბრალოდ სტილისტიკით ვერ ავხსნით (Schaffner C., Bassnett S., 2010:12).

3.2. ინგლისური პოლიტიკური ტექსტებისა და მათი ქართულ და რუსულ ენებზე თარგმანების შეპირისპირებითი ანალიზი

პრაქტიკული თვალსაზრისით ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში განხილულია ბოლო წლებში (2008-2013) საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული აშშ-ს პრეზიდენტების - ჯორჯ ბუშისა და ბარაკ ობამას ოფიციალური განცხადებები და მათი თარგმანები ქართულ და რუსულ ენებზე. საკვალიფიკაციო ნაშრომის მოცემულ ნაწილში განხილულია ქართულ სინამდვილეში პოლიტიკურ - საზოგადოებრივი მოვლენების ამსახველი ტექსტების თარგმნის პროცესში, მთარგმნელის, როგორც მედიატორის როლი. ასევე შესწავლილია თუ რამდენად ადეკვატურად აისახება თარგმანში ორიგინალის იდეა და აქვს თუ არა ადგილი თარგმანის თეორიაში აქამდე ცნობილი დებულებების ფუნქციურ გაფართოვებას, სადაც მთარგმნელი, შესაძლებელია ნათარგმნი ტექსტით მიმღები საზოგადოების მანიპულირებას ან მასზე ზემოქმედებას ცდილობს. ამისათვის, ჩვენ განვიხილეთ სამთავრობო გაზეთების („საქართველოს რესპუბლიკა“, „24 საათი“), სხვადასხვა ვებ-

გვერდის (ამერიკის შეერთებული შტატების თეთრი სახლის ოფიციალური ვებ-გვერდის, აშშ-ს საქართველოში საელჩოს ოფიციალური ვებ-გვერდის), მაღალრეიტინგული ინგლისური, რუსული და ქართული საინფორმაციო სააგენტოების ონლაინ მასალები (BBC, РИА НОВОСТИ, Voice of America, Civil Georgia, Кавказский Узел და სხვ.). ჩვენ მიერ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აღებულ და შესწავლილ იქნა 2004-2014 წწ მასალები, რომლებიც განთავსებული იყო ზემოხსენებულ ვებ-გვერდებზე. დეტალურად იქნა განხილული და წარმოდგენილი 30-მდე ტექსტი (ორიგინალი და მისი თარგმანები ქართულ და რუსულ ენებზე). შერჩეული ტექსტებიდან ინგლისურენოვანი მასალები წარმოადგენენ აშშ-ს პრეზიდენტების ჯორჯ ბუშისა და ბარაკ ობამას საქართველოსთან დაკავშირებულ განცხადებებს; ასევე შერჩეული იყო საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის როგორც ქართულენოვანი, ასევე ინგლისურენოვანი მიმართვები და გამოსვლები. ჩვენი მიზნებიდან გამომდინარე, შერჩეული იყო მხოლოდ ის ტექსტები, სადაც სახეზე იყო გარკვეული მთარგმნელობითი ცვლილება, ცდომილება, განსხვავება, რითაც გვეძლეოდა საშუალება გამოგვევლინა მთარგმნელისა და თარგმანის როლი პოლიტიკურ დისკურსში.

მასალების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ თარგმნის პროცესში ადგილი ჰქონდა გარკვეულ ცვლილებებს თუ ხარვეზებს როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენაზე. კვლევამ ამავდროულად გვიჩვენა, რომ რუსულენოვან ინტერნეტ-წყაროებში მოპოვებულ რუსულ თარგმანებში აღნიშნული ცდომილებების მაჩვენებელი გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე ქართულ თარგმანებში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენთვის საინტერესო იყო თარგმანში იმ მომენტების დაფიქსირება და წარმოჩენა, სადაც ადგილი ჰქონდა გარკვეულ განსხვავებებს თარგმანის ადეკვატურობისა და ეკვივალენტობის თვალსაზრისით. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ჩვენ მიერ შერჩეული მასალის კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ პოლიტიკური ტექსტების თარგმნის პროცესში, მიმღები საზოგადოებისათვის გარკვეული იდეოლოგიური თუ ზემოქმედებითი ხასიათის შეხედულებების შექმნის ხელშეწყობის მიზნით, თარგმანის თეორიაში ცნობილი მთარგმნელობითი

ტრანსფორმაციებიდან შედარებით ყველაზე ხშირად გამოიყენება: ა) გამოტოვების ხერხი, რომლის ხარჯზეც ხშირია კომპრესია და ბ) ჩანაცვლების ხერხი, რომლის გამოყენებითაც ხშირია ორიგინალთან შეუსაბამო აზრის გამოხატვა თარგმანში. გამოტოვებისა და ჩანაცვლების გარდა (მართალია ნაკლებად მაგრამ მაინც) გამოიყენება აზრობრივი გავრცობისა და დამატების ხერხები. განვიხილოთ თითოეული შემთვევა დეტალურად.

ა. **გამოტოვება:** როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, პოლიტიკური ტექსტების თარგმანების მიმღებ საზოგადოებაზე ზემოქმედების მიზნით ხშირად გამოიყენება გამოტოვება, როგორც მთარგმნელობითი ტრანსფორმაციის ერთ-ერთი ხერხი. აღნიშნულის დასადასტურებლად გვინდა შემდეგი მაგალითები გავაანალიზოთ: წარმოგიდგინთ ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის ქართველი ხალხისადმი 2005 წელს მიმართვიდან რამდენიმე ნაწყვეტის თარგმანებს ქართულ და რუსულ ენებზე. ტექსტის ორიგინალი აღებულია საინფორმაციო სააგენტო BBC-ის ოფიციალური ვებ-გვერდიდან, ამავე ტექსტის ქართულენოვანი თარგმანი - ქართული გაზეთიდან „საქართველოს რესპუბლიკა“, ხოლო რუსულენოვანი თარგმანი კი ინტერნეტ გამოცემა „Кавказский узел“-დან არის წარმოდგენილი. აქვე აღსანიშნავია, რომ ტექსტის ინგლისური და ქართულენოვანი ვერსიები სრულადაა მოცემული, რუსული ტექსტი კი წარმოდგენილია ნაწყვეტების სახით, რაც სავარაუდოდ კონკრეტული სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკური ინტერესებით აიხსნება. თვალსაჩინოების მიზნით მაგალითებს ცხრილების სახით წარმოგიდგინთ:

BBC	საქართველოს რესპუბლიკა	Кавказский узел
Laura and I are proud to stand with the courageous people of Georgia , in this place	ლორა და მე ვამაყობთ გაბედული ქართველის ხალხის გვერდით დგომით იმ ადგილას, რომელმაც დაიმსახურა საამაყო	Лора и я гордимся тем, [...] что находимся на площади Свободы, которая совершенно заслуженно

<u>that has earned a proud name - Freedom Square.</u> ⁷⁰	<u>სახელი</u> – თავისუფლების მოედანი. ⁷¹	<u>получила это название.</u> ⁷²
---	---	---

მაგალითში გამოვყავით და აღვნიშნეთ ის სხვაობები, რომლებიც გამოვავლინეთ ორიგინალის სხვადასხვა ენაზე თარგმანებს შორის. როგორც მაგალითიდან ჩანს, ქართულ ენაზე თარგმანი დედნის იდენტურია, როგორც ფორმით, ასევე შინაარსით და ზუსტად მისდევს მას. მთარგნელმა გამოიყენა წინადადებათა გადაადგილების ხერხი, თარგმანის მიღწევის მიზნით. რუსულ ენაზე თარგმანის შემთხვევაში კი ვხვდებით გარკვეულ სხვაობებს. თარგმანში გამოტოვებულია ის წინადადება, სადაც საუბარია ქართველი ერის შეფასებაზე the courageous people of Georgia - გაბედული ქართველი ხალხი; ასევე ორიგინალთან შედარებით თარგმანის ტექსტში დაკარგულია პაუზა that has earned a proud name - Freedom Square; წინადადებათა გაერთიანებისა და გადაადგილების გზით რუსულენოვან თარგმანში მივიღეთ - находимся на площади Свободы, которая совершенно заслуженно получила это название. შედეგად მოხდა ორიგინალში ორატორის მიერ დასმული აქცენტის დაკნინება და ნათარგმნი ტექსტი, თავისი ემოციურობით, მნიშვნელოვნად ჩამოუვარდა ორიგინალს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მთარგმნელის მიერ ტექსტის გამოტოვებით ან კონსტრუქციათა გაერთიანება-გადაადგილებით განსხვავებული შინაარსის ტექსტი მივიღეთ. განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

BBC	საქართველოს რესპუბლიკა	Кавказский узел
When Georgians gathered here 16 years ago, this square had a	როცა ქართველები აქ 16 წლის წინათ შეიკრიბნენ, მაშინ ამ მოედანს სხვა სახელი ერქვა.	„Когда 16 лет назад здесь на этой площади, которая носила название

⁷⁰ Bush's speech in Georgia. *BBC NEWS*. 2005. May 10. <http://news.bbc.co.uk/go/pr/fr/-/2/hi/europe/4534267.stm> (15.06.2015).

⁷¹ ჯორჯ ბუში: ქართულ მიწაზე თქვენ მიერ დათესილი თავისუფლების თესლი მთელ მსოფლიოში ღივდება. *საქართველოს რესპუბლიკა*. 2005. 11 მაისი. N111.

⁷² 150 тысяч жителей Грузии собрались в Тбилиси, чтобы послушать выступление президента США. *Кавказский Узел*. 2005. 10 мая. <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/74761/>. (15.06.2015).

<p>different name. Under <u>Lenin's steely gaze</u>, thousands of Georgians prayed and sang, and demanded their independence. The Soviet army <u>crushed</u> that day of protest but they could not <u>crush</u> the spirit of the <u>Georgian people</u>.⁷³</p>	<p><u>ლენინის ცივი გამოხედვის</u> ქვეშ, ათასობით ქართველი ლოცულობდა, მღეროდა და მოითხოვდა დამოუკიდებლობას. საბჭოთა არმიამ <u>გაუღლიტა</u> საპროტესტო აქციის მონაწილეები, მაგრამ მათ ვერ შეძლეს <u>ქართველი ხალხის</u> სულის <u>განადგურება</u>.⁷⁴</p>	<p>Ленина, [...] собрались люди и молились за свободу своей страны, но их <u>уничтожила</u> Советская Армия. Однако, сломить свободный дух [...] Советская Армия не сумела", - заявил президент США.⁷⁵</p>
---	--	---

როგორც მაგალითიდან ვხედავთ, მოცემული ნაწყვეტის რუსულენოვან თარგმანში გარკვეული ცვლილებები გვაქვს. ინგლისურ ტექსტში პირველი წინადადება დასრულებული სახითაა, იგი პაუზით გამოიყოფა მომდევნო წინადადებისაგან. ავტორი იხსენიებს საბჭოთა კავშირის ეპოქის ლიდერს, კონტექსტუალურად გამოხატულია ავტორის დამოკიდებულება ამ ფენომენისადმი Lenin's steely gaze, რაც ქართულენოვან თარგმანში იდენტურად გადმოვიდა - ლენინის ცივი გამოხედვა და რითაც ნათქვამი იძენს დიდ ემოციურ დატვირთვას. რუსულენოვან თარგმანში კი აღნიშნაწმული ფრაზა გამოტოვებულია. გარდა ამისა ორიგინალის წინადადება, რომელშიც ორატორი ხაზგასმით აღნიშნავს ქართველი ერის სილის სიმტკიცეზე (they could not crush the spirit of the Georgian people - ვერ შეძლეს ქართველი ხალხის სულის განადგურება) რუსულენოვან თარგმანში ქართველი ხალხის გამოტოვებით გადმოვიდა: Однако, сломить свободный дух [...] Советская Армия не сумела. შედეგად, სხვადასხვა

⁷³ Bush's speech in Georgia. *BBC NEWS*. 2005. May 10. <http://news.bbc.co.uk/go/pr/fr/-/2/hi/europe/4534267.stm> (15.06.2015).
⁷⁴ ჯორჯ ბუში: ქართულ მიწაზე თქვენ მიერ დათესილი თავისუფლების თესლი მთელ მსოფლიოში ღივდება. *საქართველოს რესპუბლიკა*. 2005. 11 მაისი. N111.
⁷⁵ 150 тысяч жителей Грузии собрались в Тбилиси, чтобы послушать выступление президента США. *Кавказский Узел*. 2005. 10 мая. <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/74761/>. (15.06.2015).

ლინგვისტური ელემენტის გამოტოვების გზით კონსტრუქციები გაერთიანებულია და ორიგინალში გამოყენებული ემოციური ელემენტი საერთოდ დაკარგულია.

აქვე აღსანიშნავია, რომ ქართულენოვანი თარგმანი ორიგინალს სტრუქტურულად ზუსტად მისდევს, თუმცა ასევე აღსანიშნავია, რომ ინგლისური სიტყვა Crushed, რომელიც ნეიტრალური ლექსიკური ერთეულია, ქართულში გადმოტანილია ემოციური სიტყვით გაჟლიტა, რაც სავარაუდოდ ტექსტის მკითხველზე ემოციური ზემოქმედების მიზნით სრულდება.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

BBC	საქართველოს რესპუბლიკა	Кавказский узел
<p>And on 9 April 1991 you <u>declared to the world that Soviet Georgia was no more and that the independent nation of Georgia was born.</u> <u>On that historic day, you reclaimed your sovereignty but the hopeful start you made was not fulfilled. So 18 months ago, Georgians returned to this square to complete the task you began in 1989.</u> ⁷⁶</p>	<p>1991 წლის 9 აპრილს ქართველებმა მთელ მსოფლიოს გამოუცხადეს <u>საბჭოთა საქართველოს აღარ არსებობა და თავისუფალი საქართველოს დაბადება. იმ ისტორიულ დღეს თქვენ ალადგინეთ დამოუკიდებლობა, მაგრამ იმედიანი დასაწყისი არ დასრულდა. წელიწადნახევრის შემდეგ ქართველები დაბრუნდნენ ამ მოედანზე, რათა დაემთავრებინათ ის საქმე, რომელიც 1989 წელს წამოიწიეს.</u> ⁷⁷</p>	<p>9 апреля 1989 года <u>грузины показали всему миру свое стремление к свободе.</u> [...] <u>Полтора года назад вы вернулись на эту площадь и добились демократии.</u> ⁷⁸</p>

⁷⁶ Bush's speech in Georgia. BBC NEWS. 2005. May 10. <http://news.bbc.co.uk/go/pr/fr/-/2/hi/europe/4534267.stm> (15.06.2015).

⁷⁷ ჯორჯ ბუში: ქართულ მიწაზე თქვენ მიერ დათესილი თავისუფლების თესლი მთელ მსოფლიოში ღივდება. საქართველოს რესპუბლიკა. 2005. 11 მაისი. N111.

⁷⁸ 150 тысяч жителей Грузии собрались в Тбилиси, чтобы послушать выступление президента США. Кавказский Узел. 2005. 10 мая. <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/74761/>. (15.06.2015).

წარმოდგენილ მაგალითში ვხედავთ, რომ რუსულ თარგმანში წინადადებათა კომპრესიისა და გამოტოვების გზით ვღებულობთ ორიგინალთან აზრობრივ შეუსაბამობას. ორიგინალში არსებული წინადადება You declared to the world that Soviet Georgia was no more and that the independent nation of Georgia was born, რუსულ თარგმანში გადმოტანილია როგორც Грузины показали всему миру свое стремление к свободе. გარდა ამისა, ნაწყვეტის რუსულენოვან თარგმანში ამოვარდნილია მთელი წინადადება და შედეგად მთარგმნელს გადმოტანილი აქვს არა ორიგინალის აზრი, არამედ სავარაუდოდ საკუთარი ხედვა. ორიგინალში ვკითხულობთ So 18 months ago, Georgians returned to this square to complete the task you began in 1989, რუსულენოვან თარგმანში კი გვაქვს – Полтора года назад вы вернулись на эту площадь и добились демократии. სიტყვა დემოკრატია ორიგინალში საერთოდ არ იყო, თარგმანში კი გამოყენებულია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მთარგმნელმა კონტექსტიდან დასკვნა გამოიტანა და დააფიქსირა იგი. ყველა მის მიერ გამოყენებულ ხერხთან ერთად, ორიგინალთან შედარებით თარგმანმა დაკარგა საერთო ემოციური ფონი. თარგმანში გარკვეული ლექსიკური ერთეულებისა და წინადადებათა გამოტოვებით, ასევე კონსტრუქციათა კომპრესიით, მკითხველია ყურადღების კონცენტრირება აღარ ხდება მთავარ გზავნილზე, ხოლო ნათქვამი ნეიტრალური ტონალობით არის გადმოცემული. ამ შემთხვევაში წინადადებათა გაერთიანება გვევლინება, როგორც ემფატური ინფორმაციის ნეიტრალურად გადაცემის საშუალება, ხოლო გამოტოვება, როგორც ტრანსფორმაციის ხერხი, გამოყენებულია გარკვეული ინფორმაციის დაფარვის მიზნით, რომელიც რუსულენოვან მთარგმნელს სავარაუდოდ უნდა დაემალა საკუთარ აუდიტორიისათვის.

ქართულ თარგმანთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ თარგმანი ორიგინალთან მაქსიმალურად მიახლოებულია, როგორც ფორმის ასევე შინაარსისა და პრაგმატიკულ - ფუნქციონალური თვალსაზრისით.

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი:

BBC	საქართველოს რესპუბლიკა	Кавказский узел
<p><u>We are living in historic times when freedom is advancing, from the Black Sea to the Caspian, and to the Persian Gulf and beyond. As you watch free people gathering in squares like this across the world, waving their nations' flags and demanding their God-given rights,</u> you can take pride in this fact: They have been inspired by your example and they take hope in your success. <u>As you build freedom in this country,</u> you must know that the seeds of liberty you are planting in Georgian soil are flowering across the globe. I have come here to thank you for your courage.⁷⁹</p>	<p>ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ ისტორიულ ეპოქაში, სადაც თავისუფლება წინ მიიწევს შავი ზღვიდან კასპიის ზღვისკენ – სპარსეთის ყურეშიც და უფრო შორსაც. როდესაც მთელ მსოფლიოში ვხედავთ თავიანთი ქვეყნების დროშების მოფრიალე თავისუფალი ხალხების შეკრებას, რომლებიც ღმერთის მიერ მინიჭებულ თავიანთ უფლებებს მოითხოვენ, ამ დროს თქვენ შეგიძლიათ იამაყოთ ამ ფაქტით, ეს თქვენი მაგალითითაა გამოწვეული და თქვენი წარმატებს მაგალითზე მათ ეძლევათ დიდი იმედი. თავისუფლების შენებისას თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ქართულ მიწაში თქვენ მიერ დათესილი თავისუფლების თესლი მთელ მსოფლიოში ღვივდება. მე მოვედი, რათა თქვენი</p>	<p>Вы живете в такое время, когда борьба за свободу распространяется и продвигается от Черного моря до Каспийского, [...] вы должны гордиться тем, что дали пример им и вселили в них уверенность в победе. [...] Вы должны знать, что зерно свободы, посеянное в Грузии, прорастает во всем мире. Я приехал, чтобы поблагодарить вас за мужество", - сказал Буш.⁸¹</p>

⁷⁹ Bush's speech in Georgia. BBC NEWS. 2005. May 10. <http://news.bbc.co.uk/go/pr/fr/-/2/hi/europe/4534267.stm> (15.06.2015).

	გამბედაობისთვის მადლობა გადაგიხადოთ. ⁸⁰	
--	---	--

წარმოდგენილ მაგალითში ქართულენოვანი თარგმანი დედნის ერთგულია, მთარგმნელის მიერ შენარჩუნებულია როგორც ფორმა, ასევე შინაარსი და ემოციური ფონი. რუსულენოვან თარგმანში კი სახეზეა ისევ გამოტოვებები. ასევე აღსანიშნავია, რომ რუსულენოვან თარგმანში ორიგინალში გამოყენებული პირის ნაცვალსახელი We – ჩვენ გადმოტანილია როგორც Вы – თქვენ, რითაც აზრობრივი სხვაობა შემოდის ორიგინალსა და თარგმანს შორის; თუ ორიგინალში მოსაუბრე თავს აუდიტორიის წევრად წარმოაჩენს, თარგმანში ავტორი განცალკევებულად არის წარმოჩენილი. რთულია იმის განსაზღვრა, არის თუ არა აღნიშნული მთარგმნელის წინასწარი განზრახვა, თუმცა მსგავსი შემთხვევის მრავალჯერადობა, სწორედ ამას მიუთითებს.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

BBC	საქართველოს რესპუბლიკა	Кавказский узел
You have taken tough steps to reform your economy and to crack down on corruption. You are building a democratic society where the rights of minorities are respected, where a free press flourishes, a vigorous	თქვენ რთული ნაბიჯები გადადგით თქვენი ეკონომიკის რეფორმისა და კორუფციის აღმოფხვრისათვის. თქვენ აშენებთ დემოკრატიულ საზოგადოებას, სადაც უმცირესობების უფლებები დაცულია. თავისუფალი პრესა ყვავის. ქვეყანა მიესალმება	Вы сделали сложные шаги в борьбе с коррупцией и в сторону развития экономики, - утверждал американский президент – [...] В вашей стране процветает свобода прессы и

⁸¹ 150 тысяч жителей Грузии собрались в Тбилиси, чтобы послушать выступление президента США. *Кавказский Узел*. 2005. 10 мая. <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/74761/>. (15.06.2015).

⁸⁰ ჯორჯ ბუში: ქართულ მიწაზე თქვენ მიერ დათესილი თავისუფლების თესლი მთელ მსოფლიოში ღივდება. *საქართველოს რესპუბლიკა*. 2005. 11 მაისი. N111.

opposition is welcome and unity is achieved through peace. ⁸²	ძლიერ ოპოზიციას და ერთობა თავისუფლებით მიიღწევა. ⁸³	сильная оппозиция. ⁸⁴
--	--	----------------------------------

რუსულენოვან თარგმანში ისევ ვხვდებით წინადადებათა კომპრესიას და შედეგად ზოგიერთი ინფორმაციის დაკარგვას, კერძოდ კი გამოტოვებულია ის წინადადებები, სადაც ამერიკის პრეზიდენტი აღნიშნავს ქართველი ერის მიღწევებს საერთაშორისო პოლიტიკის დონეზე. აგრეთვე მოცემულ შემთხვევაში საინტერესოდ მივიჩნიეთ რუსულენოვან თარგმანში კომენტარის დართვა. თარგმანის ავტორი იყენებს სიტყვას утверждал, რომელიც წარმოადგენს არა ნეიტრალურ ლექსიკურ ერთეულს (რაც აუცილებელია, თუკი გვინდა ობიექტური დამოკიდებულების გამოხატვა), არამედ ემოციურად მარკირებულ, სუბიექტური აზრის გამოხატველ საშუალებას. სიტყვა утверждал-ის მნიშვნელობა არის ამტკიცებს. მტკიცება კი უნდა ისეთ მოსაზრებას, რომელსაც სჭირდება საზოგადოებისათვის დამტკიცება. მსგავსი ელემენტის ერთი და იგივე ტექსტში მრავალჯერადი გამოყენება ქმნის პროპაგანდისტული სტერეოტიპის ჩამოყალიბების საფუძველს, წარმოადგენს რა თარგმანის ავტორის სუბიექტურ დამოკიდებულებას. შესაბამისად არის საფუძველი ვივარაუდოთ მთარგმნელის მიკერძოებულობაზე.

ქართული ტექსტი, ზემოთ მოყვანილი მაგალითების მსგავსად ინარჩუნებს სიახლოვეს ორიგინალის ტექსტთან.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი შემდეგი მაგალითის ორიგინალი ტექსტი ინგლისურენოვანია. ჩვენთვის შესაძლებელი გახდა მისი რადენიმე რუსულენოვანი თარგმანის მოპოვება. ამათგან ერთს თეთრი სახლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული რუსულენოვანი თარგმანი წარმოადგენს, ხოლო მეორეს რუსულენოვან

⁸² Bush's speech in Georgia. *BBC NEWS*. 2005. May 10. <http://news.bbc.co.uk/go/pr/fr/-/2/hi/europe/4534267.stm> (15.06.2015).
⁸³ ჯორჯ ბუში: ქართულ მიწაზე თქვენ მიერ დათესილი თავისუფლების თესლი მთელ მსოფლიოში ღივდება. *საქართველოს რესპუბლიკა*. 2005. 11 მაისი. N111.
⁸⁴ 150 тысяч жителей Грузии собрались в Тбилиси, чтобы послушать выступление президента США. *Кавказский Узел*. 2005. 10 мая. <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/74761/>. (15.06.2015).

ვებ-გვერზე (www.newsru.com) მოპოვებული თარგმანი. აღსანიშნავია, რომ ის ტექსტი, რომლის რუსულენოვანმა თარგმანებმაც ჩვენი ყურადღება მიიპყრო, ქართულენოვან ვებ-გვერდზე შემოკლებული ვერსიის სახით იყო წარმოდგენილი და მაგალითად მოყვანილი მონაკვეთი თარგმანში საერთოდ არ იყო წარმოდგენილი. ამიტომ მხოლოდ რუსულენოვანი თარგმანების ვერსიების შედარება მოვახერხეთ.

NY TIMES	БЕЛЫЙ ДОМ	NEWS RU
Free and prosperous societies on Russia’s borders will advance Russia’s interests by <u>servicing as sources of stability and economic opportunity.</u> We hope Russia’s leaders will recognize that a future of cooperation and peace will benefit all parties. ⁸⁵	свободные и процветающие общества на границах России будут способствовать интересам России, <u>служа источниками стабильности и экономических возможностей.</u> Надеемся, руководители России осознают, что будущее, основанное на сотрудничестве и мире, выгодно всем сторонам. ⁸⁶	Свободные и процветающие государства на границах России отвечают ее интересам. [...]. Мы надеемся, что Россия и ее руководители понимают, что будущее сотрудничество отвечает интересам всех сторон. ⁸⁷

მაგალითში თეთრი სახლის ოფიციალური რუსულენოვანი თარგმანი ორიგინალის იდენტურია, ფორმითა და მნიშვნელობით; რუსულენოვან ინტერნეტ წყაროში მოპოვებულ თარგმანში კი ვხვდებით მთელი წინადადების გამოტოვებას. კეძოდ კი გამოტოვებულია წინადადება *servicing as sources of stability and economic opportunity* - *служба источниками стабильности и экономических возможностей* სადაც ავტორი აძლიერებს თავის იმ მოსაზრებას, რომ ქვეყნის საზღვარზე ძლიერი

⁸⁵President Bush's Statement on Georgia. *New York Times*. 2008. August 16. http://www.nytimes.com/2008/08/16/world/europe/16bushtext.html?_r=1&. (18.06.2015).

⁸⁶ Заявление президента Буша о ситуации в Грузии. *Белый Дом Офис пресс-секретаря*. 2008. 18 августа. <http://iipdigital.usembassy.gov/st/russian/texttrans/2008/08/20080818095549eaifas0.4021875.html#ixzz3dCzQW9L8>. (18.06.2015).

⁸⁷ Буш вновь заявил о поддержке Грузии: президент ждет Райс из Грузии и совещается с Гейтсом. *News Ru*. 2008. 15 августа. <http://www.newsru.com/world/15aug2008/bushagain.html>. (18.06.2015).

სუვერენული სახელმწიფოების არსებობა კარგია. შესაბამისად, რუსულენოვანი თარგმანის სახით ვლემულობთ საერთო დადებითი ემოციური ფონის დაკარგვას და ნათქვამი ინფორმაციულ ხასიათს იძენს.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი იგივე ტექსტიდან:

NY TIMES	БЕЛЫЙ ДОМ	NEWS RU	სივილ ჯორჯია
Only Russia can decide whether it will now <u>put itself back on the path of responsible nations</u> or continue to pursue a policy that promises only confrontation and isolation. ⁸⁸	Только Россия может решить, <u>вернется ли она сейчас на путь ответственных государств</u> или продолжит проводить политику, которая сулит лишь конфронтацию и изоляцию. ⁸⁹	И только Россия может решить, <u>вернет ли она эти отношения на путь</u> или будет продолжать следовать путем, который обещает конфронтацию и изоляцию. ⁹⁰	მხოლოდ რუსეთს შეუძლია გადაწყვიტოს შეუძლია თუ არა <u>დაბრუნდეს პასუხისმგებელი ერების გზაზე</u> ან განაგრძოს ისეთი პოლიტიკა, რომელსაც კონფრონტაცია და იზოლაცია მოყვება,” - განაცხადა ბუშმა. ⁹¹

როგორც მაგალითიდან ვხედავთ, რუსულენოვან ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული რუსული თარგმანის ვარიანტში გამოტოვებულია ლექსიკური ერთეული responsible - ответственных - პასუხისმგებელი. გარდა ამისა, მთავარი გზავნილის

⁸⁸President Bush's Statement on Georgia. *New York Times*. 2008. August 16. http://www.nytimes.com/2008/08/16/world/europe/16bushtext.html?_r=1&. (18.06.2015).

⁸⁹ Заявление президента Буша о ситуации в Грузии. *Белый Дом Офис пресс-секретаря*. 2008. 18 августа. <http://iipdigital.usembassy.gov/st/russian/texttrans/2008/08/20080818095549eafas0.4021875.html#ixzz3dCzQW9L8>. (18.06.2015).

⁹⁰ Буш вновь заявил о поддержке Грузии: президент ждет Райс из Грузии и совещается с Гейтсом. *News Ru*. 2008. 15 августа. <http://www.newsru.com/world/15aug2008/bushagain.html>. (18.06.2015).

⁹¹ ბუში: ცივი ომი დასრულებულია. *სივილ ჯორჯია*. 2008. 15 აგვისტო. <http://civil.ge/geo/article.php?id=19161&search=> (18.06.2015).

ინტერპრეტირების ხარჯზე გადმოტანილია ორიგინალსგან განსხვავებული იდეა. ორიგინალში ვკითხულობთ - put itself back on the path of responsible nations. თეთრი სახლის ოფიციალურ რუსულენოვან თარგმანში და ქართულენოვან ვებ-გვერზე გამოქვეყნებულ ქართულ თარგმანში ზუსტად არის გადმოცემული ორიგინალის აზრი როგორც - вернется ли она сейчас на путь ответственных государств და დაბრუნდეს პასუხისმგებელი ერების გზაზე. ხოლო რუსულენოვან ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ თარგმანში იგივე წინადადება შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: вернет ли она эти отношения на путь. აღნიშნული წინადადება ქართულად რომ ვთარგნოთ მივიღებთ დააბრუნებს თუ არა იგი ამ ურთიერთობებს თავის გზაზე, და არა თავად სახელმწიფო დაუბრუნდება პასუხისმგებელი ერების გზას, როგორც ეს ორიგინალში იყო ნათქვამი. შესაბამისად, ამ წინადადებას ორიგინალში გადმოცემული გზავნილის იდენტურად ვერ მივიჩნევთ. ამდენად, წარმოდგენილ მაგალითში გამოტოვების გარდა, ასევე ორიგინალის ინტერპრეტირება განხორციელდა, რის შედეგადაც ორიგინალისგან განსხვავებული იდეა მივიღეთ.

შემდეგ მაგალითში ისევ განხილულია რუსულენოვანი თარგმანის ორი ვარიანტი. ამათგან ერთ-ერთი მოპოვებულია ქართულენოვან, ხოლო მეორე რუსულენოვან ვებ-გვერდზე. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

Civil Georgia	Civil Georgia	РИА НОВОСТИ	Netgazeti
Armenia has been cornered and forced to sign Customs Union, which is not in this nation's interest or in the interest of our region. Moldova is being blockaded,	Армению загнали в угол и вынудили вступить в Таможенный союз, что не соответствует интересам ни этого государства, ни нашего региона. Молдове объявили	Армения загнана в угол, [...] Молдавия подвергается блокаде, Украина находится под ударом, Азербайджан	სომხეთი კუთხეში მოიმწყვდიეს და აიძულეს საბაჟო კავშირში გაწევრიანება, რაც არ შედის არც მის და არც ჩვენი რეგიონის ინტერესებში. მოლდოვას ბლოკადა გამოუცხადეს, უკრაინას

<p>Ukraine is under constant attack, Azerbaijan faces extraordinary pressure, and Georgia is occupied.⁹²</p>	<p>блокаду, нападают на Украину, Азербайджан сталкивается со значительным давлением, а Грузии – оккупирована...⁹³</p>	<p>подвергается гигантскому давлению, а Грузия оккупирована...⁹⁴</p>	<p>თავს ეხმიან, აზერბაიჯანი განსაკუთრებული ზეწოლის პირისპირ არის დარჩენილი, საქართველო კი – ოკუპირებული.⁹⁵</p>
---	--	---	---

წარმოდგენილ მაგალითში რუსული თარგმანის მეორე ვარიანტში, რომელიც გამოქვეყნდა რუსულენოვან ვებ-გვერდზე (www.ria.ru) სახეზე გვაქვს მთელი წინადადების გამოტოვება, კერძოდ კი გამოტოვებულია ორიგინალის შემდეგი წინადადება - And forced to sign Customs Union, which is not in this nation's interest or in the interest of our region - სწორედ ის ნაწილი, რომელშიც ავტორი ამჟღავნებს თავის პოზიტიურ დამოკიდებულებას კონკრეტული საკითხის მიმართ. მისი მოსაზრება კი იმაში მდგომარეობს, რომ კავშირი, რომელშიც კონკრეტული სახელმწიფო იძულებით გააწევრიანეს არც ამ ქვეყნის და არც რეგიონის ინტერესებში არ შედის. ამდენად, ამ შემთხვევაში გამოტოვების, როგორც მთარგმნელობითი ტრანსფორმაციის ერთ-ერთი ხერხის, გამოყენებით, თარგმანში გამოტოვებულია ორიგინალის ავტორის გზავნილის მნიშვნელოვანი ელემენტი.

ამდენად, გამოტოვება, როგორც მთარგმნელობითი ტრანსფორმაციის ერთ-ერთი სახე, თარგმანში უზრუნველყოფს კონკრეტული ინფორმაციის თუ ელემენტის დაკარგვას, რომელიც გარკვეულწილად ზოგჯერ საგრძნობლად ამცირებს ემოციურ ელფერს და ხშირად ნათქვამის პრაგმატიკულ მნიშვნელობასაც კი ცვლის. ეს ფაქტი,

⁹² Saakashvili's Speech at the UN General Assembly-2013. *Civil Georgia*. 2013. September 26. <http://civil.ge/eng/article.php?id=26491&search=> (18.06.2015).

⁹³ Выступление Президента Грузии на 68-ой сессии Генеральной Ассамблеи ООН. *Civil Georgia*. 2013. 27 сентября. <http://civil.ge/rus/article.php?id=25236&search=> (18.06.2015).

⁹⁴ Михаил Саакашвили: Российский проект обречен на провал. *РИА Новости*. 2013. 09 сентября. <http://ria.ru/world/20130926/965931705.html#ixzz3d0x0WDIe>. (18.06.2015).

⁹⁵ საქართველოს პრეზიდენტის გაეროში გამოსვლის მთავარი აქცენტები. *Netgazeti.ge*. 2013. 26 სექტემბერი. <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/23856/>. (18.06.2015).

შეიძლება აღნიშნოს, სცდება ან აფართოვებს ამ კონკრეტული მთარგმნელობითი ტრანსფორმაციის როგორც ხერხის, დანიშნულებას. თარგმანის თეორიის მიხედვით, გამოტოვებას ექვემდებარება სემანტიკურად ზედმეტი სიტყვები, რომელთა გარეშეც შესაძლებელია ტექსტიდან მნიშვნელობის გამოტანა. ასეთი შემთხვევის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს „წვილი სინონიმები“ - ერთნაირი ან ახლო რეფერენციალური მნიშვნელობის მქონე სიტყვების პარალელური გამოყენება (Бархударов, 1975:191-226). საკვალიფიკაციო ნაშრომში წარმოდგენილი ემპირიული მასალის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნულ ხერხს პოლიტიკურ დისკურსში განსაკუთრებული, დამატებითი ფუნქცია აქვს შეძენილი. მისი მეშვეობით მთარგმნელს შეუძლია საკუთარი იდეოლოგიური შეხედულების შესაბამისი პროდუქტის შექმნა და უკვე ტრანსფორმირებული სახით მიწოდება მიმღები საზოგადოებისათვის.

ბ. ჩანაცვლება.

ზემოთ ვისაუბრეთ გამოტოვებაზე, როგორც მთარგმნელობითი ტრანსფორმაციის ხერხზე და მაგალითებით წარმოავაჩინეთ ამ ხერხის თავისებურებანი, როგორც მთარგმნელის საკმაოდ ძლიერი ინსტრუმენტი საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების მოსახდენად. წინამდებარე ნაწილში განვიხილეთ და მაგალითებით გავამყარეთ ლექსკური ერთეულების ჩანაცვლების ხერხი და მისი თავისებურებანი პოლიტიკური ტექსტების თარგმანებში. ჩვენ მიერ განხილულ პირველ მაგალითში წყარო ტექსტი ინგლისურენოვანია, რომელიც განთავსებულია თეთრი სახლის პრესს-სამდივნოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ჩვენთვის შესაძლებელი გახდა აღნიშნული ტექსტის რამდენიმე რუსული და ერთი ქართული თარგმანის მოპოვება. რუსული თარგმანების ერთ-ერთი ვერსია ხელმისაწვდომი იყო ისევ თეთრი სახლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, შესაბამისად წარმოადგენს უწყების ოფიციალურ თარგმანს, მეორე ვერსია მოვიპოვეთ რუსული ინტერნეტ - გაზეთის «Вести»-ის ვებ-გვერდზე, სადაც მოვლენა წარმოდგენილია მხოლოდ ნაწილობრივ, შესაბამისი ამონარიდებით. რუსულ ენაზე მესამე თარგმანი (ასევე ამონარიდების სახით) მოვიპოვეთ ქართულ ვებ-გვერდზე www.civil.ge, რომელზეც ყოველდღიურად სამ ენაზე (ქართული, ინგლისური, რუსული)

ვრცელდება ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ჩვენ მიერ მოპოვებული მაგალითების ანალიზი განსაკუთრებით საინტერესო იმიტომ იყო, რომ თარგმანის სამივე ვერსიას განსხვავებული ადრესატი ჰყავს - პირველ შემთხვევაში თარგმანი აშშ-ს ოფიციალური უწყების საიტზეა განთავსებული, ორიგინალი ტექსტის პარალელურია და გათვლილია ინგლისურენოვან და რუსულენოვან ადრესატზე, მეორე შემთხვევაში თარგმანის ადრესატს წარმოადგენს რუსული საზოგადოება (იმიტომ რომ თარგმანი შესრულებულია რუსული წყაროების მიერ და ასევე რუსულ საინფორმაციო წყაროს მეშვეობით ვრცელდება, ხოლო ბოლო შემთხვევაში კი რუსული და ქართული თარგმანი ქართულ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა და გათვლილია ქართველ (ასევე რუსულენოვან) მკითხველზე.

წარმოგიდგენთ მაგალითს:

THE WHITE HOUSE	БЕЛЫЙ ДОМ	VESTI RU	Civil Georgia	Civil Georgia
<p><u>There's evidence</u> that Russian forces may soon begin bombing the civilian airport in the capital city. If these reports are accurate, these Russian</p>	<p><u>Есть доказательства</u> того, что российские силы вскоре могут начать бомбить гражданский аэропорт в столице. Если эти сообщения окажутся правильными, подобные</p>	<p><u>... есть основания полагать,</u> что российские вооруженные силы могут скоро начать бомбардировки гражданского аэропорта в столице страны. “Если эти сообщения верны, подобные действия России</p>	<p><u>Существует фактическая информация,</u> что российские вооруженные силы могут вскоре начать бомбардировку гражданского аэропорта в столице (Тбилиси). Если эти сообщения верны, эти</p>	<p><u>არსებობს ფაქტობრივი ინფორმაცია,</u> რომ რუსულმა შეიარაღებულმა ძალებმა შეიძლება საჰაერო იერიში მიიტანონ დედაქალაქის (თბილისის) სამოქალაქო აეროპორტზე. თუ ეს <u>ინფორმაცია დადასტურდა,</u></p>

actions would represent a dramatic and brutal escalation of the conflict in Georgia. ⁹⁶	действия России приведут к драматической и жестокой эскалации конфликта в Грузии. ⁹⁷	будут представлять серьезную и драматическую эскалацию конфликта в Грузии”, констатировал Буш. ⁹⁸	действия России вызовут драматическую и кровапролитну ю эскалацию конфликта в Грузии. ⁹⁹	რუსეთის ამგვარი ქმედებები გამოიწვევს საქართველოში კონფლიქტის დრამატულ და სისხლისმღვრელ ესკალაციას. ¹⁰⁰
--	---	--	--	---

მაგალითებში გამოყავით რამდენიმე, ჩვენი აზრით, საყურადღებო მომენტი: ორიგინალში გამოყენებულია ფრაზა There's evidence, რომელიც თერთი სახლის ოფიციალურ რუსულ თარგმანში გადმოტანილია სიტყვით Есть доказательства, ხოლო რუსულენოვან ინტერნეტ-წყაროს თარგმანში იგივე სიტყვა ნათარგმნია როგორც есть основания полагать, რომელიც თავისი მნიშვნელობით განსხვავდება ორიგინალისაგან. Доказательства არის მტკიცებულება, ანუ გარემოება, რომელიც ასაბუთებს ამა თუ იმ მოვლენის არსებობას, მაშინ როდესაც რუსულენოვანი თარგმანის მეორე ვარიანტში არსებული есть основания полагать ნიშნავს არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ რომ; ამდენად თარგმანში გამოყენებული სიტყვის სემანტიკური მნიშვნელობა განსხვავებულია, რის საფუძველზეც ინფორმაცია მოწოდებულია შერბილებული ტონალობით. იგივე სიტყვა ქართულენოვან ინტერნეტ-წყაროში მოპოვებულ თარგმანში გადმოტანილია როგორც Существует фактическая информация და იგივე წყაროს ქართულ თარგმანში გამოყენებული ჰიპერბოლიზებული ლექსიკა: არსებობს

⁹⁶ President Bush's Remarks at White House on Situation in Georgia. *THE WHITE HOUSE Office of the Press Secretary*. 2008. August 11. http://iipdigital.usembassy.gov/st/english/texttrans/2008/08/20080811185207_ihecuor0.7626306.html#axzz3cZOBiZMH (17.06.2015).

⁹⁷ Заявление президента Буша в Белом доме о ситуации в Грузии. *Белый Дом Офис пресс-секретаря*. 2008. <http://iipdigital.usembassy.gov/st/russian/texttrans/2008/08/20080812085930ihecuor0.2027857.html#axzz3cZOBiZMH> (17.06.2015).

⁹⁸ Буш выступил с заявлением о ситуации в Грузии и оговорился. *ВЕСТИ РУ*. 2008. 12 августа. <http://www.vesti.ru/doc.html?id=200281&cid=9>. (17.06.2015).

⁹⁹ Буш предупреждает Россию в связи с Грузией. *Civil Georgia*. 2008. 12 августа. <http://www.civil.ge/rus/article.php?id=17266&search=> (17.06.2015).

¹⁰⁰ ბუში რუსეთს საქართველოს თაობაზე ავრთხილებს. *სივილ ჯორჯია*. 2008. 12 აგვისტო. <http://www.civil.ge/geo/article.php?id=19086&search=> (17.06.2015).

ფაქტობრივი ინფორმაცია, მკითხველზე ემოციური ზემოქმედების მიზნით გამოყენებული სტილისტური ხერხია.

ზემოხსენებულის გარდა საინტერესოდ მივიჩნიერთ ლექსიკური ერთეულების შემდეგნაირად შერჩევა: ორიგინალის ტექსტში ვკითხულობთ *dramatic and brutal escalation*, თეთრი სახლის ოფიციალურ რუსულ თარგმანში გამოყენებულია *драматической и жестокой эскалации*, რუსულენოვან ინტერნეტ-წყაროში მოპოვებულ თარგმანში იგივე ლექსიკური ერთეულები ნათარგმნია როგორც *серьезную и драматическую эскалацию*, ქართულენოვან ინტერნეტ-წყაროს რუსულ და ქართულ ვარიანტებში ვხვდებით *драматическую и кровопролитную* და დრამატულ და სისხლისმღვრელ. როგორც ვხედავთ პირველ შემთხვევაში, თეთრი სახლის ოფიციალურ თარგმანში ფრაზა გადმოტანილია ორიგინალის შესაბამისი ლექსიკური ერთეულებით, რუსულენოვანი თარგმანის მეორე ვარიანტში ვხვდებით სიტყვების გადაადგილებას, ასევე წინადადების ემოციური დატვირთვის შერბილებას ემოციური შეფერილობის მქონე ლექსიკური ერთეულის *brutal* ნეიტრალური ლექსიკური ერთეულით - *серьезную* გადმოტანის ხარჯზე; ქართულენოვან ვებ-გვერდზე განთავსებული თარგმანების რუსულ და ქართულ ვერსიებში ვხვდებით ერთი შეხედვით ორიგინალთან მიახლოვებულ თარგმანს, მაგრამ სიტყვა *brutal* გადმოტანილია კიდევ უფრო ემოციურად დატვირთული ლექსიკური ერთეულით - *кровопролитную* ხოლო ქართულში სისხლისმღვრელი.

ასევე საინტერესოდ მიგვაჩნია ამონარიდების თარგმანებში დართული კომენტარები. რუსულენოვან წყაროში მოპოვებულ თარგმანს ახლავს კომენტარი *констатировал Буш*. სიტყვა *констатировал* წარმოადგენს არა ნეიტრალურ, არამედ ემოციურ კომენტარს, მაშინ როდესაც ქართულენოვან წყაროში¹⁰¹ მოპოვებულ რუსულ და ქართულ თარგმანებში შესაბამისად გამოყენებულია ნეიტრალური სიტყვა *сказал* და განაცხადა.

¹⁰¹ www.civil.ge

ამდენად, მოცემულ მაგალითში, რუსულენოვან ვებ-გვერზე გამოქვეყნებულ რუსულ თარგმანში საკვანძო ლექსიკური ერთეულები გადმოტანილია განსხვავებული სემანტიკური დატვირთვის მქონე ელემენტებით, რითაც თარგმანში ორიგინალთან შედარებით ტონალობის შერბილება მიიღწევა. გარდა ამისა, ემოციური შეფერილობის მქონე სიტყვების თარგმანში ნეიტრალური ერთეულებით გადმოტანის გზით მიღებულია საერთო ემოციური ფონის დაკნინება. რაც შეეხება ქართულენოვან ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ქართულ და რუსულ თარგმანებს, აღსანიშნავია, რომ ორივე თარგმანი ერთმანეთის იდენტურია და მათში ერთნაირად ვლინდება ლექსიკური ერთეულების ჩანაცვლების შედეგად საერთო ემოციური ფონის დამძიმება.

განვიხილოთ ლექსიკური ერთეულების ჩანაცვლების შემდეგი მაგალითი. ისევე როგორც წინა მაგალითი, ამ შემთხვევაშიც ორიგინალი ტექსტი ინგლისურია. წარმოდგენილი გვაქვს მისი პარალელური ტექსტების (თარგმანების) სამი რუსული ვარიანტი და ერთი ქართული.

THE WHITE HOUSE	БЕЛЫЙ ДОМ	www.vesti.ru	www.civil.ge (რუსული)	www.civil.ge (ქართული)
<u>It now appears</u> that <u>an effort</u> <u>may</u> be underway to depose Russia's (Georgia's) duly elected government. ¹⁰²	<u>Теперь представляется,</u> что <u>может быть предпринята попытка</u> свергнуть законно избранное правительство Грузии. ¹⁰³	<u>Выглядит так,</u> что Россия сейчас <u>может предпринимать действия</u> по смещению избранного правительства. ¹⁰⁴	<u>Как выясняется,</u> <u>целью</u> России является отставка законно избранного правительства (Грузии). ¹⁰⁵	<u>როგორც ირკვევა,</u> <u>რუსეთის მიზანია</u> საქართველოს კანონიერად არჩეული მთავრობის გადაყენება. ¹⁰⁶

¹⁰² President Bush's Remarks at White House on Situation in Georgia. *THE WHITE HOUSE Office of the Press Secretary*. 2008. August 11. http://iipdigital.usembassy.gov/st/english/texttrans/2008/08/20080811185207_ihecuor0.7626306.html#axzz3cZOBiZMH (17.06.2015).

¹⁰³ Заявление президента Буша в Белом доме о ситуации в Грузии. *Белый Дом Офис пресс-секретаря*. 2008. <http://iipdigital.usembassy.gov/st/russian/texttrans/2008/08/20080812085930ihecuor0.2027857.html#axzz3cZOBiZMH> (17.06.2015).

როგორც მოცემულ მაგალითში ვხედავთ, ორიგინალში გამოყენებული ფრაზა it now appears ოფიციალური უწყების თარგმანში გადმოტანილია როგორც теперь представляется, რუსულენოვან წყაროში მოპოვებულ თარგმანში კი იგივე ფრაზა გადმოტანილია როგორც выглядит так რაც ორიგინალში გამოყენებულ ერთეულთან შედარებით აზრობრივად ნეიტრალურია. იგივე ფრაზა ქართულენოვან ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ რუსულ და ქართულ თარგმანებში ნათარგმნია როგორც как выясняется და როგორც ირკვევა, რომლებსაც ორიგინალში გამოყენებული ლექსიკური ერთეულების ტოლფასად ვერ მივიჩნევთ. გარდა ამისა, ორიგინალში გამოყენებული სიტყვა an effort, როგორც თეთრი სახლის, ასევე რუსულენოვან ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ თარგმანებში ადეკვატური ერთეულებით გადმოდის представляется და выглядит так, ქართულენოვან ვებ-გვერდზე მოცემული თარგმანის რუსულ და ქართულ ვერსიებში ცვლილებას ვხედავთ, სადაც სიტყვა მცდელობა გადმოტანილია სიტყვებით მიზანი და цель რაც ორიგინალის აზრს და მნიშვნელობას სრულებით ცვლის. ისევე როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითში, ამ შემთხვევაშიც რუსულენოვანი ვებ-გვერდის თარგმანში შედარებით ნეიტრალური ლექსიკური ერთეულების გამოყენების გზით, შერბილებულია ორიგინალის საერთო ფონი; ქართულენოვანი წყაროების რუსულ და ქართულ თარგმანებში, კი ისევ ვხვდებით ორიგინალის ფონის დამბიმებას. გარდა ამისა, თარგმანში კონკრეტული სიტყვის შეუსაბამო ერთეულით გადმოტანით შეცვლილია ორატორის პირვანდელი გზავნილი.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი, რომელშიც ლექსიკური ჩანაცვლებების ხერხით მიიღება ორიგინალისაგან განსხვავებული იდეის მქონე ტექსტი.

<u>Presidential Rhetoric</u>	<u>Белый Дом</u>	Голос Америки	სივილ ჯორჯია
-------------------------------------	-------------------------	----------------------	---------------------

¹⁰⁴ Буш выступил с заявлением о ситуации в Грузии и оговорился. *ВЕСТИ РУ*. 2008. 12 августа. <http://www.vesti.ru/doc.html?id=200281&cid=9>. (17.06.2015).

¹⁰⁵ Буш предупреждает Россию в связи с Грузией. *Civil Georgia*. 2008. 12 августа. <http://www.civil.ge/rus/article.php?id=17266&search=> (17.06.2015).

¹⁰⁶ ბუში რუსეთს საქართველოს თაობაზე აფრთხილებს. *სივილ ჯორჯია*. 2008. 12 აგვისტო. <http://www.civil.ge/geo/article.php?id=19086&search=> (17.06.2015).

<p>We expect Russia to honor its <u>commitment</u> to let in all forms of humanitarian assistance. We expect <u>Russia to ensure</u> that all lines of communication and transport, including seaports, airports, roads, and airspace, remain open for the delivery of humanitarian assistance and for civilian transit.¹⁰⁷</p>	<p>Мы ожидаем от России выполнения принятых ей <u>обязательств</u> по обеспечению беспрепятственног о доступа для всех видов гуманитарной помощи. Мы ожидаем от России <u>гарантий того</u>, что все линии связи и каналы транспортного сообщения, включая морские порты, аэропорты и воздушное пространство, будут оставаться открытыми для доставки</p>	<p>Мы ждем от России выполнения своего <u>обещания</u> пропускать в Грузию все виды гуманитарной помощи. Мы <u>ждем выполнения обещания держать</u> открытыми все коридоры – воздушные, морские и наземные – для доставки гуманитарных грузов и для обеспечения гражданских перевозок.¹⁰⁹</p>	<p>ჩვენ ველით რუსეთისგან, რომ <u>ის პატივს სცემს ვალდებულებას</u> დაუშვას ყველა სახის ჰუმანიტარული დახმარება. <u>ჩვენ ველით რუსეთისგან იმის უზრუნველყოფას</u>, რომ ყველა საკომუნიკაციო და სატრანსპორტო ხაზი, მათ შორის საზღვაო პორტები, აეროპორტები, გზები და საჰაერო სივრცე იქნება ღია ჰუმანიტარული დახმარების მისაწოდებლად და მოქალაქეების ტრანზიტისთვის.¹¹⁰</p>
--	---	--	---

¹⁰⁷ George W. Bush. Statement on the Military Conflict between Georgia and Russia. *Presidential Rhetoric*. 2008. August 13. <http://www.presidentialrhetoric.com/> (18.05.2015).

¹⁰⁹ Заявление президента Джорджа Буша по Грузии. *Голос Америки*. 2008. 13 августа. <http://www.golos-ameriki.ru/content/a-33-2008-08-13-voa14/636421.html> (19.05.2015).

¹¹⁰ ბუში თბილისში რაისს აგზავნის მხარდაჭერის აღმოსაჩენად. *სივილ ქორჯია*. 2008. 13 აგვისტო. <http://www.civil.ge/geo/article.php?id=19126&search=> (19.05.2015).

	гуманитарной помощи и для перевозки гражданских лиц. ¹⁰⁸		
--	---	--	--

წარმოდგენილ მაგალითში გამოვყავით სიტყვა commitment, რომელიც თარგმანის ორ ვარიანტში სხვადასხვაგვარად არის გადმოტანილი. თეთრი სახლის ოფიციალურ თარგმანში ნათარგმნია როგორც обязательства, ხოლო მეორე რუსულენოვან თარგმანში, რომელიც გამოქვეყნებულია რუსულენოვან ვებ-გვერდზე (www.golos-ameriki.ru), იგივე არსებითი სახელი გადმოტანილია როგორც обещания. იმავე რუსულენოვან თარგმანში იგივე ლექსიკური ერთეულით გადმოტანილია ორიგინალში გამოყენებული ლექსიკური ერთეული to ensure . გარდა ამისა, თარგმანის აღნიშნულ ვარიანტში მთარგმნელი აქტიურ გვარს პასიური გვარით ცვლის, რის შედეგადაც ტექსტიდან ამოვარდნილია მოქმედი პირი - რუსეთი. როგორც ვხედავთ, ორიგინალი ტექსტის თარგმანის ორ ვარიანტს შორის გარკვეული აზრობრივი სხვაობაა - თუკი თეთრი სახლის ოფიციალურ თარგმანში ვალდებულებრივი დამოკიდებულება იკითხება, რუსულენოვანი ვებ-გვერდის თარგმანის ვარიანტში ვალდებულება ინტერპრეტირებულია დაპირებად. შესაბამისად, ნათარგმნ ტექსტს გასხვავებული ფუნქცია მიენიჭა. აქვე აღსანიშნავია, რომ ტექსტის ორიგინალში გამოყენებული არსებითი სახელი commitment რუსულენოვან ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ თარგმანში ტენდენციურადაა გადათარგმნილი როგორც обещание, რაც კიდევ ერთი მაგალითით შეგვიძლია დავადასტუროთ:

Presidential Rhetoric	Белый Дом	Голос Америки	სივილ ჯორჯია
We expect	Мы	Мы также	ჩვენ ველით,

¹⁰⁸ Официальное заявление президента Буша по поводу ситуации в Грузии. *Белый Дом* Офис пресс-секретаря. 2008. 13 августа. <http://iipdigital.usembassy.gov/st/russian/texttrans/2008/08/20080813134552ejavosson0.9464075.html#ixzz3dE12Riyh> (19.05.2015).

<p>Russia to meet its commitment to cease all military activities in Georgia. And we expect all Russian forces that entered Georgia in recent days to withdraw from that country. ¹¹¹</p>	<p>ожидаем, что Россия выполнит свои обязательства по прекращению всех военных действий в Грузии, и мы также ожидаем, что российские силы, вошедшие в Грузию за последние дни, будут выведены из страны. ¹¹²</p>	<p>ждем, что Россия выполнит свое обещание прекратить военные действия в Грузии и [...] вывести из республики все войска, вошедшие туда в последние дни. ¹¹³</p>	<p>რომ რუსეთი შეასრულებს თავის ვალდებულებას საქართველოში ყველა სამხედრო მოქმედებების შეწყვეტაზე. და ჩვენ ველით, რომ მთელი რუსული ძალები, რომლებიც ამ დღეებში შევიდნენ საქართველოში, გავლენ ქვეყნიდან. ¹¹⁴</p>
---	--	--	---

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც თეთრი სახლის ოფიციალურ თარგმანში ლექსიკური ერთეული commitment ნათარგმნია როგორც обязательства, ხოლო რუსული თარგმანის მეორე ვარიანტში, როგორც обещание. ლექსიკური ერთეულების ამგვარად ჩანაცვლების მრავალჯერადობა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ტენდენცია შემთხვევითობა არ უნდა იყოს. ამდენად, ლექსიკური ერთეულების არასაკმარისი ერთეულებით გადმოტანა თარგმანში ორიგინალთან შედარებით აზრობრივ სხვაობას იწვევს.

¹¹¹ George W. Bush. Statement on the Military Conflict between Georgia and Russia. *Presidential Rhetoric*. 2008. August 13. <http://www.presidentialrhetoric.com/> (18.05.2015).

¹¹² Официальное заявление президента Буша по поводу ситуации в Грузии. *Белый Дом Офис пресс-секретаря*. 2008. 13 августа. <http://iipdigital.usembassy.gov/st/russian/texttrans/2008/08/20080813134552ejavosson0.9464075.html#ixzz3dE12Riyh> (19.05.2015).

¹¹³ Заявление президента Джорджа Буша по Грузии. *Голос Америки*. 2008. 13 августа. <http://www.golos-ameriki.ru/content/a-33-2008-08-13-voa14/636421.html> (19.05.2015).

¹¹⁴ ზუმი თბილისში რაის აგზავნის მხარდაჭერის აღმოსაჩენად. *სივილ ჯორჯია*. 2008. 13 აგვისტო. <http://www.civil.ge/geo/article.php?id=19126&search=> (19.05.2015).

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ზემოთ წარმოდგენილი მაგალითების მსგავსად, ლექსიკური ერთეულების ჩანაცვლების შედეგად ორიგინალისაგან განსხვავებული ფუნქციური დატვირთვის მქონე ტექსტის მიღება საკმაოდ ხშირი შემთხვევაა. აქვე აღსანიშნავია, რომ ორიგინალის კონკრეტული მონაკვეთის თარგმნისას, ლექსიკური ერთეულების ჩანაცვლებასთან ერთად, თარგმანში ხშირად გამოიყენება სხვა მთარგმნელობითი სტრატეგიებიც, როგორცაა ლექსიკური ერთეულების გადანაცვლება, ორიგინალში აქტიური გვარის თარგმანში პასიურ გვარად გადატანა და სხვ. აღნიშნულის დასტურად გვინდა კიდევ რამდენიმე მაგალითი განვიხილოთ:

NY TIMES	БЕЛЫЙ ДОМ	NEWS RU	სივილ ჯორჯია
To begin to repair its relations with the United States and Europe and other nations and to begin restoring its place in the world , Russia must respect the freedom of its neighbors . ¹¹⁵	Чтобы начать исправлять свои отношения с Соединенными Штатами, Европой и другими странами и начать восстанавливать свое место в мире , Россия должна уважать свободу своих соседей . ¹¹⁶	Чтобы улучшить отношения с Европой и США, [...] Россия должна уважать свободу ", - заявил американский президент. ¹¹⁷	ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ევროპასთან და სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობების გასაუმჯობესებლად , მსოფლიოში თავისი ადგილის აღსადგენად , რუსეთმა პატივი უნდა სცეს მის მეზობლებს. ¹¹⁸

¹¹⁵President Bush's Statement on Georgia. *New York Times*. 2008. August 16. http://www.nytimes.com/2008/08/16/world/europe/16bushtext.html?_r=1&. (18.06.2015).

¹¹⁶ Заявление президента Буша о ситуации в Грузии. *Белый Дом Офис пресс-секретаря*. 2008. 18 августа. <http://iipdigital.usembassy.gov/st/russian/texttrans/2008/08/20080818095549eaifas0.4021875.html#ixzz3dCzQW9L8>. (18.06.2015).

¹¹⁷ Буш вновь заявил о поддержке Грузии: президент ждет Райс из Грузии и совещается с Гейтсом. *NEWS RU*. 2008. 15 августа. <http://www.newsru.com/world/15aug2008/bushagain.html> (19.05.2015).

¹¹⁸ ბუში: ცივი ომი დასრულებულია. *სივილ ჯორჯია*. 2008. 15 აგვისტო. <http://civil.ge/geo/article.php?id=19161&search=> (18.06.2015).

მოცემულ მაგალითში თეთრი სახლის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული თარგმანი ზუსტად მისდევს ორიგინალს, რასაც ვერ ვიტყვით რუსულენოვან ვებ-გვერდზე მოპოვებული თარგმანის ვარიანტზე. ამ შემთხვევაში მთარგმნელს გამოყენებული აქვს სხვადასხვა მთარგმნელობითი ხერხი, მათ შორის გამოტოვება, ჩანაცვლება, გადაადგილება. განვიხილოთ დეტალურად: ორიგინალში გამოყენებული სიტყვა repair პირველ ვარიანტში ჟღერს როგორც исправлять, რომელიც წარმოადგენს ინგლისური სიტყვის რუსულ ეკვივალენტს¹¹⁹, ხოლო მეორე რუსულენოვან ვარიანტში იგივე სიტყვა ნათარგმნია როგორც улучшить, რაც ორიგინალში გამოყენებული სიტყვის შეუსაბამო ლექსიკური ერთეულია. აღსანიშნავია, რომ ქართულ თარგმანშიც აღნიშნული სიტყვა გადმოტანილია ლექსიკური ერთეულით გასაუმჯობესებლად.

ორიგინალისგან განსხვავებით, რუსულენოვან ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ რუსულ თარგმანში ასევე გამოტოვებულია შემდეგი წინადადება other nations and to begin restoring its place in the world რომელიც, ჩვენი აზრით, უმნიშვნელო არ იყო, რადგანაც მოცემულ წინადადებაში რუსეთის მსოფლიო სტატუსის აღდგენაზეა საუბარი და იმპლიციტურად მიუთითებს ქვეყნის დაკნინებულ ავტორიტეტზე. თარგმანში ასევე გამოტოვებულია კიდევ ერთი ელემენტი, რომელი ჩვენი აზრით ასევე მნიშვნელოვანი იყო. ასე ორიგინალში ვკითხულობთ: Russia must respect the freedom of its neighbors. ეს წინადადება თეთრი სახლის რუსულენოვან თარგმანში გადმოსულია როგორც Россия должна уважать свободу своих соседей და დედნის ერთგული რჩება, ხოლო რუსულენოვანი თარგმანის მეორე ვარიანტში იგივე წინადადება შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: Россия должна уважать свободу. ამ შემთხვევაში გამოტოვებულია სიტყვა მეზობლების, რაც ვფიქრობთ არ უნდა დაკარგულიყო თარგმანში, იმდენად, რამდენადაც ამონარიდი აღებულია საქართველო–რუსეთის 2008 წლის საომარი მოქმედებების შემდეგ ჯორჯ ბუშის კომენტარიდან კონფლიქტურ სიტუაციასთან დაკავშირებით. მეზობლების თავისუფლებაზე საუბრისას ავტორი საქართველოს

¹¹⁹ Мюллер В.К. «Англо-русский словарь». М. 1982

გულისხმობდა. აღნიშნული ელემენტი დაკარგულია თარგმანში და, შესაბამისად აზრობრივად სცდება ორიგინალს.

აღსანიშნავია, რომ ქართულ თარგმანში იგივე ელემენტი გადმოტანილია როგორც რუსეთმა პატივი უნდა სცეს მის მეზობლებს. ამ შემთხვევაში გამოტოვებულია სიტყვა თავისუფლება და თარგმანში განზოგადებულად მეზობლები ფიგურირებს, რითაც მთარგმნელი სავარაუდოდ მკითხველის ემოციური ზემოქმედების მოხდენას ცდილობს.

გარდა ამისა, აღნიშნული რუსულენოვანი თარგმანის ორიგინალთან შეპირისპირება ცხადყოფს, რომ თარგმანში გამოყენებულია ლექსიკური ერთეულების გადანაცვლება; ავტორის მიერ ორიგინალში გამოყენებული ქვეყნები თარგმანში გადაადგილებულია, კემოდ ორიგინალში ვკითხულობთ: To begin to repair its relations with the United States and Europe, თარგმანში კი ვხვდებით Чтобы улучшить отношения с Европой и США; აღნიშნული ხერხით თარგმანში პირველადი აქცენტი ევროპაზე კეთდება და არა ამერიკაზე, როგორც ეს ორიგინალშია.

ორიგინალისა და თარგმანების შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ჩანაცვლებები ხდება როგორც ლექსიკური ერთეულის ასევე წინადადებების დონეზე, რაც ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში შეგვიძლია ვიხილოთ:

Presidential Rhetoric	Белый Дом	Голос Америки	სივილ ჯორჯია
She will then travel to Tbilisi, where she will personally convey America's unwavering support for Georgia's democratic government. On this trip she will continue our efforts to rally the free world in	Затем она отправится в Тбилиси, где сможет лично сообщить о нашей непоколебимой поддержке демократического правительства	Оттуда она отправится в Тбилиси, где лично подтвердит непоколебимую поддержку демократического правительства Грузии so	შემდეგ ის თბილისში გაემგზავრება, სადაც ის პირადად გამოხატავს ამერიკის ურყევ მხარდაჭერას საქართველოს

<p><u>the defense of a free Georgia.</u>¹²⁰</p>	<p>Грузии. В ходе данной поездки она продолжит наши усилия по <u>сплочению всего свободного мира для защиты свободы Грузии.</u>¹²¹</p>	<p><u>стороны США.</u> В ходе поездки она предпримет новые усилия, <u>чтобы укрепить солидарность свободного мира со свободной Грузией.</u>¹²²</p>	<p>დემოკრატიული მთავრობის მიმართ. ამ ვიზიტისას ის გააგრძელებს ჩვენ მცდელობებს <u>შეკრას მთელი თავისუფალი სამყარო თავისუფალი საქართველოს დასაცავად.</u>¹²³</p>
--	---	---	--

ორიგინალსა და თარგმანების სხვადასხვა ვარიანტში გამოვყავით ის სიტყვები თუ წინადადებები, რომლებიც შეპირისპირებითი ანალიზის შედეგად ყურადსაღებად მივიჩნიეთ. ორიგინალის ტექსტში America's unwavering support თეთრი სახლის ოფიციალურ რუსულენოვან თარგმანში გადმოტანილია როგორც нашей непоколебимой поддержке. ქვეყნის სახელწოდების კუთვნილებითი ნაცვალსახელით ჩვენის შეცვლით, ჩვენი აზრით მთარგმნელმა თარგმანს მეტი ემოციურობა შესძინა, რუსული თარგმანის მეორე ვარიანტში, რომელიც აღებულია რუსულენოვანი ვებ-გვერდიდან (www.golos-ameriki.ru), იგივე ელემენტი უცვლელი რჩება. იგივე შეიძლება ითქვას ქართულენოვან თარგმანზეც, ამ შემთხვევაშიც, თარგმანი დედნის იდენტურია.

¹²⁰George W. Bush - Statement on the Military Conflict between Georgia and Russia; *Presidential Rhetoric*. 2008. August 13, <http://www.presidentialrhetoric.com/> (17.06.2015).

¹²¹Официальное заявление президента Буша по поводу ситуации в Грузии; *Белый Дом Офис пресс-секретаря*. 2008. 13 августа. <http://iipdigital.usembassy.gov/st/russian/texttrans/2008/08/20080813134552ejavosson0.9464075.html#ixzz3dE12Rlyh> (17.06.2015)

¹²² Заявление президента Джорджа Буша по Грузии; *Голос Америки*. 2008. 13 августа. <http://www.golos-ameriki.ru/content/a-33-2008-08-13-voa14/636421.html> (19.05.2015).

¹²³ ზუმი თბილისში რაის აგზავნის მხარდაჭერის აღმოსაჩენად. *სივილ ჯორჯია*. 2008. 13 აგვისტო. <http://www.civil.ge/geo/article.php?id=19126&search=> (19.05.2015).

მაგალითში ასევე გამოვყავით კიდევ ერთი საინტერესო მომენტი. ორიგინალში ვხვდებით წინადადებას to rally the free world in the defense of a free Georgia. თეთრი სახლის რუსულენოვან თარგმანში ეს წინადადება გადმოტანილია როგორც по сплочению всего свободного мира для защиты свободы Грузии, რაც აზრობრივად და ფუნქციურად შეესაბამება ორიგინალს. რუსულენოვანი თარგმანის მეორე ვარიანტში იგივე წინადადება ნათარგმნია როგორც чтобы укрепить солидарность свободного мира со свободной Грузией რაც ორიგინალში გადმოცემული აზრის განმეორებად ან ადეკვატურად ვერ მივიჩნევთ. ქართულ თარგმანთან დაკავშირებით კი შეიძლება ითქვას, რომ თარგმანი ძალიან ახლოსაა ორიგინალთან და ინარჩუნებს დედნის აზრს.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

<u>White House</u>	<u>Московский Комсомолец</u>	<u>სივილ ჯორჯია</u>
<p><u>And one of the first things that I did was express my appreciation</u> for the institution-building that’s been taking place in <...> Georgia -- the importance of making sure that minorities are respected ¹²⁴</p>	<p><u>Я сказал Саакашвили, что приветствую</u> то, как происходил процесс формирования институтов в <...> Грузии, важность уважения интересов национальных меньшинств <...> ¹²⁵</p>	<p><u>ერთ-ერთი პირველი, რაც მე გავაკეთე, გამოვხატე ჩემი პატივისცემა</u> იმ ინსტიტუტების მიმართ, რომლებიც საქართველოში აშენდა, უმცირესობებისადმი პატივისცემის... ¹²⁶</p>

წარმოდგენილ მაგალითში, ორიგინალი ტექსტის წინადადება რუსულ ენაზე ნათარგმნია წინადადებათა ჩანაცვლების ხერხით, მაგრამ ჩანაცვლებული წინადადება არ შეესაბამება ორიგინალს. კერძოდ, ორიგინალის შემდეგი წინადადება And one of the

¹²⁴ Remarks by President Obama and President Saakashvili of Georgia After Bilateral Meeting. *White House*. 2012. January 30. <https://www.whitehouse.gov/photos-and-video/video/2012/01/30/president-obamas-bilateral-meeting-president-saakashvili-georgia#transcript> (20.05.2015)

¹²⁵ Поучитесь у грузин. *Московский Комсомолец*. 2012. 31 января. <http://www.mk.ru/politics/2012/01/31/665983-pouchites-u-gruzin.html> (20.05.2015)

¹²⁶ ობამა-სააკაშვილის შეხვედრა თერთ სახლში. *სივილ ჯორჯია*. 2012. 31 იანვარი. <http://www.civil.ge/geo/article.php?id=25059&search=> (20.05.2015).

first things that I did was express my appreciation, რუსულენოვან თარგმანში გადმოტანილია როგორც Я сказал Саакашвили, что приветствую. რუსულენოვან თარგმანში განხორციელებულმა ლექსიკურმა ჩანაცვლებამ თარგმანში გამოიწვია ავტორისეული ტონის და შესაბამისად დამოკიდებულების ცვლილება. ასეთნაირად ორიგინალში მოსაუბრის ფორმალური და კეთილგანწყობილი დამოკიდებულება თარგმანში განსხვავებული ემოციური დატვირთვით გადმოდის.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი შემთხვევა რუსულენოვან თარგმანში მრავალჯერად ხასიათს ატარებს, რაც შეგვიძლია შემდეგი მაგალითით დავადასტუროთ:

White House	Московский Комсомолец	სივილ ჯორჯია
And <u>so I want to express my appreciation</u> for the work that's been done in the past, but also <u>anticipating fair and free elections here</u> ; the formal transfer of power that will be taking place in Georgia, which I think will solidify many of these reforms that have already taken place. ¹²⁷	<u>Я бы хотел отметить</u> ту работу, которую грузинские власти проделали в прошлом, а также <u>призвать их к проведению честных и свободных выборов</u> в будущем. ¹²⁸	მინდა, <u>კიდევ ერთხელ გამოვხატო ჩემი პატივისცემა თქვენს მიერ უკვე შესრულებული სამუშაოს მიმართ და გამოვთქვა იმედი, რომ გაიმართება სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნები.</u> ¹²⁹

ამ შემთხვევაშიც ორიგინალში ავტორის მიერ გამოხატული მოკრძალებული დამოკიდებულება, რუსულენოვან თარგმანში დაკნინებულია. ასეთნაირად ორიგინალში ვკითხულობთ so I want to express my appreciation , რაც ქართულ თარგმანში

¹²⁷ Remarks by President Obama and President Saakashvili of Georgia After Bilateral Meeting. *White House*. 2012. January 30. <https://www.whitehouse.gov/photos-and-video/video/2012/01/30/president-obamas-bilateral-meeting-president-saakashvili-georgia#transcript> (20.05.2015)

¹²⁸ Поучитесь у грузин. *Московский Комсомолец*. 2012. 31 января. <http://www.mk.ru/politics/2012/01/31/665983-pouchites-u-gruzin.html> (20.05.2015)

¹²⁹ ობამა-საკაშვილის შეხვედრა თერთ სახლში. *სივილ ჯორჯია*. 2012. 31 იანვარი. <http://www.civil.ge/geo/article.php?id=25059&search=> (20.05.2015).

ზუსტად არის გადმოცემული როგორც კიდევ ერთხელ გამოვხატო ჩემი პატივისცემა, რუსულ თარგმანში გადმოსულია როგორც Я бы хотел отметить, რაც ქართულად რომ გადმოვთარგმნოთ ნიშნავს მინდა აღვნიშნო. ასევე აღსანიშნავია ორიგინალის შემდეგი წინადადება anticipating fair and free elections here, რომელშიც ავტორი გამოხატავს თავის მოლოდინს, რუსულენოვან თარგმანში გადათარგმნილია როგორც призвать их к проведению честных и свободных выборов. შედეგად, თარგმანში დაკარგულია და სახეცვლილია ორიგინალის ავტორის გზავნილი.

ემპირიული მასალის კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ რუსულენოვან წყაროებში გამოქვეყნებულ თარგმანებში, მთარგმნელი ზოგჯერ არბილებს ორიგინალში ავტორისეულ მძაფრ ტონს, რის დასტურადაც შემდეგი მაგალითის წარმოდგენა შეიძლება.

Civil Georgia	Civil Georgia	РИА Новости	Netgazeti
Russian project is doomed to fail. No Empire is sustainable today – we are living in the 21st century – and <u>certainly not the Russian one.</u> ¹³⁰	... российский проект обречен на провал. Сегодня ни одна империя не сможет существовать, <u>тем более, Российская.</u> ¹³¹	Российский проект обречен на провал. Ни одна Империя не имеет сегодня шансов стать жизнеспособной, <u>и российская не является исключением.</u> ¹³²	რუსული პროექტი განწირულია წარუმატებლობისათვის. დღევანდელ დღეს ვერც ერთი იმპერია ვერ იარსებებს, <u>მით უმეტეს, რუსული.</u> ¹³³

¹³⁰ Saakashvili's Speech at the UN General Assembly – 2013. *Civil Georgia*. 2013. September 26. <http://www.civil.ge/eng/article.php?id=26491&search=> (20.05.2015).

¹³¹ Выступление Президента Грузии на 68-ой сессии Генеральной Ассамблеи ООН. *Civil Georgia*. 2013. 27 Сентября. <http://www.civil.ge/rus/article.php?id=25240&search=> (20.05.2015).

¹³² Михаил Саакашвили: Российский проект обречен на провал. *РИА Новости*. 2013. 26 Сентября. <http://ria.ru/world/20130926/965931705.html#ixzz3d0x0WDIe>; (20.05.2015).

¹³³ საქართველოს პრეზიდენტის გაეროში გამოსვლის მთავარი აქცენტები. *Netgazeti.ge*. 2013. 26 სექტემბერი. <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/23856/>. (18.06.2015).

მოცემული მაგალითის ორიგინალში ჩვენ მიერ გამოყოფილი წინადადება certainly not the Russian one, ქართულენოვანი ინტერნეტ წყაროს რუსულ თარგმანში ნათარგმნია როგორც тем более, Российская, რაც ქართულადაც ორიგინალის ზუსტი შესაბამისობით გადმოვიდა მით უმეტეს, რუსული, რუსულენოვან წყაროებში მოპოვებულ თარგმანში კი შემდეგ სახეს იძენს - российская не является исключением. როგორც ვხედავთ ამ შემთხვევაში ავტორისეული მძაფრი ტონი შერბილებულია, რაც, შესაძლებელია, იმ გარემოებით იყო განპირობებული, რომელშიც მოხდა აღნიშნული პოლიტიკური განცხადების გაჟღერება. აღნიშნული ამონარიდი აღებულია მიხეილ სააკაშვილის გაეროში გამოსვლის ტექსტიდან, რომელმაც თავისი მწვავე კატეგორიული ხასიათის გამო რუსეთის დელეგაციის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და მათი მხრიდან გაეროს სხდომის დატოვების მიზეზი გახდა. ჩვენი აზრით, მთარგმნელის მიერ ამ შემთხვევაში თარგმანში ტონის შერბილება შესაძლებელია ისედაც დამაბული სიტუაციის კიდევ უფრო დამძიმების თავიდან აცილების მიზნით იყო განპირობებული. მიხეილ სააკაშვილის იგივე გამოსვლაში განსაკუთრებით საინტერესოდ მივიჩნიეთ კიდევ ერთი ნაწყვეტი. რუსეთთან დაკავშირებით გაკეთებული ეს განცხადება განსაკუთრებული სიმწვავეთ იქნა აღქმული საერთაშორისო პოლიტიკის დონეზე. აღსანიშნავია, რომ ჩვენ შევძელით განცხადების თარგმანის სხვადასხვა ვარიანტების მოპოვება, რომლებიც სხვადასხვა რუსულენოვან ვებ-გვერდზე იყო გამოქვეყნებული. ზოგიერთ ვერსიაში აღნიშნული ნაწყვეტი საერთოდ გამოტოვებული იყო, ზოგიერთ წყაროში ნეიტრალურად იყო ნათარგმნი, ზოგიერთში კი საკმაოდ ემოციურად - მწვავედ. განვიხილოთ მაგალითი:

Civil.ge	Civil.ge	Russian RT	Civil.ge
<u>It makes me sick</u>	<u>Мне становится</u>	<u>Меня тошнит, когда</u>	<u>ცუდად მხდის,</u>
<u>when KGB officer</u>	<u>плохо, когда</u>	<u>офицер КГБ</u>	<u>როდესაც კაგებეს</u>
<u>Vladimir Putin</u>	<u>офицер КГБ</u>	<u>Владимир Путин</u>	<u>ოფიცერი</u>
<u>lectures the world</u>	<u>Владимир Путин</u>	<u>читает миру</u>	<u>ვლადიმერ პუტინი</u>
<u>about freedom.</u>	<u>читает миру</u>	<u>нотации о свободе.</u>	<u>მსოფლიოს</u>

values and democracy. ¹³⁴	and	<u>лекцию о свободе,</u> ценностях и демократии. ¹³⁵	и	и	<u>უკითხავს ლექციას</u> <u>თავისუფლებაზე,</u> ღირებულებებსა და დემოკრატიაზე. ¹³⁷
--------------------------------------	-----	--	---	---	---

როგორც ვხედავთ, ორიგინალში გამოყოფილი ფრაზა It makes me sick when KGB officer Vladimir Putin lectures the world about freedom სხვადასხვა წყაროს თარგმანებში სხვადასხვაგვარადაა გადმოტანილი. ქართულენოვანი ვებ-გვერდის რუსულ და ქართულ თარგმანში, იგი იდენტურად არის გადმოტანილი როგორც Мне становится плохо, когда офицер КГБ Владимир Путин читает миру лекцию და ცუდად მხდის, როდესაც კაგებეს ოფიცერი ვლადიმერ პუტინი მსოფლიოს უკითხავს ლექციას თავისუფლებაზე, რაც შეიძლება ნეიტრალურ თარგმანად მოვიაზროთ. თუმცა ერთ-ერთ რუსულენოვან ვებ-გვერდზე მოპოვებულ რუსულ თარგმანში იგივე მონაკვეთი გაცილებით მწვავე განაცხადის სახეს იძენს - Меня тошнит, когда офицер КГБ Владимир Путин читает миру нотации о свободе.

ჩვენს შემდეგ მაგალითში გვინდა თარგმანში აზრობრივი გავრცობის ხერხის (როგორც ჩანაცვლების მეთოდის ერთ-ერთი სახის) გამოყენების თავისებურება წარმოვაჩინოთ. აღნიშნული ხერხის გამოყენების შედეგადაც გარკვეული ცვლილებები თუ აქცენტები იქნა შეტანილი ნათარგმნ ტექსტში. მოცემულ შემთხვევაშიც ორიგინალს ინგლისური ტექსტი წარმოადგენს და ამჯერადაც ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ერთი ტექსტის რუსული თარგმანის ორი ვარიანტი (რომელთაგან პირველი ისევ ამერიკული წყაროს თარგმანს წარმოადგენს, მეორე კი რუსული წყაროს თარგმანია), რომელთა შორისაც გარკვეული სხვაობები აღმოვაჩინეთ. განვიხილოთ მაგალითი:

¹³⁴ Saakashvili's Speech at the UN General Assembly – 2013. *Civil Georgia*. 2013. September 26. <http://www.civil.ge/eng/article.php?id=26491&search=> (20.05.2015).

¹³⁵Выступление Президента Грузии на 68-ой сессии Генеральной Ассамблеи ООН. *Civil Georgia*. 2013. 27 Сентября. <http://www.civil.ge/rus/article.php?id=25240&search=> (20.05.2015).

¹³⁶Саакашвили: Меня тошнит от нотаций Путина. *Russian RT*. 2013. 26 Сентября. <http://russian.rt.com/inotv/2013-09-26/Saakashvili-Menya-toshnit-ot-notacij>. (20.05.2015).

¹³⁷ სააკაშვილის გამოსვლა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე. *სივილ ჯორჯია*. 2013. 26 სექტემბერი. <http://www.civil.ge/geo/article.php?id=27371&search=> (20.05.2015).

<u>Presidential Rhetoric</u>	<u>Белый Дом</u>	<u>Голос Америки</u>	<u>სივილ ჯორჯია</u>
<p><u>A U.S. C-17 aircraft with humanitarian supplies is on its way.</u></p> <p>And in the days ahead <u>we will use U.S. aircraft, as well as naval forces</u>, to deliver humanitarian and medical supplies. ¹³⁸</p>	<p><u>Уже в пути транспортный самолет C-17 с гуманитарным грузом на борту.</u> В предстоящие дни мы <u>будем использовать самолеты ВВС и ВМС США</u> для доставки гуманитарных и медицинских грузов. ¹³⁹</p>	<p><u>Уже в пути первый американский военно-транспортный самолет с грузом предметов первой необходимости для Грузии.</u> К этой гуманитарной миссии ВВС <u>в ближайшие дни присоединятся корабли ВМФ США.</u> ¹⁴⁰</p>	<p><u>C-17 თვითმფრინავი ჰუმანიტარული ტვირთით უკვე გზაშია და დღეების შემდეგ ჩვენ გამოვიყენებთ ამერიკულ თვითმფრინავს, ისევე როგორც საზღვაო ძალებს</u></p> <p>ჰუმანიტარული და სამედიცინო ტვირთის მისაწოდებლად.¹⁴¹</p>

დეტალურად განვიხილოთ მოცემული მაგალითი. ორიგინალში არსებული შემდეგი წინადადება A U.S. C-17 aircraft with humanitarian supplies is on its way, თეთრი სახლის ოფციალურ რუსულენოვან თარგმანში გადმოტანილია როგორც – Уже в пути транспортный самолет C-17 с гуманитарным грузом на борту. თარგმანში ორიგინალის ინფორმაციის ადეკვატურად გადმოცემის მიზნით, მთარგმნელმა გამოიყენა

¹³⁸ George W. Bush. Statement on the Military Conflict between Georgia and Russia. *Presidential Rhetoric*. 2008. August 13. <http://www.presidentialrhetoric.com/> (18.05.2015).

¹³⁹ Официальное заявление президента Буша по поводу ситуации в Грузии. *Белый Дом Офис пресс-секретаря*. 2008. 13 августа. <http://iipdigital.usembassy.gov/st/russian/texttrans/2008/08/20080813134552ejavosson0.9464075.html#ixzz3dE12Rlyh> (19.05.2015).

¹⁴⁰ Заявление президента Джорджа Буша по Грузии. *Голос Америки*. 2008. 13 августа. <http://www.golos-ameriki.ru/content/a-33-2008-08-13-voa14/636421.html> (19.05.2015).

¹⁴¹ ზუში თბილისში რაის აგზავნის მხარდაჭერის აღმოსაჩენად. *სივილ ჯორჯია*. 2008. 13 აგვისტო. <http://www.civil.ge/geo/article.php?id=19126&search=> (19.05.2015).

ტრანსფორმაციის ერთ–ერთი ხერხი - დამატება (на борту) . იმავე ტექსტის რუსულენოვან წყაროში მოპოვებული თარგმანის ვარიანტში ზემოაღნიშნული წინადადება შემდეგნაირად არის გადმოცემული: Уже в пути первый американский военно-транспортный самолет с грузом предметов первой необходимости для Грузии. ამ შემთხვევაში სახეზეა აზრობრივი გავრცობა, როგორც მკითხველისათვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდების წყარო. თარგმანში ტრანსპორტი აღნიშნება არა თვითმფრინავის სახელწოდების (C-17) მითითებით, როგორც ეს პირველ შემთხვევაში ხდება, არამედ გამოიყენება სატრანსპორტო საშუალების დანიშნულების აღნიშვნა (სამხედრო-სატრასპორტო). ამით მთარგმნელს წინა პლანზე გადმოაქვს ამ მოვლენის ფუნქცია, რითაც განსხვავებულ ინტერპრეტაციას სძენს გამონათქვამს. აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოყვანილი ამონარიდი აღებულია საქართველო - რუსეთის 2008 წლის ომის დროს (ომის მეხუთე დღე) ჯორჯ ბუშის მიერ გაკეთებული განცხადებიდან. ორიგინალი ტექსტის მიხედვით, მკითხველისთვის გასაგები ხდება, რომ საუბარია საქართველოში ამერიკიდან ჰუმანიტარული დახმარების გაგზავნაზე; უკვე თარგმანში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ჰუმანიტარული დახმარება იგზავნება სამხედრო ტრანსპორტით, რაც მთარგმნელის მიერ დასახულ კონკრეტულ მიზანზე მიგვანიშნებს.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული ამონარიდის მეორე ნაწილი შემდეგნაირად გამოიყურება: We will use U.S. aircraft, as well as naval forces, to deliver humanitarian and medical supplies; რუსული თარგმანის პირველ ვარიანტში ვხვდებით შემდეგ ფორმულირებას: Мы будем использовать самолеты ВВС и ВМС США для доставки гуманитарных и медицинских грузов. ორიგინალი და თარგმანი, როგორც ფორმით, ასევე ფუნქციით, ერთმანეთის ადეკვატურია. რუსულენოვანი თარგმანის მეორე ვარიანტში გვხვდება წინადადება К этой гуманитарной миссии ВВС в ближайшие дни присоединятся корабли ВМФ США. მოცემულ შემთხვევაში ხდება წინამორბედი წინადადების აზრობრივი გაგრძელება, წინადადებათა გაერთიანება. აღსანიშნავია, რომ ორიგინალში თვითმფრინავი და საზღვაო ძალები დაკავშირებულია as well as კავშირით, რაც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ არსებითი სახელები ფუნქციურად

ტოლფასია. თარგმანში წინადადებები გაერთიანებულია და, ორიგინალში საპირწონე ელემენტებიდან ერთ-ერთი შემოდის როგორც ახალი, დამატებითი ელემენტი. ამ ელემენტზე ფოკუსირებისა და თანაბარი მნიშვნელობის კატეგორიების მაგივრად არაპროპორციული ურთიერთმიმართების გზით ნათარგმნ ტექსტში მიიღება ორიგინალისაგან განსხვავებული სიტუაციის გამძაფრება.

აღნიშნული მონაკვეთის ქართულენოვანი თარგმანი დედნის შესაბამისია, როგორც სტრუქტურულად, ასევე სემანტიკურად.

ამდენად, როგორც მაგალითიდან ვხედავთ, აზრობრივი გავრცობითა და კონსტრუქციათა გაერთიანებით თარგმანში შესაძლებელია მიმღები საზოგადოების ყურადღების გადატანა ორიგინალისგან განსხვავებულ ელემენტებზე და რაიმე კონკრეტული გარემოების ხაზგასმა. შესაბამისად, იქმნება თითქოს უმნიშვნელო ცვლილებების მქონე, მაგრამ ამოსავალი ტექსტისგან განსხვავებული, ტრანსფორმირებული ტექსტი, რომელშიც შესაძლებელია მთარგმნელის მიერ დასმული აქცენტები იკითხებოდეს.

მთარგმნელობითი ტრანსფორმაციის კიდევ ერთი ხერხი - დამატება ასევე შეიძლება გამოყენებული იყოს ემოციური ფონის გამძაფრებისათვის, რაც შემდეგ მაგალითში შეგვიძლია ვიხილოთ:

WHITE HOUSE	სივილ ჯორჯია
We discussed how we can continue to strengthen the strong bilateral relationship between our two countries. Part of this is economic. Obviously, Georgia has made strides in creating an effective free market system and more progress needs to be made.	განვიხილეთ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავების გზები. ყოველივე ამის შემადგენელი ნაწილი, <u>რა თქმა უნდა</u> , არის ეკონომიკა. საქართველომ, უდავოდ, ძალიან დიდი ნაბიჯები გადადგა

<p>The United States wants to help in that progress.¹⁴²</p>	<p>ეფექტიანი, თავისუფალი ბაზრის შექმნაში და, <u>რა თქმა უნდა</u>, პროგრესი კვლავაც უნდა გაგრძელდეს. ამერიკის შეერთებული შტატებს სურს, დაეხმაროს საქართველოს ამ პროგრესის მიღწევაში.</p> <p>143</p>
--	--

წარმოდგენილ მაგალითში მთარგმნელმა ტრანსფორმაციის რამდენიმე ხერხი გამოიყენა თარგმანის ადეკვატურობის მიღწევის მიზნით. თარგმანში, მთარგმნელი მრავალჯერადად იყენებს ერთი და იგივე ელემენტს რა თქმა უნდა, რომელიც ორიგინალში საერთოდ არ გვხვდება. აღნიშნული ელემენტი შეიძლება მთარგმნელობითი ტრანსფორმაციის ერთ-ერთ ხერხად, დამატებად მივიჩნიოთ, ოღონდ მისი ამ შემთხვევაში გამოყენების მიზანი, ჩვენი აზრით, განსხვავებულია. დამატების, როგორც ტრანსფორმაციის ხერხის გამოყენება, როგორც წესი განპირობებულია სამიზნე ტექსტში მნიშვნელობების გადატანის აუცილებლობით, რაც ორიგინალში გრამატიკული ხერხებითაა გამოხატული (Бархударов, 1975:191-227). ამ შემთხვევაში დამატებული ელემენტი, ნათქვამის ემოციური გამაძლიერებელია, იგი ტექსტის საერთო ემოციას ზრდის, დამაჯერებლობას ჰმატებს მას, რაც, ჩვენი აზრით, მთარგმნელის მიერ ქართველ მკითხველზე ზემოქმედების მიზნით იქნა გამოიყენებული.

ამდენად, ჩვენ მიერ წარმოდგენილი ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პოლიტიკური ტექსტების თარგმანში, კერძოდ კი რუსულენოვან წყაროებში გამოქვეყნებულ თარგმანებში ძირითადად ხდება:

¹⁴² Remarks by President Obama and President Saakashvili of Georgia After Bilateral Meeting. *White House*. 2012. January 30. <https://www.whitehouse.gov/photos-and-video/video/2012/01/30/president-obamas-bilateral-meeting-president-saakashvili-georgia#transcript> (20.05.2015)

¹⁴³ ოზამა-საკაშვილის შეხვედრა თერთ სახლში. *სივილ ჯორჯია*. 2012. 31 იანვარი. <http://www.civil.ge/geo/article.php?id=25059&search=> (20.05.2015).

1. იმ წინადადებების გამოტოვება, სადაც საუბარია ქართველი ერის შეფასებებზე და მის მიღწევებზე საერთაშორისო პოლიტიკის დონეზე, აგრეთვე გამოხატულია მისდამი ავტორისეული დამოკიდებულება;

2. თარგმანში პაუზის დაკარგვა და წინადადებათა გაერთიანებისა და გადაადგილების გზით მიიღწევა ორიგინალში ორატორის მიერ დასმული აქცენტის დაკნინება და ემოციური ფონის მნიშვნელოვნად შემცირება. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ორიგინალის ტექსტიდან გარკვეული ელემენტების გამოტოვებით ან კონსტრუქციათა გაერთიანება-გადაადგილებით განსხვავებული შინაარსის მქონე თარგმანი მიიღება;

3. თარგმანში გარკვეული ლექსიკური ერთეულებისა და წინადადებების გამოტოვებით, ასევე კონსტრუქციათა კომპრესიით, ვლინდება მიმღები აუდიტორიის ყურადღების სხვა ელემენტებზე გადატანის მცდელობა და ორიგინალის იდეის ნეიტრალური ტონალობით გადმოცემა.

4. წინადადებათა გაერთიანების ხარჯზე ხდება ემფატური ინფორმაციის ნეიტრალურად გადაცემა;

5. ორიგინალის საერთო დადებითი ემოციური ფონის დაკარგვა თარგმანში და ავტორისეული მაღალემოციური გზავნილის ინფორმაციული სახით გადმოცემა;

6. გამოტოვებასთან ერთად ორიგინალის ინტერპრეტირების გზით ორიგინალისაგან იდეურად განსხვავებული გზავნილის გადმოცემა თარგმანში.

ლექსიკური ერთეულების შეუსაბამო (ამოსავალი ტექსტში გამოყენებული ერთეულების სალექსიკონო მნიშვნელობით არატოლფასი ერთეულებით) ჩანაცვლების ხარჯზე, შეიძლება მიღწეულ იქნას:

1. ტექსტის ორიგინალში ავტორისეული ტონის გამძაფრება ან შერბილება;

2. ემოციური შეფერილობის მქონე ლექსიკური ერთეულების ნეიტრალური ელემენტებით გადმოტანის გზით ორიგინალის საერთო ემოციური ფონის დაკნინება;

3. ორიგინალში ნეიტრალური ტონის, თარგმანში გამმაფრებული სახით ასახვა და ცალკეული სიტყვების შეუსაბამო ერთეულებით გადათარგმნის გზით ორიგინალის ავტორის გზავნილის სახეცვლილი წარმოდგენა, თარგმანში აზრობრივი სხვაობის შემოტანა;

4. ორიგინალის ავტორის ფორმალური და კეთილგანწყობილი დამოკიდებულების თარგმანში დაკარგვა;

5. აზრობრივი გავრცობითა და კონსტრუქციათა გაერთიანებით შესაძლებელია მკითხველის ყურადღების გადატანა ორიგინალისგან განსხვავებულ ელემენტებზე და რაიმე კონკრეტული გარემოების ხაზგასმა. ამ ელემენტზე ფოკუსირებისა და თანაბარი მნიშვნელობის კატეგორიების ნაცვლად არაპროპორციული ურთიერთმიმართების გზით ნათარგმნ ტექსტში მიიღება ორიგინალისაგან განსხვავებული სიტუაციის გამმაფრება.

რაც შეეხება ქართულენოვან თარგმანებს, ჩვენ მიერ შერჩეული მასალის ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ქართულენოვანი თარგმანები ახლოსაა ორიგინალთან, როგორც ფორმით ასევე შინაარსით. მასალების კვლევისას ქართულ თარგმანებში არ დაფიქსირებულა გამოტოვების არც ერთი შემთხვევა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ქართულენოვან თარგმანში, ხშირად გვხვდება ნეიტრალური ან ნაკლებად ემოციურად მარკირებული ლექსიკური ერთეულების ძლიერ ემოციურ ერთეულებით გადმოტანის შემთხვევები. ასევე ქართულენოვან თარგმანებში ვერ გამოვავლინეთ ემოციურად გადმოცემული აზრის დაკნინება-განეიტრალების შემთხვევა. ვფიქრობთ, რომ ეს ფაქტი იმით არის გამოწვეული, რომ ჩვენ მიერ შერჩეული პოლიტიკური განცხადებები მეტად მნიშვნელოვანი იყო ქართული სახელმწიფოს საერთაშორისო პოლიტიკური თვალსაზრისით; შესაბამისად, მათი ზუსტი თარგმანის მიწოდება ქართული საზოგადოებისათვის გარკვეულწილად „მომგებიანიც“ იყო. ამიტომ განცხადებები თუ გამოსვლები მაქსიმალურად მიახლოვებულად იყო ნათარგმნი.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით კი შეგვძლია აღვნიშნოთ, რომ მოპოვებული მასალების ანალიზზე დაყრდნობით გამოვლინდა, რომ რუსულენოვან თარგმანში

ტექსტების ტრანსფორმაცია და შინაარსობრივი ცვლილებების შემჩნევა შეუიარაღებელი თვალთ შთქმის შეუძლებელია; თუმცა, ტექსტების სიღრმისეული ანალიზის (ე.წ. „close reading“) მეშვეობით, რომლის დროსაც ყურადღება გამახვილებულია მთარგმნელობით ტრანსფორმაციებზე, ვლინდება შემდეგი ტენდენციები: ემოციურად მარკირებული ლექსიკურ-სემანტიკური ერთეულების და მათი პრაგმატული მნიშვნელობის გარკვეულწილად დაკარგვა (უთარგმნელობა, წინადადებათა გაერთიანება და საბოლოოდ კომპრესია), ტექსტის, როგორც ემოციური ვერბალური კომუნიკაციის საშუალების, ნეიტრალური ტონალობით გადმოცემის მიზეზი ხდება. აღნიშნული ხერხების არაერთ მაგალითში დაფიქსირება, იძლევა იმის საფუძველს ვიფიქროთ, რომ ამგვარი ხერხებისა და საშუალებების გამოყენება მიზანმიმართულად, კონკრეტული იდეოლოგიზირებული მთარგმნელობითი პოლიტიკითაა განპირობებული.

დასკვნები

თავი I. ავტო- და ჰეტეროსტერეოტიპები როგორც ლინგვისტური კვლევების სოციო-კულტურული ფენომენი და მათი გამოვლინება პოლიტიკურ დისკურსში

პოლიტიკური სტერეოტიპები წარმოადგენენ ცალკეული ინდივიდების, ჯგუფების თუ მასების აზროვნების მანიპულირების უძლიერეს საშუალებას. ისინი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენებისადმი, ობიექტებისადმი თუ პრობლემებისადმი ისეთნაირი დამოკიდებულება და მიდგომაა, რომელიც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კანონად, „ჭეშმარიტებად“ აღიქმება, პოლიტიკური ქცევის ნორმები, ღირებულებები და ეტალონური ერთეულებია.

ჩვენ მიერ განხილული თეორიების საფუძველზე, შეგვიძლია აღვნიშნოთ რომ პოლიტიკური დისკურსი, როგორც ინსტიტუციონალური დისკურსის ერთ-ერთი სახე, წარმოადგენს კვლევის რთულ ობიექტს, რამდენადაც იგი დისციპლინათშორისი კვლევის საგანია (პოლიტოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, თარგმანმცოდნეობა, ანთროპოლოგია, სოციოლოგია).

პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს იმ სამეტყველო აქტების ერთიანობას, რომელიც იქმნება და გამოიყენება პოლიტიკურ ინსტიტუციონალურ გარემოში. ხოლო პოლიტიკური ენა ნებისმიერი ენის განსაკუთრებულ ნიშანთა სისტემაა, რომელიც გამიზნულია პოლიტიკური კომუნიკაციისათვის - ამა თუ იმ იდეების პროპაგანდისთვის, საზოგადოებაზე ემოტიური ზემოქმედებისათვის. თუმცა ენა, რომელიც პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით ან პოლიტიკური მიზნებით გამოიყენება, ყოველდღიური ენისაგან განუყოფელია.

პოლიტიკური საქმიანობა მიმართულია სახელმწიფოში ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისაკენ. მისი ფუნქცია პოლიტიკოსების მხრიდან მიმდები საზოგადოების დარწმუნებაში და მასზე ზემოქმედებაში გამოიხატება. ამ თვალსაზრისით განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკოსის მიერ თავისი მოსაზრებების საზოგადოებისათვის მისაღები ფორმით მიწოდებას და ამ საზოგადოებისათვის

დამახასიათებელი სტერეოტიპების ჩარჩოებში მოქცევას. ამიტომაც, მასობრივ საზოგადოებაზე პოლიტიკური იდეის მოხვევა შესაძლებელია მხოლოდ სტერეოტიპების ფორმის სახით, რომელთა ფორმირება მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიზანმიმართული ქმედებებით ხდება: ეს ფაქტორი მნიშვნელოვანია მაშინ, თუ საზოგადოების ცნობიერებასა და პოლიტიკურ საქმიანობაში შედარებით ერთგვაროვანი, სტერეოტიპული რეაქციის გამოწვევა წარმოადგენს ძირითად მიზანს. ამიტომაც, პოლიტიკური დისკურსი იმ სამეტყველო აქტების ერთიანობაა, რომლებიც იქმნებიან და ფუნქციონირებენ პოლიტიკურ ინსტიტუციონალურ გარემოში.

თავი II. პოლიტიკური დისკურსის ენა - სტერეოტიპული ხედვის ფორმირების იარაღი

სტერეოტიპთა ცვლა ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის ცვლასთან არის დაკავშირებული. საქართველოს საპრეზიდენტო კანდიდატების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში სტერეოტიპთა ფორმირების ტენდენციებიც შესაბამისია. ჩვენ მიერ სამივე საპრეზიდენტო კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდის სახალხო გამოსვლების, სატელევიზიო მიმართვების თუ საზოგადოებასთან პირადად შეხვედრისას გამოყენებული ტექსტების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა სტერეოტიპთა ფორმირების განმეორებადი ტენდენციები, რომელთა გათვალისწინებითად შეგვიძლია ქართულ წინასაარჩევნო დისკურსში გამოვყოთ შემდეგი ძირითადი მახასიათებლები:

1. არჩევნების მნიშვნელობის ხაზგასმა – ჩვენ მიერ განხილულ სამივე შემთხვევაში არჩევნები „გადამწყვეტია“ ქვეყნის გადასარჩენად; თითოეული კანდიდატი საუბრობდა არჩევნების დიდ მნიშვნელობაზე და შესაბამისად, საზოგადოებრივ ვალდებულებებზე მითითებით გარკვეულ შედეგებსაც ლეზულობდნენ.

2. ერის ერთობა – „ჩვენ უნდა გავერთიანდეთ“, „ჩვენ ერთად უნდა დავდგეთ“ „ძალა ერთობაშია“ – ხალხის ერთობის თემა ქართველი საპრეზიდენტო კანდიდატების ერთ-ერთი მთავარი იყო, რაც ჩვენი აზრით საზოგადოებაზე ზემოქმედების გზით, მისი შემდგომი ქმედების განმაპირობებელ ფაქტორად გამოიყენებოდა.

3. ისტორიული წარსულის მოშველიება – ისტორიულ წარსულს კანდიდატები მიმართავდნენ კონკრეტულ ობიექტსა თუ სიტუაციასთან დაკავშირებით როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი დამოკიდებულების გამოხატვისა თუ ჩამოყალიბების მიზნით. კვლევის პროცესში გამოვლინდა საქართველოს ისტორიაში გამორჩეულ პიროვნებებზე საუბრისას საზოგადოების იმ მაგალითების „შეხსენება“, რომელიც ქართული ისტორიის გამორჩეულ და ცნობილ ფაქტებს წარმოადგენდა. ასევე გვხვდება საქართველოს ისტორიაში ცნობილი უარყოფითი ფიგურების „გამოყენება“ ოპონენტის ხატის შექმნის მიზნით, როგორც ეს მიხეილ სააკაშვილის შემთხვევაში ვლინდება.

4. ხალხის სახელით საუბარი და საკუთარი ქმედებების ლეგიტიმაცია სამივე კანდიდატის მოდელში უცვლელი და, შეიძლება ითქვას, წინასწარჩენო კამპანიის უმთავრესი ელემენტია. თითოეული კანდიდატი ხალხის სახელით იწყებდა, აგრძელებდა ასრულებდა კონკრეტულ აქტივობას. კანდიდატების მიერ საკუთარი თავის, როგორც ხალხის, საზოგადოების ლიდერად და წინამძღოლად წარმოჩენით, მიიღწეოდა ერთგვარი ერთობა, როცა კანდიდატი მომავალში საზოგადოების გულისტკივილს სახალხოდ გამოიტანდა და საზოგადოების ინტერესებისათვის იბრძოლებდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კანდიდატები ასეთნაირად საკუთარი ქმედებების ლეგიტიმაციას ახდენდნენ და აპელირებდნენ იმით, რომ ისინი ხალხის ნებით მოქმედებდნენ, იყვნენ აღჭურვილნი ხალხის უფლებამოსილებით. ამიტომაც, არჩევნების შედეგებიც ხალხის ნებისა და სურვილის გამოხატულებას წარმოადგენდა.

5. ხალხის ქება – მოტივირება: ქართველი ხალხი შორსმჭვრეტელია, ქართველი ხალხი შეცდომას არ დაუშვებს, ქართველი ხალხი სულელი ხომ არ გგონიათ და სხვა მსგავსი ქება-დიდება ყველა კანდიდატის მოდელში ფიქსირდება. ჩვენი აზრით ხალხის ქება მისი მოტივირების, მობილიზირების მიზნით ხდებოდა რაც არჩევნების დროს გადამწყვეტი ფაქტორი იყო თითოეული კანდიდატისათვის.

6. სამივე შემთხვევაში განმეორდა მიმართვებისა და გამოსვლების ფორმა და სტრუქტურა: კანდიდატები ხაზს უსვამდნენ წინასწარჩენო პერიოდში ქვეყანაში არსებულ მძიმე მდგომარეობას, რაშიც მმართველ გუნდს ადანაშაულებდნენ; ამ შემთხვევაში,

საკუთარი თავი ქვეყნის გადარჩენის ერთგვარ გარანტიად წარმოჩნდებოდა, რისთვისაც ხდებოდა ერის სტერეოტიპული მახასიათებლებით აპელირება; ეს ელემენტები საკუთარი მიზნის მისაღწევად გამოიყენებოდა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ ზემოთ გამოყოფილი მახასიათებლები ის ელემენტებია, რომლებიც სტერეოტიპული ხატის შექმნის მიზნით გამოიყენებოდა. თუმცა თუ გავითვალისწინებთ კანდიდატების მიმართვებისა თუ გამოსვლების სტრუქტურას, ასევე გამოიყენებოდა ისეთი ერთეულებიც, როგორებიცაა: ქვეყნის მომავალი პოლიტიკური კურსისა და განვითარების მიზნების განსაზღვრა, დასახული ამოცანების გადაწყვეტისუნარიანობის აღნიშვნა, პოლიტიკური რეფორმების აუცილებლობაზე საუბარი, პრეზიდენტის როლისა და ამოცანების ხაზგასმა და სხვ. ისინი, ასევე შეგვიძლია საარჩევნო კანდიდატების წინასაარჩევნო სტერეოტიპულ ფორმად და სტრუქტურად მივიჩნიოთ, თავისი განმეორებითობისა და უცვლელობის გათვალისწინებით.

სამი კანდიდატის წინასაარჩევნო მასალებში როგორც გარკვეული მსგავსებები, ასევე განსხვავებები გამოვლინდა, რაც, ვფიქრობთ, ქვეყანაში თითოეული პერიოდისათვის არსებული პოლიტიკური თუ სოციალური მდგომარეობით იყო გამოწვეული. ჩვენი აზრით, ამით აიხსნება სტერეოტიპთა შექმნის განსხვავებული ტენდენციებიც.

ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის წინასაარჩევნო ტექსტებში, ზვიად გამსახურდიას ტექსტებისაგან განსხვავებით, ნაკლებად ვხვდებით ბინარულ ოპოზიციას, რაც გამოიხატება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო კონტექსტის დაპირისპირებით („ჩვენ“-„ისინი“, „კარგი“-„ცუდი“). ზვიად გამსახურდია თავს საქართველოსთან აიგივებდა, ედუარდ შევარდნაძე საქართველოს კეთილდღეობისათვის მზრუნველად წარმოაჩენსდა თავს; მიხეილ სააკაშვილთან არც ერთი მსგავსი ტენდენცია არ ფიქსირდება.

ზვიად გამსახურდიას შემთხვევაში მთავარ პრობლემას ქვეყნის საგარეო მდგომარეობა და საბჭოთა კავშირი - მასთან გაიგივებული რუსეთი წარმოადგენდა, ე. შევარდნაძის მოდელში რუსეთი კეთილგანწყობილ მეზობლად იყო წარმოდგენილი, თუმცა ე. შევარდნაძის „შიდა მტერი“ ჰყავდა. მ. სააკაშვილის მოდელში საგარეო ფაქტორის ხსენება საერთოდ არ ხდება და ამის მიზეზი, ვფიქრობთ, ის არის, რომ მ. სააკაშვილი

ხელისუფლებაში მოსვლას მოქმედი პრეზიდენტის გადაყენებით ცდილობდა. შესაბამისად, მისი ტექსტები სწორედ მოქმედი პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართული სააგიტაციო ხასიათის მასალას წარმოადგენდა.

მ. სააკაშვილის მოდელში, ზ. გამსახურდიასა და ე. შევარდნაძის მოდელებისაგან განსხვავებით, საზოგადოებასთან შეხვედრის განსხვავებულ ფორმატს ვხვდებით: ზ. გამსახურდია და ე. შევარდნაძე მთლიანად საზოგადოებას მიმართავდნენ, როგორც სახალხო შეკრებებზე, ასევე ტელევიზიითა და გაზეთებით. მ. სააკაშვილის შემთხვევაშიც, ფორმატი მეორდება, მაგრამ ერთი განსხვავებით - კანდიდატი საზოგადოების გარკვეული ნიშნით დაყოფილ ჯგუფებს - ბიზნესმენებს, პროფესორებს, პოლიციელებს, პენსიონერებს ცალკ-ცალკე ხვდებოდა და ასეთ შეხვედრებზე თითოეული მათგანისთვის საინტერესო სპეციფიკურ საკითხებზე ამახვილებდა ყურადღებას.

და ბოლოს, ქართველი საპრეზიდენტო კანდიდატების წინასაარჩევნო დისკურსის განმსაზღვრელ ელემენტს, საზოგადოების აზროვნებაზე ზემოქმედების ემოციური ხერხი წარმოადგენდა, რაც, წინასაარჩევნო კამპანიის ყველა ეტაპზე კანდიდატების მიერ საკუთარი მიზნის - არჩევნებში გამარჯვების მისაღწევად წარმატებით გამოიყენებოდა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ არჩევნების გადამწყვეტ მნიშვნელობაზე აქცენტირება, საზოგადოების ერთსულოვნებაზე მითითება, ისტორიული ავტორიტეტების, ასევე უარყოფითი ისტორიული ფიგურების მოხსენიება, საკუთარი ქმედებების ხალხის სახელით ლეგიტიმაცია, ეროვნული მოტივების გამოყენება წარმოადგენდა საპრეზიდენტო კანდიდატების ძირითად სამოქმედო ელემენტს, მეთოდს წინასაარჩევნო პერიოდში. თუმცა მსგავსი საარჩევნო სტრატეგიების გარდა, ვხვდებით ასევე განსხვავებულ სტრატეგიებს, რომლებსაც, ვფიქრობთ, საფუძვლად სხვადასხვა პერიოდებში ჩვენს ქვეყანაში განსხვავებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა ედო.

ხოლო რაც შეეხება პოლიტიკური დისკურსის თარგმანს, როგორც სტერეოტიპების ფორმირების ინსტრუმენტს ჩვენ მიერ განხილული ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე დავასკვნით, რომ პოლიტიკური ტექსტების

თარგმანში, კერძოდ კი რუსულენოვან წყაროებში გამოქვეყნებულ თარგმანებში ძირითადად ხდება:

1. იმ წინადადებების გამოტოვება, სადაც საუბარია ქართველი ერის შეფასებებზე და მის მიღწევებზე საერთაშორისო პოლიტიკის დონეზე, აგრეთვე გამოხატულია მისდამი ავტორისეული დამოკიდებულება;

2. თარგმანში ჰაუზის დაკარგვა და წინადადებათა გაერთიანებისა და გადაადგილების გზით მიიღწევა ორიგინალში ორატორის მიერ დასმული აქცენტის დაკნინება და ემოციური ფონის მნიშვნელოვნად შემცირება. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ორიგინალის ტექსტიდან გარკვეული ელემენტების გამოტოვებით ან კონსტრუქციათა გაერთიანება-გადაადგილებით განსხვავებული შინაარსის მქონე თარგმანი მიიღება;

3. თარგმანში გარკვეული ლექსიკური ერთეულებისა და წინადადებების გამოტოვებით, ასევე კონსტრუქციათა კომპრესიით, ვლინდება მიმღები აუდიტორიის ყურადღების სხვა ელემენტებზე გადატანის მცდელობა და ორიგინალის იდეის ნეიტრალური ტონალობით გადმოცემა.

4. წინადადებათა გაერთიანების ხარჯზე ხდება ემფატური ინფორმაციის ნეიტრალურად გადაცემა;

5. ორიგინალის საერთო დადებითი ემოციური ფონის დაკარგვა თარგმანში და ავტორისეული მაღალემოციური გზავნილის ინფორმაციული სახით გადმოცემა;

6. გამოტოვებასთან ერთად ორიგინალის ინტერპრეტირების გზით ორიგინალისაგან იდეურად განსხვავებული გზავნილის გადმოცემა თარგმანში.

ლექსიკური ერთეულების შეუსაბამო (ამოსავალი ტექსტში გამოყენებული ერთეულების სალექსიკონო მნიშვნელობით არატოლფასი ერთეულებით) ჩანაცვლების ხარჯზე, შეიძლება მიღწეულ იქნას:

1. ტექსტის ორიგინალში ავტორისეული ტონის გამძაფრება ან შერბილება;

2. ემოციური შეფერილობის მქონე ლექსიკური ერთეულების ნეიტრალური ელემენტებით გადმოტანის გზით ორიგინალის საერთო ემოციური ფონის დაკნინება;

3. ორიგინალში ნეიტრალური ტონის, თარგმანში გამძაფრებული სახით ასახვა და ცალკეული სიტყვების შეუსაბამო ერთეულებით გადათარგმნის გზით ორიგინალის ავტორის გზავნილის სახეცვლილი წარმოდგენა, თარგმანში აზრობრივი სხვაობის შემოტანა;

4. ორიგინალის ავტორის ფორმალური და კეთილგანწყობილი დამოკიდებულების თარგმანში დაკარგვა;

5. აზრობრივი გავრცობითა და კონსტრუქციათა გაერთიანებით შესაძლებელია მკითხველის ყურადღების გადატანა ორიგინალისგან განსხვავებულ ელემენტებზე და რაიმე კონკრეტული გარემოების ხაზგასმა. ამ ელემენტზე ფოკუსირებისა და თანაბარი მნიშვნელობის კატეგორიების ნაცვლად არაპროპორციული ურთიერთმიმართების გზით ნათარგმნ ტექსტში მიიღება ორიგინალისაგან განსხვავებული სიტუაციის გამძაფრება.

რაც შეეხება ქართულენოვან თარგმანებს, ჩვენ მიერ შერჩეული მასალის ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ქართულენოვანი თარგმანები ახლოსაა ორიგინალთან, როგორც ფორმით ასევე შინაარსით. მასალების კვლევისას ქართულ თარგმანებში არ დაფიქსირებულა გამოტოვების არც ერთი შემთხვევა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ქართულენოვან თარგმანში, ხშირად გვხვდება ნეიტრალური ან ნაკლებად ემოციურად მარკირებული ლექსიკური ერთეულების ძლიერ ემოციურ ერთეულებით გადმოტანის შემთხვევები. ასევე ქართულენოვან თარგმანებში ვერ გამოვავლინეთ ემოციურად გადმოცემული აზრის დაკნინება-განეიტრალების შემთხვევა. ვფიქრობთ, რომ ეს ფაქტი იმით არის გამოწვეული, რომ ჩვენ მიერ შერჩეული პოლიტიკური განცხადებები მეტად მნიშვნელოვანი იყო ქართული სახელმწიფოს საერთაშორისო პოლიტიკური თვალსაზრისით; შესაბამისად, მათი ზუსტი თარგმანის მიწოდება ქართული

საზოგადოებისათვის გარკვეულწილად „მომგებიანიც“ იყო. ამიტომ განცხადებები თუ გამოსვლები მაქსიმალურად მიახლოვებულად იყო ნათარგმნი.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით კი შეგვძლია აღვნიშნოთ, რომ მოპოვებული მასალების ანალიზზე დაყრდნობით გამოვლინდა, რომ რუსულენოვან თარგმანში ტექსტების ტრანსფორმაცია და შინაარსობრივი ცვლილებების შემჩნევა შეუიარაღებელი თვალთვლით თითქმის შეუძლებელია; თუმცა, ტექსტების სიღრმისეული ანალიზის (ე.წ. „close reading“) მეშვეობით, რომლის დროსაც ყურადღება გამახვილებულია მთარგმნელობით ტრანსფორმაციებზე, ვლინდება შემდეგი ტენდენციები: ემოციურად მარკირებული ლექსიკურ-სემანტიკური ერთეულების და მათი პრაგმატული მნიშვნელობის გარკვეულწილად დაკარგვა (უთარგმნელობა, წინადადებათა გაერთიანება და საბოლოოდ კომპრესია), ტექსტის, როგორც ემოციური ვერბალური კომუნიკაციის საშუალების, ნეიტრალური ტონალობით გადმოცემის მიზეზი ხდება. აღნიშნული ხერხების არაერთ მაგალითში დაფიქსირება, იძლევა იმის ფიქრის საფუძველს, რომ ამგვარი ხერხებისა და საშუალებების გამოყენება მიზანმიმართულად, კონკრეტული იდეოლოგიზირებული მთარგმნელობითი პოლიტიკითაა განპირობებული.

გამოყენებული ლიტერატურა

ბეჭდური წყაროები

1. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს ტელევიზიით 1991 წლის 28 აპრილს. საქართველოს რესპუბლიკა. N84 (104). 1 მაისი. 1991.
2. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს ტელევიზიით 1991 წლის 8 მაისს. საქართველოს რესპუბლიკა. N91 (111). 10 მაისი. 1991.
3. ვაზი სიმბოლოა საქართველოსი: ზვიად გამსახურდიას სიტყვა სრულად საქართველოს საზოგადოება „კახეთის“ პირველ ყრილობაზე. საქართველოს რესპუბლიკა. N96 (116). 17 მაისი. 1991.
4. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატის ბატონ ზვიად გამსახურდიას საარჩევნო პროგრამა. საქართველოს რესპუბლიკა. N99-100 (120). 22 მაისი. 1991.
5. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენცია საზღვარგარეთის და საქართველოს ჟურნალისტებისათვის 1991 წლის 27 მაისს. საქართველოს რესპუბლიკა. N108 (128). 30 მაისი. 1991.
6. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე 1991 წლის 7 ივნისს. საქართველოს რესპუბლიკა. N114 (134). 11 ივნისი. 1991.
7. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ ერთიანი, მთლიანი და განუყოფელი საქართველოსთვის. საქართველოს რესპუბლიკა. N112 (2028). 31 აგვისტო. 1995.
8. ის რაც ბოლო წლინახევრის განმავლობაში კეთდება მთელი ხალხის მხარდაჭერითა და მოთხოვნით, დემოკრატიული და სტაბილური, ძლიერი სახელმწიფოს შექმნის, ხალხის კეთილდღეობისა და უსაფრთხოების, ადამიანის უფლებათა დაცვის

- რეალური გზა და გარდუვალი, აუცილებელი პიროვნებაა. [ჩაიწერა] ონიანი ნატო. საქართველოს რესპუბლიკა. N119 (2035). 12 სექტემბერი. 1995.
9. ფულის რეფორმა ხელს შეუწყობს წარმოების გამოცოცხლებასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის რეაბილიტაციას. ედუარდ შევარდნაძის სიტყვა 1995 წლის 16 სექტემბერს გამართულ თათბირზე. საქართველოს რესპუბლიკა. N124 (2040). 20 სექტემბერი. 1995.
 10. დავითის დროშამ უნდა გაგვეერთიანოს იმ გზაზე, რომელსაც გამარჯვება და საქართველოს გამთლიანება ჰქვია. საქართველოს რესპუბლიკა. N126 (2042). 22 სექტემბერი. 1995.
 11. ლარისადმი დამოკიდებულება გამოხატავს თითოეული მოქალაქის ეროვნული და სახელმწიფოებრივი აზროვნების დონეს. საქართველოს რესპუბლიკა. N133 (2049). 3 ოქტომბერი. 1995.
 12. საქართველო არჩევნებიდან გამოვა უფრო განმტკიცებული, გამთლიანებული და განწმენდილი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის-სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა ადგილობრივი მმართველობის, უშიშროებისა და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელთა რესპუბლიკურ თათბირზე 1995 წლის 1 ოქტომბერს. საქართველოს რესპუბლიკა. N135 (2051). 5 ოქტომბერი. 1995.
 13. მთავარი ის გახლავთ, რომ უკვე შევუდექით მშენებლობას, დავადექით სულიერი განწმენდისა და გაჯანსაღების გზას, რაც ჩვენი საბოლოო გამთლიანებისა და გაძლიერების გარანტიაა. [ჩაიწერა] ონიანი ნატო. საქართველოს რესპუბლიკა. N143 (2059). 17 ოქტომბერი. 1995.
 14. სიტყვა იაკობ გოგებაშვილზე. საქართველოს რესპუბლიკა. N148-149(2065). 21 ოქტომბერი. 1995.
 15. გადაუჭრელად შეიძლება ითქვას, რომ 5 ნოემბერს გადაწყდება საქართველოს ბედი!. [ჩაიწერა]ნატო ონიანმა. საქართველოს რესპუბლიკა. N157 (2073). 31 ოქტომბერი. 1995.

16. შავი ზღვის აუზის ქვეყნების არქიტექტორთა პირველი კონფერენციის მონაწილეებს. საქართველოს რესპუბლიკა. N160(2076). 2 ნოემბერი. 1995.
17. საქართველო ღირსეულად შეაბიჯებს XXI საუკუნეში. ბატონ ედუარდ შევარდნაძის სიტყვა, წარმოთქმული საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ფორუმზე 1995 წლის 2 ნოემბერს. საქართველოს რესპუბლიკა. N161-162(2078). 3 ნოემბერი. 1995.
18. არჩევნებში ხალხმა თავისი გამჭირახობით, სიბრძნით, სწორი პოლიტიკური ალლოთი და ორიენტაციით იხსნა საქართველო, მისი მომავალი: 6 ნოემბრის რადიოინტერვიუ; [ჩაიწერა]ონიანი ნატო. საქართველოს რესპუბლიკა. N164(2080). 7 ნოემბერი. 1995.
19. ძლიერი ხელისუფლება კიდევ უფრო განამტკიცებს წესრიგს და ამით რეალურად იზრუნებს დემოკრატიის განვითარებისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის უზენაესობისათვის. საქართველოს რესპუბლიკა. N168 (2084). 14 ნოემბერი. 1995.
20. არჩევნების შედეგები იძლევა იმის სრულ გარანტიას, რომ ქვეყანაში მშვიდობის, სტაბილურობის, შემოქმედების ატმოსფერო დამკვიდრდება; [ჩაიწერა] ონიანი ნატო. საქართველოს რესპუბლიკა. N1772(2088). 21 ნოემბერი. 1995.
21. მხოლოდ ჩვენ ვიცით, როგორ დავიბრუნოთ საქართველო. ბუკია, ს. 24 საათი. 1 ნოემბერი. 2003.
22. ბარიერთან: საზოგადოება უპირისპირდება შევარდნაძე-აბაშიძის მიერ სახელმწიფო გადატრიალებისა და ხელისუფლების მისაკუთრების მცდელობას. 24 საათი. N291. 7 ნოემბერი. 2003.
23. მე, მიშა სააკაშვილი, არ ვაპირებ დღეს აქედან წასვლას. ბუკია, ს. 24 საათი. N293. 8 ნოემბერი. 2003.
24. გინდათ ასეთი პრეზიდენტი? ბუკია, ს. 24 საათი. N293. 10 ნოემბერი. 2003.
25. საქართველოს მოსახლეობას!. მიხეილ სააკაშვილის მიმართვიდან. 24 საათი. N297. 14 ნოემბერი. 2003.
26. შევარდნაძე დიდი პიროვნებაა. ჭალაგანიძე, მ. 24 საათი. N305. 24 ნოემბერი. 2003.

27. მთავარი კონკურენტები -დრო და საქართველოს მტრები. ბუკია, ს. 24 საათი. N315. 5 დეკემბერი. 2003.
28. მატარებელი მომავლის მიმართულებით. ბუკია, ს. 24 საათი. N320. 11 დეკემბერი. 2003.
29. ქართველი ბიზნესმენები ახალი ხელისუფლებისაგან ცვლილებებს ელიან. ნარჩემაშვილი, ნ. 24 საათი. N322. 13 დეკემბერი. 2003.
30. სატელეფონო ხაზზეა ჯორჯ ბუში. 24 საათი. N05. 8 იანვარი. 2004.
31. ჯორჯ ბუში: ქართულ მიწაზე თქვენ მიერ დათესილი თავისუფლების თესლი მთელ მსოფლიოში ღვივდება. *საქართველოს რესპუბლიკა*. N111. 11 მაისი. 2005.

ლიტერატურა

1. ომიადე ს. ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა, სემანტიკა და ფუნქციონირება, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბილისი. 2006.
2. საყვარელიძე ნ. თარგმნის თეორიის საკითხები. თსუ გამომცემლობა. თბილისი. 2001.
3. Althusser, L. For Marx. trans. Brewster, B. Penguin. London. 1969
4. Barber B. Jihad vs. McWorld, Times Books. 1995.
5. Bar-Tal D. Formation and Change of Ethnic and National Stereotypes: An Integrative Model. Article In International Journal of Intercultural Relations. November. 1997.
6. Bassnet S., Schaffner C. Political Discourse, Media and Translation. Cambridge Scholars Publishing: Newcastle upon Tyne. 2010.
7. Baudry P. French and Americans, The Other Shore, Jean-Louis Morhange, trans. 2005.
8. Binkley R. C. The Common Concept of Public Opinion in the Social Sciences // Social Forces. Vol.6. 1928.

9. Buchanan W., Cantril H. How Nations See Each Other. Urbana. 1953.
10. Chilton, P. Analysing Political Discourse: Theory and Practice. London. Routledge. 2004.
11. Chilton, P. A. and Schäffner, C., Politics as Text and Talk: Analytic Approaches to Political Discourse. Philadelphia. John Benjamins Pub. Co., 2002.
12. Chilton, P. & Schäffner, C. Discourse and Politics, co-authored with Christina Schaeffner, in Teun A. van Dijk (ed.), Discourse as Social Interaction. Discourse Studies: A Multidisciplinary Introduction. 1997.
13. Crystal, D. A dictionary of linguistics and phonetics. Sixth edition. Blackwell. London. 2008.
14. Dieckmann, W. Sprache in der politik [Language in politics]. 1975; Heidelberg: Carl Winter Universittsverlag. Discourse and Society. An interdisciplinary journal for the study of discourse and communication in their social, political, and cultural contexts. 1997.
15. Dijk Teun A. Van. Ideology: A multidisciplinary Approach. London, 1998.
16. Dijk Teun A. Van. Critical Discourse Analysis. Blackwell. London. 2000.
17. Edelman, M. The political language of the helping professions. Politics and Society. Illinois. 1974.
18. Edelman, M. The symbolic uses of politics. Urbana: University of Illinois Press. 1974b.
19. Edelman, M. Political language: Words that succeed and policies that fail. Orlando, Fla.: Academic Press. 1977.
20. Feldman O. And De Landtsheer C. Politically Speaking. A worldwide Examination of Language Used in The Public Sphere. The USA. Praeger Publishers. 1998.
21. Fairclough N. Language and Power. L.: Longman. 1989.
22. Fairclough, N. (a) Discourse and Social Change. Polity Press. Cambridge. 1992.
23. Fairclough, N. (b) Discourse and Text: Linguistic and Intertextual Analysis within Discourse Analysis. Discourse and Society. 1992.
24. Jandt F. E. An Introduction to Intercultural Communication: Identities in a Global Community. London. 2008.
25. Jorgensen M., Philips L.J., Discourse Analysis as Theory and Method. London. 2002.

26. Katz D., Braly K. W. Racial stereotypes of one hundred college students // Journal of Abnormal and Social Psychology. Vol. 28. 1933.
27. Khan S. R. Journal of Cross-Cultural Psychology. 2008.
28. Klenberg O. Tensions Affecting International Understanding. 1950.
29. Lasswell, H. D., & Leites, N. et al. Language of politics: Studies in quantitative semantics. New York: George W. Stewart. 1949.
30. Lehtonen, J. (electronic article). Cultural stereotypes. <http://www.jyu.fi/viesti/verkkotuotanto/kp/vf/jaakko.shtml>. accessed on 15.08.2013.
31. Lippmann W. Public Opinion. New York, Harcourt, Brace and Co. 1922.
32. Malinowski, B. A scientific theory of culture. New York: New York University Press, 1944.
33. Mannheim, K. Ideology and utopia: An introduction to the sociology of knowledge. London, 1960.
34. Mey, J. Whose Language? A Study in Linguistic Pragmatics, Amsterdam, John Benjamins. Pragmatics: An Introduction, 2nd edn, Oxford, Blackwell. 2001.
35. Mills, C. Wright. Situated actions and vocabularies of motive. American Sociological Review. 1940.
36. Nachbar J., Lause K., Popular Culture: An Introductory Text. 1992.
37. Nimmo, D. Political communication and public opinion in America. Santa Monica, Calif.: Goodyear Publishing Company. 1978.
38. Orwell, G. Politics and the English language. In shooting an elephant and other essays. London, 1950.
39. Rochefort H. W. French Toast: An American in Paris Celebrates the Maddening Mysteries of the French. P. 2007.
40. Shapiro, M. Language and political understanding: The politics of discursive practices. New Haven, Conn.: Yale University Press. 1982.

41. Schaff, A. Introduction a` la se´mantique. Introduction to semantics. Paris. Editions Anthropos. 1960.
42. Schaffner C. Political Discourse Analysis from the point of view of Translation Studies. In Journal of Language and Politics 3: I. John Benjamins Publishing Company, UK, 2004.
43. Schiffrin, D., Approaches to discourse. Oxford. Blackwell. 2004.
44. Searle, J. Speech Acts. Cambridge: Cambridge University Press. 1969.
45. Tajfel, H. Human groups and social categories. Cambridge: Cambridge University Press. 1981.
46. Tillett G. Resolving Conflict. 2007.
47. Torfing J., Howarth D., Discourse Theory in European Politics/Identity, Policy and Governance. GB, 2005.
48. Trosborg, A. Text Typology: Register, Genre and Text Type. In: Trosborg. 1997.
49. Ullmann, Stephen. Semantics: An introduction to the science of meaning. Oxford: Blackwell. 1962.
50. Venuti, L. The Translator's Invisibility. A history of translation. London and New York. 1995.
51. Vlasenko E. Cross-cultural Blog. 2009.
52. Washington ProFile. Социальная Психология, Власть стереотипов. 2008.
53. Wodak, R., Language, power, and ideology: studies in political discourse. Amsterdam. John Benjamins Pub. Co., 1989.
54. Wodak, R. Critical Discourse Analysis // Discourse as Social Interaction. L.: Sage Publications, Vol. 2. 1997.
55. Woodlands Junior School English Stereotypes. 2009.
56. Агеев В. С. Межгрупповое взаимодействие: социально-психологические проблемы. М. 1990.
57. Алтунян А.Г. Анализ политических текстов: Учебное пособие. – М.: Университетская книга; Логос, 2006.

58. Асеева Ж. В. Лексические средства выражения идеологии политической корректности в современном английском языке. Диссертация на соискание ученой степени кандидата филологических наук. Иркутск. 1999.
59. Ахманова О.С. Словарь лингвистических терминов. М. 1969.
60. Байбурин А. К. Этнические стереотипы поведения, 1985.
61. Баранова Т. С. Психологическое исследование социальной идентичности // Социальная идентификация личности — 2. М., Кн. 2. 1994.
62. Баранов А. Н. Политический дискурс: прощание с ритуалом? М. 1997.
63. Баранов А. Н. Лингвистическая теория аргументации (когнитивный подход) М. 1990.
64. Баранов А. Н., Михайлова О.В., Сатаров Г.А., Шипова Е.А. Политический дискурс: методы анализа тематической структуры и метафорики. М. 2004.
65. Баранов А. Н., Введение в прикладную лингвистику. М. 2001.
66. Бархударов Л.С. Язык и перевод. Вопросы общей и частной теории перевода. М. 1975.
67. Белянин В.Н. Психолингвистические аспекты художественного текста. М. 1988.
68. Бергельсон М. Б., Некрасова А. Е. Лингвистический анализ стереотипов: баланс между текстом и смыслом. М. 2010.
69. Васильева Н. В., Виноградов В.А., Шахнарович А.М. Краткий словарь лингвистических терминов. Москва. 1995.
70. Вежбицкая А. Сопоставление культур через посредство лексики и прагматики. М. 2001.
71. Вежбицкая А. Язык. Культура. Познание. М. 1997.
72. Верещагин Е.М., Костомаров В.Г. Язык и культура/Лингвострановедение в преподавании русского языка как иностранного. М. 1976.
73. Вестник челябинского государственного университета – Научные Парадигмы в Лингвистике. №35. 2009.

74. Вестник СГУТиКД. № 2 - Политический дискурс как составляющая дискурсивных процессов: многообразие подходов к изучению в общей системе лингвориторической парадигмы. 2012.
75. Водак Р. Язык. Дискурс. Политика. Волгоград. 1998.
76. Гаврилова М.В. Лингвистический анализ политического дискурса. Политический анализ. Доклады центра эмпирических политических исследований СПбГУ. выпуск 3. С. Петербург. 2002.
77. Ерофеев Н. А. Туманный Альбион. М. 1982.
78. Карасик В.И. Языковой круг: личность, концепты, дискурс. Волгоград. 2002.
79. Комиссаров В.Н. Теория перевода. Лингвистические аспекты. Учеб. для ин-тов и фак. иностр. яз. - М. 1990.
80. Кон И. С. Нужна помощь психологов // Советская этнография. № 3. 1983.
81. Кордуэлл М. Психология А-Я. Словарь-справочник. М. 2000.
82. Красных В.В., Изотов А.И. (ред.) Язык. Сознание. Коммуникация. Вып.20. М. 2002
83. Кубрякова Е.С. О понятиях дискурса и дискурсивного анализа в современной лингвистике // Дискурс, речь, речевая деятельность: Сб. обзоров. М. 2000.
84. Левицкая, Т.П. Фитерман, А.М. Пособие по переводу с английского языка на русский. Москва. 1963.
85. Лотман Ю. М. Семиосфера. Культура и взрыв внутри мыслящих миров. Статьи. Исследования. Заметки. С.-Петербург. 2000.
86. Маслова В.А. Лингвокультурология. М. 2001.
87. Маслова В.А. Когнитивная лингвистика. Минск. 2004.
88. Мельник Г.С. Mass-Media: Психологические процессы и эффекты. СПб. 1996.
89. Мюллер В.К. «Англо-русский словарь». М. 1982.
90. Ольшанский Д. Основы политической психологии. Учебное пособие для вузов. Издательство «Деловая книга». 2001.

91. Павловская А.В. Этнические стереотипы в свете межкультурной коммуникации. // Вестник МГУ. Сер.19. Лингвистика и межкультурная коммуникация. №1. 1998.
92. Паршин П. Б. Лингвистические методы в концептуальной реконструкции // Системные исследования. Ежегодник 1986. — М., 1987
93. Петренко В. Ф. Основы психосемантики. М. 2005.
94. Попова Т.Г. Интеграция языка и культуры как культурологическая реальность в процессе перевода // Пространства и концептосферы языка: структура, дискурс, метатекст: Материалы III Международной научной конференции по актуальным проблемам теории языка и коммуникации. М. 2009.
95. Попова Т.Г. Синтагматические особенности юридического дискурса // Инновации в преподавании иностранных языков студентам-юристам. Материалы межвузовской научно-практической конференции. М. 2011.
96. Попова Т.Г., Таратынова Н.В. Политический текст и его лексические особенности // Известия Тульского государственного университета. №2. Гуманитарные науки. 2009.
97. Почепцов Г. Теория и практика коммуникации. Москва. 1998.
98. Прохоров Ю.Е. Национальные социокультурные стереотипы речевого общения и их роль в обучении русскому языку иностранцев. Изд. 5-е. Москва. 2008.
99. Репина Е. А. Политический текст как средство речевого воздействия. Труды СГУ, выпуск 50. Гуманитарные науки. Гл. ред. Артемьева Т.И. Современный гуманитарный университет. М. 2002.
100. Рецкер Я.И. Теория перевода и переводческая практика. Очерки лингвистической теории перевода. Москва. 2007.
101. Родоман Н.В. Английский для магистрантов. Курс политперевода. М. 2009.
102. Русакова О.Ф. Современные теории дискурса: опыт классификаций. Современные теории дискурса: мультидисциплинарный анализ. Серия «Дискурсология». Издательский Дом «Дискурс-Пи». Екатеринбург. 2006.

- 103.Сергеев В. М., Сергеев К.В. Некоторые подходы к анализу языка политики. На примере понятий «хаос», «лидер», «свобода»//Полис. №5. 2001.
- 104.Солдатова Г. У., Шайгерова Л. А., Шарова О. Д. Жить в мире с собой и другими: тренинг толерантности для детей и подростков. М. 2000.
- 105.Сорокин Ю.А. Психолингвистические аспекты изучения текста. М. 1985.
106. Сорокин Ю.А. , Марковина И.Ю. Этнопсихолингвистика. М. 1988.
- 107.Сорокин Ю.А., Марковина И.Ю. Национально-культурная специфика художественного текста. М. 1989.
- 108.Сорокина Н.В. Методическая типология стереотипов как компонент содержания обучения иностранным языкам в вузе. // Язык и культура. № 3 (23). 2013.
- 109.Степанов Ю. С. Альтернативный мир, дискурс, факт и принцип причинности // язык и наука конца XX века: сборник статей. РГГУ. Москва. 1995.
- 110.Стефаненко Т. Г. Этнопсихология. Институт психологии РАН. «Академический проект». М. 1999.
- 111.Тер-Минасова С.Г. Язык и межкультурная коммуникация. 2000.
- 112.Франселла Ф., Баннистер Д. Новый метод исследования личности. М. 1987.
- 113.Харрис Р. Психология массовых коммуникаций. Москва. 2002.
- 114.Шапочкин Д. В. Политический Дискурс: Когнитивный аспект. монография. Издательство Тюменского государственного университета. Тюмень. 2012.
- 115.Шейгал Е. И. Семиотика Политического Дискурса. Диссертация на соискание ученой степени доктора филологических наук. Волгоградский государственный педагогический университет. Волгоград. 2000.
- 116.Шмелев а. Г., Похилько В. И., Козловская-Тельнова А. Ю. Практикум по экспериментальной психосемантике. М. 1988.

ემპირიული მასალების ელექტრონული წყაროები:

1. ბუში რუსეთს საქართველოს თაობაზე აფრთხილებს. სივილ ჯორჯია. 12 აგვისტო. 2008. <http://www.civil.ge/geo/article.php?id=19086&search=> (17.06.2015).
2. ბუში თბილისში რაისს აგზავნის მხარდაჭერის აღმოსაჩენად. სივილ ჯორჯია. 13 აგვისტო. 2008. <http://www.civil.ge/geo/article.php?id=19126&search=> (19.05.2015).
3. ბუში: ცივი ომი დასრულებულია. სივილ ჯორჯია. 15 აგვისტო. 2008. <http://civil.ge/geo/article.php?id=19161&search=> (18.06.2015).
4. სააკაშვილის მიმართვა-სრული ტექსტი. სივილ ჯორჯია. 27 აგვისტო. 2008. <http://www.civil.ge/geo/article.php?id=19315&search> (9.06.2015).
5. ოზამა-საკაშვილის შეხვედრა თერთ სახლში. სივილ ჯორჯია. 31 იანვარი. 2012. <http://www.civil.ge/geo/article.php?id=25059&search=> (20.05.2015).
6. საქართველოს პრეზიდენტის გაეროში გამოსვლის მთავარი აქცენტები. Netgazeti.ge. 26 სექტემბერი. 2013. <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/23856/>. (18.06.2015).
7. Bush's speech in Georgia. BBC NEWS. May 10. 2005. <http://news.bbc.co.uk/go/pr/fr/-/2/hi/europe/4534267.stm> (15.06.2015).
8. President Bush's Remarks at White House on Situation in Georgia. THE WHITE HOUSE Office of the Press Secretary. August 11. 2008. <http://iipdigital.usembassy.gov/st/english/texttrans/2008/08/20080811185207ihecuor0.7626306.html#axzz3cZOBiZMH> (17.06.2015).
9. G.W. Bush Statement on the Military Conflict between Georgia and Russia. Presidential Rhetoric. August 13. 2008. www.presidentialrhetoric.com (17.05.2015)
10. President Bushs Statement on Georgia. New York Times. August 16. 2008. http://www.nytimes.com/2008/08/16/world/europe/16bushtext.html?_r=1&. (18.06.2015).
11. Saakashvili address on Russia's Abkhazia, S.Ossetia Recognition. Civil Georgia. August 26. 2008. <http://www.civil.ge/eng/article.php?id=19304.U> (5.06.2015).

12. Remarks by President Obama and President Saakashvili of Georgia After Bilateral Meeting. White House. January 30. 2012. <https://www.whitehouse.gov/photos-and-video/video/2012/01/30/president-obamas-bilateral-meeting-president-saakashvili-georgia#transcript> (20.05.2015)
13. Saakashvili's Speech at the UN General Assembly-2013. Civil Georgia. September 26. 2013. <http://civil.ge/eng/article.php?id=26491&search=> (18.06.2015).
14. Polls Open in Presidential Vote. Civil Georgia. October 27. 2013. <http://civil.ge/eng/article.php?id=26611&search=>. (10.06.2015).
15. 150 тысяч жителей Грузии собрались в Тбилиси, чтобы послушать выступление президента США. Кавказский Узел. 10 мая. 2005. <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/74761/>. (15.06.2015).
16. Буш предупреждает Россию в связи с Грузией. Civil Georgia. 12 августа. 2008. <http://www.civil.ge/rus/article.php?id=17266&search=> (17.06.2015).
17. Заявление президента Буша в Белом доме о ситуации в Грузии. Белый Дом Офис пресс-секретаря. 2008. <http://iipdigital.usembassy.gov/st/russian/texttrans/2008/08/20080812085930ihecuor0.2027857.html#axzz3cZOBiZMH> (17.06.2015).
18. Буш выступил с заявлением о ситуации в Грузии и оговорился. ВЕСТИ РУ. 12 августа. 2008. <http://www.vesti.ru/doc.html?id=200281&cid=9>. (17.06.2015).
19. Официальное заявление президента Буша по поводу ситуации в Грузии. Белый Дом Офис пресс-секретаря. 13 августа. 2008. <http://iipdigital.usembassy.gov/st/russian/texttrans/2008/08/20080813134552ejavosson0.9464075.html#ixzz3dEI2Rlyh> (19.05.2015).
20. Официальное заявление президента Буша по поводу ситуации в Грузии. Государственный департамент США. 13 августа. 2008. <http://iipdigital.usembassy.gov/st/russian/texttrans/2008/08/20080813134552ejavosson0.9464075.html#ixzz3dEI2Rlyh> (27.05.2015).

21. Заявление президента Джорджа Буша по Грузии. Голос Америки. 13 августа. 2008. <http://www.golos-ameriki.ru/content/a-33-2008-08-13-voa14/636421.html> (19.05.2015).
22. Заявление президента Джорджа Буша по Грузии. Голос Америки. 13 августа. 2008. <http://www.golos-ameriki.ru/content/a-33-2008-08-13-voa14/636421.html> (19.05.2015).
23. Буш вновь заявил о поддержке Грузии: президент ждет Райс из Грузии и совещается с Гейтсом. News Ru. 15 августа. 2008. <http://www.newsru.com/world/15aug2008/bushagain.html>. (18.06.2015).
24. Заявление президента Буша о ситуации в Грузии. Белый Дом Офис пресс-секретаря. 18 августа. 2008. <http://iipdigital.usembassy.gov/st/russian/texttrans/2008/08/20080818095549eafas0.4021875.html#ixzz3dCzQW9L8>. (18.06.2015).
25. Поучитесь у грузин. Московский Комсомолец. 31 января. 2012. <http://www.mk.ru/politics/2012/01/31/665983-pouchites-u-gruzin.html> (20.05.2015)
26. Михаил Саакашвили: Российский проект обречен на провал. РИА Новости. 09 сентября. 2013. <http://ria.ru/world/20130926/965931705.html#ixzz3d0x0WDIe>. (18.06.2015).
27. Саакашвили: Меня тошнит от натаций Путина. Russian RT. 26 Сентября. 2013. <http://russian.rt.com/inotv/2013-09-26/Saakashvili-Menya-toshnit-ot-notacij>. (20.05.2015).
28. Выступление Президента Грузии на 68-ой сессии Генеральной Ассамблеи ООН. Civil Georgia. 27 сентября. 2013. <http://civil.ge/rus/article.php?id=25236&search=> (18.06.2015).